კვირის პალიტრა
N2 (344

„ჩვენ რომ ერთად ვართ, მაგარი ინტრიგაა...“

რისი უფლება მისცა ნატო გელაშვილმა მერაბ სეფაშვილს

„ბგის“ ჩვაღუჩი ომუ – ზურამ ნაგალის ხელი სთხოვა

გინეკოლოგი პოლიციელი და ახალგზლის ლამეს „სკამეიკაზე“ გაჩენილი ბავშვი

რას განიცდის ნინი ბადურაშვილი ქორწილამდე

„გაყიდულ მიწაზე გვაომებდნენ“...



რამ წაიყვანა აფხაზეთის ომში ქმარშვილიანი ქალი

კოლორიტი

3 კილომეტრი „კალბასი“ და იატაკზე მიმოფანტული 2.500 მანეთი

ქვევრში ჩაბუდებული ბებერი გველი – ყოფილი იეღოველის მართლმადიდებლური აღსარება

სუსტი სქესის საიდუმლო აგენტები და თაღლითები

საშობაო აქცია 15 დეკემბრიდან 15 იანვრამდე

Premier

by Dead Sea Premier

მეკვლური ზღვის ყოველდღიური და სამკურნალო კოსმეტიკა

1 + 1

იყიდე ერთი სასურველი და მიიღე საჩუქრად განსხვავებული

Il. Premier - თქვენი ჯანის მომხიბვლელობა

www.il-premier.ge

GTC ვეკუას ქ. №3 II სართული

სახალხო აფთიაქი

მარჯანიშვილის ქ. №16

GOODWILL

ფარნავაზ მეფის გამზირი № 1

ᲥᲘᲠᲘᲜ ᲞᲐᲚᲘᲒᲠᲐ
ᲒᲖᲐ
№2 (344)
11 - 17 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. 2007
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲘᲗᲘ

ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ

„როცა ბავშვის თავი დავინახე, ქალს მთელი ძალით მუცელზე დავაწექი, თანაც ისე, რომ პატარისთვის ხელები შემეშვირა. ეს პოზა ალბათ, ჩემი აღმოჩენილია...“

20

„ᲥᲝᲚᲙᲘᲐᲜᲘ“ ᲥᲔᲗᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲨᲘ...

ᲛᲣᲙᲝᲑᲐᲖᲘᲔᲠᲘ:

„ქეთი, მაინტერესებს, გამიცნობ თუ არა? ცეცხლოვანი გოგო ხარ, შენი ეშხით ვიწვი; ნამდვილი ფერია ხარ, არ გინდა, ჩემი პრინცესა იყო?“

24

ᲘᲐᲢᲐᲙᲖᲔ ᲛᲘᲛᲝᲖᲜᲔᲣᲚᲘ 25-ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ...

„მერე იმ კაცმა მეკვლედ დამპატიჟა. მივედი. კარი მისმა ცოლმა გამიღო. ჯერ კანფეტი დავყარე, შემდეგ კი – 25-მანეთიანების „პაჩკა“ ამოვიღე ჯიბიდან. მოვიარე მთელი სახლი...“

28

ᲛᲔ, ᲚᲝᲗᲘ...

თქვენ გყავთ თქვენი ლოთი?

ნუთუ, არ იცნობთ მას, ფხიზელი რომ ანგელოზია, ნასვამი კი, – რა ქნას, პათოლოგია! ამ „დიაგნოზით“ შეინდობენ ახლობლები?

32

■ ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
„ᲩᲔᲛᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-ᲥᲐᲚᲐᲥᲝ“ ᲐᲜᲣ „ᲡᲝᲤᲔᲚᲝ, ᲩᲔᲛᲝ ᲡᲝᲤᲔᲚᲝ“?! 3
■ ᲨᲔᲜᲬᲧᲐᲚᲔᲑᲐ
ᲛᲘᲣᲢᲔᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ, „ᲨᲔᲛᲬᲧᲐᲚᲔᲑᲔᲚᲘ“ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝᲓ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ 81 ᲛᲡᲯᲐᲕᲠᲓᲔᲑᲣᲚᲘ 4
■ ᲓᲐᲘᲯᲔᲡᲢᲘ 5
■ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐ
ᲤᲔᲡᲢᲝᲡᲘᲡ ᲓᲘᲡᲙᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ „ᲛᲝᲘᲜᲓᲝᲛᲐ“ „ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲡ ᲒᲐᲛᲮᲔᲚᲐ“... 7
■ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ
ᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲣᲮᲓᲐᲗ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲡᲔᲤᲐᲨᲕᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲢᲝ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ 9
■ ᲡᲐᲮᲚᲕᲠᲔᲑᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ
ᲡᲐᲨᲝᲑᲐᲝ ᲑᲐᲖᲠᲝᲑᲐ ᲔᲚᲘᲡᲔᲡ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲮᲣᲢᲔᲑᲐ ᲐᲗᲔᲜᲨᲘ... 11
■ ᲥᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
ᲨᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲖᲔ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ 13
■ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲘ
„ᲜᲐᲢᲐᲚᲘ, ᲡᲘᲡᲮᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲘᲗᲔᲗᲠᲝ?..“ 16
■ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ
ᲥᲡᲔᲚᲨᲘ ᲓᲐᲜᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ 17
■ ᲗᲔᲛᲐ
ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ 20
■ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘ
ᲒᲘᲕᲘ ᲖᲐᲚᲓᲐᲡᲢᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ 22
■ ᲡᲐᲞᲐᲢᲐᲠᲫᲚᲝ
„ᲥᲝᲚᲙᲘᲐᲜᲘ“ ᲥᲔᲗᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲨᲘ... 24
■ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
2006 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ 26
■ ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ 28

ᲠᲐᲛ ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲥᲛᲐᲠᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ

„იმ პერიოდში ძალიან ხშირი იყო შემთხვევა, როცა ქართველი ქალები თურქეთში სავაჭროდ მიდიოდნენ. ჩემზეც ასე უფიქრიათ – თურქეთშია წასულიო.“

41

■ კოლორიტი
3 კილომეტრი „კალბასი“, იაპაკაზე
მიმობნეული 25-მანეთიანები და... 28

■ საკითხავი ქალებისთვის
საახალწლო სილამაზის სალონი 30

■ იმიჯი
ია ჩანტლაძე შიმშილობს 31

■ ზღვარზე
მე, ლოთი... 32

■ ჯანმრთელობა
✓ კუჭქვეშა ჯირკვალი ალკოპოლს არ შლის 33
✓ მიოპია — ახლომხედველობა 34

თინეიჯერული პონტები
„...ვინ აპირებს ნანას „მოპარვას“ 35

■ ტაიმ-აუტი 36

■ რომანი
ზაზა ვაჩნაძე.
ველური ნაბლის ხეივანი (გაგრძელება) 38

■ ტკივილი
რამ წაიყვანა აფხაზეთში ქმარშვილიანი ქალი 41

■ ავანტიურისტები
მეკობრე ქალები — გუშინ და დღეს 43

■ პარსკვლავები
✓ ქალი, რომლის გვერდით ცხოვრება
მამაკაცებს უჭირთ! 45
✓ ჯეკი ჩანმა საკუთარი
კინოკომპანია დააარსა 47
✓ ამერიკაში ყველაზე
გავლენიანი ლათინურამერიკელი 47

■ ფავორიტები
✓ რონალდო 30 გოლის გატანას აპირებს 48
✓ ემერსონი: „გერმანიაში მარცხის შესახებ
ნუღარაფერს მკითხავთ“ 49

■ მესიჯომანია
მთელ ქვეყანას, საიდუმლოდ... 52

■ წმინდანები
„...ამ ცეცხლოვანი სვეტის მსგავსია ბასილი!“ 54

■ აღსარება
ყოფილი იეღოველის
მართლმადიდებლური მონანიება 56

■ ქართული დეტექტივი
გოჩა მანველიძე.
თეთრი სიკვდილი (გაგრძელება) 60

■ ბომონდური მოზაიკა 64

■ პოროსკოპი
კვირის (11-17 იანვარი) ასტროლოგიური პროგნოზი 66

■ ავტო 67

■ ტესტი 70

■ სკანვორდი 71

■ ...და ბოლოს 72

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

ქალი, რომლის გვერდით ცხოვრება მამაკაცებს უჭირთ!

„ის მხოლოდ დროებით გავიწყებს შიშს, საზრუნავსა და დარდს, შემდეგ კი ეს ყველაფერი გაორმაგებული სიმძაფრით უკანვე გიბრუნდება...“

45

ბივი ზალდასტანიშვილის ცხოვრების დღეები



სწორედ სოლომონ ზალდასტანიშვილის პოლიტიკურმა მოღვაწეობამ გადაწყვიტა მისი ოჯახის ბედი.

22

ყოფილი იეღოველის მართლმადიდებლური მონანიება

„იეღოვას სექტიდან ჩემი წამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ აშკარად ვგრძნობდი, როგორ მეძახდა ეკლესია. დღე და ღამე, ცხადსა და სიზმარში, წმინდა გიორგის ვხედავდი.“

56

ველური ნაბლის ხეივანი

— სად მოვიტანო?

— მომისმინე, ჯიგარო! — ნორმალურ ლაპარაკზე გადავიდა მოპასუხე. — ასე შევთანხმდეთ: ზუსტად შვიდზე, საღამოს, ბარათაშვილის ხიდს გადმოსცდები თუ არა, მარცხენა სანაპიროზე, იქვე, როგორც კი მარჯვნივ გუხვევ, მუქი ფერის „ბეემვეში“ ვიჯდები... ხომ იცი, პაგარა საეჭვოც რომ შევნიშნოთ, ძმაო!.. ჩათვალე, რომ „ტრუპი“ ხარ!

38

„ჩემი თბილისი-ქალაქი“ ანუ „სოფელი, ჩემი სოფელი“?!

არ შეუძლია დასვენება ამ ჩვენს მთავრობას და რა ქნას? ორკვირიანი საახალწლო შვებულება აიღო, მაგრამ ვერ გაძლო უსაქმოდ. ხომ გაგიგონიათ, უსაქმო კაცი რასაც შვრება ხოლმე?! ამათ, ეტყობა, მთლად სამახათოდ ვერ გაიმეტეს თავი და ისეთი რამ მოიფიქრეს, რაც ერთი მოსმენით კარგად ჟღერს: „გავზარდოთ თბილისის ტერიტორია“, მაგრამ აბა, კარგად დაუკვირდით: გავზარდოთ, ვითომ სოფლის ბოლოს მცხოვრები კაცის ეზო იყოს, მეზობელი რომ არ ჰყავს და ღობის სარს რომ გადასწევს ღამით... თქვე დალოცვილებო, თბილისის ტერიტორიას რომ ზრდით, ე.ი. რაღაცის ტერიტორიას ამცირებთ და იმ „რაღაცაში“ მცხოვრებ „ვიღაცას“ აწყობს თუ არა, არ ეკითხებით?!

თუმცა, რად უნდა კითხვა, როცა კაცს ჰპირდები, შენს კუთვნილ მიწაზე მრავალსართულიან სახლს წამოვჭიმავ და ერთ ბინას შენც მოგცემ უფასოდო... კარგია, ტალახიან ეზოს მე-18 სართულის პარკეტი სჯობს, მაგრამ ახლა იმ ტალახიან ეზოში მოყვანილი ხილ-ბოსტნეულით რომ ირჩენს თავს, მერე მე-18 სართულის პარკეტი ჭამოს თვითონ და შეღებილი აივნის რიკულები აჭამოს შვილებს?! სამაგიეროდ, სოფლელი აღარ იქნება; „ლ“-ს გაიმაგრებს, „ტო“-ს დაამუღამებს და თბილისელი გახდება. ამხელა სიამოვნებისთვის კი ღირს პარკეტის ჭამა...

თანაც, როგორც ამბობენ, ამ იდეას ისტორიული საფუძველიც ჰქონია, ჯერ კიდევ V საუკუნეში ნაბრძანები: მეფე გორგასლის მიერ მოსანადირებელ ხოხობს პირდაპირ აბანოთუბნის ცხელ წყალში კი არ გაუდენია ტყაპანი, კარგა ხანს უფრენია. დღევანდელი კომპიუტერიზაციის წყალობით, ფრენის ზუსტი ტრაექტორიაც დაუდგენიათ და აღმოჩნდა, რომ დიღომი, წყნეთი, შინდისი, წავკისი, კოჯორი და დიდგორი სულ შემოუფრენია. ჰოდა, ვის აქვს უფლება, მეფის სიტყვას არ დაემორჩილოს და ეს ჩამოთვლილი სოფლები არ გაადედაქალაქოს?!

მოკლედ, ამაზე შევთანხმდით. ახლა, ამ ინიციატივის „პლუს-მინუსებზე“ ვისაუბროთ: ამ სოფლებში მცხოვრები გლეხები მიწა-წყლის ანუ ლუკმაპურისა და შემოსავლის გარეშე რჩებიან, ეს — „მინუსი“, მაგრამ თუ ქალაქში მცხოვრები და უკვე 15 წლის უმუშევარი თბილისელია ულუკმაპუროდ, ისინიც დარჩნენ, ეს უფრო დემოკრატია და თანასწორუფლებიანობა არაა?! ესეც არ იყოს, ძირძველ თბილისელებს სულ სახე ჩამოსტირით, სადღაა ჩვენი ძველი ქალაქიო, არც ფაეტონი და აღარც ცხენებიო და ა, ბატონო, შემოგვიერთებენ ახლა ათამდე სოფელს და ფაეტონიც ბევრი გვექნება, ცხენიც, ხარიც და ურემიც. შესაბამისად ინდუსტრიაც გადახალისდება: ჩარხმშენებელი ქარხანა ნალებს დაამზადებს, ელმავალმშენებელი ქარხანა გუთნიან ტრაქტორებს გამოუშვებს, სკვერებსა და მოედნებზე ხორბალს დავთესავთ, ჩვენი მერი კოლმეურნეობის თავმჯდომარე იქნება, დაგვასაქმებს, მოსავალს ავიღებთ და იმ ბეღელში, სადაც ახლა დროებით მერია ფუნქციონირებს, შევინახავთ...

აბა, ამდენი სოფლის გაქალაქებას რომ ვერ „გავქაჩავთ“, ფაქტია. ამიტომ, ახლანდელი თბილისი გავასოფლოთ, ხელში თოხი, ნიჩაბი, ნამგალი ავიღოთ და ხვალ გამთენიისას ნაკვეთში გელოდებით ყველას...

აშკარად, დადებითი მეტი აქვს ამ უნიკალურ პროექტს: ამდენი მინისტრი რომ გვყავს და ყოველ თვეში ვუნაცვლებთ ადგილებს, მართლა მახათის წერა რომ არ გახდნენ, იმათაც დავასაქმებთ ყანებში, მარტო ერთი — სოფლის მეურნეობის მინისტრი გვეყოლება და შრომა-დღეებს გამოგვიწერს; დედაქალაქს დედასოფელი დაერქმევა, ქალაქს — სოფელი, სოფელს — ?..

შაბათ-კვირას აბანოში ვივლით, მერე კლუბში „კინოს“ გვიჩვენებენ, ახალი „კინო“ გადაუღიათ — —„უდიპლომო სასიძო“, „იმნაირი სასაცილო ყოფილა, რომე შეიძლება, დეეთხლიშო და მუხლვანები გადეიტყაო“.

მოკლედ, აღარ უნდა ბევრი ფიქრი, ხვალ თითო „კომლიდან“ თითო კაცი მაინც უნდა მოვიდეს ამ იდეის მხარდასაჭერად. ხომ იცით, იქ ვიკრიბებით, რუსთაველზე რომ „კანტორის“ შენობაა...

P.S. — ბატონო გიგი, ხვალ თბილისის გლეხობას ვხვდებით, ხომ?

— აუცილებლად. საგანგებოდ მოემზადეთ და მათხოვრებივით „შარვალ-კოსტიუმებში“ ნუ მოხვალთ. კარგად გამოწყვეთ, წელზე თოკები მოიჭირეთ და ქალამნებში გამოპრანჭულებს გელოდებით ყველას, სოფლის ცენტრში, მოცეკვავე „უმივალნიკთან“...

პროვოკატორი

ციუტევეველი დანაშაული, „შეეწყალებელი“ მოსამართლე და საპატიმროდ ოჯახში დაბრუნებული 81 მსჯავრდებული

ვადამდელი გათავისუფლების კომისიაში განსახილველად სულ 239 საქმე იყო შესული იყო. პრეზიდენტის ბრძანებულებით, ყველა ის მჯავრდებული შეიწყალეს, ვისაც კომისიამ რეკომენდაცია გაუწია. საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი მიიჩნევს, რომ ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია ვარდების რევოლუციის შემდგომი პერიოდისათვის. „შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, შეწყალება ორ თვეში ერთხელ ხორციელდებოდა, რაც მართებულად სულაც არ მიმაჩნია. ჩემი აზრით, ამ აქციას მასობრივი ხასიათი არ უნდა ჰქონდეს, იმიტომ, რომ არსებობს კანონით დადგენილი სხვა ღონისძიებებიც, რომლებითაც პატიმრებისთვის შეღავათების გაწევაა შესაძლებელი. რაც შეეხება შეწყალებას, — ეს არის ინდივიდუალური აქტი, პრეზიდენტის პირადი ნების გამოხატულება — თუ რამდენს შეიწყალებს და როგორ და მან არ უნდა შეცვალოს ან ჩაანაცვლოს კანონით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები. სხვათა შორის, პირველად მოხდა, რომ პრეზიდენტმა ყველა ის ადამიანი შეიწყალა, ვისაც შეწყალების კომისიამ რეკომენდაცია გაუწია“.

ხათუნა ბახტურიძე

— შეწყალებას ძირითადად, რა სახის დანაშაულებისთვის გასამართლებულები ითხოვდნენ და თქვენ რა კრიტერიუმებით გაუწიეთ რეკომენდაცია?

— შეწყალებას ითხოვს ყველა დამნაშავე, მათ შორის, მკვლელები და ნარკოტიკის გამსაღებლები. რაც შეეხება კრიტერიუმებს, — ერთმნიშვნელოვანი მიდგომა არ არსებობს, ყველაფერი დამოკიდებულია შეწყალების კომისიის წევრთა შეხედულებებსა და პოზიციებზე. ჩვენამდე იმ მსჯავრდებულთა საქმეები მოდის, რომლებსაც სასჯელის ნახევარი უკვე მოხდილი აქვთ. გიჩვენებთ ერთ-ერთი მსჯავრდებულის საქმეს, რომელიც სამართალში პირველად იყო მიცემული. ამ კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენებულია 55-ე მუხლი, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსამართლემ კანონით გათვალისწინებულზე ნაკლები მიუსაჯა: თუ კანონი სასჯელის ზომად, 6-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, მოსამართლემ 3 წელი შეუფარდა. ეს კაცი ჰეროინის გამსაღებელი იყო. ჩემთვის, როგორც კომისიის წევრისთვის, საერთოდ, დადებით ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ პატიმარი პირველად იყო ნასამართლები: ვფიქრობ, რომ ის გამოუსწორებელი დამნაშავე არ არის. მაგრამ ნარკოტიკის გასაღება მიუტევებელ ცოდვად მიმაჩნია. ჩემი აზრით, ზოგჯერ, მკვლელის შეწყალებაც კი (შეიძლება, ადამიანს ავარია მოუხდა, უსამართლობის მსხვერპლი გახდა და წონასწორობიდან გამოვიდა ან შურისძიების ნიადაგზე ჩაიდინა დანაშაული) უფრო გამართლებულია, ვიდრე ადამიანის, რომელიც ნარკოტიკს ყიდის და საკუთარი მატერიალური კეთილდღეობისთვის ათასობით ადამიანის ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს. მის შეწყალებაზე ხელის მოწერა წარმოუდგენლად მიმაჩნია. იგივე პოზიცია ჰქონდათ კომისიის სხვა წევრებსაც. აქ არის კიდევ ერთი საეჭვო ფაქტორი: მართლა ძალიან მაინტერესებს — რით იხელმძღვანელა მოსამართლემ, როდესაც 55-ე მუხლს იყენებდა ჰეროინის გამსაღებლის მიმართ და უსამართლობად მიმაჩნია, რომ ეს მოსამართლე დღემდე ინარჩუნებს თანამდებობას...

— მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო ციხეში მოხვედრილი პატიმრები თუ მოხვდნენ შეწყალებულთა შორის?

— როგორც წესი, სოციალური სიდუხჭირის გამო ჩადენილი წვრილმანი დანაშაული ძალზე ბევრია და ჩვენც ძალიან ხშირად ვიწყალებთ ასეთ მსჯავრდებულებს, თუკი ის მრავალგზის ნასამართლევი არ არის. ადამიანი, რომელიც 20 ლარის მოპარვისთვის ზის ციხეში, ნამდვილად უნდა შეიწყალო. მაგრამ თუ გათავისუფლების შემდეგ, ისევ მოიპარავს, ის უკვე ჩამოყალიბებული დამნაშავეა და ქურდობას აღარასოდეს მოიშლის...

— საინტერესოა, შეწყალების მოთხოვნით რამდენი ქალის განცხადება იყო შემოსული?

— სულ შემოსული იყო 17 მანდილოსნის განცხადება, მაგრამ ჩვენ მხოლოდ სამს გავუწიეთ რეკომენდაცია.

— არ გაგიჭირდათ მანდილოსნების თხოვნაზე უარის თქმა?

— მანდილოსანსაც გააჩნია: როდესაც ქალის ან არასრულოწლოვნის საქმე იხილება, იმთავითვე განწყობილი ხარ საიმისოდ, რომ დააკმაყოფილო შეწყალების თხოვნა. მაგრამ ზოგჯერ ისეთ მძიმე დანაშაულთან გაქვს საქმე, რომ არანაირი დახმარების სურვილი აღარ გიჩნდება... გარდა ამისა, თუ საქმეში მოსამართლეს გამოყენებული აქვს 55-ე მუხლი და დამნაშავისთვის მინიმუმი აქვს შეფარდებული, ეს უკვე, ფაქტობრივად, შეწყალებაა და არ მესმის, კიდევ ერთხელ რატომ უნდა შევიწყალოთ...

— ამ ადამიანთა საქმეებს მხოლოდ დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე განიხილავთ თუ მათთან უშუალო კონტაქტის საშუალებაც გეძლევათ?

— სამწუხაროდ, შეწყალების კომისია, როგორც საჭიროა, ისე ვერ მუშაობს. გარდა იმისა, რომ დაგროვილია უამრავი საქმე და მის განსახილველად, ყოველთვის ძალზე ცოტა დროა გამოყოფილი, არა გვაქვს საშუალება, პირადად გავიცნოთ ეს ადამიანები და მათზე უფრო ობიექტური წარმოდგენა შევიქმნათ. არადა, უნდა ვიცოდეთ — როგორ მოიქცევა შეწყალებული ადამიანი საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ. ამ პირობებში, ჩვენ წინაშე ძალზე რთული ამოცანა დგას. პატიმარმა ნამდვილად უნდა მოიხადოს სასჯელი იმ დანაშაულისთვის, რომელიც ჩაიდინა. მაგრამ თუ მას პირველად აქვს დანაშაული ჩადენილი ან მოზარდთან გვაქვს საქმე, ან სოციალურად ისეთი გაჭირვებულია, რომ პურის ფულიც უჭირდა, — აუცილებლად უნდა მივცეთ შანსი. იმის საშიშროებაც არსებობს, რომ გარეთ გამოსვლის შემდეგ, შეწყალებული კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. მაგრამ თუ მართლაც ფიქრობს ახალი ცხოვრების დაწყებაზე, ციხეში მისი დატოვებით, მისი გამოსწორების შესაძლებლობა პრაქტიკულად, გამოირიცხება: სამწუხაროდ, ჩვენს ციხეებში ადამიანის გამოსწორება შეუძლებელია, განსაკუთრებით, არასრულწლოვან პატიმართა დაწესებულება მაქვს მხედველობაში...

— ახალი კანონმდებლობის მიხედვით, მოზარდი პასუხისგებაში უკვე 12 წლის ასაკიდან შეიძლება მიეცეს. ამ საკითხზე რა მოსაზრება გაქვთ?

— სამწუხაროდ, ეს კანონი უკვე მიღებულია. მაგრამ ჩვენ ვამზადებთ დასკვნას, რომელშიც ჩვენი შეხედულებები იქნება დაფიქსირებული. 12 წლის ბავშვის პასუხისგებაში მიცემა, ჩემი აზრით, დანაშაულის ტოლფასია. ამ ასაკის მოზარდთა უმრავლესობას გაცნობიერებულიც კი არა აქვს თავისი ქცევის შესაძლო შედეგები. ქვეყნების უმეტესი ნაწილის კანონმდებლობა მხოლოდ 14 ან 15 წლის ასაკიდან პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. მართალია, არსებობს ისეთი ქვეყნებიც, სადაც 7 ან 8 წლის ასაკის ბავშვებიც ისჯებიან, მაგრამ იქ მათ ციხეში არ ამწყვდევენ — მცირეწლოვან დამნაშავეებს ათავსებენ ბავშვთა სახლებში, სადაც ყველა პირობაა შექმნილი ადამიანის გამოსასწორებლად. საქართველოში კი, ყველა პირობაა იმისათვის, რომ ციხეში შემთხვევით მოხვდრილი ადამიანიც კი, ჩამოყალიბებულ, კლასიკურ, ცივსისხლიან დამნაშავედ გადაიქცეს. წესით, ჯერ ნორმალური სისტემა უნდა შექმნილიყო და მერე შეემცირებინათ ასაკი. ■

ქალი და ძალაუფლება (?!.)

(Project Syndicate, აშშ)

მარგარეტ ტეტჩერი

როგორ ფიქრობთ, რა სახეს მიიღებს „დიდი რვიანის“ შეხვედრები, როცა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს კიდევ ორი ქალი — ამერიკისა და საფრანგეთის პრეზიდენტები (მომავალი) — ჰილარი კლინტონი და სეგოლენ რუაიალი შეურთდებიან? ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარებას საფუძველი ნამდვილად აქვს. მეტიც, იმავე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში უკვე პრეზიდენტობის ალტერნატიული ქალი-კანდიდატებიც კი არსებობენ. კერძოდ: კონდოლიზა რაისი — ამერიკაში და მიშელ ელიოტ-მარი — საფრანგეთში. ალბათ, საინტერესოა, რა ცვლილებები შეიძლება მოჰყვეს მსგავსი ქალური ძალაუფლების გრანდიოზული სამკუთხედის შექმნას? მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ ქალ-მმართველებს (ინდირა განდი, გოლდა მეირი, მარგარეტ ტეტჩერი და სხვები) მსოფლიო უკვე იცნობს, ამ კითხვაზე გამოკვეთილი პასუხი ჯერჯერობით მაინც არ არსებობს.

საერთოდ, როცა საქმე მთავრობის ჩამოყალიბებაზე მიდგება ხოლმე, ქალები მათთვის ტრადიციული სფეროების (მაგალითად, განათლებისა და სოციალური საკითხების) ტყვეობიდან თავის დახსნას თითქმის ყოველთვის ახერხებენ. ამჟამად, ქალები ყველაზე მეტად საგარეო პოლიტიკისკენ ისწრაფვიან. როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე ევროკავშირში, საგარეო საქმეთა სამინისტროებს ხშირად სწორედ სუსტი სქესის წარმომადგენელი ხელმძღვანელობს. შეცვალა თუ არა ამ გარემოებამ თვით საგარეო პოლიტიკის კურსი და მისი შინაარსი?

კონდოლიზა რაისი

ანგელა მერკელი

რა თქმა უნდა, პოლიტიკური კურსის ცვლილება მსოფლიოს ბევრ ნაწილში ხდება ანუ როგორც ჩანს, რეიგან-ტეტჩერის პერიოდი წარსულს ჰბარდება. მაშინ, როდესაც გლობალიზაციის მოწინააღმდეგენი ჯერაც „ნეოლიბერალურ“ პოლიტიკას ებრძვიან, პოლიტიკურ დიალოგში, სრულიად ახალი შემობრუნება იწყება: კვლავ მოდაში შემოდის ისეთი სიტყვები, როგორიცაა „მართლმსაჯულება“, გაჩნდა წუხილი გლობალიზაციასთან „ბრძოლაწაგებულთა“ და „საზოგადოების ყველაზე დაბალი ფენების“ მდგომარეობის გამო.

სწორედ ამ განწყობილებებს ეხმიანებოდა ბრიტანელ კონსერვატორთა ლიდერი დევიდ კამერონიც, რომელიც ძველმოდურ პარტიულ მომხრეებს, პირველ რიგში, თავისი „არასტანდარტული“ განცხადებით აოგნებდა. კერძოდ, კამერონის აზრით, ადამიანებს, რომლებიც „ეს-ესაა, ციხიდან გამოვიდნენ, სიყვარული როგორც არავის, ისე სჭირდებათ“. როცა პრემიერ-მინისტრმა, ტონი ბლერმა მორიგი არჩევნები იმ ხელჩართულ ბრძოლას შეადარა, სადაც „მიკნავლებულ“ კამერონს „მძიმეწონოსანი“ ბრაუნი პირველსავე რაუნდში ნოკაუტში ჩააგდებდა, მან მომხრეთა მქუხარე აპოლოდისმენტები კი დაიმსახურა, მაგრამ ამომრჩეველთა ნაწილის მხარდაჭერა უცბად დაკარგა. ასეა თუ ისე, ყველაფრიდან ჩანს, რომ ადამიანებს დღეს ბევრად უფრო „რბილი“ ფასეულობები აინტერესებთ, ვიდრე ათი თუ ოცი წლის წინ.

თუმცა, დაკვირვებები ადასტურებს, რომ ამ ე.წ. „რბილ“ ფასეულობებს საკვანძო პოსტებზე მყოფი ქალები ძალზე ნაკლებად თუ წარმოადგენენ და იცავენ. შორს რომ არ წავიდეთ, იმავე ანგელა მერკელმა საკუთარი პოზიცია ალბათ, დიდი კოალიციის

იულია ტიმოშენკო

ხელმძღვანელობის აუცილებლობიდან გამომდინარე შეარბილა, თორემ თავიდან, ის უფრო რეიგან-ტეტჩერის პოზიციის ერთგვარ ვარიაციას წარმოადგენდა. იულია ტიმოშენკო უკრაინაში მომხდარი „ნარინჯისფერი რევოლუციის“ ერთ-ერთი ყველაზე შემტევი და უკომპრომისო ლიდერი იყო. ჰილარი კლინტონი კი, „გამორჩეულად რბილ“ პერსონად არასდროს არავის დაუსახელებია. მეტიც, ბევრი ამერიკელის თვალში, 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჰილარი კლინტონის მოწინააღმდეგე, რესპუბლიკელი ჯონ მაკქეინი ბევრად უფრო ჰუმანური იდეების მატარებელ ადამიანად მოჩანს.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ხელისუფლების მწვერვალებზე ასულ ქალებს პოლიტიკაში რეალური ცვლილებები ჯერ არ მოუტანიათ და თუ მათ რაიმეს შეცვლა მაინც მოახერხეს, ეს ცოტა ვინმემ თუ შეამჩნია — ანუ ე.წ. „ქალური პროგრესი“ უფრო იმ „შესაძლებლობათა ეფექტურ გათანაბრებაზე“ გადასვლის შედეგია, რომელიც ჯერ კიდევ 1960-იანი წლებდან დაიწყო. თანაც, ამ ამოცანის განხორციელებას ბევრ ქვეყანაში ათწლეულები დასჭირდა, ბევრში კი, ჯერაც გრძელი გზა აქვთ გასავლელი. კერძოდ: უკრაინაში ტიმოშენკოს საკვანძო პოზიციის მიუხედავად, მეზობელ რუსეთში, მომავალი არჩევნების შემდეგ, პუტინის პოსტზე ქალის მოსვლა, ალბათ, მაინც უდიდეს სიურპრიზად აღიქმება; მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ვიცე-პრეზიდენტი ქალია, მის მეზობელ იაპონიაში, ახლო მომავალში, პრემიერ-მინისტრის პოსტზე ქალის გამოჩენის არანაირი შანსი და წინაპირობა არ არსებობს.

თუმცა, მაინც არსებობენ ქალები, რომლებმაც პოლიტიკური ოლიმპისკენ სავალ გზაზე სერიოზულ წარმატებებს უკვე მიაღწიეს, რასაც, არცთუ ისე იშვიათად, კონკრეტული პოლიტიკოსის გარკვეული პოლიტიკაც უწყობდა ხელს. დევიდ კამერონი, მაგალითად, ძალიან ამაყობდა იმ წარმატებული კამპანიით, რომლის მიზანიც იყო ის, რომ ბრიტანეთის პარლამენტში შესულ კონსერვატორთა 40% ქალები ყოფილიყვნენ. მაგრამ მთავარი პრობლემაც სწორედ ის გახლავთ, რომ საერთო-პოლიტიკური სურათი მსოფლიოში ქალებმა კი არა, უფრო იმ საერთო ტენდენციამ შეცვალა, რომელსაც ორივე სქესის წარმომადგენელი პოლიტიკური ლიდერები უჭერენ მხარს... თუმცა, თუნდაც იმის აღიარება, რომ დღევანდელი პოლიტიკა მხოლოდ მამაკაცური თამაშების შედეგი აღარ არის, თავისთავად უკვე პროგრესია...

რალფ დარენდორფი,
დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატის წევრი და მრავალი საინტერესო წიგნის ავტორი.

დასავლელმა სამხედროებმა ბინ ლადენი ორჯერ დაინდვეს...

როგორც ფრანგული Observateur იუწყება, ავღანეთში განლაგებული კოალიციური ძალების ფრანგ ჯარისკაცებს „ალ-ქაიდას“ ლიდერი, უსამა ბენ ლადენი ორჯერ ჰყავდათ მიზანში ამოღებული, მაგრამ ამერიკულმა სარდლობამ მათ სროლის ნებართვა არ მისცა. თუმცა, საფრანგეთის თავდაცვის სამინისტრო ყველაფერს უარყოფს. „ცნობა იმის თაობაზე, თითქოს ავღანეთში მყოფ ფრანგ ჯარისკაცებს ორჯერ (2003 და 2004 წლებში) შეეძლოთ ბინ ლადენის მოკვლა, მაგრამ ამერიკული სარდლობის შესაბამისი ბრძანება არ მიიღეს, „წმინდა წყლის სიცრუე და გამონაგონია“, — განაცხადა ახლახან საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს პრესმდივანმა, ჟან-ფრანსუა ბიურომ. — აღნიშნული ინფორმაცია ემანუელ რაზავისა და ერიკ დე ლავარენის დოკუმენტური ფილმიდან — „ბინ ლადენი. დამნაშავეზე ნადირობის ჩავარდნა“ — არის აღებული და ფილმის ავტორების მიერ გაკეთებულ მსგავს განცხადებებს არანაირი რეალური საფუძველი არ გააჩნია“.

ჟან-ფრანსუა ბიურომ ხაზი გაუსვა იმას, რომ ფილმში აღწერილ პერიოდში მას ხელთ ჰქონდა „ინფორმაცია ბინ ლადენის სავარაუდო ადგილსამყოფლის შესახებ“. მან აგრეთვე შენიშნა, რომ 2004 წლის ივნისში გენშტაბის უფროსმა, ანრი ბენტეუმა აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „ადამიანის ადგილსამყოფლის დადგენასა და მის დაპატიმრებას შორის გარკვეული ზღვარი არსებობს“. საფრანგეთის გენშტაბის წარმომადგენელმა კრისტოფ პრაციუკმა კი, თავის მხრივ შენიშნა, რომ „აზრი იმის თაობაზე, თითქოს, დამნაშავესთან მჭიდრო კონტაქტის შემთხვევაში, სპეცრაზმები მითითებებისთვის სარდლობას მიმართავდნენ, ის კი უარყოფით პასუხს აძლევდა, ავღანეთში მიმდინარე რეალურ საველე მოქმედებებს სრულიად არ შეესაბამება...“

ბინ ლადენი

მიუხედავად ამისა, Observateur-ის მტკიცებით, მის ორ ჟურნალისტს ნამდვილად აქვს სპეციალური ჯარების 200-კაციან შემადგენლობაში მყოფი ოთხი ჯარისკაცის ჩვენებები. თუმცა, ისინი სულ „სხვა დროსა და ადგილზე“ დაჰკითხეს, ყოველმა მათგანმა მოვლენების განვითარების ერთი და იგივე ვერსია წამოაყენა. ფილმში იმ ადამიანების ხმა, რომლებიც ჰყვებიან, თუ როგორ ჰყავდათ ბინ ლადენი ორჯერ მიზანში ამოღებული, შეცვლილია. „ჩვენ ამ ადამიანების ნამდვილი ხმების ჩანაწერებიც გვაქვს, — აცხადებს ემანუელ რაზავი. — მაგრამ მათ ანონიმურობის გარანტია უნდა მივცეთ“. აღნიშნული დოკუმენტური ფილმი კომპანიების — Ligne de Front და Hamsa Press — ერთობლივი ნამუშევარია. სამზეოზე მისი გამოსვლის ზუსტი ვადა ჯერჯერობით, ცნობილი არ არის.

მოღალატე ცოლები, ნასლებად მოღალატე ქმრები და ბრიტანელთა სექსუალური ფანტაზიები

ცოლქმრული ღალატი, რა თქმა უნდა, გავრცელებული, მაგრამ ამასთანავე, ფრიად უსიამოვნო მოვლენაა, რადგან ღალატი მოტყუებული მეუღლის გულში მორალურ და ხშირად, ფიზიკურ იარასაც კი ტოვებს. ფსიქოლოგები, სექსოლოგები და უბრალო ადამიანები დღემდე ცდილობენ იმის გარკვევას — ქალები უფრო ხშირად ღალატობენ მამაკაცებს თუ — პირიქით. ამის დასადგენად, პრეზერვატივების მწარმოებელმა ცნობილმა კომპანიამ Durex საინტერესო გამოკვლევა ჩაატარა, რომელიც ქალთა და მამაკაცთა ერთგულებასა და ბრიტანელთა სექსუალურ მიდრეკილებებს მიეძღვნა. ნისლიანი ალბიონის 3000 მცხოვრების გამოკითხვის შედეგად, ცხადი გახდა, რომ კაცობრიობის მშვენიერი ნაწილის წარმომადგენლები მეუღლეებს უფრო ხშირად ღალატობენ, ვიდრე ოჯახის „კეთილშობილი“ მამები თავიანთ ცოლებს. ამ საინტერესო სტატისტიკის ციფრული გამოხატულება ასეთია: 40%-34%. ამასთან, აღმოჩნდა, რომ ბრიტანელთა 20% სექსუალური აქტის დროს, პარტნიორის ნაცვლად, სხვა ადამიანზე ფიქრობს; 41%-ის წარმოსახვითი სექსუალური პარტნიორი — მისი ახლო მეგობარია, 22%-ის კი — კოლე-

გა და გამოკითხულთა მხოლოდ 13%-ის ფიქრები დასტრიალებს რეალურ პარტნიორს. საგულისხმოა ისიც, რომ ბრიტანელ რესპონდენტთა მესამედმა (34%) აღიარა — ტვინში ლესბოსური ფანტაზიები მიტრიალებსო. ჰომოსექსუალურ კავშირზე კი, მამაკაცთა მხოლოდ 14% ფიქრობს.

საინტერესოა, ქალები სექსზე ფიქრსა და ფუჭ საუბრებს, საქმეს ამჯობინებენ. ქალბატონთა უმრავლესობას სექსი დღეში მხოლოდ 2-3-ჯერ ახსენდება, მამაკაცები კი, ამ საკითხზე დღეში ათჯერ და ზოგჯერ, მეტჯერაც ფიქრობენ. მამაკაცთა სექსუალურ გაუმაძღრობას ის ფაქტიც ამტკიცებს, რომ 82%-ს სექსუალური კავშირის დამყარება უფრო ხშირად სურს, ვიდრე ამას რეალურად ახერხებს. ქალებში ამ მაჩვენებელმა 62% შეადგინა, რაც შეეხება სიყვარულით ტკბობის სიხშირეს — ბრიტანელ მამაკაცთა 10% ამ სასიამოვნო საქმით ყოველდღეა დაკავებული, 31% — კვირაში ორჯერ, 22%, თვეში ერთხელ და უფრო იშვიათად. საერთოდ კი, გამოკითხულთა 63%-მა პატიოსნად აღიარა, რომ საკუთარი ინტიმური ცხოვრებით სავსებით კმაყოფილია.

მობილური – ჩვენი სიმშვიდის მკვლელი (?)

როგორც ებრაული გამოცემა Maariv იუწყება, სამოქალაქო ავიაგადაზიდვის ორმა კომპანიამ — ავსტრალიურმა „კვანტესმა“ და არაბეთის გაერთიანებული საამიროების ერთ-ერთმა ავიაკომპანიამ გადაწყვიტეს, თავიანთ კლიენტებს თვითმფრინავით მგზავრობისას მობილური ტელეფონით ლაპარაკის ანუ „30000 ფუტის სიმაღლეზე მომაკვდინებლად საშიში საეთერო კაკოფონიის გამართვის“ ნება დართონ. აღნიშნული ინფორმაციის ავტორთა აზრით, ამ გადაწყვეტილების განხორციელების შემთხვევაში, საერთაშორისო საჰაერო სივრცეში სიმშვიდის განცდა სრულიად გაქრება და მობილური ტელეფონები ჰაერშიც ჩვენი „სიმშვიდის ისეთსავე მკვლელებად“ იქცევა, როგორიც დედამიწაზეა...

რუბრიკა მოამზადა
რუსუდან ლებანიძემ

ფესტოსის დისკო, რომელმაც „მოინდომა“ „თავისი საიდუმლოს გამხელა“...

უკვე 80 წელზე მეტია, ბევრი მეცნიერი ცდილობს, მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი დოკუმენტის — ფესტოსის დისკოს გაშიფვრას. მისი წაკითხვა ქართველმა მეცნიერმა, გია კვაშილავამ შეძლო და აღმოჩნდა, რომ ეს უძველესი დოკუმენტი კოლხურ ენაზეა დაწერილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული სახელმწიფო შეიქმნა არა 3 ათასი, როგორც აქამდე იყო ცნობილი, არამედ 4 ათასი წლის წინ...

მარი ჯაფარიძე

სწორედ ამ დროს, კუნძულ კრეტაზე მბრძანებლობდა ზევსისა და ევროპას შვილი, მრისხანე მინოსი. მას ცოლად ჰყავდა პასიფაე, რომელიც აიეტის და გახლდათ. მინოსისა და პასიფაეს შვილები იყვნენ: არიადნე, ფედრა, დეუკალიონი. მათ გარდა, პასიფაესა და მინოსს უამრავი შვილი ჰყავდათ. მინოსმა პოსეიდონს სთხოვა — ზღვიდან ხარი გამოიგზავნე, რომ მსხვერპლად შეგწიროო. მართლაც, ტალღებში დიდებული, ოქროსფერი ხარი გამოჩნდა. მინოსს მოეწონა, შესაწირად ვერ გაიმეტა, თავის ჯოგს შემატა და ღმერთს სხვა ხარი შესწირა. განრისხებულმა პოსეიდონმა თავისი ხარი გააგიჟა და მინოსის ცოლს, პასიფაეს მისდამი არაბუნებრივი სიყვარული ჩაუნერგა. პასიფაე იოლად დანებდა ზღვის ხარს და ამ მანკიერი კავშირის შედეგად დაიბადა კაციჭამია ხარ-კაცი — ურჩხული მინოტავრი, რომელსაც ხარის თავი და ადამიანის ტანი ჰქონდა. მინოსმა შეიკედლა ცოლის მიერ ნაშობი ურჩხული და არქიტექტორ დედალოსს, რომელიც ათენში ჩადენილი მკვლელობის შემდეგ, მინოსს შეეკედლა, საგანგებოდ მისთვის ააგებინა სახელგანთქმული ლაბირინთი. იქ ინახავდნენ იმ საიდუმლო დოკუმენტებსაც, რომლებსაც სახელმწიფო მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ამ ლაბირინთის შუაგულში დააბეს მინოტავრი. ლაბირინთში შესული ადამიანები მინისქვეშა ტალანებს თავს ვერ აღწევდნენ, ამაო ხეტიალში ხვდებოდნენ მინოტავრთან, რომელიც მათ გლეჯდა და მათი ხორცით იკვებებოდა. ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე ათენელმა მეფისწულმა, თეზევსმა არიადნეს მახვილით არ განგმირა მინოტავრი. ასევე არიადნეს ძაფის საშუალებით დააღწია თავი ლაბირინთს, გაიტაცა არიადნე და გზაში დიონისეს დაუთმო იგი.

გია კვაშილავა

ასეთია მოკლედ, შორეულ წარსულში შეთხზული მითის ფაბულა. ჩემ მიერ ნახსენები გმირები მითოლოგიური პერსონაჟები არიან, მაგრამ ასწლეულების მანძილზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძეგლები მეცნიერებს აძლევს საფუძველს, ამტკიცონ, რომ თითოეული მითის მიღმა რეალური, ისტორიული პერსონაჟები დგანან და სინამდვილეში მომხდარი ამბები იმალება.

*ზემოთ ხსენებულ მინოსს ჰყავდა ძმა — რადამანთისი, რომელიც ასევე კუნძულ კრეტაზე მეფობდა, ოღონდ — სხვა ქალაქში, რომელსაც ფესტოსი ერქვა. ამ ქალაქში გაშენებული იყო მინოსის კიდევ ერთი სასახლე. სწორედ ამ სასახლის გათხრებს აწარმოებდა 1908 წელს დოქტორი ლუიჯი პერნიე. მან მინოსის ტაძრის ნანგრევებში, იქ, სადაც ცნობილი ლაბირინთი მდებარეობდა, აღმოაჩინა დისკო, რომელიც დაახლოებით 16 სმ დიამეტრის თიხის ფირფიტას წარმოადგენს. დისკოს ორივე მხარეს სპირალისებურად დაწერილი ნახატნიშნებია, რომელთა გაშიფვრასაც წლების მანძილზე უამრავი მეცნიერი ცდილობდა. გერმანელმა ერნსტ დობლჰოფერმა იწინასწარმეტყველა, რომ ფესტოსის დისკოს გაშიფვრას არა პროფესიონალი ენათმეცნიერი, არამედ რომელიმე გენიალური მოყვარული მოახერხებდა. ამ რამდენიმე ხნის წინ, ჩვენმა თანამემამულემ — **გია კვაშილავამ** შეძლო, გაეშიფრა დის-*

კოზე მოთავსებული ინ-ფორმაცია. ის არ გახლავთ არც ენათმეცნიერი და არც ისტორიკოსი. ბატონი გია მათემატიკოსია და თავად ამბობს, რომ მიუხედავად ამ საქმეზე დახარჯული 17 წლისა, დისკოს გაშიფვრა მაინც შემთხვევის წყალობით მოახერხა.

— ნიშნები ამოტვიფრულია სველ ფირფიტაზე, გამოწვამდე, ოქროს ყალიბით. დიდ სირთულესა და დავის საგანს წარმოადგენდა, თუ საიდან უნდა დაწყებულიყო კითხვა — ცენტრიდან ნაპირისკენ თუ — პირიქით. გამოკვლევის შედეგად დავამტკიცე, რომ ფირფიტის წარწერის კითხვა ცენტრიდან უნდა დავიწყოთ. ფირფიტა ჩვ.წ.აღ-მდე 1850-1600 წლებით თარიღდება. ასევე საკმაოდ დიდი ხნის კვლევის შედეგად დავადგინე, რომ წარწერა შესრულებულია არა ბერძნულ, ეგვიპტურ ან ხეთურ, არამედ ქართველურ, კერძოდ კი — კოლხურ ენაზე. კუნძულ კრეტაზე ცხოვრობდნენ ქურუმები, რომელთაც ასევე კორიბანტები ერქვათ. სტრაბონი ამბობს, რომ კორიბანტები იქ კოლხეთიდან იყვნენ ჩასული. ეს არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ დარწმუნებით ვამტკიცოთ ფირფიტის დამწერლობის კოლხური წარმომავლობის ფაქტი, მაგრამ სხვა ისტორიკოსთა მტკიცებით, კორიბანტები არიან აიეტის ძმები და ჰელიოსის შვილები და ისინი ჯერ კიდევ ათასწლეულის დასაწყისში ლაპარაკობდნენ ამ ენაზე. ეს კი, მათი კოლხური წარმომავლობის ვერსიას ამყარებს. მეფეები და ქურუმები ერთ სოციალურ საფეხურს მიეკუთვნებოდნენ. ქურუმები საიდუმლო დამწერლობას ქმნიდნენ. 1900 წელს, არქეოლოგმა სერ არტურ ევანსმა კნოსოში, მინოსის სასახლის გათხრების დროს 3 ათასამდე ფირფიტა აღმოაჩინა. მან ისინი A-ხაზოვან და B-ხაზოვან ფირფიტებად დაყო. A-ხაზოვანი დღემდე არ იყო გაშიფრული და მე გავშიფრე. ხოლო რაც შეეხება B-ხაზოვან ფირფიტებს, — ისინი 1953 წელს გაშიფრა ინგლისელმა არქიტექტორმა მაიკლ ვენტრისმა. მან დაადგინა, რომ A-ხაზოვანი ფირფიტები დაწერილი იყო მიკენური ბერძნულით. სწორედ მაიკლ ვენტრისმა და მისმა პარტნიორმა, ჩედვიკმა აღნიშნეს, რომ A-ხაზოვანი ფირფიტა არ გახლდათ ბერძნულად შესრულებული, მაგრამ რომელ ენაზე შეიძლებოდა ყოფილიყო, ეს კი არ იცოდნენ.

— პირველად როდის და როგორ გაიგეთ ფესტოსის დისკოს არსებობის შესახებ და რატომ გაგიჩნდათ მათემატიკოს კაცს, მისი საიდუმლოს ამოხსნის სურვილი?

— ეს სრულიად შემთხვევით მოხდა. ქუთაისში გახლდით. მაშინ 16-17 წლის ბიჭი ვიყავი. 1989 წლის 13 დეკემბერს ვიყიდე გაზეთი „სახალხო განათლება“ და წავიკითხე სტატია, რომელიც ეხებოდა ავსტრიელი ენათმეცნიერის ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ ფესტოსის დისკოს წარწერის ენა კოლხურია. ამის გამო მსოფლიოში დიდი აჟიოტაჟი ატყდა. სწორედ ამან აღძრა ჩემში სურვილი, რომ ფესტოსის დისკო შემესწავლა და მისი გაშიფვრა მეცადა. თუმცა, სულაც არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ამას შევძლებდი. ფირფიტის გაშიფვრა 17-წლიანი მუშაობის შედეგად მოვახერხე. როგორც უკვე აღვნიშნე, ტექსტის წაკითხვა ცენტრიდან ნაპირისკენ მიმართულებით ხდება.

— რით დაიწყეთ ამ თემაზე მუშაობა? რა იყო თქვენი პირველი ნაბიჯი?

— ასეთ პატარა ასაკში, რა თქმა უნდა, ხეთურისა და შუმერულის სწავლას ვერ მოვახერხებდი, მაგრამ დავიწყე ანბანური ტიპის დამწერლობების შესწავლა. მერე სტუდენტი გავხდი და უნივერსიტეტმა მომცა იმის შესაძლებლობა, რომ სხვა დამწერლობებსაც გავცნობოდი.

— გარდა ენებისა, როგორც ვხედავ, მითოლოგიასაც საფუძვლიანად ხართ გაცნობილი.

— დიახ, ასეა. წლების მანძილზე მთელი მსოფლიოს მითოლოგია საფუძვლიანად შევისწავლე. ისე კარგად ვერკვევი ხეთურ, შუმერულ, ეგვიპტურ და ბერძნულ მითოლოგიაში, რომ პერსონაჟების სახელები კი არა, ისიც კი მახსოვს, ვინ ვისი შვილია.

— ტექსტის გაშიფვრა წლების განმავლობაში, ნაწილ-ნაწილ მოახერხეთ თუ ჯერ, ასე ვთქვათ, „გასაღები“ „გამოჭედეთ“, მერე — ტექსტს მოარგეთ და ერთიანად წაიკითხეთ?

— წლების განმავლობაში დავაგროვე უამრავი ცოდნა და ერთ მშვენიერ დღეს მივხვდი, თუ როგორ უნდა წამეკითხა ფირფიტა. პირველად თქვენ გეტყვით ამას. როდესაც ვსწავლობდი ეგვიპტურ, ხეთურ იეროგლიფებს და სხვა ნახატ-დამწერლობებს, პარალელურად, ქართულ ნახატ-დამწერლობას ვქმნიდი. წარმოვიდგენდი, როგორ შეიძლებოდა, ადამიანს ნახატების სახით გადმოეცა ესა თუ ის აზრი. ნახატ-ნიშნებში იგულისხმება სიტყვა ან მარცვალი. ასე და ამგვარად, დამიგროვდა ძალზე ბევრი ნახატ-ნიშანი. ერთ დღეს, სრულიად მარტო გახლდით შინ და ამ ნახატ-ნიშნებს ვათვალიერებდი. უეცრად მივხვდი, თუ როგორ უნდა წამეკითხა ფესტოსის დისკო. თვალები დავხუჭე და გონების მობილიზება მოვახდინე, რომ არ დავბნეულიყავი. თვალდახუჭულმა გავიფიქრე, რომ თითს ალალბედზე დავადებდი დისკოს და თუ უფალს სურდა, იმ ადგილს წავიკითხავდი. თვალი რომ გავახილე, თითი ტექსტის ყველაზე მთავარ ადგილას მედო. „ჩხოფაი ორონე ნანა“, რაც ქართულად ნიშნავს — „გასხივოსნებული დედა ღმერთი“... მთლიანობაში, ტექსტი წარმოადგენს საგალობელს, რომელიც აია-ნეშკარის მფარველ დედა-ღვთაება ნანას ეძღვნება. საგალობელი ძალზე ლამაზად ჟღერს. ტექსტის ამომტვიფრავები, კორიბანტები გახლდნენ. კორიბანტი სიტყვიდან „კირბი“ წარმოიშვა. საქართველოში თიხის ფირფიტაზე ამოტვიფრულ ტექსტს, კირბს ეძახდნენ. მერე ის ქართულიდან ბერძნულში გადავიდა, ფორმა იცვალა და იმ ადამიანებს, ვინც კირბებს ამზადებდნენ, კორიბანტები დაარქვეს. ძველი ენების დამწერლობის გაშიფვრის ხერხების შესწავლის შედეგად, მივაგენი სრულიად ორიგინალურ მათემატიკურ მეთოდს, რის შედეგადაც ფესტოსის დისკოს წაკითხვა შევძელი. საყურადღებოა, რომ ამ მეთოდით შეიძლება ასევე A-ხაზოვანი დამწერლობის წაკითხვაც, რაც დღემდე შეუძლებელი იყო. A-ხაზოვანისა და ფესტოსის დისკოს დამწერლობა ერთსა და იმავე ენაზეა შესრულებული. ეს დისკო უნიკალურია, რადგან ნახატ-ნიშნები თიხაზე ამოტვიფრულია ოქროს ყალიბით და ერთჯერადადაა შესრულებული: დამწერლობის ეს ნიშნები მხოლოდ ერთხელ, კონკრეტულად ამ საგალობლისთვის გამოიყენეს. არსებობს მოსაზრება, რომ ეს დისკო კუნძულ კრეტაზე ფრიგიიდან არის წაღებული. ფრიგიაზე კი, ფაქტობრივად, კოლხური ცივილიზაცია იყო. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მინოსის მეუღლე პასიფაე, აიეტის და იყო. დისკოზე 48 სახის ნახატ-ნიშანია გამოსახული. ისინი რამდენჯერმე მეორდება, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა კუთხითაა დახატული. სწორედ ეს გახლდათ მისი წაკითხვის მთავარი გასაღები. დამტკიცებულია, რომ მსოფლიოში ამაზე ძველი დოკუმენტი არ არსებობს. ვლადიკავკაზში 1992 წელს არ-

გაგრძელება იხ. გვ. 16

ლალი ფაცია

„ჩვენ რომ ერთად დაგვინახავენ, უკვე ინტრიგაა“...

რა გამოცდის ჩაბარება მოუსდათ მერაბ სეფაშვილსა და ნატო გელაშვილს

„ნახე, კარგო, ქუჩებს რთავენ ფოთლები, შემოდგომა გვეპრანჭება მშვიდი, მე შენს სითბოს ისე დაველოდები, როგორც ერთი უსუსური ჩიტი“, — ეს გახლავთ ნაწყვეტი გელაშვილის ახალი სიმღერიდან, რომელსაც ჯერ სათაურიც კი არ აქვს. „ცისფერი მთებისა“ არ იყოს, ჯერჯერობით სიმღერას ორი სავარაუდო სათაური აქვს: „შენ თუ არ მეყოლები“ და „უსუსური ჩიტი“... ახალი ნამუშევარი ნატომ მერაბ სეფაშვილთან ერთად ჩაწერა, რითიც ნავსი გატეხეს — აქამდე, მათ შემოქმედებითი ურთიერთთანამშრომლობით მსმენელი არ გაუნებივრებიათ, მერაბს ნატო გელაშვილის სიმღერა არასდროს უმღერია. დუეტის პრემიერა 29 დეკემბერს, ინგა გრიგოლიას გადაცემაში — „რეაქცია“ შედგა... ესეც რაღაც სიმბოლური დამთხვევა იყო: ნატო და მერაბი ახლა მსმენელის რეაქციას ელიან. გახდება თუ არა ეს სიმღერა ჰიტი, ამას ცოტა ხანში შევიტყობთ, მანამდე კი მერაბი და ნატო ჩვენს რუბრიკაში შეხვდნენ ერთმანეთს.

ჟურნალისტი – მერაბ სეფაშვილი
რესპონდენტი – ნატო გელაშვილი

— ნატო, გილოცავ ახალ წელს! ახლა მოგვიყევი, როგორ შეხვდი ახალ წელს? სად იყავი, როგორ გაერთე?

— მეც გილოცავ, მერაბ! ახალ წელს ბათუმში, სასტუმრო „ინტურისტში“ შევხვდი, კმაყოფილი ვარ, რომ დღესასწაულზე ბათუმში ვიყავი, რადგან ეს ქალაქი ძალიან მიყვარს. მშვენიერი საღამო გამოგვივიდა, დამსწრე საზოგადოება აქტიურად ჩაერთო კონცერტში: ყველანი მღეროდნენ და კარგად მოილხინეს.

— ესე იგი, ამღერე კიდეც და კარგადაც გაერთე, არა? თბილისში როდის დაბრუნდი?

— ბათუმიდან 1-ელ იანვარს წამოვედი. 2 იანვარს მატარებელში ჯდომა დამებედა.

— გიყვარს მგზავრობა?

— გააჩნია, სიტუაციას *(იღიმება).*

— 2006 წლის მიწურულს, დუეტში შენი ახალი სიმღერა ჩაწერეთ. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ერთად ვიმღერეთ. უახლოეს მომავალში რაიმე ახლის გაკეთებას კიდევ აპირებ?

— რა თქმა უნდა. ვფიქრობ, რომ ახალი სიმღერების დაწერის დროა. როგორც კი 5-6 სიმღერა დამიგროვდება, ალბომს გამოვუშვებ. ასე რომ, ჩვენი დუეტით, ერთგვარად ახალი სიმღერების „ლენტი გაიჭრა“.

— როგორც უკვე აღვნიშნე, შენი სიმღერა არასდროს შემისრულებია. ამჯერად, რატომ გამომარჩიე, რატომ გადამეკიდე და ჩამაცივდი *(იცინის)*?..

— გული მწყდებოდა იმაზე, რომ თითქმის ყველა მომღერალს ჰქონდა ჩემი სიმღერა ნამღერი, შენ კი — არც ერთხელ. ეს სიმღერა რომ დავწერე, მერაბ სანოძეს — სანოს მოვასმენინე. იცოდა, სერიოზულად განვიცდიდი იმას, რომ შენ არც ერთი ჩემი სიმღერა არ გქონდა შესრულებული და მითხრა — მოდი, მერაბს შევთავაზოთო. სიმართლე გითხრა, ძალიან ვღელავდი, რადგან მე სიმღერის სხვა ხელწერა მაქვს, შენ — სხვა ტემბრი და შესრულების სრულიად განსხვავებული მანერა. არ ვიცოდი, ეს ექსპერიმენტი რამდენად გაამართლებდა.

— როგორც სიმღერის ავტორი, ჩვენი ნამუშევრით კმაყოფილი ხარ?

— ძალიან. ვფიქრობ, რომ სწორი არჩევანი გაკეთდა.

— ამ სიმღერით ორივეს რაღაც ახლის თქმა გვინდოდა. ამიტომ, მეც ვეცადე, ჩემს ჩვეულ მანერაშიც მემღერა და არც პარტნიორის — შენი სიმღერის მანერა დაკარგულიყო. საერთოდ, ერთი რამ არის მთავარი: როდესაც ერთ ადამიანს მეორის მიმართ სიყვარული და პატივისცემა აქვს, მათ შორის ტანდემი, ურთიერთობა შედგება. ვფიქრობ, რომ ახალი სიმღერა პოპულარული გახდება. თან, მასში უდიდესი სითბო და სიყვარული დევს... მორიგი შეკითხვა ასეთია: გავიგე, რომ ორ დღეში ესპანეთში მიდიხარ *(ინტერვიუ ჩაწერილია 6 იანვარს. — ავტ.)* ადრე თუ ყოფილხარ იქ?

— არ ვარ ნამყოფი და ძალიან მაინტერესებს ამ ქვეყნის ნახვა...

— დარწმუნებული ვარ, უკვე მეცადინეობ კიდეც: რუკა გულდასმით დაათვალიერე, გეოგრაფიასა და ისტორიას საფუძვლიანად გადახედე, არა?

— მიხვდი, ხომ *(იცინიან)*...

— ვიცი, რომ შენი მეუღლე, ვახო შენს შემოქმედებით საქმიანობაში სერიოზულად არის ჩართული. კონკრეტულად, ახალი სიმღერის ჩაწერაში რა როლი ითამაშა?

— აქტიურად მონაწილეობდა. ძალიან ნერვიულობდა. მონდომებული იყო, რომ ყველაფერი კარგად გამოსულიყო. სტუდიაში ჩვენზე ადრე მივიდა, ფონოგრამა რამდენჯერმე მოისმინა. ასე რომ, ოჯახის წევრები განიცდიდნენ და გვგულშემატკივრობდნენ.

— პირველად ეს სიმღერა ვის მოასმენინე?

— ვახოს. ჩემთვის მნიშვნელოვანია, პირველი ვინ მოისმენს ხოლმე ჩემს ახალ ნამუშევარს.

— მერე, ვახოსვე ვერ ამღერე, ჩემგან რა გინდოდა *(იცინიან)*?.. თუმცა ჩემო ნატო, ინტრიგა უკვე არის, რომ მე და შენ ერთად ვმღერით. მით უმეტეს, რომ აქამდე ერთად არ გამოვჩენილვართ. ხალხს ასეთი სიახლეები უყვარს...

— თან, ერთ-ერთი ჟურნალის გამოკითხვის შედეგად, მე და შენ სადღაც, ბოლო ადგილებზე მოვხვდით. ჰოდა, ახლა „ვჩალიჩობთ“, რომ რამენაირად პირველებზე გადავინაცვლოთ *(იცინიან)*.. ■

ჟურნალისტი – ნატო გელაშვილი
რესპონდენტი – მერაბ სეფაშვილი

— შენ სად შეხვდი ახლა წელს?

— კახეთში, კერძოდ — თელავში. ჩემი მეგობარი, გია ნაცვლიშვილი იქ გუბერნატორად დანიშნეს. მან კახეთში ნამდვილი საახალწლო ზეიმი მოაწყო. მეც მინდოდა, ჩემი წვლილი შემეტანა და რაც შევძელი, შევიტანე.

— ეი. შენ კახურად „გაავჯაზე“, მე — აჭარულად... ახლა ის მითხარი, მე რომ დაგირეკე, სიმღერის მოსასმენად მოდი-მეთქი, რას ფიქრობდი? გზაში, რომ მოდიოდი, რა შეგრძნება გქონდა?

წლებია, ერთმანეთს ვიცნობთ

— ჯერ ერთი, გამიხარდა. ვიცი, შენი სტილი და ვფიქრობდი ფორმაზე, როგორ გვემღერა... მგონი, მართლაც კარგად გამოგვივიდა ყველაფერი. ამ საქმეში მერაბ სანოძემ და არანჟირების ავტორმა — ბორიკო შხიანმა სერიოზული წვლილი შეიტანეს.

— სანამ სიმღერას ჩავწერდით, ინგა გრიგოლია შემხვდა და მკითხა — რას აკეთებო? მეც ვუპასუხე — მერაბი და მე ახალი სიმღერის ჩაწერას ვიწყებთ-მეთქი. ფრაზა დამთავრებული არ მქონდა, რომ მითხრა — იცოდე, 29 დეკემბერს „რეაქციაში“ მაგ ნამუშევრის პრემიერა უნდა შედგესო. — ვერ მოვასწრებთ-მეთქი, — მივუგე. — გამორიცხულია, უნდა მოასწროთო! ამიტომ, სტუდიის თანამშრომლებს ღამეების გათენება მოუხდათ. თან, ძალიან რთული პერიოდი იყო — წინასაახალწლო სამზადისის დღეები.

— მერე, გააკეთე გოზინაყი?

— გავაკეთე, აბა, ვინ გამიკეთებდა?!

— ვახო აღარ აკეთებს გოზინაყს?!

— არა *(იცინის)*. ისე, იმ დღეს შენც დაგინახე წინსაფრით და მაგარი გოზინაყი გეცოდინება...

— ვიცი *(იცინის)*!..

— „რეაქციაში“ ინგასთან რომ მივდიოდი, განვიცდიდი, პრემიერისწინა განცდები მქონდა. შენ რას გრძნობდი?

— რა თქმა უნდა, ყოველთვის მაინტერესებს ხალხის აზრი. ერთხელ რომ ვიმღერეთ, მერე განმეორებითაც შევასრულეთ. მაგ დროს დარბაზს რომ გადავხედე, ყველა თავისთვის ღიღინებდა. ეს უკვე კარგი ნიშანია. თუმცა, ჯერ მაინც არ ვიცი, საბოლოოდ, სიმღერის ბედს როგორ გადაწყვეტს მსმენელი.

— ისე, ეგეც მართალია. „დეკემბერი“ ხუთი წლის წინ დავწერე და შარშან გახდა პოპულარული. სიმღერის ბედი ასე შემოტრიალდა. ამიტომ, ყველაფერი ხალხზეა დამოკიდებული... მერაბ, ცხოვრებაში კიდევ რისი გაკეთება გინდა? უკმარისობის შეგრძნება ხომ არ გაქვს?

— ადამიანმა თუ ეს შეგრძნება დაკარგა, უნდა ჩათვალოს, რომ მისთვის ცხოვრება დასრულდა...

— წლებია, ერთმანეთს ვიცნობთ. ალბათ, ჩემი სტუდენტობის პერიოდიც კარგად გახსოვს... ჩემი რეპერტუარიდან რომელი სიმღერა მოგწონს ყველაზე მეტად?

— „ისევ ღამე, ისევ თოვა...“

— ეი. შენ ისევ იმ აზრზე ხარ, როგორზეც ადრე იყავი.

— დიახ. მიმაჩნია, რომ ეს სიმღერა ძალიან მაგარია. მასში მელოდია და ჰარმონია ისეა განვითარებული, ლონდონის სიმფონიურმა ორკესტრმა რომ დაუკრას, ნამდვილი შედევრი იქნება. შტრაუსის ვალსივითაა.

— ასე რომ, ჩემი „ბითლების“ „იესთერდეი“ ეს არის, ხომ?

— ჰო-ო. ახლა შენგან ნებართვა უნდა ავიღო და ეს სიმღერა ჩემებურად ჩავწერო.

— ჩათვალე, რომ ეს უფლება უკვე მიიღე. სიმღერა მოგეცი და აბა, შენ იცი! ამ საქმეში მე არ ჩავერევი. ისე, საბოლოოდ როგორი გამოვა, მაინტერესებს.

— ნატო, მართლა, რამდენიმე წელი გავიდა, რაც გიცნობ. ჩვენი მეზობელი იყავი, როდესაც ადრე, ჩემი ცოლის ბინაში ვცხოვრობდი. მოდიოდი და მოგქონდა შენი სიმღერები, მასმენინებდი. მაშინ პატარა იყავი.

— ხომ ხედავ, ახლა უკვე ასაკიც მომემატა და წონაშიც გაგასწარი *(იცინიან)*. ინგას გადაცემაში ამ სიმღერას რომ ვმღეროდით და შენ გვერდით დავდექი, დავკომპლექსდი: ჩემი თავი საშინლად გასუქებული მომეჩვენა. ამას გიო ხუციშვილის გვერდით ვერ ვგრძნობ ხოლმე: მისი ღიპი ყველაფერს ფარავს *(იცინიან)*.

— როგორც არ უნდა გასუქდე, კარგი გოგო, რომანტიკული ადამიანი ხარ. წინაალმდეგ შემთხვევაში, ასეთ ლაღ სიმღერებს ვერ დაწერდი...

— მერაბ, სოლო კონცერტისთვის თუ ემზადები, თუ გაქვს ამ მიმართულებით ფიქრი დაწყებული?

— კი, დაწყებული მაქვს და ამ წელიწადში ვაპირებ, ჩავატარო ახალი, განსხვავებული კონცერტი. საკმაოდ რთული სამუშაოა, მაგრამ...

— ის შენი ძველი სოლო კონცერტისგან განსხვავებული იქნება?

— ბუნებრივია, სრულიად განსხვავებული იქნება და მარტო საქართველოს არ მოიცავს. საკმაოდ გლობალური პროექტია. მასში არაერთი კომპოზიტორის და სხვადასხვა ჟანრის სიმღერა შევა.

— იმედი მაქვს, მასში ჩემს სიმღერას — „ისევ ღამე, ისევ თოვა“ შეიტან.

— რა თქმა უნდა!

— მერაბ, დამისახელე სიმღერა შენი რეპერტუარიდან, რომელიც არასდროს გბეზრდება და განსაკუთრებულად გიყვარს?

— ბევრია ასეთი. რომელიმე ერთის გამოყოფა მიჭირს. მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ: გია მაჭარაშვილის „ზაფხულის წვიმაში“, ჯუმბერ ჯანდიერის „თეთრი რაში“... მანამდე, ნუგზარ ერგემლიძის სიმღერები იყო...

— მე კი შენი რეპერტუარიდან ძალიან მომწონს „სერენადა“...

სიმღერა რომ დავწერე, მერაბ სანოძეს — სანოს მოვასმენინე, მითხრა — მოდი, მერაბს შევთავაზოთო

საშობაო ბაზრობა ელისეს მინდვრებზე, მემეგობრეან მასროლილი ფეიერვერკი მაიამი-ბიჩზე და ქართველების ჩახუტება ათენში

სულ რამდენიმე დღეა, რაც მართლმადიდებლებმა შობის ბრწყინვალე დღესასწაული ვიზეიმეთ. ყველა მორწმუნე ამ დღეს ეკლესიაში ლოცვით შეხვდა, მეორე დღეს კი ახლობლები ერთმანეთს ულოცავდნენ, ერთმანეთის ოჯახებს სტუმრობდნენ და შობის სადღეგრძელოსაც მიირთმევდნენ. გარდა ამისა, მერიის წინ, პუშკინის სკვერში, ისევე როგორც საზღვარგარეთ იციან, საშობაო ბაზრობა გაიმართა, სადაც ხალხს ნებისმიერი წვრილმანის შეძენა შეეძლო. საზღვარგარეთის უმეტეს ქვეყნებში კი შობას ახალი კალენდრის მიხედვით, 25 დეკემბერს აღნიშნავენ. რა ხდება ამ დღესასწაულზე ევროპასა და ამერიკაში, როგორ ხვდებიან იქაური მცხოვრებლები ჯერ შობას, მერე კი ახალ წელს, ამის გასარკვევად პარიზში მყოფ ჩემს მეგობარსა და კოლეგას დიანა ჭანკოტაძეს დავუკავშირდი.

ნათია ქივიძე

— წინასაშობაოდ, პარიზის ყველა ქუჩა ძალიან ლამაზად მორთეს. თითქმის ყველა ხე გაალამაზეს. გარეთ რომ გავდივართ, არაჩვეულებრივი სანახაობაა. სულ განათებულია ყველა ქუჩა, მაგრამ ყველას მაინც ელისეს მინდვრები სჯობია. ამიტომ ყველაზე მეტი ხალხი სწორედ იქ იყრის თავს. გარდა ამისა, პარიზის ცენტრში იმართება საშობაო ბაზრობები, სადაც ათასგვარ ლამაზ ნივთსა და ტკბილეულს ყიდიან. ყველა ადამიანი ოჯახთან ერთად აუცილებლად მიდის ამ ბაზრობაზე და იქ არაჩვეულებრივ დროს ატარებს, რადგან ტარდება კონცერტები, იდგმება საბავშვო სპექტაკლები და ა.შ. ისე, ცოტა სიძვირე კი არის. ნაძვის ხეების ფასი 50 ევროდან იწყება. მიუხედავად ამისა, ყველა ოჯახი ყიდულობს ნაძვის ხეს და ძალიან ლამაზად რთავენ. პირადად მე, ძალიან მომწონს ის ფაქტი, რომ ასევე ყველა ოჯახში ნაძვის ხის ახლოს პატარა ფიგურებით ქრისტეს დაბადების სცენას დგამენ ანუ აქვთ პატარა თოჯინები, რომლებიც სპეციალურად ამ დღესასწაულისთვის იყიდება ზემოთ აღნიშნულ ბაზრობებზე და ამ სცენას აწყობენ. აუცილებელია, საშობაოდ ყველა ოჯახში, ნაძვის ხის ქვეშ, ოჯახის ყველა წევრისთვის საჩუქრები ეწყოს, რომლების გახსნაც შობამდე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. 25 დეკემბერს მთელი ოჯახი ერთად იკრიბება და შობის ბრწყინვალე დღესასწაულს ზეიმობენ, ხსნიან საჩუქრებს და ოჯახურ გარემოცვაში არაჩვეულებრივ დროს ატარებენ. აქ ტრადიციაა, რომ ამ დღეს ყველა საკუთარ სახლში უნდა შეხვდეს. მეორე დღეს კი ზოგი სად მიდის და ზოგი სად. ათასი რაღაც ხდება, მოსკოვის ცირკიც კია ჩამოსული. პარიზის ძველ უბნებში პატარა კონცერტები ტარდება, რომლებსაც მართალია, ქუჩის მუსიკოსები მართავენ, მაგრამ ისინი ძალიან კარგი მომღერლები არიან. შესანიშნავი აპარატურაც აქვთ. ხალხი კი უყურებს, ერთობა, ცეკვავს და მათთან ერთად მღერის. არაჩვეულებრივი განწყობილება სუფევს გარეთ.



ამ დღეს ზოგი ქუჩაში, სხვა ადამიანებთან ერთად ხვდება, სვამენ, კონცერტს უსმენენ, ცეკვავენ და მხიარულობენ

— სანტა-კლაუსი თუ სტუმრობს მათ ოჯახებს?

— მას სანტა-კლაუსი კი არა, პერ-ნოელი ანუ შობის ბაბუა ჰქვია, რომელიც ამას წინათ სწორედ საშობაო ბაზრობაზე შემხვდა. მას ჩვეულებისამებრ, წითელი ტანსაცმელი აცვია, მაგრამ სანტა-კლაუსს არავინ ეძახის. შობის ბაბუა ქუჩაში შემხვედრ ბავშვებს ტკბილეულს ურიგებს და თან ერთსა და იმავე ბავშვს ხელმეორედ არავითარ შემთხვევაში არ აძლევს კანფეტს. ისეთი კარგი მახსოვრობა აქვს, რომ ყველა ახსოვს სახეზე. ისიც უნდა აღვნიშნო, ასეთი ძუნწი ხალხი არსად მინახავს... აქაურებს რომ ვეუბნები, ქართველები შობას 7 იანვარს აღვნიშნავთ-მეთქი, ძალიან უკვირთ...

— რაც შეეხება ახალ წელს, როგორი საახალწლო ტრადიციები აქვთ ფრანგებს?

— განსაკუთრებული არაფერი. აქაურებისთვის შობა გაცილებით დიდი დღესასწაულია, ვიდრე ახალი წელი. ამ დღეს ზოგი ქუჩაში, სხვა ადამიანებთან ერთად ხვდება, სვამენ, კონცერტს უსმენენ, ცეკვავენ და მხიარულობენ; ვისაც ფული არ ენანება, ისინი რესტორანში ხვდებიან და დროს იქ ატარებენ. პირადად მე, ახალ წელს ბევრ ქართველთან ერთად გერმანიაში, ერთ-ერთ რესტორანში შევხვდი და არაჩვეულებრივი დროც გავატარეთ. იმის გამო, რომ გერმანიაც ევროპაა, იქაც დაახლოებით იგივე ტრადიციები აქვთ. განსაკუთრებული არაფერი ხდება.

ევროპის ტრადიციების შემდეგ გადავწყვიტე, ამერიკელების საშობაო და საახალწლო განწყობილებაც შემეტყო და ჩემს ინტერნეტ-მეგობარს, მაიამიში მცხოვრებ სამხედრო პირს, 27 წლის ***ერიკ ლარსონს*** *შევეხმიანე.*

— რაღა დროს შობაა, 25 დეკემბერს არ აღვნიშნეთ?

— სამაგიეროდ, ქართველებისთვის შობა 7 იანვარს დგება?

— რატომ?

— ეკლესიური კალენდრით ასეა

მაიამური ზამთარი მირჩევნია. 15-20 და უკეთეს შემთხვევაში, 25 გრადუსი სითბოა

და იმიტომ. მოდი, მიამბე, როგორ ხვდებით ხოლმე შობას?

— არ ვიცი, რა უნდა მოგიყვე. განსაკუთრებული არაფერი ხდება, უბრალოდ, ამ დღეს ყველანი მშობლების სახლში ვიკრიბებით ხოლმე. ჩემი მშობლები ჩემგან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით ცხოვრობენ, ჩემი ძმა კი ნიუ-იორკში, მაგრამ საშობაოდ ორივემ ჩვენი მშობლების სახლს მივაშურეთ. მე საკუთარი ოჯახი ჯერ არ მაქვს. ჩემი ძმა 34 წლისაა და სულ რამდენიმე თვეა, რაც ცოლი მოიყვანა. შესაბამისად, მშობლებს თავის მეუღლესთან ერთად ესტუმრა. სუფრა უკვე გაშლილი იყო. მამა სპეციალურად ამ დღისთვის წითელ ღვინოს ინახავს ხოლმე, რომ ყველამ თითო ჭიქა მივირთვათ. თავდაპირველად, ჩვენთვის განკუთვნილ საჩუქრებს ვხსნით ხოლმე, რომლებიც ყოველთვის ნაძვის ხის ქვეშ გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები აღარ ვართ და ვიცით, რომ ეს საჩუქრები სანტა-კლაუსმა კი არა, ჩვენმა მშობლებმა იყიდეს, მაინც გვიხარია. ოჯახის ყველა წევრისთვის მეც ვიყიდე საჩუქრები და მისვლისთანავე ნაძვის ხის ქვეშ დავაწყე. მერე შემოვუსხედით სუფრას და ახალ ამბებს ვყვებოდით, ვმხიარულობდით, ღვინოს მივირთმევდით და ა.შ.

— რომელი კერძია აუცილებელი საშობაო სუფრაზე?

— მაგას განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენს სუფრაზე ყოველთვის არის ღორი და ტკბილი კარტოფილი.

— მაიამიში ზამთარი არ იცის. შობა კი თითქოს თოვლთან ასოცირდება...

— ეგ იმ ხალხისთვის, ვინც იცის, რა არის ზამთარი (*იცინის*). წელიწადის ეგ დრო, რა თქმა უნდა, მეც მინახავს, მაგალითად, ნიუ-იორკში. იქ არანორმალური სიცივეა ხოლმე და საკმაოდ დიდი თოვლიც მოდის, მაგრამ რომ გითხრა, ვგიჟდები ზამთარზე-მეთქი, მოგატყუებ. მაიამური ზამთარი მირჩევნია. 15-20 და უკეთეს შემთხვევაში, 25 გრადუსი სითბოა. მიუხედავად ამისა, ნაძვის ხე ყველა ოჯახში იდგმება.

— სანტა-კლაუსი თუ გყავთ?

— რა თქმა უნდა, ოღონდ შორტიანი სანტა-კლაუსი. შობის მეორე დღეს, ჩვენი კომპლექსის მცხოვრებლები ქვემოთ, აუზთან ვიკრიბებით ხოლმე, სადაც ვმხიარულობთ, ვსვამთ. ბავშვებიც იქვე არიან. სწორედ ამიტომ მოდის ჩვენთან შორტიანი სანტა-კლაუსი და მათ ტკბილეულს ურიგებს.

ჩვენი კომპლექსის მცხოვრებლები ქვემოთ, აუზთან ვიკრიბებით ხოლმე, სადაც ვმხიარულობთ, ვსვამთ

— ახალ წელს როგორ ხვდებით?

— ჩვენ ასე გვაქვს დაყოფილი. შობა საოჯახო დღესასწაულია და ახალი წელი — სამეგობრო. ქუჩაშიც იმართება უამრავი კონცერტი და ვისაც არ ეზარება, ამ დღეს ქუჩაში ხვდება, მაგრამ მე ახალ წელს მეგობრებთან ერთად, ერთ-ერთი პრესტიჟული სასტუმროს რესტორანში შევხვდი და კარგადაც მოვილხინეთ. ცოტა მეტი კი მომივიდა დალევა, მაგრამ მაინც ძალიან კარგი იყო. ასევე, არაჩვეულებრივი სანახაობა იმართება: მაიამი-ბიჩის ყურეში შემოდის ბევრი ძალიან ლამაზად მორთული და განათებული გემი. ისინი განუწყვეტლივ ასიგნალებენ და თან ფეიერვერკებსაც ისვრიან. არაჩვეულებრივი სანახაობაა. მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან თოვლი არ მოდის, ამ დღესასწაულებს სხვებზე არანაკლებ მხიარულად და კარგი განწყობილებით ვხვდებით.

— გილოცავ ახალ წელს!

— მეც გილოცავთ ქართველებს ახალ წელს, მაგრამ ჩვენთან ძირითადად, შობის მილოცვა იციან ხოლმე. ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ!

მოგეხსენებათ, საზღვრებს მიღმა რამდენი ქართველი ემიგრანტი იმყოფება, რომლებსაც სამშობლო ძალიან ენატრებათ და ამ მონატრებას იქ ჩასული ქართველი ხელოვნების მიერ გამართული ღონისძიებებით იქარვებენ. ქართველი ემიგრანტების სიმრავლით განსაკუთრებით, საბერძნეთი გამოირჩევა, საიდანაც პერიოდულად, ჩემი კოლეგა, ლიგია მუშკუდიანი წერილებს გვიგზავნის ხოლმე და გვატყობინებს, თუ რომელი ქართველი ხელოვანი ესტუმრა იქაურობას და როგორი ღონისძიება ჩაატარა. ამ დღეებში რედაქციაში ქალბატონი ლიგიას კიდევ ერთი წერილი მივიღეთ, რომელიც გვამცნობდა, რომ გასული, 2006 წლის მიწურულს მისივე ორგანიზატორობით საბერძნეთში ოთარ რამიშვილის, სოსო მაზმანიანისა და ვახტანგ ტატიშვილის ორი კონცერტი გაიმართა, რომელიც ოთარ რამიშვილის 72 წლის იუბილეს მიეძღვნა.

„ერთი კონცერტი სალონიკში, მეორე კი — ათენში, ილისია დენისის სახელობის თეატრში ჩატარდა, სახელწოდებით: „ასე თბილი და ასე ტკბილია, ჩემი ხალხი და ჩემი ქვეყანა“... — გვწერს ქალბატონი ლიგია. — „მეგონა, ხალხს მეტ-ნაკლებად დავიწყებული ექნებოდა ჩემი სტუმრების სახეები, მაგრამ შევცდი. საბერძნეთში მყოფი ქართველები გარს შემოეხვივნენ ვახოსა და ოთარს, ხელით ეხებოდნენ მათ... მოგვიანებით, როცა ბატონი ოთარი სცენაზე გამოვიდა, დარბაზი მას ფეხზე წამოუდგა. სცენა ყვავილებით აივსო. სიხარულისა და სინანულის ცრემლებით ტიროდნენ ქართველი ემიგრანტები. სიხარულის იმიტომ, რომ მათ წინაშე იდგა ეს ბუმბერაზი პიროვნება, თბილისის კოლორიტი, პოეტი, კომპოზიტორი... სინანულის კი იმიტომ, რომ წლებს თავისი კვალი დაემჩნია ბატონი ოთარისთვის, თუმცა, 2-3 აკორდის ჩამოკვრის შემდეგ ყველა მიხვდა, რომ იგი ჯერ კიდევ მხნედ არის და არ დაბერებულა...“

გაგრძელება იხ. გვ. 65

შობის დღესასწაულზე ჩადენილი სისხლიანი დანაშაული

ყაჩაღებმა თბილისელი ექიმის ოჯახიდან უძვირფასესი ანტიკვარული ნივთები წაიღეს

შობა-ახალწლის დღეებში, როგორც შს სამინისტროს მიერ დაფიქსირებული ცნობებიდან ჩანს, არაერთი მძიმე კატეგორიის დანაშაული ხდება. სადღესასწაულო პერიოდში ოფიციალურად დარეგისტრირებულია: ძარცვის, ქურდობის, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისა და განზრახ მკვლელობის ფაქტებიც კი. თითოეულ დანაშაულზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და გამოძიება მიმდინარეობს. სამართალდამცველები ჩადენილი დანაშაულების დეტალებს პირველ ხანებში არ ამჟღავნებენ, როგორც თავად აღნიშნავენ, — ძიების ინტერესებიდან გამომდინარე. მათივე თქმით, სადღესწაულო პერიოდში ხშირია ყაჩაღური თავდასხმაც.

აქამდე გამოძიებული და სასამართლოს მიერ უკვე განხილული საქმეებიდან, სამართალდამცველებს, დაზარალებულებზე რომ აღარაფერ ვთქვათ, ყველაზე მეტად, 2002 წელს თბილისსა და ასევე რაიონებში მოქმედმა, საკმაოდ მრავალრიცხოვანმა და კარგად ორგანიზებულმა ყაჩაღურმა ბანდამ დაამახსოვრა თავი. წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი, ბანდის ლიდერი ახლაც ციხეში ზის და ჩადენილი დანაშაულებისთვის მკაცრ სასჯელს იხდის. როგორც სამართალდამცველები ამბობენ, იმ პერიოდში, თავისუფლებაზე მყოფი თანამზრახველებისთვის მითითებებისა და განკარგულებების მიცემას ის საპყრობილიდანაც წარმატებით ახერხებდა. ბოლოს იმდენს მიაღწია, რომ ბანდის წევრებს დანაშაულებრივი გზით, ციხიდანაც დაახსნევინა თავი. გათავისუფლებიდან დაახლოებით ორ თვეში, 2002 წლის 7 იანვარს, შობის დღესასწაულზე, თბილისში მცხოვრები ექიმის ოჯახის დაყაჩაღებაში თავადაც მიიღო მონაწილეობა...

სამართალდამცველთა ინფორმაციით, აღნიშნულ ბანდაში სულ ცოტა, 10 კაცი მაინც იქნებოდა გაწევრებული. მაგრამ ბევრი მათგანის ვინაობა დღემდე დაუდგენელი დარჩა. გამოვლინდა მხოლოდ ბანდის ყველზე აქტიური წევრების გვარები. ორი მათგანი პოლიციელებთან შეტაკების დროს, ორმხრივი სროლის შედეგად, სასიკვდილოდ დაიჭრა და გარდაიცვალა. ბანდის სამი წევრი, მათ შორის ლიდერიც, საბოლოოდ, პოლიციის ხელში აღმოჩნდა. სამართალდამცველთა ინფორმაციით, გაგა კეზევაძემ (გვარები შეცვლილია) თანამზრახველები ცეცხლსასროლი იარაღით — ავტომატებით, პისტოლეტებით, ხელყუმბარებით, ხელკეტებითა და ნიღბებით მოამარაგა და სამოქმედო გეგმასაც მათ თავად სთავაზობდა. იმ დროს ის სხვა, ადრე ჩადენილი დანაშაულისთვის ციხეში იხდიდა სასჯელს, თუმცა ბანდის წევრებთან კონტაქტის დამყარებაში მისთვის ამ ფაქტს ხელი სულაც არ შეუშლია. საქმის მასალების მიხედვით, თანამზრახველებს კეზევაძე მობილური ტელეფონით სისტემატურად უკავშირდებოდა. ერთ დღესაც, ბანდის წევრებს გამოუცხადა, რომ ის ციხიდან როგორმე უნდა დაეხსნათ. მიზანს მალე მიაღწია. ბოროტმოქმედებმა ერთ-ერთი რაიონული პოლიციის განყოფილების უფროსის არასრულწლოვანი შვილი აიყვანეს მძევლად, პატრონს კი შეუთვალეს, რომ სანაცვლოდ, ციხიდან კეზევაძის გათავისუფლებას მოითხოვდნენ. პოლიციის განყოფილების უფროსმა, საჭირო კონტაქტების მეშვეობით, შვილის გამტაცებელთა მოთხოვნის შესრულება მოახერხა.

ციხიდან გამოშვებულმა კეზევაძემ მორიგ დანაშაულებზე ფიქრი დაიწყო. ამასობაში, შობა-ახალი წლის დღესასწაული ახლოვდებოდა. ბანდას ფული სჭირდებოდა და მისმა წევრებმა გადაწყვიტეს, თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში მცხოვრები, საკმაოდ შეძლებული ექიმის ოჯახი დაეყაჩაღებინათ. მარგველაშვილების ოჯახზე საჭირო ინფორმაციაც შეკრიბეს და დანაშაულის ჩადენა შობის დღესასწაულზე, საღამოსთვის დაგეგმეს.

ყაჩაღობაში ხუთამდე ადამიანი მონაწილეობდა. მათგან სამი, უშუალოდ ბინაში შეიჭრა, დანარჩენები კი, გამოძიების ვარაუდით, თანამზრახველებს გარეთ ელოდებოდნენ და იმავდროულად, სიტუაციას აკონტროლებდნენ. თავდამსხმელებმა, როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, სიცოცხლისთვის საშიშ ძალადობას მიმართეს, ოჯახის წევრები ჯერ სცემეს, შემდეგ ხელ-ფეხი გაუკოჭეს და ფული და ძვირფასეულობა მოსთხოვეს. სახლიდან მათ დიდი რაოდენობით ძვირფასეულობა, უმეტესწილად — ანტიკვარული ნივთები წაიღეს. როგორც მოგვიანებით გამოარკვიეს, ყაჩაღებმა ბინიდან 348.200 ლარის ღირებულების ქონება გაიტანეს. დაზარალებულთა თქმით, ქონება საგვარეულო იყო და ანტიკვარული ნივთების უმეტესობა, ისევე, როგორც ძველებური სამკაული, მათ წინაპრებისგან მემკვიდრეობით ერგოთ. ყაჩაღების მიერ წაღებულ ძვირფასეულობას შორის იყო ძველებური, ბრილიანტისთვლიანი საყურეები და ბეჭდები, თითოეული მათგანის ღირებულება საშუალოდ, 4.000 ლარს აღწევდა. ბოროტმოქმედებმა ასევე წაიღეს ზურმუხტითა და ბრილიანტებით მოოჭვილი ოქროს ბეჭედი, რომელიც 16.000 ლარად იქნა შეფასებული. გაიტაცეს ფრანგული წარმოების, 40.000-ლარიანი ანტიკვარული, „სევერის“ ლარნაკი და ორი ბრინჯაოს კანდელაბრი (თითოეული 80.000 ლარად შეფასებული). გატაცებულ ანტიკვარიატსა და ძვირფასეულობას შორის აღმოჩნდა ძვირად ღირებული სურათებიც, რომელთა ფასები 14-დან 18 ათას ლარამდე მერყეობდა. სახლიდან გასვლისას კი, ბოროტმოქმედებმა მობილური ტელეფონი და სააქციო საზოგადოება „ოქროს თასის“ ოთხი სერტიფიკატიც „გააყოლეს ხელს“.

ყოველივე ამას სისხლის ღვრის გარეშე არ ჩაუვლია. თავდამსხმელებმა სხეულის დაზიანება მიაყენეს შემთხვევის დროს ოჯახში მყოფ ცოლ-ქმარს — მარგველაშვილებს. მართალია, მათთვის ცეცხლსასროლი იარაღიდან არ უსვრიათ, მაგრამ როგორც დაზარალებულთა ჩვენებებიდან ჩანს, ცემისგან დასისხლიანებულ ცოლ-ქმარს ისინი მოკვლით ემუქრებოდნენ. შემთხვევის ღამეს ოჯახის უფროსი — გურამ მარგველაშვილი საავადმყოფოში მოათავსეს. თავდამსხმელების მიერ მისთვის მიყენებული ძლიერი დარტყმის გამო, თავის არეში მას ისეთი ჭრილობა ჰქონდა, რომელზეც 9 ნაკერის დადება გახდა საჭირო. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მარგველაშვილს შუბლზე, ცხვირისა და თვალბუდის არეში ჭრილობები და სისხლნაჟღენთები აღენიშნებოდა. რაც შეეხება მის ცოლს, ელენე ჯიქიას, — ექსპერტებმა მის სხეულზე მკვრივი, ბლაგვი საგნის ზემოქმედების შედეგად მიყენებული დაზიანებები დააფიქსირეს.

დაზარალებულ **ელენე ჯიქია-მარგველაშვილის** ჩვენებიდან: *„შობა დღე იყო. შინ მხოლოდ მე და ჩემი მეუღლე გახლდით. საღამოს, დაახლოებით 11 საათი იქნებოდა, როცა უეცრად, კარზე ზარის ხმა გაისმა. კარის გასაღებად ჩემი მეუღლე წამოდგა, იმის მიუხედავად, რომ შეუძლოდ გრძნობდა თავს, რადიკულიტი აწუხებდა. როცა იკითხა, თუ ვინ იყო, გარედან უპასუხეს, მეზობელი გახდა ცუდად და დახმარება გვჭირდებაო. ეს არც ერთს არ გაგვკვირვებია, რადგან პროფესიის გამო, ხშირად მოგვმართავდნენ დახმარებისთვის.*

ჩემმა ქმარმაც დაუყოვნებლივ გააღო კარი. იმავე წამს შემოსასვლელი ოთახიდან საეჭვო ხმაური შემომესმა. მეც მაშინვე იქითკენ წავედი. უეცრად გზა ვიღაც უცნობმა ახალგაზრდამ გადამიღობა და თავში რაღაც მძიმე საგანი ჩამარტყა. გონება მაშინვე დავკარგე. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ის ახალგაზრდა, ბანდის ერთ-ერთი წევრი ზაზა ხოშტარია ყოფილა. როცა გონზე მოვედი, იატაკზე ვიწექი და თავიდან სისხლი თქრიალით მომდიოდა. თავზე ვიღაც მეორე უცნობი ახალგაზრდა მადგა, ხელყუმბარა ეკავა. დაინახა თუ არა, რომ გონს მოვედი, აგრესიული ტონით მითხრა: ხმა არ ამოიღო, თორემ, აგაფეთქებო! — და ხელყუმბარა ცხვირწინ დამიტრიალა. ამის შემდეგ, მეორე ოთახში ძალით, თრევა-თრევით გამიყვანეს. იქ ნამდვილი საშინელება დავინახე. ჩემი მეუღლე იატაკზე ეგდო, სულ მთლად სისხლში იყო ამოსვრილი და არ ინძრეოდა... თუ ვინ რა საგანი ჩაარტყა მას თავში, არ დამინახავს. აღმოჩნდა, რომ ცოცხალი იყო. ცოტა ხანში ისიც გონზე მოვიდა. ორივეს ხელ-ფეხი შეგვიკრეს თოკით და სკამებზე დაგვსვეს. პისტოლეტებითა და ხელყუმბარებით შეიარაღებულები გვადგნენ თავზე. სამნი იყვნენ, ნიღბები არც ერთ მათგანს არ ეკეთა. გვითხრეს: გავიგეთ, რაღაც ძვირფასი ნივთი გაგიყიდიათ და ფული მოგვეცითო. ვუპასუხე, რომ ნივთები კარგა ხნის წინ მქონდა გაყიდული, აღებული ფული კი, მთლიანად დახარჯული იყო, დარჩენილი მქონდა მხოლოდ 150 ლარი. მათ ამის შესახებაც ვუთხარი. მოკვლით რომ დაგვემუქრნენ, იმ ადგილზე მივუთითე, სადაც ოქროულობას ვინახავდით. მაინც არ იკმარეს, ითხოვდნენ და ეძებდნენ ფულს. სათავსებიდან ყველაფერი გადმოყარეს. ამასობაში, ჩემს მეუღლეს ვაკვირდებოდი, ვატყობდი, რომ სულ უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა. თავიდან სისხლი შეუჩერებლად სდიოდა, ფეხები კი სულ გაშავებოდა, ისე მაგრად ჰქონდა გაკოჭილი. ხოშტარია გვემუქრებოდა — მითხარით, ფული სად გაქვთ, თორემ დაგაუთოებთ ორივესო!.. ფული მართლა არ მქონდა და სასურველი პასუხი რომ ვერ მიიღეს ჩვენგან, ბინაში რაც იდო, ყველაფერს დაერივნენ. ანტიკვარული ნივთების ნაწილი მართლაც, გაყიდული მქონდა. ისინი მემკვიდრეობით გვერგო, მაგრამ როცა მატერიალურად გაგვიჭირდა, იძულებული გავხდით, ზოგიერთ ნივთს შევლეოდით და გაგვეყიდა. ყაჩაღები ნივთებს სათითაოდ იღებდნენ ხელში და გვეკითხებოდნენ — ეს ძვირფასია თუ არაო? ამ დროს, ძალიან ცუდად გავხდი და ხოშტარიას წყალი ვთხოვე. მან წყალთან ერთად, წამალიც დამალევინა... ზუსტად ამ მომენტში დანარჩენები ჩემს ქმარს იარაღს ულერებდნენ, მოკვლით ემუქრებოდნენ და ეკითხებოდნენ — სად გაქვს იარაღი შენახულიო? შემდეგ ვიღაცას დაურეკეს მობილური ტელეფონით და უთხრეს — მშვიდობით შევედით, სიწყნარეაო... ანტიკვარული შანდლები აარჩიეს. ხოშტარიამ ისინი ბინიდან ერთ გზად გაიტანა. როცა შემობრუნდა, დანარჩენებს უთხრა — „დვიჟენიები“ დაიწყო, სადარბაზოში მეზობლები მიდი-მოდიან და მალე მოვრჩეთო. ამის შემდეგ, კედლიდან ძვირფასი სურათები ჩამოხსნეს და წაიღეს. ყველაფერს ერთად მოხვიეს ხელი და გაიტანეს...“

ბანდიტების მიერ გატაცებული ნივთებიდან დაზარალებულ ოჯახს არაფერი დაჰბრუნებია. აღმოჩნდა, რომ ბოროტმოქმედებმა, ვიდრე ისინი პოლიციას ჩაუვარდებოდნენ ხელში, ნაყაჩაღარი ნივთების რეალიზაცია მოასწრეს. სამართალდმაცველებმა ბინიდან გატანილი ქონებიდან დაზარლებულისთვის მხოლოდ „ოქროს თასის“ სერტიფიკატების დაბრუნება შეძლეს. სერტიფიკატები ელენე ჯიქიამ იოლად ამოიცნო. ერთ-ერთს კუთხე ჰქონდა მომწვარი. დაზარალებულმა თქვა, რომ ადრე მას შვილიშვილმა წაუკიდა ასანთით ცეცხლი, მაგრამ დროულად მიუსწრეს და სერტიფიკატი დაწვას გადაარჩინეს. წინასწარ გამოძიებას ანალოგიური ჩვენება მისცა ელენე ჯიქიას მეუღლემაც...

იმ დღეს, სიკვდილს ორივე გადაურჩა, მაგრამ ბანდის მიერ ჩადენილ საშინელ და თავზარდამცემ დანაშაულს ოჯახის უფროსის — გურამ მარგველაშვილის სიცოცხლე მაინც შეეწირა. სასამართლო პროცესზე მისმა მეუღლემ აღნიშნა, რომ ყაჩაღური თავდასხმის შედეგად მიღებული მორალური ტრავმის შედეგად, გურამ მარგველაშვილი მძიმედ დაავადდა, სახლიდანაც ვერ გადიოდა, რამდენიმე თვეში კი გარდაიცვალა.

ბანდის ლიდერი პოლიციამ მომხდარი ფაქტიდან ორ კვირაში აიყვანა. მის დროებით საცხოვრებელ ბინაში სამართალდამცველებმა ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩინეს, მარგველაშვილების ოჯახიდან გატაცებული ნივთებიდან კი, მხოლოდ ხსენებულ სერტიფიკატებს მიაგნეს. ბანდის დანარჩენი წევრები პოლიციამ მოგვიანებით დაიჭირა.

შობის დღესასწაულზე ჩადენილ დანაშაულში არც ერთმა განსასჯელმა არ ცნო თავი დამნაშავედ. კეზევაძემ თქვა, რომ შობას ის ნათესავებთან ერთად აღნიშნავდა და ყაჩაღობის ჩადენა იმ დღეს აზრადაც არ მოსვლია. მას თავად დაზარალებული შეეწინააღმდეგა. დამნაშავეები მან ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების პერიოდში, ფოტოსურათებზე ამოიცნო, სასამართლო პროცესზე კი, ისევ დაადო მათ ხელი. ელენე ჯიქიამ აღნიშნა: *„ის დღე მთელი ცხოვრების მანძილზე საშინელ მოგონებად გამყვება. მომხდარმა ამბავმა უდიდესი სულიერი ტრავმა მომაყენა, რასაც უკვე ვერაფერი მოაშუშებს — ამ ამბავს ჩემი მეუღლის სიცოცხლე შეეწირა. ბოროტმოქმედებს ნიღბები არ ეკეთათ და მათ სახეებს მეხსიერებიდან ვერაფერი ამომიშლის“...*

მსოფლიოს ყველაზე საშიშ სერიულ მკვლელებს შორის ქალებიც აღმოჩნდნენ

სერიული მკვლელობების საშინელი ისტორიიდან, კრიმინოლოგებმა და ექსპერტებმა მსოფლიოს მასშტაბით, ყველაზე შემზარავი ფაქტებისა და საშინელი მანიაკების სია შეადგინეს. განსაკუთრებით საშიშ ბოროტმოქმედთა რიგში რამდენიმე ქალიც აღმოჩნდა.

ექსპერტებმა სერიული მკვლელებიდან პირველ რიგში, კოლუმბიელი მანიაკი დაასახელეს, რომლის კისერზეც 140 ბავშვის სიცოცხლეა. სადისტი მკვლელი მოზარდებს იჭერდა, აშიშვლებდა, სხვადასხვა სპეციალური ხელსაწყოთი სასტიკად აწამებდა და ტანჯვაში ხდიდა სულს. 1999 წელს სამართალდამცველებმა მანიაკი, როგორც იქნა, დაიჭირეს, შემდეგ გაასამართლეს. სადისტმა ბოროტმოქმედმა ყველა დანაშაული აღიარა და სრულიად უემოციოდ აღწერა შემზარავი მკვლელობების შოკის მომგვრელი დეტალები...

როგორც აღნიშნული სიის შემდგენელი კრიმინოლოგები აცხადებენ, მსგავსი სისასტიკით, საყოველთაოდ ცნობილი ჯეკ მფატრავის მიერ ჩადენილი საშინელი დანაშაულების ჩათვლით, მსოფლიო მასშტაბით 100-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმე გამოირჩევა. საარქივო მასალებში ყველაზე სისხლიანი, ე.წ. ანდელი მონსტრის, იმავე პედრო ალონსო ლოპესის მრავალტომიანი საქმეა. ლოპესმა, რომელიც სასტიკ დანაშაულებს 1970-80 წლებში პერიოდულად სჩადიოდა, 300-ზე მეტი ახალგაზრდა გოგონა გამოასალმა ტანჯვა-წამებით სიცოცხლეს. წინასწარ განზრახულ და ზედმიწევნით კარგად დაგეგმილ მკვლელობებს ის კოლუმბიის, პერუსა და ეკვადორის ტერიტორიებზე ახორციელებდა. სამართალდამცველებს მანიაკის კვალზე დადგომა და მისი აყვანა ყველაზე მეტად გაუჭირდათ. ამ მიზანს მხოლოდ მისი 10-წლიანი სისხლიანი „მოღვაწეობის“ შემდეგ მიაღწიეს. ლოპესი 1980 წელს დააკავეს, დაპატიმრებიდან რამდენიმე თვეში კი, გაასამართლეს. საპყრობილეში ის ცალკე საკანში გამოკეტეს. სწორედ იმ საკანში მისცა ბოროტმოქმედმა ერთ-ერთი ტელევიზიის კორესპონდენტს ინტერვიუ, რომლის დროსაც, ხმამაღლა და ამაყად განაცხადა, რომ ის „საუკუნის მამაკაცია“.

მსხვერპლთა მრავალრიცხოვნების მიხედვით, ლოპესის შემდეგ, ყველაზე საშიშ სე-

ონოპრიენკო


ფრედ უესტი

რიულ მკვლელთა სიაში ამერიკელი მანიაკები — ჰენრი ლი ლუკასი, ოტის ტული და ჰოლმსი მოდიან. მათ დაახლოებით 200 ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს. ჰენრი ლი ლუკასი — ცალთვალა მაწანწალა და ოტის ტული, რომელიც ადამიანის ხორცით იკვებებოდა, განურჩევლად ყველას — ბავშვს თუ ქალს, ახალგაზრდა მამაკაცს თუ ღრმა მოხუცს, კლავდნენ, ვინც კი ქუჩაში ფეხით მოსეირნე მანიაკებს მოუვიდოდათ თვალში. ისინი, ისევე, როგორც ზემოთ ხსენებული ლოპესი, 1970-80 წლებში მოქმედებდნენ და ამ ხნის მანძილზე, უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს.

რაც შეეხება ჰოლმსს, — ის ცნობილი ჩიკაგოელი ნარკობარონი გახლდათ. მის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში წერია, რომ ნარკობიზნესით ნაშოვნი სოლიდური თანხით, ჰოლმსმა თავისი სატანური იმპერია შექმნა. სპეციალურად ამისთვის ააშენა უზარმაზარი ციხესიმაგრე, რომელსაც სამართალდამცველებმა „სასაკლაო კოშკი“ შეარქვეს. ამ ციხეში ჰოლმსს ასამდე სპეციალური სასაკლაო ოთახი ჰქონდა მოწყობილი. ოთახებს გარეგნულად, მასში ჩადენილი სადიზმის არაფერი ეტყობოდა და ერთი შეხედვით, იქ მისულებს არც ეჭვს, არც შიშს ჰგვრიდა. მაგრამ როგორც მოგვიანებით გამოძიებამ დაადგინა, თითოეული მათგანი, საოცრად მოხერხებული არქიტექტურის წყალობით, უამრავი სადისტური მანქანა-დანადგარით იყო აღჭურვილი. პოლიციამ ოთახებში, უამრავი ხაფანგისა და სატყუარას გარდა, აზოტის მჟავით სავსე კასრები, კირით სავსე ორმოები და მხუთავი აირის კამერებიც კი აღმოაჩინა.

ძიებამ ისიც დაადგინა, რომ ჰოლმსი „სასაკლაო კოშკში“ ძირითადად, ახალგაზრდა მანდილოსნებს იტყუებდა. ლამაზი ქალის იქ მიპატიჟებას თითქმის ყოველთვის, დაახლოებით ერთკვირიანი რომანტიკული, თავბრუდამხვევი ურთიერთობა უძღოდა წინ. ჰოლმსი ქალებს თურმე, მათზე დაქორწინებასაც ჰპირდებოდა. როცა მათ ნდობას მთლიანად მოიპოვებდა, მისი საოცარი თავაზიანობით გაბრუებულებსა და მოტყუებულებს, თავისი ციხე-დარბაზების დასათვალიერებლად იწვევდა. ქალები უარს არასდროს ამბობდნენ, რადგან ვერც კი წარმოიდგენდნენ, თუ საყვარელ ადამიანთან თუ საქმროსთან სტუმრობა მათთვის საბედისწერო აღმოჩნდებოდა.

სამართალდამცველთა თქმით, სადისტი მკვლელი იმდენს ახერხებდა, რომ სატანური განაჩენის გამოტანამდე, ქალებს მათი სიცოცხლის სადაზღვევო პოლისების თავის სახელზე გადაფორმებაზეც კი ითანხმებდა. სარფიანი ხელმოწერის შემდეგ, მსხვერპლს ის ჯერ თავის ჯალათურ მანქანა-დანადგარებზე აწამებდა, შემდეგ კი, სიამოვნებით კლავდა მას. საზარელი მანიაკი პოლიციამ 1996 წელს შეიპყრო. სასამართლომ მას სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა შეუფარდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსოფლიოს ყველაზე საშიშ მანიაკთა შორის, ქალებიც აღმოჩნდნენ — დები დელფინა და მარია გონზალესები. ისინი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მექსიკური ბორდელის მფლობელები გახლდნენ. მანიაკი დების მსხვერპლი უმეტესად, მათსავე ბორდელში მომუშავე სხვადასხვა ახალგაზრდა გოგონა იყო. თუმცა, როგორც გამოძიებით გაირკვა, მანიაკმა ქალბატონებმა არაერთი კლიენტი მამაკაცის სიცოცხლეც ხელყვეს. ოფიციალური მონაცემებით, სადისტმა დებმა, რომლებიც დანაშაულებს თავიანთ დაწესებულებაში სჩადიოდნენ, ზუსტად 91 ადამიანი მოკლეს.

ნამდვილი ვამპირის სახელითაა ცნობილი ჰუნგარიან ერჟებეტ ბატორი — ერთ-ერთი ყველაზე საშიში მანიაკი ქალი. ის XVI საუკუნეში ცხოვრობდა და გრაფინიას წოდებას ატარებდა. სისხლისმსმელმა გრაფინიამ, როგორც კრიმინოლოგები აღნიშნავენ, თავის უზარმაზარ და უმშვენიერეს ადგილ-მამულში — ტრანსილვანიაში 600-მდე ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. სადისტური მკვლელობის ერთ-ერთ ყველაზე ხშირ მეთოდს, აუტანელ სიცივეში მსხვერპლის გაშიშვლება და მისი გაყინვა წარმოადგენდა. მანიაკი გრაფინია ყინვიან ზამთარში თავის მსხვერპლს აიძულებდა, ტანზე გაეხადა და დათოვლილ მიწაზე დაწოლილიყო; ამის შემდეგ მას სხეულზე ცივ წყალს ასხამდა — მანამდე, სანამ სასიკვდილოდ განწირული არ გაიყინებოდა. გარდაცვლილ მსხვერპლს ის სისხლისგან წრეტდა, რათა შემდეგ, ამ სისხლში ებანავა. გრაფინია ფიქრობდა, რომ სისხლის აბაზანები მის კანს აახალგაზრდავებდა და საოცრად ლამაზს ხდიდა...

ჩიკატილო

რუსეთის ნომერ პირველმა სერიულმა მკვლელმა — ანდრეი ჩიკატილომ პირველი საზარელი დანაშაული 1978 წელს ჩაიდინა. ამ დროიდან მოყოლებული, მან 53 ქალი აწამა და მოკლა, მათ შორის — არასრულწლოვნებიც. ჩიკატილოს ბავშვობიდან სჯეროდა, რომ მისი უფროსი ძმა კანიბალიზმის მსხვერპლი გახდა. ამით გაბოროტებულმა, საზარელი დანაშაულების ჩადენა დაიწყო. რამდენიმე ქალს მან, გაუპატიურების შემდეგ, სხეულიდან ხორცი ნაჭერ-ნაჭერ აათალა და ასე, წამებაში ამოხადა სული.

ჩიკატილოს მხოლოდ ერთი მსხვერპლით ჩამორჩება უკრაინელი სერიული მკვლელი ანატოლი ონოპრიენკო, მეტსახელად ტერმინატორი. მან 52 ადამიანი მოკლა. ერთ-ერთ ინტერვიუში ტერმინატორმა აღნიშნა, რომ მას ჩადენილი მკვლელობებით მსოფლიო რეკორდის დამყარება სურდა, მაგრამ არ დასცალდა...

ყველაზე ახალგაზრდა მანიაკი-მკვლელი გერმანელი ბრუნო ლუდკე გახლდათ. პირველი საშინელი მკვლელობა მან 15 წლის ასაკში ჩაიდინა. მას შემდეგ ლუდკემ 80 ადამიანი, ძირითადად ქალები გამოასალმა სიცოცხლეს წამებით. დაპატიმრების შემდეგ, სამართალდამცველებმა ლუდკეს ფსიქიკური მდგომარეობის გამოსაკვლევად, ექსპერტიზა დანიშნეს. ექსპერტ-ფსიქიატრებმა ის შეურაცხადად გამოაცხადეს და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს. ლუდკე სრულიად დაუმორჩილებელი გახდა და მისი ქმედების გათვლა არავის შეეძლო. ვინაიდან ექიმების თქმით, ლუდკეს მდგომარეობა უიმედო იყო და საავადმყოფოს პაციენტებისა და მედპერსონალისთვისაც საშიშროებას წარმოადგენდა, მისთვის მომაკვდინებელი ინიექციის გაკეთების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღეს. ამ გადაწყვეტილების აღსრულება 1944 წელს მოხდა.

ფრედი და როზა ვესტები ბრიტანეთის ყველაზე სადისტ მკვლელებად გამოაცხადეს. ფრედმა, რომელმაც ბირმინგემის ციხეში ახალი წლის დღეს, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე (მან თავი ჩამოიხრჩო), 13 ქალის, მათ შორის — არასრულწლოვნების მოკვლა მოასწრო. ფრედის სადიზმის პირველი მსხვერპლი მისი ყოფილი მეუღლე და ორი ქალიშვილი გახდნენ. ფრედის მეორე ცოლი, რომელიც დანაშაულების ჩადენაში ქმარს ეხმარებოდა, ლონდონის ჰოლოუეის ციხეში ახლაც იხდის სასჯელს. მას სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი.

კრიმინოლოგების მიერ შედგენილ სიას ასრულებს „ფლორენციელი მონსტრი“ — პიეტრო პაჩიანი. ის 1994 წელს გაასამართლეს. ორ წელიწადში, ბოროტმოქმედი გულის შეტევის შედეგად გარდაიცვალა. ოფიციალური მონაცემებით, „ფლორენციელმა მანიაკმა“ 16 ადამიანი — 8 შეყვარებული წყვილი გამოასალმა სიცოცხლეს.

■

„ვკითხულობ ონლაინ-რომანს და ჩემი თავი მასსენდება...“

„მარი, ზურასა და ნატალის რეალურობაში ეჭვი მეპარება და თუ შეგიძლია, დამარწმუნე, რომ ისინი ნამდვილად არსებობენ“, — ასეთი მესიჯი მივიღე ერთ-ერთი მკითხველისგან. მინდა, პატივცემულს ვუთხრა, რომ ჯერ ერთი, მკითხველის მოტყუება „გზის“ წესი არ გახლავთ; მეორეც, ნატალის ინტერვიუ და ფოტო ჯერ კიდევ რომანის დასაწყისშივე შემოგთავაზეთ და მეტი რაღა ვქნათ?! თუ დამაჯერებელი იქნება, დედასაც დავიფიცებ– არ ვიცი, ამის შემდეგ დაიჯერებს თუ არა სკეპტიკოსი მკითხველი ონლაინ-რომანის გმირების რეალურობას, ამიტომ, ისღა დამრჩენია, გაგახსენოთ ძველი ანეკდოტის ფინალი — ვისაც გვჯერა, გაგვატარეთო...

მარი ჯაფარიძე

„დედაა... დამტანჯა ამ ხალხმა. ეს ნამდვილი საჟურნალო სერიალია, „საპნის ოპერა“ ქართულად. ხან ზურას მოსდის რაღაც, ხან — ნატალის. ჩემი დეიდაშვილი მოკვდა ნერვიულობით. საინტერესოა, ახლა რაღა მოხდა? ოჰ, ზურა, ზურა, სულ ტყუილად გვანერვიულებ... მარი, ეს ამბავი ერთ დიდ წიგნად რომ დაწერო, იცი, როგორ გამდიდრდები?.. ამ წყვილს ბედნიერებას ვუსურვებ! პუპსიკუნა“.

„ახლა დავამთავრე პანდორასა და ზურას ამბის კითხვა, ყველა ნომერი წავიკითხე. რაღაც, რომანს ჰგავს და მაგარი მუღამი აქვს. საინტერესო ადგილზე რომ წყდება, აღარ ელოდები ხუთშაბათის მოსვლას, იქვე გიდევს მომდევნო ნომერი და განაგრძობ კითხვას. ახლა ყველა დავნომრე, „დავასტეპლერე“ და ფაილში ჩავდე, დიდი მოწიწებით“.

„ნატალია და ზურიკო, უმაგრესები ხართ. აუ, ხალხო, იქნებ, ვინმემ მოკლედ მომწეროთ, ბაჩომ რომ ნატალის დაურეკა, მერე რა მოხდა? „გზის“ ეგ ნომერი ვერ ვიშოვე“.

„ნატალი და ზურა, თქვენი ფანი ვარ, იბრძოლეთ თქვენი ლამაზი სიყვარულისთვის! იმ წინასწარმეტყველს კი მივმართავ — იქნებ, მეც მიწინასწარმეტყველო რამე? გიჟი მაკუნია“.

„უკვე მეორედ გწერთ. ძალიან მჭირდება ნატალის რჩევა, მაგრამ ვინ მაქცევს ყურადღებას?.. ერთი ბიჭი მიყვარს, მასაც ვუყვარვარ, მაგრამ ერთი პრობლემაა — ერთმანეთი მესიჯებით შეგვიყვარდა, ის ჯერ არ მინახავს. ჩემი გაცნობა ძალიან უნდა, მაგრამ არ ვხვდები, მეშინია, რომ არ მოვეწონო?.. ძალიან კომპლექსიანი და ზედმეტად მორცხვი ვარ. დარწმუნებული გახლავართ, როცა შევხდები, მისი შემრცხვება და გავწითლდები. ნატალი, ვიცი, რომ „გზას“ კითხულობ, გემუდარები, მირჩიე, როგორ დავძლიო ავადმყოფური სიმორცხვე? ყველაფერზე ვწითლდები და მგონია, რომ არავის მოვეწონები, საკუთარი თავის ფასი არ ვიცი. ნატალი, გევედრები, ნუ დაგეზარება ერთი მესიჯის მონერა. მორცხვი სვანი, 17 წლის“.

„ნეტავ, მართლა უყვართ თუ არა ნატალის და ზურას ერთმანეთი? ან თუ არსებობს საერთოდ სიყვარული?.. სამწუხაროდ, გათხოვილი ვარ, მაგრამ სიყვარულის მაგივრად, მძულს“.

„მინდა, ნატალის ვუთხრა, რომ არასწორად იქცევა. ღმერთს ვთხოვ, ერთხელ თვითონაც აღმოჩნდეს ზურას ცოლის ადგილზე, რათა გაიგოს, რა მწარეა ღალატი. ქალებო, შეჩერდით! სხვისი ქმრები რად გინდათ, ქვეყნად კაცები დაილია? „განადგურებული“.

„მარი, ძალიან საინტერესო რუბრიკებს იგონებ და კარგი ჟურნალისტი ხარ. მინდა, ნატალის ბედნიერება ვუსურვო, მაგრამ ზურას სიყვარულის მარადიულობაში ეჭვი მეპარება. შესაძლოა, ვცდები, მაგრამ კაცი, რომელიც ერთი ღამით ვერ იტყვის უარს სიამოვნებაზე და მეძავს „ეტაკება“, სანდო ვერც მომავალში იქნება. ბაჩო ბევრად უფრო მესიმპათიურება, მიუხედავად მისი კრიმინალური ცხოვრებისა. ის ნამდვილი მამაკაცი ჩანს. თუმცა, ნატალი ფსიქოლოგია და გულიც მისია. თათია“.

„აუ, მარი, რა ცუდ ადგილზე წვეტ ხოლმე თხრობას! სერიალს ჰგავს — იქაც მაგარ მომენტზე წყვეტენ ხოლმე ფილმს და ხალხი სულმოუთქმელად ელოდება, მაგრამ ჩვენ გაცილებით ცუდ დღეში ვართ, რადგან ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე გვიწევს ლოდინი. მერე კიდევ ასეთ ადგილზე გაჩერდები და გვტანჯავ, რა! ნატ, გამაგრდი!“

„მარი, ნატას მსგავსად, მეც ცუდ დღეში ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ქმარიც მყავს და შვილებიც, მაინც შემიყვარდა. რამდენიმე წლის მანძილზე მალულად ვხვდებოდით ერთმანეთს. გამოჩნდა სხვა ქალი, რომელმაც შვილი გაუჩინა. მეგონა, სიცოცხლე დამთავრდა, მაგრამ მოხდა სასწაული და უჩემოდ ვერ გაძლო. მოვიდა და მომიბოდიშა, მაგრამ მე ვერ ვპატიობ. ნატ, თუ ნამდვილი სიყვარულია, ის აუცილებლად შენთან დარჩება. გაუფრთხილდი და იბრძოლე. მე ოჯახმა შემაჩერა. ნებიერა“.

„ყველაფერი-ყველაფერი, მაგრამ ამ ნათელმხილველს რაღა უნდა?!.“

„მარი, ვიცი, ამ მესიჯს არ დამიბეჭდავ, მაგრამ მაინც გეტყვი. შენი დონის ჟურნალისტი არ უნდა ცდებოდეს მრუში ადამიანების ისტორიის გამომზეურებით. ეგ სიყვარული არაა. ვ.დ“.

„მარი, მე ძალიან მინდა, რომ „გზა“ გაფერადდეს და შენი, ნატას და ზურას პლაკატებით გაივსოს. ელე“.

„მარი, ასე რატომ გვტანჯავ ზურას და ნატალის ფანებს? „აღ გეჩოდებით“, ასეთ საინტერესო ადგილზე რომ წყვეტ „ქოლმე“? „ჩოდოები აღ ვალთ“? ჭინკა“.

„აუ, ზურა არ მევასება. ნატა და სონა მაგრები არიან. ბაჩო მაგარი კაცია. მინდა, რომ ეგ და ნატა ერთად იყვნენ“.

„მარი, ამ სიბოროტით დაბრმავებული ხალხის აზრს არ აჰყვე. ყველამ საკუთარ სულში ჩაიხედეთ და ისე განსაჯეთ ნატალი და ზურა. მათ ბედნიერებას ვუსურვებ. ორივე ძალიან მიყვარს. მარი, ნატალი და ზურა, „გულაკებში“ გენაცვალეთ“.

„ზურას ცოლის ადგილზე რომ ვიყო, ყველაფერში საკუთარ თავს დავადანაშაულებდი. ალბათ, ხათუნა თავის ქმარს ცივად ექცეოდა. იმანაც გადაწყვიტა, რომ სიყვარული და სითბო სხვაგან მოეძებნა. ჰოდა, ამ ძიებაში „განძიც“ მოძებნა. თქვენკენ ვართ, გუგულებო! ვისაც თქვენი საქციელი არ მოსწონს, ჩვენთან ექნებათ საქმე“.

„ნატალი და ზურა, აღარ ვიცი, თქვენზე ვინერვიულო თუ ჩემს კოლოქვიუმებზე: იმის მაგივრად, რომ ვიმეცადინო, ვდგავარ და მარის ვუმესიჯებ“.

„ეჰ, ჩემო ნატალი, მაგრად გაგიმართლა, მაგრამ არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანს შენი და ზურას სიყვარული. მასთან შედარებით, შენ გაცილებით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებ. როგორც ვატყობ, არც მარი სწყალობს ზურას. მასზე ძალიან ცივად წერს, ხოლო ბაჩოს დადებით თვისებებს უფრო ხშირად ახსენებს. ასეა, მარი?.. რატომ არ გიყვარს ზურა?“

„მთელი ყურადღებით ვკითხულობ ნატალისა და ზურას ამბავს. ვერ გეტყვით, რომ ყველაფერი მომწონს, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც კარგი ტიპები არიან. თითქოს ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ზურა თამაშობს და ნატალი არ უყვარს. საინტერესოა, რაში უნდა სჭირდებოდეს? თუ არ თამაშობს, როგორც თვითონ ამბობს, დიდი ხანია, ცოლთან მხოლოდ სხვისი თვალის ასახვევად ცხოვრობს და ოფიციალურად რომ გაშორდეს, ნატალიზე დაქორწინდეს არ უნდა? რა ვიცი, რა ვიცი... ვნახოთ, რა მოხდება შემდგომში“.

„ათენიდან გიმესიჯებთ. ყურადღებით ვკითხულობ ონლაინ-რომანს და ჩემი თავი მახსენდება, იმ განსხვავებით, რომ მე ბერძენ, ცოლშვილიან კაცთან მაქვს რომანი. ძალიან ვუყვარვარ და უზომო პატივს მცემს. მეც მიყვარს, მისმა ბელგიელმა ცოლმა თუ გამიგო, თმით მითრევს, ისეთი გიჟია, მაგრამ რა ვქნა? რისკი — რისკია...“

შეაბი.ge პარალელურ სამყაროში

ქსელში დაწყებული სიყვარულის ამბავი

გაგრძელებებით

დასაწყისი იხ. №35-52('06) - 1('07)

მარი ჯაფარიძე

როგორც წინა ნომერში შეგახსენებთ, 7 იანვარს ნატალის ვესტუმრე და საახალწლო ამბები გამოვკითხე. ვინაიდან, ჯერ-ჯერობით, ჩვენ წყვილის ურთიერთობის ნოემბრის ამბებს მიმოვიხილავთ, მოვლენებს წინ გავუსწრებ და გეტყვით, რომ მათ შორის, ახალი წლის წინა დღეებში სიტუაცია დაიძაბა, რადგან ნატალიმ ამერიკაში წასასვლელი ვიზა მიიღო და მხოლოდ ამის შემდეგ გაუმხილა ზურას: იანვრის ბოლოს სონასთან მივდივარო. ზურა განრისხდა და შეყვარებულებმა საკმაოდ მწვავედ იკამათეს. ეს 20 დეკემბერს მოხდა. მას შემდეგ, რაც გაბრაზებულმა ზურამ ნატალის სახლის კარი გაიჯახუნა და წავიდა, მათ ერთმანეთისთვის არ დაურეკავთ. იმის შესახებ, თუ რას განიცდიდა ნატა, დაწვრილებით მომავალში, ჩვეული სტილით მოგიყვებით. ახლა კი მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ახალი წლის ღამეს ნატალი მარტო იყო. მას სონამ დაურეკა და დღესასწაული მიულოცა, მოგვიანებით კი მეგობარი, ელენკო ესტუმრა... ზურამ თოვლის ბაბუის ხელით საჩუქარი — საკმაოდ ძვირად ღირებული ბეჭედი და ღია ბარათი გამოუგზავნა, რომლის საშუალებითაც ნატალის ხელს სთხოვდა, ხოლო შემდეგ, ღამის 3 საათზე, პასუხის მისაღებად თავად მიაკითხა... მაშინ, როდესაც ნატალისთან სტუმრად ვიყავი, ზურამ დარეკა, მაგრამ ჩემი იქ ყოფნის შესახებ შეიტყო თუ არა, მოსვლა გადაიფიქრა. სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები, რატომაა ზურა ჩემზე განაწყენებული. თუმცა, ალბათ, ერთ მშვენიერ დღეს ამის მიზეზსაც გავიგებ და იმედს ვიტოვებ, რომ ზურას დარწმუნებასაც შევძლებ იმაში, რომ მისთვის და ნატალისთვის მხოლოდ კარგი მინდა... მიუხედავად იმისა, მოსწონს ზურას ეს თუ არა, თხრობას იქიდან განვაგრძობ, როდესაც ნატალიმ მას დაურეკა და ურთიერთობის გარკვევა სცადა.

ნომერი კი ავკრიბე, მაგრამ ვიდრე ზარი გავიდოდა, ტელეფონი გავთიშე და კარგად დავფიქრდი, რომ სათქმელი დამელაგებინა. — რის გამო უნდა ვუსაყვედურო? დავიწყებ იმით, რომ საავადმყოფოდან გუშინწინ გამოვიდა და მხოლოდ ერთხელ მომწერა სამსიტყვიანი მესიჯი, ისიც მას შემდეგ, რაც მე თვითონ შევეხმიანე. ახლა ის თავის ოჯახში მშვიდად გრძნობს თავს; ალბათ, დივანზე წამოწოლილი ტელევიზორს უყურებს, გვერდით ხათუნა უზის და ვინ იცის, იქნებ, ჩემზეც კი ლაპარაკობენ. ბავშვიც იქვე ზის და მეცადინეობს... — ვფიქრობდი და თან, ნათლად წარმოვიდგინე მათი ოჯახური იდილია. გული ლამის გამისკდა. არა, არასოდეს ვყოფილვარ ბოღმიანი და არც ახლა მშურდა, მაგრამ ეს ფიქრები არ დამტანჯავდა, ზურას რომ დაერეკა ჩემთვის და მოვეკითხე; მაშინ აღარ ვიგრძნობდი თავს გამოუსადეგარ ნივთად და მშვიდად ვიქნებოდი. ამ ყველაფრის წარმოდგენამ კიდევ უფრო გამაღიზიანა და ხელახლა ავკრიბე ზურას ტელეფონის ნომერი. ზარი გავიდა, მაგრამ რამდენიმე ზუმერის შემდეგ, გაითიშა. ამან მთლად გამომიყვანა მდგომარეობიდან და სასოწარკვეთილმა აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. ტელეფონი იქვე მივაგდე, ფეხები სავარძელზე ავიკეცე, თავი უკან გადავაგდე და ფიქრებში ჩავიძირე: ნუთუ, საავადმყოფოში მის თვალწინ მომხდარმა ჩემი და ხათუნას შეხვედრამ რაღაც გადაწყვეტილება მიაღებინა? ნეტავ, რას ფიქრობს? რატომ იქცევა ასე?.. ფიქრები ერთმანეთში ირეოდა და ასე მეგონა, თავი გამისკდებოდა. თვალები დავხუჭე და თავი გავაქნიე, თითქოს დაგროვილი ფიქრების გამოყრას ვლამობდი. ისე, ცოტათი მიშველა კიდეც და „დაცარიელებულ“ თავში ახალი აზრი მომივიდა — ძალიან მომინდა, ზურასთვის რაღაც ცუდი გამეკეთებინა, რომ მასაც ისევე სტკენოდა გული, როგორც ახლა მე მტკიოდა. ისევ გავაქნიე თავი და ისევ ახალი აზრი მომივიდა: თუმცა, იმაზე მეტი რაღა უნდა ეტკინოს, გულის შეტევით საავადმყოფოში ხომ მოხვდა-მეთქი, — გავიფიქრე და ბრაზი სიბრალულის გრძნობამ შეცვალა. გამახსენდა ზაფხული, ჩვენი ურთიერთობის სასიამოვნო მომენტები, ბათუმში ჩვენი პირველი შეხვედრა, ღამით არაგვზე წასვლა... ისიც გამახსენდა, ერთხელ რომ ჩამეხუტა და ყელი ყელზე გადამაჭდო, მითხრა: ასე ლეკვები ეხუტებიან ხოლმე ერთმანეთსო. მაშინ გულიანად გამეცინა. მერე, როცა ხუმრობით მეტყოდა — ლეკვები გავაკეთოთო, — უკვე ვიცოდი, რომ კისრით კისერზე უნდა ჩავხუტებოდი. ეს ძალზე სასიამოვნო შეგრძნებაა, ვერაფერი შეედრება იმას, რასაც ასეთ დროს განიცდი. საათობით შემიძლია, მასთან ასე ჩახუტებული ყოფნა. ამაზე რომ ვფიქრობდი, გამეღიმა. თითქოს, სხვა თვალით დავინახე ზურა, წყენამ გამიარა და აღარ მქონდა სურვილი, რომ მისთვის რაიმე მევნო. სამაგიეროდ, მასთან დალაპარაკების სურვილი მომეძალა, მისი ხმის გაგონება უზომოდ მომინდა. მერე გამახსენდა, ტელეფონი რომ გამომირთო და ისევ გავბრაზდი. ხელახლა დავრეკე მასთან იმ მიზნით, რომ მაგრად ვუსაყვედურებდი, ენას წავიმწარებდი და გულს მოვიოხებდი. თუ მისგან უხეშ პასუხს მოვისმენდი, სამუდამოდ ავუკრძალავდი ჩემთან დარეკვას და მასთან ყოველგვარ ურთიერთობას გავწყვეტდი. ამჯერად, ზურამ ჩემს ზარს უპასუხა:

— ნატალი, კარი გააღე, კიბეზე ამოვდივარ. — სრულიად მოულოდნელი იყო ეს პასუხი. წინასწარ მომზადებული ტექსტი დამავიწყდა, წყენამ წამში გამიარა და კარს რომ ვაღებდი, ბედნიერებისგან უკვე თავბრუ მქონდა დახვეული. ღია კარში ზურას კისერზე ჩამოვეკიდე და სიხარულისგან ისე ვჭყლოპინებდი, როგორც პატარა ბავშვი, კანფეტის დანახვისას.

— ნელა, ნელა, არ წამაქციო, — გაღიმებული მომეხვია ზურაც. ასე კისერზე ჩამოკონწიალებული შემომიყვანა დერეფანში, კარი ხელუკუღმა მიკეტა და ჩამიხუტა. ჯერ ლოყა მომადო თავზე, მერე ცხვირი ყურის ძირში „მომიცაცუნა“ და

ჰაერი ღრმად შეისუნთქა. თან, მთელი ძალით მიჭერდა მკლავებს. ვიგრძენი, რომ მოვნატრებოდი. მე ხომ ამის მეტი, არც არაფერი მინდოდა. თავდავიწყებით ვკოცნიდი ზურას და მისი ტუჩებიდან ჩემში თითქოს მაცოცხლებელი ძალა გადმოდიოდა; სიცოცხლის წყურვილით ვივსებოდი და როგორც უწყლობით თავჩაქინდრული ყვავილი ცოცხლდება მორწყვის შემდეგ, სწორედ ასე ვცოცხლდებოდი მეც. კარგა ხნის შემდეგ დავიხსენი მისი მკლავებისგან თავი, ქურთუკი ჩამოვართვი, იქვე, საკიდარზე დავკიდე და ზურას ოთახში შევყევი. გვერდით მივუჯექი და ისევ მივეხუტე.

— ასე მოგენატრე? — ხელი მომხვია და თვალებში ჩამხედა. მის მზერაში სიყვარული დავინახე. არა, არ მომეჩვენა, ნამდვილად დავინახე და ამან უფრო ბედნიერი გამხადა.

— რომ იცოდე, როგორ უნდა გამელანძღე! — არ დავუმალე ჩემი განზრახვა.

— ვიცი, გულმა მიგრძნო, — გაიღიმა ზურამ. — ხომ ვიცი, შენი ამბავი. ალბათ, ბოღმისგან გაიბერე, არა? რატომ ფიქრობ ყოველთვის ცუდს?

— კარგად ვიცნობ თქვენს მოდგმას და იმიტომ... არ იყავი ჩხუბის ღირსი? 2 დღეა, არ გაგხსენებივარ.

— სიურპრიზის მოწყობა მინდოდა.

— ჰოოო... მართლა? პირველად რომ დავრეკე, რატომ არ მიპასუხე? აი, ნამდვილი სიურპრიზი მაშინ იქნებოდა.

— რას აპირებდი?

— მაგას არ გეტყვი. სხვა დროისთვის შევინახავ ჩემს სიურპრიზს. მე შენ გეტყვი და, არ მომეცემა საშუალება თუ რა?

— მაშ კარგი, თუ გინდა, შევეჯიბროთ, ვინ უკეთეს სიურპრიზს მოიფიქრებს.

— სამსახურში იყავი? — თავი ავარიდე პირდაპირ პასუხს.

— დიახ, ვიყავი. — ზურას უხასიათობა არ ეტყობოდა. არადა, თუ სამსახურში იყო, თავისი მანქანის შესახებ სიმართლე უნდა გაეგო. ნეტავ, მანქანაზე რატომ არაფერს ამბობს? — ვფიქრობდი, მაგრამ კითხვის დასმას ვერ ვბედავდი.

— რითი მოხვედი? მანქანის ხმა არ გამიგონია, — ირიბად დავსვი კითხვა.

— ჩემი მანქანით მოვედი და აქვე, ეზოში დავაყენე. — წარბი არ შეუხრია, ისე მიპასუხა. ფანჯარასთან მივედი და გადავიხედე. მისი მანქანა მართლაც იქ იდგა. რომ შემოვბრუნდი, როგორც ჩანს, ძალზე დაბნეული სახე მქონდა.

— შენც გაიგე, უბედური შემთხვევის ამბავი? — მკითხა ზურამ, მაგრამ ხმაზე ეტყობოდა, რომ „უბედური შემთხვევის“ თვითონაც არ სჯეროდა.

— ჰო, გავიგე, გოჩამ მითხრა... უფრო სწორად, მე და ნინოს გვითხრა...

— გუშინ, საავადმყოფოდან რომ გამოვედი და შინ მივედი, მაშინ მითხრა ხათუნამ, მანამდე არ ვიცოდი.

— მანქანას რომ არაფერი ეტყობა?

— საბოლოოდ ვერ დავფარე გაოცება.

— ეს ახალია, დღეს ვიყიდე. ჩემი მანქანის „ტყუპისცალია“. ზურას ყოველთვის ის მანქანა ჰყავს, რომელიც მოსწონს და უნდა. — თავმომწონედ თქვა ბოლო სიტყვები.

— და ქალებიც, არა? — ისევ დავიბოღმე.

— ნატ, გინდა, მანქანა გიყიდო?

— არ მინდა! — ვთქვი კატეგორიული ტონით.

— რატომ? — გაკვირვებისგან წარბები ასწია ზურამ.

— მანქანა რომ მინდოდეს, მეყოლებოდა. შენ ლიკაში ხომ არ გერევი? — გაღიზიანებული ტონით ვთქვი და ფეხზე ავდექი.

— მე მინდოდა, შენთვის მესიამოვნებინა, შენ კი — გეწყინა. ვერასოდეს ვიგებ, რა გინდა. სხვა ქალებისგან განსხვავებული რეაქცია გაქვს ყველაფერზე. — ქვევიდან გაოცებული მზერით ამომხედა.

— მაგალითად, რაზე მაქვს განსხვავებული რეაქცია? — ვკითხე და პასუხის მოლოდინში იქვე, სავარძელში მოვკალათდი.

— როცა გითხარი, ჯვარი დავიწეროთ-მეთქი, უარი მტკიცე. ცოლად გამომყევი-მეთქი, კვლავ უარი მივიღე. მანქანას გიყიდი-მეთქი და გეწყინა. სხვები სამივე წინადადებას სიხარულით შეხვდებოდნენ, შენ კი...

— მე კი ვბრაზობ, არა? — დავასრულე მისი წინადადება — ზურა, სიმართლეს გეტყვი, ამჯერად, როგორც ფსიქოლოგი და არა — როგორც შეყვარებული ქალი. შენ მთელი ცხოვრება არ გიმართლებდა ქალებში. მე ხათუნას არ ვიცნობ, მაგრამ შენგან ვიცი, რომ შეყვარებული იმიტომ მიატოვა და შენ გამოგყვა ცოლად, რომ სოფელში გაზრდილ გოგოს სიმდიდრემ მოსჭრა თვალი. კიდევ ვისაც ვიცნობ, ეს ლიკაა და ისიც, შენგან გამორჩენას ელოდა. დანარჩენი ქალების შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ შენ თავად კარგად ხარ ინფორმირებული და თუ დაფიქრდები, ალბათ, იმასაც მიხვდები, რომ მათი უმეტესობისთვის შენ კარგი, მსუყე „ნაჭერი“ ხარ თუ იყავი, რომლის დათრევაც, დიდი ხნის განმავლობაში „მუცლის ამოყორვას“ ნიშნავს. სარკეში ჩაიხედე და კარგად დააკვირდი შენს თავს. საკმაოდ ლამაზი მამაკაცი ხარ, მიმზიდველი, უნაკლო გარეგნობით, ინტელექტით, თანამდებობით, რომანტიკული ბუნებით, მაგრამ შენი დაკარგვის შემთხვევაში, არც ერთი ქალი არ მოგტირის ისე, როგორც მამაკაცს... ისინი ისე განიცდიან შენს დაკარგვას, როგორც მათხოვარი, რომელმაც შემთხვევით „მსუქანი“ საფულე იპოვა და ვიდრე ფულის დახარჯვას მოასწრებდა, ისევ დაკარგა... სიმართლე ეს არის. — დავამთავრე მონოლოგი და მის რეაქციას დავაკვირდი.

„როცა ხუმრობით მეტყოდა — ლეკვები გავაკეთოოთო, — უკვე ვიცოდი, რომ კისრით კისერზე უნდა ჩავხუტებოდი“

— შენ? შენ რა გინდა? — მკითხა აბსოლუტურად უემოციო გამომეტყველებით.

— იმას ნუ იფიქრებ, რომ ვინმეზე უკეთესი მინდა გამოვჩნდე. კარგად ვიცი, ჩემი და შენი ურთიერთობის მანკიერი მხარე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, თავიდანვე ვხვდებოდი, რა სირთულეებს წავაწყდებოდი, როცა ცოლიან მამაკაცს საყვარლობაზე ვთანხმდებოდი. ჩემი გრძნობა შენ მიმართ მანამდე წარმოიშვა, სანამ გნახავდი. მე შემიყვარდა ვიღაც ზურა, რომლის შესახებ ფაქტობრივად, არაფერი ვიცოდი. ვხედავდი მხოლოდ მის მიერ მოწერილ სიტყვებს და ხარბად ვშთანთქავდი მათ. გამიმართლა, რომ ის გარეგნულად სწორედ შენნაირი აღმოჩნდა. შეხვედრამ მხოლოდ გააღრმავა გრძნობა, მაგრამ მერწმუნე, ვიდრე გნახავდი, მე ყველაზე უარესისთვისაც კი მზად ვიყავი. რა მინდა შენგან? — სითბო, საყვარული და ადგილი შენს გულში...

— ასე ცოტა?

— ეს ცოტაა? — პასუხად ზურამ მხოლოდ მხრები აიჩეჩა. — ზურა, რა გითხრა ხათუნამ, როცა მე პალატიდან გამოვედი?

— ეს ჩემი და მისი საქმეა. ამაზე ლაპარაკი არ მინდა. ნუღარ შემეკითხები, კარგი?

— კარგი, — ამოვიოხრე. — უკვე გვიანია, ხომ არ დავიძინოთ? რჩები?

— არ გინდა, რომ დავრჩე? როგორ ფიქრობ, ახლა რომ გამაგდო, წავალ? — გაიღიმა და წამოდგა.

დილით მხნედ გავიღვიძე. კარგა ხანია, ასე მსუბუქად არ მიგრძნია თავი. შაბათი იყო. სამსახურში არ მივდიოდი და არსად მეჩქარებოდა. ვიფიქრე, რომ ზურა მალე წავიდოდა შინ და მთელი

დღე ჩემთვის დავგეგმე. დილით მაღაზიაში უნდა გამევლო, პალტოს ყიდვა მქონდა გადაწყვეტილი; შემდეგ ქეთინოსთან უნდა წავსულიყავი, საღამოს კი... საღამოსთვის რამეს მოვიფიქრებდი, მაგრამ გეგმები წყალში ჩამეყარა. ზურას ჯერ კიდევ ეძინა, როდესაც სახლის ტელეფონმა დარეკა. ნინო იყო.

— დილა მშვიდობისა, ნატალი. როგორ ხარ?

— კარგად, ნინო, შენ?

— მეც... ბატონი ზურა თქვენთან ბრძანდება?

— ხათუნამ მოგაგზავნა?

— ხათუნამ, ლიკამ, ნანამ, ლანამ, ჟანამ... — ჩამოთვალა სახელები.

— მაშინ ხათუნას, ლიკას, ნანას, ლანას და ჟანას გადაეცი, რომ ბატონ ზურას სძინავს და მისი შეწუხება არ შეიძლება. თანაც, არც ერთის ხმის გაგონება არ სურს...

— რა ბოროტი ხარ, ღმერთო ჩემო... — გაიცინა ნინომ. — ჩემი? არც ჩემი ხმის გაგონება უნდა?

— ნატ, ვინ არის? — როგორც ჩანს, ხმაურზე გაიღვიძა და გამომძახა ზურამ.

— ნინო...

— რა უნდა?

— რა გინდა? — ჩავძახე ყურმილში მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, ნინომ ზურას ნათქვამიც მშვენივრად გაიგონა.

— აბრძანდეს და ტელეფონთან მობრძანდეს...

— აბრძანდი და ტელეფონთან მობრძანდი. — ახლა ზურას გავძახე. ის უკვე საძინებლიდან გამოდიოდა.

საყიდლად მივდივარ და წამომყევი, შენი გემოვნებით შემარჩევინეო. ხედავ? შენ კი ჩემს გემოვნებას არ ითვალისწინებ და როგორც გინდა, ისე დადიხარ და ყიდულობ ყველაფერს. ისწავლე ნინოსგან, როგორ უნდა მოიქცე...

— კარგი, მომავალში გავითვალისწინებ, მაგრამ დამოუკიდებლობას ბავშვობიდან მივეჩვიე...

— დროა, გადაეჩვიო. მოემზადე, ნინოს გავუაროთ და ბარემ, ერთად მოვილევ თქვენ საქმეებს, მერე კი, ჩემს საქმეს მივხედავ.

ერთ საათში მე და ნინო უკვე პალტოებს ვიზომებდით და ზურას წინ მოდელებივით ვტრიალებდით. ერთი პალტო ძალიან მომეწონა და კარგა ხანს ვიზომებდი სარკეში, მაგრამ საბოლოოდ, მაინც უარი ვთქვი, რადგან ვიცოდი, საფასურს ზურა გადაიხდიდა და ნინოსთან მეუხერხულებოდა... ხმამაღლა მხოლოდ ის ვთქვი: აქ ვერაფერი შევარჩიე და ყიდვა სხვა დროისთვის გადავდე-მეთქი. ნინოს პალტოს საფასური ზურამ გადაიხადა და მაღაზია დავტოვეთ. მერე, ნინოს თხოვნით, ზურამ ხინკალზე დაგვპატიჟა. კარგა ხანს ვისხედით რესტორანში და წამოსვლას არც ერთი არ ვჩქარობდით. მე ვუყურებდი ამ შეხმატკბილებულ და-ძმას და გულში სითბო მეღვრებოდა. მზერითაც კი ესმოდათ ერთმანეთის. ერთნაირად ხუმრობდნენ და სიცილიც ერთნაირი ჰქონდათ. ნინო ჩემთან დავპატიჟე. უარი არ უთქვამს. ზურამ ეზოში დაგვტოვა და

„თავიდანვე ვხვდებოდი, რა სირთულეებს წავაწყდებოდი, როცა ცოლიან მამაკაცს საყვარლობაზე ვთანხმდებოდი“

კარგა ხანს ელაპარაკა ნინოს, მაგრამ მარტო „ჰო“ და „არას“ ამბობდა. ბოლოს, — კარგიო, — უთხრა და ყურმილი დაკიდა.

— ნატ, რა უნდა გააკეთო დღეს? — ახლა მე მომიბრუნდა.

— ჯერ მაღაზიაში მივდივარ, მერე ქეთინოსთან, მერე არ ვიცი... — ზუსტი თანმიმდევრობით გავაცანი ჩემი გეგმა.

— მაღაზიაში რა გინდა?

— პალტო უნდა ვიყიდო...

— ოჰ, რა ერთნაირები ხართ ეს ქალები... — სულ წყალში ჩამიყარა გუშინდელი მონოლოგი.

— აშკარად პროგრესს განიცდი... ხედავ, უკვე რა მაგარ დასკვნებს აკეთებ? — გამეცინა.

— იცინე, იცინე... ახლა ნინომ სწორედ მაგაზე დამირეკა — მაღაზიაში პალტოს

საღამომდე დაგვემშვიდობა.

— ნინო, უჩემოდ არ წახვიდე, მოგაკითხავ! — მოგვაძახა, სადარბაზოში შესულებს.

მე და ნინომ კარგა ხანს ვიჭორავეთ. მისგან დაწვრილებით შევიტყე, რაზე ილაპარაკეს ზურამ და ხათუნამ საავადმყოფოში, ჩემი წამოსვლის შემდეგ. თურმე, ხათუნას ეჭვიანობის სცენა მოუწყვია, ზურა კი — გაჩუმებული უსმენდა.

— არასოდეს უეჭვიანია ასე ხათუნას. მან ზურას ყოველი მორიგი რომანის შესახებ ყოველთვის იცოდა, მაგრამ თვალს ხუჭავდა და ყველაფერს უსიტყვოდ ყლაპავდა. ახლა ალბათ, რეალური საფრთხე იგრძნო. — თქვა ნინომ.

— მე მისთვის საფრთხეს არ წარმოვადგენ, ქმარს არ ვართმევ, — ვთქვი ჩუმად.

— მაგას დიდი ხანია, ქმარი არ ჰყავს. ზურა მისი სპონსორია მხოლოდ. ახლა კი ალბათ, სწორედ სპონსორის დაკარგვის ეშინია. როგორც ჩანს, ღირსეული ქალის მეტოქეობას გრძნობს და გაწიწმატდა. ისეთი ამბავი დაუწევია ზურასთვის, რომ თურმე, ექიმები ძლივს აკავებდნენ.

— ამის შესახებ ზურას ჩემთვის ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს.

— ხათუნას წივილ-კივილზე ექიმი რომ შესულა, ახლა მას მისდგომია, რატომ მიეცით უცხო ქალს უფლება, ჩემს ქმართან ღამით დარჩენილიყოო?! ექიმს კი უთქვამს: მე ის ქალბატონი ცოლი მეგონა, რას წარმოვიდგენდი, რომ ცოლი შინ წავიდოდა და აქ მეგობარი დარჩებოდა? არ დავინტერესებულვარ, როგორი ნათესაური ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან თქვენს ქმარსა და იმ სიმპათიურ ქალბატონსო.

— შენ არ შემოგჩივლა?

— მე იმ დღეს დამირეკა, როდესაც შენთან ერთად წამოვედი. გახსოვს, კაფეში რომ შევედით? საღამოს, გოჩამ რომ მიმიყვანა სახლში, ხათუნამაც დარეკა. ტონს აუწია თუ არა, მაშინვე თავისი ადგილი მივუჩინე. შენ კიდევ არ იცი, როგორ მყავს გამოჭერილი. ეს ჩემი და მისი საქმეა მხოლოდ და ნუ გეწყინება, თუ არ მოგიყვები.

— არ მეწყინება, თუმცა, დაახლოებით ვხვდები, რა შეიძლება იყოს...

— ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გამოიტან, ნატალი... — მითხრა და სიგარეტის კოლოფი გამომიწოდა. უარი არ მითქვამს. ერთი ღერი ამოვაძვრე, მოვუკიდე და კვამლი ხარბად ჩავისუნთქე.

— ნეტავ, ხათუნა რომ ბრაზობდა, ზურას სულ არ ამოუღია ხმა? — ვიკითხე სასხვათაშორისოდ...

— მხოლოდ ის ვიცი, რომ ზურა უფლებას არ აძლევდა, რაიმე ეთქვა შენზე. შენს დაცვას ცდილობდა და წყნარად, მშვიდად უსმენდა — ერთმანეთი გვიყვარსო.

— მერჩია, ასე არ ეთქვა.

— რატომ? — გაუკვირდა ნინოს.

— ახლა შესაძლოა, სულ არ გაჩერდეს და გაცილებით მეტი პრობლემა შემიქმნას.

— ეგ შორიდანაა მაგარი, თორემ რატომ შენ ვერ გაგიბედა რაიმეს თქმა? — გაიცინა ნინომ. — დარწმუნებული ვარ, მაგას შენი მისამართიც ზეპირად ეცოდინება, მაგრამ მოსვლას რატომღაც ვერ ბედავს... ისე, რომ მოვიდეს, რას იზამ? — სწორედ ამ დროს, კარზე ზარის ხმა გაისმა. — აი, მგონი, მოვიდა კიდეც... გავაღო? — მკითხა ნინომ და ჩემს პასუხს არც დაელოდა, ისე წავიდა კარის გასაღებად.

— ნატალი, შენ გკითხულობენ! — დამიძახა ერთი წუთის შემდეგ. კართან უხალისოდ მივედი. იქ უცხო მამაკაცი იდგა.

— ნატალი ხართ?

— დიახ, — ვუპასუხე გაკვირვებულმა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ახალ წელთან შეგებება უმეტესობას საკუთარ ჭერქვეშ, ახლობლებისა და ნათესავების გარემოცვაში ურჩევნია, მაგრამ არის შემთხვევები, როცა გაუთვალისწინებელი რამ ხდება და შამპანურის გახსნის მაგივრად, ადამიანი ექსტრემალურ სიტუაციაში ხვდება და ჭიქის ასაწევად სულაც არ სცხელა. ეს ყველაზე მეტად იმ ადამიანებზე ითქმის, რომლებიც თავიანთი პროფესიის გამო, იძულებულნი არიან, ახალი წელი ოჯახების მიღმა გაატარონ. ჩემი რესპონდენტი ყოფილი პოლიციელია. მან შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში 30 წელი გაატარა, როგორც თავად ამბობს, პენსიაზე არა ასაკის, არამედ დიდი, მრგვალი და საყვარელი ღიპის გამო გაუშვეს. მოსაგონარი ძალზე ბევრი რამ აქვს. განსაკუთრებული შემთხვევა ერთხელ, სწორედ ახალი წლის დადგომისას გადახდა თავს და სრულიად დაავიწყა თავად ვინ იყო, სად იმყოფებოდა, რატომ და რას აკეთებდა...

უკვეულო ახალი წელი

ლელა ჭანკოტაძე

ნუგზარ (გახუტა) ჩადუნელი:

— ადამიანის უპირველესი მოვალეობა სხვა ადამიანების დახმარებაა. სიცოცხლის გადასარჩენად ბრძოლა, დამიჯერეთ, უდიდეს ბედნიერებას ანიჭებს ადამიანს... ახალი წლის დადგომისას ხშირად მიმუშავია. ამაში გასაკვირი არაფერია. ისეთი რამეც მომხდარა, როცა ახალი წლის ღამეს ქმარს ცოლი უცემია, კაცს სიდედრი დაუჭრია... ქურდობაც მომხდარა და საშინელი ავტოავარიაც. მაგრამ ჯობს, კარგი გავიხსენოთ... ეს მოხდა 1987 წელს. „ტეკზე“ შეტყობინება მოვიდა, რომ ლურჯი ფერის „07“ საოცარი სისწრაფით მოძრაობდა და საფრთხეს უქმნიდა სხვა მანქანებს. მაშინვე „კანარეიკაში“ ჩავსხედით და როგორც კი აღნიშნული მანქანა გამოჩნდა, უკან დავედევნეთ. არ გვემორჩილებოდა და არ აჩერებდა. მიუხედავად იმისა, რომ ღამე იყო, მაინც ვხედავდით, რომ სალონში უჩვეულო რაღაც ხდებოდა. გვეგონა, კაცი სცემდა გვერდით მჯდომ ქალს. კივილის ხმაც გამოდიოდა... ბოლოს, იგოეთთან მძღოლმა დაამუხრუჭა და ელვის უსწრაფესად გადმოხტა მანქანიდან. ჩვენც გავაჩერეთ და მისკენ გავიქეცით. ახალგაზრდა კაცი, დაახლოებით 25-26 წლის, სახეში ხელებს იშენდა და ყვიროდა: გვიშველეთო! მივხვდი, ქალს რაღაც სჭირდა. შევიხედე სალონში და გავშრი: ორსული ქალი ცრემლად იღვრებოდა და ტკივილებისგან ღრიალებდა. ჩემი მეწყვილე, ბუხუტი ახობაძე კინაღამ გადაირია. ვერც კი მივუახლოვდებიო, — მითხრა. — მაშინ გაფრინდი და „სასწრაფო“ მოიყვანე-მეთქი. — ვუთხარი. „კანარეიკა“ ელვის უსწრაფესად მოსწყდა ადგილს. რა ვქნათო?— მეკითხებოდა ახალგაზრდა ბიჭი. ის ქალის ძმა ყოფილა. ყველანი საქეიფოდ წასულან, სახლში კი სწორედ ეს ბიჭი დაუტოვებიათ ორსული დის საპატრონოდ. „სასწრაფო დახმარება“ არ გამოიძახა, თურმე. არჩია, თავისი მანქანით წაეყვანა ის სამშობიაროში. გზაში ქალს ტკივილები გაუძლიერდა და ადგილამდე ვეღარ მივიდნენ... არ ვიცოდი, რა მექნა, რითი დავხმარებოდი. ის ბიჭიც ბოჩოლასავით მიყურებდა. ქალს მივვარდი, უკან, „სიდენიაზე“ დავაწვინე, ჩემი „ტულუპი“ გავიხადე და გადავაფარე. საკუთარ თავს ვეუბნებოდი: არ აგრძნობინო, რომ გეშინია, პანიკაში არ ჩააგდო, გაამხნევე, მთავარია, გაამხნევო-მეთქი... გავიდა ხუთი წუთი, ათი. „სასწრაფო დახმარება“ არა და არ გამოჩნდა. ქალმა კივილს უმატა, თმა სულ დაიგლიჯა. როგორც იქნა, წამოვაყენე, „ტეკის“ მოსაცდელამდე მივიყვანე და იქ ხის სკამზე დავაწვინე, ბავშვი უკვე იბადებაო, — დაიკვნესა ძალაგამოცლილმა. მივვარდი და წელს ქვემოთ გავხადე. ბედად, ერთი შვილი უკვე ჰყოლია და თვითონ მკარნახობდა, რა უნდა გამეკეთებინა... წვრილმანებს ცხადია, ვერ მოვყვები. იმას კი გეტყვით, როცა ბავშვის თავი დავინახე, ქალს მთელი ძალით მუცელზე დავაწექი, თანაც ისე, რომ პატარისთვის ხელები შემეშვირა. ეს პოზა ალბათ, ჩემი აღმოჩენილია... ახალშობილს ხმა არ ამოუღია — არადა, ვიცოდი, რომ მაშინვე უნდა ატირებულიყო. ისიც მქონდა გაგონილი, ახალშობილს ფეხისგულებში უნდა ურტყა, ხმა რომ ამოაღებინო. ავიტაცე საბრალო ჩვილი და ვაქნიე აქეთ-იქით, პირშიც ჩავბერე... ღმერთმაც მიშველა და როგორც იქნა, აჩხავლდა კიდეც. იცით, როგორი სასაცილო ვიყავი?!. ვერაფერი რომ ვერ მოვიფიქრე, პერანგის ღილები შევიხსენი და ახალშობილი ტანზე მივიხუტე — ვიფიქრე, ჩემი სხეულის სითბოთი გავათბობ-მეთქი... ხუთ წუთში „სასწრაფო დახმარებაც“ მოვიდა. ქალი და ბავშვი თბილისში წამოიყვანეს. მეც გამოვყევი. ექიმს, რომელსაც ჩემი „პაციენტები“ ჩავაბარე, ლიანა ერქვა. ხელი ჩამომართვა და დამელოდეო, მითხრა. გამთენიას იმ ქალის პატრონიც მოვიდა. ქმარი სულ ხმით ტიროდა. ასე ატირებული კაცი არასდროს მენახა... მერე ქალბატონი ლიანაც გამოვიდა და გვითხრა: უკვე საფრთხე აღარ ემუქრებათ, ყველაფერი კარგად არისო. რომელი საათიაო? — იკითხა ვიღაცამ. ხუთის ოცი წუთიო, — იყო პასუხი. ახალი წელი უკვე დადგა-მეთქი? — ვიკითხე: მხოლოდ მაშინ გამახსენდა, რომ ახალი წლის ღამე იყო. მე და ლიანა ექიმმა ერთმანეთს მივულოცეთ და ორივემ ჩვენი პროფესიული მოვალეობის შესრულება გავაგრძელეთ.

მეან-გინეკოლოგისთვის ახალი წლის ღამეს მორიგეობა ჩვეულებრივი ამბავია. როცა ამ წერილისთვის მასალებს ვაგროვებდი, პირველად სწორედ მათ მივაკითხე. აღმოჩნდა, რომ ნებისმიერი ექიმი ერთხელ მაინც შეხვედრია ახალ წელს საოპერაციო მაგიდასთან. განსაკუთრებული რეჟიმით ამ დროს ნეიროქირურგებიც მუშაობენ, რადგან მშობლებისგან უყურადღებოდ დარჩენილი პატარები სამწუხაროდ, ხშირად სერიოზულ ტრავმას იღებენ.

რამდენიმე წლის წინ, საახალწლო დღეებში ნეიროქირურგიის განყოფილებაში მიყოლებით, მოათავსეს 30 ბავშვი, რომლებმაც თავის უმძიმესი ტრავმები მიიღეს. მათ შორის ყველაზე იღბლიანი აღმოჩნდა 4 წლის გიორგი სირბილაძე, რომელიც მშობლებმა აივანზე გაიყვანეს, რათა მისთვის საახალწლო ფეიერვერკით გაკაშკაშებული ცა ეჩვენებინათ. არ ვიცი, რა დაემართათ მშობლებს, როგორ მოადუნეს ყურადღება, მაგრამ ფაქტია, რომ სანამ მამა ჰაერში ისროდა, პატარა გიორგი მეოთხე სართულის აივნიდან გადავარდა. როცა სროლები შეწყდა და ბავშვი მოიკითხეს, მაშინღა მიხვდნენ, რაც მოხდა.

დაზაფრულმა და შეშინებულმა ადამიანებმა ბიჭუნა ასფალტზე იპოვეს — იჯდა და ტიროდა!.. მოხდა სასწაული: საბედნიეროდ, მეორე სართულზე მცხოვრებ, უყურადღებო დიასახლისს, გასაშრობად გაკიდული ძველისძველი „დუბლიონკის“ ჩამოხსნა დავიწყებია, გიორგი სწორედ მას ჩასჭიდებია და ასე გადაირჩინა თავი. მას არანაირი ტრავმა არ აღმოაჩნდა, რადგან რბილად დაეცა ასფალტზე...

ჩვენმა დირექტორმა — გიორგი ჯავახიშვილმა ბავშვი ხელში აიყვანა. ფოტოგრაფმა უთხრა: შეგიძლიათ მოეფეროთო? — კი არ მოვეფერები, ვაკოცებ კიდეცო

მორიგე მეან-გინეკოლოგებისთვის ყველა ახალი წელი უჩვეულოა. მე კი საქართველოს საპატრიარქოს სამშობიარო სახლი იმ ნიშნით გამოვარჩიე, რომ XX საუკუნის პირველი ქართველი სწორედ აქ დაიბადა.

მერი ვახტანგიშვილი, *მეან-გინეკოლოგი:*

— ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დაუვიწყარი ახალი წელი XX საუკუნის დადგომას უკავშირდება. 2001 წლის 1-ელ იანვარს 0.01 წუთზე გაჩნდა პირველი ბავშვი. წინასწარ ვგრძნობდით, რომ ახალი საუკუნის პირველი მოქალაქე ჩვენთან დაიბადებოდა. როცა ფეიერვერკი ისროლეს, გაისმა შეძახილები და ცა ათასფრად აჭრელდა, მე სამშობიარო მაგიდასთან ვიდექი და ვიმეორებდი: ღრმად ისუნთქე, ღრმად... 26 წლის მარინე ექსეულიძეს გოგო გაუჩნდა. პატარა 3 კგ-ს და 150 გ-ს იწონიდა... მყავდა მეორე მშობიარეც — სოფიო ნარგიზაშვილი. ის გარდაბნის რაიონის სოფელ თელეთიდან იყო ჩამოსული. მან 3 კგ და 700 გ წონის ბიჭი 20 წთ-ის შემდეგ გაჩინა. მაშინდელი განცდა არ დამავიწყდება. ჩვენმა დირექტორმა — გიორგი ჯავახიშვილმა ბავშვი ხელში აიყვანა. ფოტოგრაფმა უთხრა: შეგიძლიათ მოეფეროთო? — კი არ მოვეფერები, ვაკოცებ კიდეცო. — უპასუხა ბატონმა გიორგიმ და ლოყაზე აკოცა. სამწუხაროდ, იმ წელს ბატონი გიორგი გარდაიცვალა. ეს საოცარი სურათი კი ჩვენს საავადმყოფოს დარჩა სამახსოვროდ... ჩემს პრაქტიკაში ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა ახალი წლის ღამით მორიგეობა. ფეიერვერკებისა და სროლის ფონზე მშობიარობის მიღებამ დაუვიწყარი განცდები დამიტოვა. 32 წელია, რაც მეან-გინეკოლოგად ვმუშაობ. თავიდან სომხეთში, ლენინაკანში ვმუშაობდი. ღამეში 20-25 ბავშვი იბადებოდა. გახსოვთ ალბათ ის საშინელი მიწისძვრა, რომელიც ლენინაკანსა და სპიტაკს დაატყდა თავს. იმ დროს, ორსული ქალი უნდა გამესინჯა. მუცელზე აპარატი დავადე, ნაყოფის გულისცემა რომ მომესმინა. სწორედ ამ მომენტში შეზანზარდა ყველაფერი. თავი რომ ავწიე, კედლები უკვე გადანგრეული იყო. მესმოდა ყვირილის ხმა: გაიქეცით, მიწისძვრაა!.. სამშობიარო სახლი დაინგრა. გამიმართლა, რადგან შენობის იმ ნაწილში ვიმყოფებოდი, სადაც პარკეტი იყო დაგებული... მიწისძვრის შემდეგ, როგორც კი გავიგე, რომ ჩემი ქმარ-შვილი ცოცხალი გადარჩა, ისევ სამშობიაროს ნანგრევებთან მივედი. იქიდან დასახიჩრებული ადამიანები გამოჰყავდათ და გვამები გამოჰქონდათ. იქვე ქუჩაში კი, რამდენიმე ორსული მშობიარობდა. ორი თვის შემდეგ ახალი წელი დადგა, ცხადია, ყველაზე დაუვიწყარი, ექსტრემალური და ავადმოსაგონარი... ორსართულიან სასადილოს შენობაში მოგვიწყვეს სამშობიარო ბლოკი, დანგრეულ, განადგურებულ ქალაქში ბავშვები იბადებოდნენ... სიცოცხლე გრძელდებოდა. ყოველი ახალშობილი, რომელიც იმ ახალ წელს დაიბადა, სიკვდილზე გამარჯვებას ნიშნავდა.

ბოლოს კი, სრულიად განსხვავებულ ამბავს გთავაზობთ, რომელიც ჩემს რესპონდენტს — ახალგაზრდა მამაკაცს გადახდა (თუ დაატყდა?..) თავს...

— ეს იყო 1999 წელს, 31 დეკემბერს. — ქარელში მეგობართან ვიყავი სტუმრად წასული. ვიქეიფეთ, შევზარხოშდით, ყანწებიც გამოვცალეთ და გამოვთვერით კიდეც. ჯერ მხოლოდ ათი საათი იყო. სანამ ახალი წელი დადგებოდა, შემეძლო, თბილისშიც ჩამოვსულიყავი, მაგრამ მთვრალს ვინ გამომიშვებდა?! საძინებელ ოთახში მომათავსეს და კარიც ჩამიკეტეს: იცოდნენ ჩემი ხასიათი — არ მოვისვენებდი, სანამ არ წამოვიდოდი. ვიფიქრე, ვიფიქრე და ბოლოს, მეორე სართულის ფანჯრიდან გადმოსტომა გადავწყვიტე. ისე ცუდად დავეცი, რომ მეგონა, ფეხი მოვიტეხე. მაინც არ დავწყნარდი და თითქმის ფორთხვით მივედი ტრასამდე. დიდხანს ლოდინი არ დამჭირვებია, წითელმა „ფორდმა“ გამიჩერა. საჭესთან ახალგაზრდა ქალბატონი იჯდა. იმის წარმოდგენამ, რომ თბილისამდე მშვენიერ, ქერათმიან არსებასთან ერთად ვიმგზავრებდი, გული ამიფრთხიალა. მანქანაში რომ ჩავჯექი, მაშინლა შევნიშნე უკანა სავარძელზე მოკალათებული სამი გაპუდრული გოგონა. მიუხედავად იმისა, რომ თავი მისკენ ბოდა და ფეხიც საშინლად მტკიოდა, მაინც ენად გავიკრიფე. შენ ისეთი ყოჩაღი ჩანხარ, ჩვენი დაქალის საქმროდ გამოდგებიო, — მითხრა საჭესთან მჯდომმა. ამან მთლად გადამრია. კიდევ უფრო ავლაპარაკდი, პირიდან სულ ქითინაურები ამომდიოდა. გოგონებიც გახალისდნენ და ბოლოს მითხრეს: გადაწყდა — მაკუნასთან მიგიყვანთ და ამაღამვე დაგაქორწინებთო!.. ეს იდეა დიდად არ მომწონებია, მით უმეტეს, რომ საცოლე მყავდა და ძალიან მიყვარდა, მისთვის ხუმრობითაც არ მინდოდა, მეღალატა. გოგონებმა კი ავისმომასწავებელი ფრაზები მესროლეს: სანამ ადგილამდე მიგიყვანთ, უნდა დავრწმუნდეთ, რომ ნამდვილად კაცი ხარ, აქვე გზის პირას გადავიდეთ და გაიხადეთო... ცივმა ოფლმა დამასხა. მანქანა გაჩერდა, გადმოდი, — თქვა მძღოლმა და სასწრაფოდ გადავიდა. თოვდა. სიცივე ძვალ-რბილში ატანდა. იქნებ, სხვა დროს გამეხადა კიდეც, მაგრამ გული ცუდს მიგრძნობდა, თანაც — საშინლად ყინავდა... ის იყო, უნდა მეთქვა — მორჩით ხუმრობას-მეთქი. — რომ ორმა გოგომ იარაღი მომიშვირა. მაშინ კი შევფიქრიანდი, ერთ-ერთმა, მაგრად რომ შევეშინებინე, ჰაერშიც კი გაისროლა. შეიძლება ბევრმა სიმხდალე დამწამოს, მაგრამ იარაღის ქვეშ კაცს გმირობა დიდად არ მოეთხოვება და მეც გახდა დავიწყე. ერთ-ერთმა ალქაჯმა პიჯაკი გამომგლიჯა და მითხრა — ძირს არ დააგდო, თოვლია და დაგისველდებაო. ისევ მოვტყუვდი: ვიხდიდი და ტანსაცმელს მას ვაწვდიდი. ტრუსის გახდა არ დამანებეს, მაგრამ ნერვებმოშლილმა, უკვე საკუთარი ინიციატივით გავიძვრე და ასე, დედიშობილა დავრჩი ოთხი ალქაჯის პირისპირ. მეგონა, ამით ჩემი ტანჯვა დამთავრდებოდა. მაგრამ მათ მითხრეს — თუ გინდა, ტანსაცმელი დაგიბრუნოთ, სტრიპტიზი იცეკვეო. ამის გაგონებაზე თავზარი დამეცა. იარაღით რაღას შემაშინებდნენ? მოვწყდი ადგილს და მანქანაში გიჟივით ჩავხტი. ალქაჯები ხელს ურტყამდნენ კაპოტს



და მიყვიროდნენ — გადმოდიო!.. მერე, უეცრად წარმოუდგენელი რამ მოხდა. ორი მსუქანი პოლიციელი წამოგვადგა თავზე. მაშინ საპატრულო პოლიცია არ არსებობდა. ჯერ ვიფიქრე, მიშველიან-მეთქი, მაგრამ მერე, კიდევ უფრო შევშინდი. არ ვიცი, გოგონებმა რა უთხრეს, მაგრამ ასეთი ფაქტი მოხდა — ორივემ იარაღი მომიშვირა, მანქანიდან გადამათრიეს და „კანარეიკაში“ ჩამაგდეს. ტრუსი მაინც ჩამაცვით-მეთქი! — ვყვიროდი და თან, ნერვებმოშლილი, არაადამიანურად ვბღაოდი. ეს გასაგებიცაა. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ჩემი მდგომარეობა?! სასოწარკვეთილებისგან ყბა ისე მიკანკალებდა, რომ ლაპარაკს ვეღარ ვახერხებდი. მილიციელები მიყვიროდნენ: ფუ, შენს კაცობას, ნახავ, ზონაში რას უშვრებიან შენნაირებსო!.. შიში კიდევ უფრო გამიძლიერდა, როცა ერთმა მეორეს გადაულაპარაკა: ნახე, რა ნაზი გოგოსავითაა, როგორი მაღალი თეძოები აქვსო... ვიფიქრე, რომელიმე მათგანი ცისფერი თუა, დამთავრდა ჩემი ტარიელობა-მეთქი... თბილისში შემოვედით. მანქანამ გეზი საბურთალოსკენ აიღო. სად მივდივართ-მეთქი?! ვიკითხე, უკვე ნერვიულობისგან სასომიხდილმა, — შენი ადგილი „ფსიხუშკაშია“, მაგრამ ჩვენ შეგიბრალებთ და ნარკოლოგიურში მიგიყვანთო. — ჩამაცვით, რამე ჩამაცვით, მცივა-მეთქი! ამოვიხრიალე. ყური არავინ მათხოვა. ორიოდე წუთში კი თქვეს: მოვედით. აბა, ვაუკაცო, გადმოდი, ახლა გამოჩნდება, როგორი ტარიელიც ხარო... არ გადმოვდიოდი. მხოლოდ ვბღაოდი და ვგრძნობდი, რომ ჭკუიდან გადავდიოდი. დამესივნენ, გამკოჭეს, პლედში გამახვიეს და ერთ-ერთმა ზურგზეც მომიგდო. სულ რაღაც ერთ წუთში კი დაიძახეს — ესეც სიძეო! — და იატაკზე დამაგდეს. ატყდა სიცილი, შეძახილები... დაფეთებულმა აქეთ-იქით გავიხედე. თურმე, შეშინებულმა, ნარკოლოგიურის ეზო ჩემი საცოლის ეზოსგან ვერ გავარჩიე... ის ოთხი ალქაჯიც იქვე იდგა. ჩემი საცოლე დაიხარა და პლედი კიდევ უფრო მეტად შემომახვია. გაგეხუმრეთ, საყვარელო, ხომ არ გეწყინაო? — ჩამჩურჩულა ტკბილი ხმით. — კი არ გავეხუმრეთ, ვაჩვენეთ, რა შეუძლიათ გორგაძეებს, თუ ჩვენს ქალს წესიერად და კაცურად არ მოექცევაო! — თქვა ჩემმა სასიმამრომ და გადაიხარხარა. შევყურებდი მათ და ვფიქრობდი: განა შეიძლებოდა, მათი გვარის ქალის ცოლად შერთვა?! მაგრამ თეონა ისეთი სიყვარულით სავსე თვალებით შემომყურებდა, ისეთი მშვენიერი და სასურველი იყო, რომ მასზე უარის თქმა არაფრით შეიძლებოდა... ის ალქაჯები — ახლა ჩემი ცოლის ბიძაშვილები კი, — დღემდე ამბობენ, რომ თავი ღირსეულად მეჭირა... ახალი წელი?.. ვიღას გაახსენდა ახალი წელი?! აზრზე რომ მოვედი, ჩავიცვი და სუფრას მივუჯექი, უკვე თენდებოდა... დღემდე არ ვამხელ, თორემ, მაშინ მართლა მაგრად შევშინდი და ვიფიქრე: თუ ჩემს მამაკაცობას ჩრდილი მიადგება, თავს არ ვიცოცხლებ-მეთქი...

■

revoluciuri gamotanili ganaCeni

qartexiliT sastiki

გივი ზალდასტანიშვილის ცხოვრების დღეები

რვა ათეულ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ეს თემა დღესაც არ კარგავს აქტუალობას, რადგან საქართველოს დღემდე უბრუნდებიან გასული საუკუნის დასაწყისში ქვეყნიდან ემიგრირებული ქართველები.

მაშინ მათი ბედი პოლიტიკამ გადაწყვიტა... განაჩენი უსასტიკესი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც იმ იმედით ტოვებდნენ სამშობლოს, რომ აუცილებლად შეძლებდნენ უკან დაბრუნებას...

ირმა ახალაია

აშშ-ის პირველ ლედისთან ერთად, მისივე სამახსოვრო წარწერით: „გივი ზალდასტანიშვილს საუკეთესო სურვილებით ლორა ბუში“.

გივი ზალდასტანიშვილი მაშინ მხოლოდ 5 წლის იყო, როდესაც ოჯახთან ერთად საქართველო დატოვა, მაგრამ მის ბავშვურ ცნობიერებას განსაკუთრებულად დაამახსოვრდა იმდღევანდელი განცდები: „მაშინ მე მხოლოდ ხუთი წლის ვიყავი, მაგრამ დამიჯერეთ, მართლაც მახსოვს ის დღე და არა მარტო ის დღე, არამედ აქ გატარებული ეპიზოდები; ხშირად უკვირთ, როდესაც აღვნიშნავ, 4-5 წლის ასაკში თავს გადახდენილი გარკვეული ამბები და სურათები მახსოვს-მეთქი. თუ 62-წლიანი განშორების შემდეგ ჩემი სახლი ვიცანი, ეს ხომ ნიშნავს იმას, რომ მე მართლაც, დამამახსოვრდა ბევრი რამ.

იმ დღეს დედას — მარიამ ხირსელს ხელჩაკიდებული მივყავდით მე და ჩემი ძმა — ოთარი. ბათუმამდე ბიძებმა — დედაჩემის ძმებმა გაგვაცილეს. ზღვამ ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. ვგრძნობდი, რომ რაღაც უჩვეულო ხდებოდა, მაგრამ ვერ ვაცნობიერებდი, რატომ იყო ამდენი დარდი, ცრემლი და ტკივილიანი განშორება. მაშინ არც კი ვიცოდი, რა ხდებოდა, რატომ და სად მივდიოდით. ჯერ გემით, შემდგომ — მატარებლით მგზავრობა საშინლად მომქანცველი აღმოჩნდა, მაგრამ ყველაზე დიდი ბედნიერება მაშინ განვიცადე, როდესაც პარიზის სადგურზე მამას მოვკარი თვალი. თითქოს, ყველა განცდა და ტკივილი ერთბაშად დამიამდა“.

რისთვის დაისაჯა სოლომონ ზალდასტანიშვილის ოჯახი?

სწორედ სოლომონ ზალდასტანიშვილის პოლიტიკურმა მოღვაწეობამ გადაწყვიტა მისი ოჯახის ბედი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის და „საქართველოს სამხედრო კომისიის“ წევრი, თანამოაზრეებთან ერთად, საბჭოთა ოკუპანტების წინააღმდეგ აჯანყებებს ამზადებდა. დააპატიმრეს მისი ორივე ძმა, სასტიკი კონტროლის ქვეშ მოაქციეს სოლომონის მეუღლე — მარიამ ხირსელი.

სოლომონ ზალდასტანიშვილი არა მარტო ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამოაზრე და თანამებრძოლი იყო, არამედ მათ ერთმანეთთან ნათელ-მირონიც აკავშირებდათ. მოგვიანებით, როდესაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი სიცოცხლეს ეთხოვებოდა, უკანასკნელად იხმო სარეცელთან გივი და მისი ძმა — ოთარი, მიუალერსა და ანდერძად დაუტოვა, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, ქვეყნისა და საკუთარ სახელს განსაკუთრებულად გაჰფრთხილებოდნენ, მამულის, ენისა და რწმენის ერთგულები დარჩენილიყვნენ სამუდამოდ.

ალბათ, სწორედ ამ ანდერძმა, გენეტიკურ-

შვილიშვილთან ერთად

მა სწრაფვამ და ქართველობის განსაკუთრებულმა განცდამ განაპირობა, რომ გივი ზალდასტანიშვილი 62 წლის შემდეგ, საქართველოში დაბრუნდა, ჯერ — დროებით, ბოლოს კი — სამი წლის წინ, სამშობლოში უკვე საბოლოოდ დამკვიდრდა.

პარიზში გატარებული წლები და... როგორ მიმართა თანამემამულეს ედუარდ შევარდნაძემ

ემიგრირებული ოჯახისთვის საფრანგეთ-

ში დამკვიდრება არცთუ ისე იოლი აღმოჩნდა. ისინი მაინც არ კარგავდნენ იმის იმედს, რომ აუცილებლად შეძლებდნენ სამშობლოში დაბრუნებას. გივი ზალდასტანიშვილმა მთელი ბავშვობა იმ ადამიანების გარემოცვაში გაატარა, რომლებიც მას ხშირად ახსენებდნენ, რომ საქართველო და ქართველობა განსაკუთრებული ცნებებია: ალბათ, ამიტომაც ვერ წაშალა 5 წლის ბავშვის ცნობიერებიდან სამშობლოში ნანახი და განცდილი დღეები.

საფრანგეთში დამკვიდრებული თითოეული ქართველის ცხოვრება საოცრად ჰგავდა ქართული ფილმის — „ფესვების“ სცენარს: „თავიდან, ჩვენი ოჯახი მაწვნის გაყიდვით ირჩენდა თავს. დედა კერავდა. ცოტა ხანში, მამამ ნასესხები ფულით ტაქსი შეიძინა და თავდაუზოგავად შრომობდა. ძალიან გვიჭირდა, სკოლაში რომ შემიყვანეს, ენაც კი არ ვიცოდი. ფრანგული მალე შევისწავლე, მაგრამ რუსული ენა შემძულდა. თითქოს, ჩვენი ამ მდგომარეობაში ყოფნის გარკვეული მიზეზი, ეს ენაც იყო“. გივი ზალდასტანიშვილს ამასთან დაკავშირებით, ერთი ეპიზოდი დაამახსოვრდა განსაკუთრებით მტკივნეულად. ამერიკაში მისი ყოფნის პერიოდში, ამ ქვეყანას საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, ედუარდ შევარდნაძე ეწვია. ბატონ გივის ახსოვს, მისალმების დროს როგორ განიცადა, როდესაც თანამემამულემ მას რუსულ ენაზე მიმართა...

მისთვის დაუვიწყარია ქაქუცა ჩოლოყაშვილის, ნოე ჟორდანიას, ევგენი გეგეჭკორის, აკაკი ჩხენკელის, ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით გატარებული დღეები. განსაკუთრებულად აოცებდა და აღაფრთოვანებდა „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის“ — ექვთიმე თაყაიშვილის თავგანწირვა, რომელიც მან ეროვნული განძის მიმართ გამოიჩინა.

ჯონ-მალხაზ შალიკაშვილთან ერთად

პარიზიდან – ამერიკაში

პარიზული ცხოვრება ამერიკულმა ცხოვრებამ შეცვალა. 1947 წელს ოჯახმა გადაწყვეტილება მიიღო და გივი ზალდასტანიშვილი დედასთან ერთად ამერიკაში გაემგზავრა, სადაც მათ, მანამდე უკვე წასული ოთარი ელოდებოდა. შემდეგ იყო სწავლა ჰარვარდის უნივერსიტეტში და უამრავი წარმატება. ბატონი გივი ჰარვარდის უნივერსიტეტის მმართველობის წევრად გახლდათ არჩეული და დღემდე ირიცხება: ნიუ-იორკისა და ბოსტონის „ჰარვარდის კლუბების“ წევრად, ბოსტონის სომერსეტის კლუბისა და პარიზის საერთაშორისო კლუბის წევრად. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბევრ წარჩინებულ ამერიკელთან. მიუხედავად ამისა, მისი ფიქრი და ოცნება ისევ და ისევ, საქართველოს დასტრიალებდა.

გივი ზალდასტანიშვილმა ამერიკაში თავისი ცხოვრების თანამგზავრი იპოვა. მერედიტ ფაულერმა შესანიშნავად იცოდა, თუ რას ნიშნავდა და რა იყო მისი მეუღლისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და შვილებიც სწორედ ამ სულისკვეთებით აღზარდა. ნიკოლოზს, თამარს და ნინოს, რომლებსაც საქართველო არასოდეს ენახათ, შესანიშნავად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ მათი ფესვები საქართველოში იყო. სამშობლოში პირველი ჩამოსვლისას, ნიკოლოზ ზალდასტანიშვილმა თქვა: „უდიდეს სიხარულს განვიცდი, აქ რომ ვიმყოფები, ჩემი წინაპრების მიწაზე, რომელთანაც ბევრი რამ მაკავშირებს“.

სამოცდაორწლიანი განშორების შემდეგ

1987 წელს გივი ზალდასტანიშვილი საქართველოში ჩამოვიდა. „სამშობლოდან ჩემი წასვლისა და აქ დაბრუნების განცდა, ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული ეპიზოდებია. უცხოეთში წუთიც, წამიც არ ყოფილა ისეთი, რომ საქართველოზე არ მეფიქრა. ყოველთვის მჯეროდა, რომ სამშობლოში დაბრუნებას შევძლებდი“.

საქართველოში ჩამოსული, ისევ საქართველოზე ფიქრით იყო დაკავებული. „ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი სიმდიდრე და განძი ქართული ჭკუაა. სწორედ ამას უნდა მოვუაროთ, ამას უნდა მივხედოთ“, — მტკიცედ დაისახა მიზნად და მთელ ძალებს ამ კეთილშობილურ საქმეს ახმარს: მისი თაოსნობით, ასობით ქართველი ახალგაზრდა ამერიკაში სასწავლებლად გაემგზავრა. თითოეულ მათგანს უმთავრესი პირობა ჰქონდა წაყენებული გივი ზალდასტანიშვილისგან — ცოდნით აღჭურვილები, ისინი აუცილებლად საქართველოში უნდა დაბრუნებულიყვნენ!.. თავად, 15 წლის მანძილზე კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა სასწავლებელში. გადაწყვიტა — საქართველოში ამერიკული სკოლა უნდა გახსნილიყო და ამისათვის ძალისხმევა არ დაუშურებია. „ამერიკული აკადემია თბილისში“ — ეს იყო მისი ძღვენი საკუთარი ხალხისა და ქვეყნისადმი.

მძიმე ჯვალის შედეგი და უცნაური სურვილი

წლების მანძილზე დაგროვილმა დარდმა და განცდებმა სავალალო დაღი დააჩნია მის ჯანმრთელობას: ამერიკაში გამგზავრებულს, მოულოდნელად ინსულტი დაემართა და ბოსტონის საავადმყოფოში დააწვინეს. მძიმე სენის შედეგად ხელ-ფეხი წაერთვა და თითქმის დაკარგა მეტყველების უნარი. ამ მდგომარეობაში მყოფმა, ყველა გააოცა უცნაური სურვილით — საქართველოში უნდა წავიდეო, — მტკიცედ გადაწყვიტა და ვერავინ შეძლო მისთვის წინააღმდეგობის გაწევა. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, სამშობლოში ჩამოსულს სასწაულებრივი გამოკეთება დაეტყო.

გივი ზალდასტანიშვილი საქართველოს დაუბრუნდა. მას სხვაგვარად არც შეეძლო. ამაზე ხომ მთელი ცხოვრება ოცნებობდა ისევე, როგორც მისი ხვედრის მქონე სხვა თანამემამულენი, რომლებსაც რევოლუციურმა ქარტეხილმა სასტიკი განაჩენი გამოუტანა. ■

ქალიშვილთან ერთად, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტის საქართველოში დაბრუნების დღეს

„ერიოვნი" ქეთი ცვყოთვრ ქორწილში
ილოგვნცოურ ყვბვს ჩვიცვვმც

„მზითვში" წავიყვან ჩემს შვილს, საყვარელ ბებოს და ავტომანქანას"...

მომხიბვლელი ქეთი ყიფშიძის სამოდელო კარიერაში დიდი წინსვლაა — მან ლონდონის ერთ-ერთ სააგენტოსთან ხელშეკრულება გააფორმა. ქეთის თაყვანისმცემლებს საშუალება გეძლევათ, თავი მოაწონოთ, მასზე ინფორმაციას კი — თუ როგორი მამაკაცები მოსწონს, როგორ უნდა მოაწონოთ თავი, რომ მისი გული მოინადირეთ და რას მოითხოვს საყვარელი მამაკაცისგან, — ქეთის ინტერვიუდან შეიტყობთ.

სოფო ჭონიშვილი

— ქეთი, შენი ოჯახი გაგვაცანი.

— ამჟამად, ბებიასთან და დასთან ერთად ვცხოვრობ. 5 წელი მე და ჩემი შვილი მარტო ვცხოვრობდით. ბოლო პერიოდში ძირითადად, საზღვარგარეთ მიწევს ყოფნა, ამიტომ გადავწყვიტე, რომ საცხოვრებლად ბებოსთან გადავსულიყავი. დედ-მამა დიდი ხანია, გარდამეცვალა. ოჯახში სრული მატრიარქატი სუფევს. მამაკაცს ოჯახში, როგორ შევეგუები, ვერ გეტყვით: ძალიან პატარა ვიყავი, როცა მამა დამეღუპა. თითქმის მთელი ცხოვრება ოჯახში მხოლოდ ქალები ვიყავით, ასეთი გამოთქმაც გამიგონია: უმამოდ გაზრდილი ქალი ოჯახში შესაშვები არ არისო (*იცინის*)...

— ჰოროსკოპით ვინ ხარ?

— მშვილდოსანი.

— რამდენი წლის ხარ?

— დეკემბერში, 25 წლის გავხდი.

— შენი თავი დაგვიხასიათე...

— (*იცინის*) მოდი, ჯერ დადებით თვისებებს ჩამოვთვლი. პირველი, რასაც ჩემს საუკეთესო თვისებად მივიჩნევ, არის ის, რომ ძალიან კაცთმოყვარე ვარ, ვცდილობ, ადამიანში ყოველთვის კარგი დავინახო. შეიძლება, ყველასთან არაჩვეულებრივად კარგი ურთიერთობა არ მქონდეს, მაგრამ ცუდს არასდროს არავის გავუკეთებ... კიდევ, კარგ თვისებად, მიზანდასახულობას მივიჩნევ: როცა რაღაცის გაკეთებას მოვინდომებ, მოსვენებას ვკარგავ, სანამ მიზანს არ მივაღწევ. მოკლედ, „ჟილკიანი" ადამიანი ვარ. ცუდი კი, ის არის — როცა მიზნისკენ მივისწრაფვი, შეიძლება, ვიღაცას უნებლიეთ გულიც კი ვატკინო. იმ მომენტში ამას ვერ ვაცნობიერებ, შემდეგ კი ვნანობ, მაგრამ... საშინელი ნაკლი, რაც მაქვს — სიზარმაცეა. რაც ცხოვრებაში ყოველთვის უკან მხევს. ძალიან მიყვარს საქმის გადადება, იმას, რაც შემიძლია, დღეს გავაკეთო, აუცილებლად ხვალისთვის გადავდებ.

როცა მიზნისკენ მივისწრაფვი, შეიძლება, ვიღაცას უნებლიეთ გულიც კი ვატკინო

— ჯიუტი ხარ?

— საერთოდ, ჯიუტი არ ვიყავი, მაგრამ ბოლო დროს მივხვდი, რომ აუცილებელია, საკუთარი პრინციპები გქონდეს და შესაბამისად, იცავდე კიდეც. ვფიქრობ, ადამიანმა, ისე უნდა იცხოვრო, როგორც შენ გინდა, ისე უნდა მოიქცე, როგორც შენ მოგწონს. არ ვამბობ იმას, რომ სხვისი აზრი არ უნდა გაითვალისწინო...

— ხშირად ბრაზდები?

— არა. ძალიან იშვიათად ვბრაზდები.

— როგორ გამოხატავ გაბრაზებას?

— ისტერიკაში არასოდეს ვვარდები. საერთოდ, როცა ვსვამ, აგრესიული ვხდები და შესაბამისად, იოლადაც ვბრაზდები. ხომ იცი — მთვრალი, შარიანი კაცები რომ არიან, მიზეზს რომ ეძებენ საჩხუბრად. აი, ზუსტად ასეთ „პონტში" ვარ ხოლმე, როცა ვსვამ...

— ხშირად ტირი?

— ცხოვრებაში ძალზე ბევრი ცუდი რამ მაქვს ნანახი, ყველაზე დიდი ტკივილი კი, მშობლების დაღუპვა იყო. ყოველივე ამის შემდეგ, ჩემს ცხოვრებაში ისეთი რა უნდა მოხდეს, რომ ვიტირო?! არ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც რაღაც სისულელეების გამო ტრიან. ერთი მეგობარი გოგო შეყვარებულს დაშორდა, საშინელ დეპრესიაშია, ტირის... მოკლედ, ჭკუაზე არ არის. ვერ შევაგნებინე, რომ ცხოვრებაში უფრო საშინელი რაღაცებიც ხდება; ღმერთმა არ შეგახვედროს, თორემ, ამ ყველაფერზე გაგეცინება-მეთქი.

— შენ რომ საყვარელმა მამაკაცმა მიგატოვოს, არ იტირებ?

— (*იცინის*) კი, მიტირია, როგორ — არა, პირადულის გამო, მაგრამ დეპრესიაში არასოდეს ჩავვარდნილვარ. შეიძლება, ცრემლი უნებლიეთ წამომივიდეს — უბრალოდ იმიტომ, რომ საკუთარი თავი შემეცოდოს.

— ტყუილის თქმა თუ გიყვარს?

— კი (*იცინის*), სამწუხაროდ, ტყუილის თქმა, ხშირად მიწევს. ვაიმე!.. რაღაც ბევრი ნაკლი მაქვს, არა (*იცინის*)?! ცხოვრებაში, ხანდახან ხდება ისე, რომ ტყუილის თქმა გიწევს, მაგრამ მთავარია, რომ ჩემი ტყუილით ზიანს არავის ვაყენებ.

— საყვარელ ადამიანს რას ვერ აპატიებ?

— პირველ რიგში, უპატივცემულობას. საყვარელ ადამიანში მაინცდამაინც მამაკაცს არ ვგულისხმობ. შეიძლება ყველას არ მოსწონდე, არ უყვარდე, მაგრამ ჩემ ირგვლივ მყოფი ადამიანებისგან უპატივცემულობას ნამდვილად არ ვიმსახურებ, იმიტომ, რომ მათ მიმართ ყოველთვის ყურადღებიანი ვარ. იმავეს მოვითხოვ მათგანაც. არ მიყვარს „ჟმოტი" ადამიანები, განსაკუთრებით — მამაკაცები. მე თვითონ ხელგაშლილი ადამიანი ვარ, არავისთვის არაფერი მენანება!

— ამჟამად შენი გული თავისუფალია?

— ამჟამად, ჩიტივით თავისუფალი ვარ. არ მინდა, ასე ვიყო, მაგრამ...

— საოჯახო საქმეები თუ გეხერხება?

— ჩემს ოჯახში მამაკაცის ფუნქციას ვასრულებ — ანუ ოჯახს ვარჩენ. მთელი დღის ნამუშევარი მამაკაცი რომ მიდის შინ, დაღლილი, და საყვარელი მეუღლე თავს რომ დასტრიალებს — აბა, ჭამე, დალიე და ა.შ. — ზუსტად ასეთი დამოკიდებულებაა ჩემს სახლში ჩემ მიმართ: საჭმელსაც მიმზადებენ, ყავასაც მიდუღებენ და ყველაფერს მიკეთებენ, რაც მჭირდება. საოჯახო საქმეებიდან არაფერი მეხერხება, მაგრამ თუ დამჭირდება, ყველაფერს ისე კარგად გავაკეთებ, რომ ვერავინ შემედრება. ჩემს ოჯახში იციან, რომ გარეთ ძალიან ბევრ საქმეს ვაკეთებ, ამიტომ საოჯახო საქმეებით აღარ მტვირთავენ. როცა გავთხოვდები, ქმარს მშიერს არ მოვკლავ, კვერცხს და კარტოფილს შევუწვავ. ჩახოხბილების და ასეთი რაღაცების გაკეთება ჯერ-ჯერობით არ ვიცი. თუ დამჭირდება, აუცილებლად ვისწავლი.

— როგორ უნდა მოიქცეს მა-

მაკაცი, შენი გული რომ მოიგოს?

— ცხოვრებაში ძალიან ბევრი, ერთმანეთისგან განსხვავებული ადამიანი მომწონებია, მაგრამ მთავარი კრიტერიუმი, რომლითაც მამაკაცის შეფასებისას ვხელმძღვანელობ, ის არის, რომ ასაკით ჩემზე უფროსი — დახვეწილი და განათლებული უნდა იყოს. ვგიჟდები ისეთ მამაკაცებზე, რომლებმაც ქალის ფასი იციან, ვისთან ერთადაც, თავს კომფორტულად გრძნობ. შეიძლება, საყვარელი ადამიანი ყოველთვის გვერდით არ გყავდეს, მაგრამ მის ყურადღებას მაინც გრძნობდე. ერთხელ, მე და ალანა გაგლოევა შარდენ ბარში ვისხედით. ერთმა ჩემმა მეგობარმა დამირეკა, უნდოდა, მოსულიყო, მაგრამ ვერ მოახერხა. ცოტა ხანში, ჩვენს მაგიდასთან უცხო ადამიანმა, მისგან გამოგზავნილი ვარდების დიდი თაიგული გადმომცა, ფულიც გადაგვიხადა და წავიდა. ასეთი რაღაცები გოგონებს ძალიან გვსიამოვნებს... მთავარია, მამაკაცი არ თამაშობდეს. არ მიყვარს სიყალბე და ორგულობა.

— შენი რჩეულის მატერიალური მდგომარეობით თუ დაინტერესდები?

— სიმართლე რომ გითხრათ, ადამიანის მიმართ პატივისცემასა და სიმპათიას ფულით არ განვსაზღვრავ. მყავს მეგობრები, რომელთა ნაწილი მდიდარია, ნაწილს კი ძალიან უჭირს. ცხოვრებაში მთავარი ფული და სიმდიდრე ნამდვილად არ არის. მამაკაცს, რომელიც ჩემ გვერდით იქნება, უნდა ჰქონდეს იმის საშუალება, რომ თუნდაც, ელემენტარული რაღაცებით მასიამოვნოს. თუკი მე — გოგო, რომელსაც გვერდით არავინ ჰყავს — მარტო ვახერხებ იმას, რომ ოჯახი ვარჩინო, რატომ ვერ უნდა შეძლოს ეს მამაკაცმა?!. ჩემ გვერდით ვერ ავიტან ისეთ კაცს, რომლისთვისაც სულერთი იქნება, როგორ იცხოვრებს მისი ოჯახი. ცხოვრებაში ისეც ხდება, რომ ზოგჯერ ბევრი გაქვს, ზოგჯერ — სულ არ გაქვს. მთავარია, ისეთი ტიპი იყოს, რომ ცხოვრების შნო ჰქონდეს.

— ქეთი, შეგიძლია გვითხრა, რა იყო ქმართან შენი გაყრის მიზეზი?

— 13 წლის ვიყავი, როცა ჩემი ყოფილი ქმარი გავიცანი, 17 წლისა, უკვე გავთხოვდი. გამოდის, რომ მის ხელში გავიზარდე. ვერ ვიტყვი, რომ ის ცუდი ადამიანი იყო, უფრო მეტიც — შეიძლება, ვიღაცისთვის იდეალური მეუღლეც კი იყოს. ერთმანეთს ვერ ვუგებდით, სულ უმნიშვნელო წვრილმანზეც კი განსხვავებული აზრი გვქონდა. როცა ოჯახში სულ კამათი და ჩხუბია, იქ უკვე სიყვარულიც ქრება. 17 წლის ბავშვი ოჯახს რომ ქმნი, ამ ყველაფერზე ვერ ფიქრობ, ყველაფერს ნათელ ფერებში ხედავ; როცა წლები გემატება, უკვე ხვდები, რომ არცთუ ისეთი ნათელი ყოფილა ყველაფერი, როგორიც წარმოგედგინა. მინდა გითხრა, რომ ახლა ერთმანეთთან ფანტასტიკური ურთიერთობა გვაქვს, როცა საზღვარგარეთ მივდივარ, მისთვის საჩუქრებიც კი ჩამომაქვს ხოლმე.

— ქეთი, როგორ უყურებ ბოიფრენდ-გელფრენდის ინსტიტუტს?

— ბოიფრენდ-გელფრენდის ინსტიტუტი რამდენად კარგია, ვერ გეტყვი. ვფიქრობ, რომ დადებითიც აქვს და უარყოფითიც.

როცა ოჯახში სულ კამათი და ჩხუბია, იქ უკვე სიყვარულიც ქრება

საერთოდ, ყველაფერს რელიგიიდან გამომდინარე ვუყურებ. ეკლესიურად კი ეს, რა თქმა უნდა, მიუღებელია. კარგია იმ მხრივ, რომ როცა ადამიანთან წლების განმავლობაში ცხოვრობ და შემდეგ იღებ გადაწყვეტილებას, ამ შემთხვევაში შექმნილი ოჯახი უფრო მყარია: იმ ადამიანს უკვე ყველანაირად იცნობ. მაგრამ საქართველოში ეს მიუღებელია. ამ ბოლო დროს, ცოტ-ცოტა, ვითომ შემოვიდა, მაგრამ... მაინც ქართველები ვართ...

— შენი ქორწილი როგორი წარმოგიდგენია?

— პომპეზური — არა. დაახლოებით 100-კაციანი. ძალიან ლამაზი, ელეგანტური კაბა მეცმევა.

— საქორწინო კაბას არ ჩაიცვამ?

— (*იცინის*) რა ვიცი, აბა! გააჩნია, ვინ იქნება ჩემი რჩეული.

— ბედისწერის თუ გჯერა?

— კი, თან — ძალიან. თუმცა, არც იმას უარვყოფ, რომ საკუთარ ბედს ადამიანი თვითონ ქმნის. ყოველთვის, როცა რაღაცას ვაკეთებ, ვფიქრობ, რომ ამით უფლის წინაშე პირნათელი უნდა ვიყო და ჩადენილის გამო არ დავისაჯო.

— ოდესმე მკითხავთან თუ ყოფილხარ?

— არ ვყოფილვარ და არც არასდროს წავალ. ისედაც ძალიან ბევრი ცოდვა მაქვს, კიდევ რომ არ მივუმატო. ერთხელ, ბავშვობაში, სოფელში ვისვენებდი და ბავშვებმა სარკეში, საბედოს დასანახავად ჩავიხედეთ. ვიცოდი, რომ ცოდვას ჩავდიოდი, მაგრამ მაინც ჩავიხედე... მეორე დღეს გავიგე, რომ იმ საღამოს, დედაჩემი ძალზე ცუდად გამხდარა და საავადმყოფოში წაუყვანიათ. ღმერთმა ეს ცოდვა არ მაპატია...

მთავარია, მამაკაცი არ თამაშობდეს. არ მიყვარს სიყალბე და ორგულობა

— როცა გათხოვდები, დედამთილს და მამამთილს „დედას“- და „მამას“ დაუძახებ?

— ჩემთვის ეს პრობლემას ნამდვილად არ წარმოადგენს. ჩემს ყოფილ დედამთილს და მამამთილს ასე მივმართავდი. ზოგს საკუთარი დედ-მამა არ ჰყავს ისეთი, როგორი დედამთილ-მამამთილიც მე მყავდა. არაჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ და არიან. დღემდე ვაფასებ და ძალიან დიდ პატივს ვცემ მათ. მე მშობლების სითბო მაგრძნობინეს. თუ ასეთი დედ-მამა ეყოლება ჩემს მომავალ მეუღლეს, მათაც აუცილებლად „დედას“ და „მამას“ დავუძახებ.

— მზითვი თუ გაქვს მომზადებული?..

— (*იცინის*) ბალიშები, საბნები და ასეთი რაღაცები ნამდვილად არ მაქვს. „მზითვში“ წავიყვან ჩემს შვილს და საყვარელ ბებოს, რომელიც არაჩვეულებრივ, გემრიელ კერძებს ამზადებს. კიდევ რას? — ავტომანქანას (*იცინის*)...

— შენ სახელზე მოსულ მესიჯებს თუ გაეცნობი? და თუ რომელიმე მათგანი შენს გაცნობას მოინდომებს, გაეცნობი?!

— აუცილებლად წავიკითხავ ესემესებს. რაც შეეხება გაცნობას, ახალ ნაცნობობაზე უარს არასოდეს ვამბობ. თუკი ეს ადამიანი გაცნობის შემდეგ არ მოგეწონება, უარის თქმა მერეც შეიძლება.

ახლა კი, მკითხველების მიერ გამოგზავნილ კითხვებს და მათზე ქეთის პასუხებს გაგაცნობთ.

გუგა:

„ქეთი, ძალიან კარგი ადამიანი ხარ, სიამოვნებით გაგიცნობდი, არ გინდა, შენი ოქროს თევზი ვიყო?“

— გუგა, ჩემო კარგო, ახალ ნაცნობობაზე უარს არასოდეს ვამბობ. ძალიან მინდა ოქროს თევზი მყავდეს. დიდი მადლობა!

შოკო:

„ქეთი, დაახლოებით 6 თვის წინ, DELF-ის (ფრანგული ენის გამოცდაზე) ვიყავი. იქ სიაში „ყიფშიძე“ ამოვიკითხე (დედა მყავს ყიფშიძე). მაშინვე ვიკითხე — ყიშფიძე რომელია-მეთქი? ძალიან ლამაზმა გოგონამ მიპასუხა — მე ვარო. შენ იყავი ის გოგო?“

— არა, საყვარელო, მე არ ვიქნებოდი, იმიტომ, რომ ინგლისურენოვანი ვარ. საერთოდ კი, ფრანგული ენა ძალიან მომწონს. კარგია, თუ ფრანგულ ენას სწავლობ.

მუკობაზიერი:

„ქეთი, მაინტერესებს, გამიცნობ თუ არა? ცეცხლოვანი გოგო ხარ, შენი ეშხით ვიწვი; ნამდვილი ფერია ხარ, არ გინდა, ჩემი პრინცესა იყო?“

— შენ შეძლებ, რომ ჩემი პრინცი იყო? თუ ამაში დარწმუნებული ხარ, მაშინ, სიამოვნებით გაგიცნობ“.

P.S. მაშ ასე: ქეთის ფანებო და თაყვანისმცემლებო, დაუმესიჯეთ თქვენს რჩეულს! მე კი ვეცდები, თქვენი ყველა ესემესი გამოვაქვეყნო. თუ ქეთი რომელიმე თქვენგანით დაინტერესდება, აუცილებლად შეგატყობინებთ. დამიმესიჯეთ ნომერზე: 8.98.23.09.21. ■

2006 წლის მნიშვნელოვანი მოვლენა

„სტიქია" – ქალია!" ნახალოვჯელი სექსუალური მანიაკი და – ძირს „გაყინვიზაცია"!

მნიშვნელოვანი მოვლენა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის აუცილებლად კარგი უნდა იყოს. ეს ჩვენმა მკითხველებმაც მშვენივრად იცით და სწორედ ამიტომ, ბევრი ისეთი მესიჯი მივიღე, სადაც უოღბლობაზე წუწუნებთ. ამ რამდენიმე დღის წინ, ერთმა მამაკაცმა დამირეკა. ჩვენ შორის ასეთი დიალოგი შედგა:

— მარი ხართ?

— დიახ.

— ვახ, კაცო, ძლივს არ მოგაგენით?!

— და რატომ მეძებდით?

— საქმე ისაა, რომ ჩემი და თქვენი ნომერი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. უკვე დიდი ხანია, უცნაური მესიჯები მომდის: „მარი, მიშველე!" „მარი, გამომიქვეყნე!" „მარი, მიყვარხარ! მარი... მარი... მარი..." გავგიჟდი კაცი! თავიდან ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ ისე ხშირად ხდებოდა ასეთი რამ, რომ გადავწყვიტე, გამერკვია, რაში იყო საქმე. ჰოდა, დავუდარაჯდი და ასეთი უცნაური მესიჯი მოვიდა თუ არა, ავდექი და ავტორს დავურეკე. დაწვრილებით გამოვკითხე ყველაფერი და აღმოჩნდა, რომ ვიღაც მარი ჯაფარიძეს უმესიჯებენ ჟურნალ „გზაში". კიდევ ერთხელ გადავირეკე კაცი: მე რომ ასეთ დღეში ვარ, ის საწყალი გოგო რა დღეში იქნება-მეთქი! ვიყიდე „გზა" და რას ვხედავ? გამართული აქვთ „მესიჯობანა". ყოველი შემთხვევისთვის გადავიკითხე და მომეწონა. ჩამითრია „გზავნილებმა" და უკვე ერთი თვეა, სისტემატურად ვკითხულობ. ჰოდა, ახლა დაგირეკე კიდეც და მინდა გითხრა, რომ მაგარია.

— დიდი მადლობა!

— ჰო, მოკლედ, ამ წლის მნიშვნელოვანი მოვლენა ის არის, რომ „გზა" და მარი გავიცანი. აბა, ბედნიერად!

— ნახვამდის და კიდევ ერთხელ — დიდი მადლობა...

აი, ასეც ხდება ხანდახან. თქვენ კი მსაყვედურობთ — მესიჯს რატომ არ მიქვეყნებო!..

მარი ჯაფარიძე

„ხალვაშის „თბილისომ" დამღუპა"...

„მნიშვნელოვანი მოვლენა ის იყო, რომ გავთხოვდი. ქალი უახლოესი 5 წლის განმავლობაში, თავისუფლებით ტკბობას ვაპირებდი და ხალვაშის „თბილისომ" დამღუპა. როდესაც იურმალის ფესტივალი მიმდინარეობდა, ჩემმა სატრფომ იმ ღამეს სახლში დენი გაგვითიშა. მეც ავდექი და ხალვაშის სანახავად, მეზობელს ვესტუმრე. იქიდან ღამის 2 საათზე წამოვედი და ჩემი აზრით, „ჩორნი ხოდით" გადმოვედი ღობეზე. თურმე ჩემი ოთახის კართან ჩაცუცქული „რომეო" მელოდა. გაქცევა ვეღარ მოვახერხე. ჭკუით მაჯობა, მაგრამ ახლა კმაყოფილი ვარ და მიხარია, რადგან ძალიან ბედნიერი ვარ. ყველას ბედნიერებას გისურვებთ! გოგოებო, დროზე გათხოვდით!"

თურმე, გარდა მოვლენებისა, შესაძლოა, არსებობდეს მნიშვნელოვანი კითხვებიც. მთავარი კი ის არის, ამ კითხვაზე როგორ პასუხს გასცემთ. შემიძლია, ერთი რჩევა მოგცეთ. მაგალითად, თუ ქალი გკითხავთ — გიყვარვარ? ამ შემთხვევაში სწორი პასუხია — დიახ! არავითარ შემთხვევაში არ უპასუხოთ — „ვფიქრობ, რომ — კი" ან — „თუ „ჰოს" გიპასუხებ, გულზე მოგეშვება?" „გააჩნია, რას ეძახი სიყვარულს", „ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს?" და „ვის, მე?..." თუ ამ რჩევას არ გაითვალისწინებთ, შემდეგი რესპონდენტის ბედს გაიზიარებთ.

ყურებჩამოყრილი

„გასული წლის მნიშვნელოვანი მოვლენა ის გახლდათ, რომ ქალს, რომელიც 3 წლის განმავლობაში მიყვარდა, ძლივს გავუმხილე ჩემი გრძნობის შესახებ. გავუმხილე, რა... მივახვედრე, რომ მიყვარდა, თორემ, პატარა ბიჭი ხომ არ ვარ, სიყვარული მუხლზე დაჩოქილს რომ ამეხსნა?! ისე მიიღო, ვითომც აქ არაფერიო, მაგრამ მერე გავიგე, რომ თურმე, სიხარულით გადარეულა. დავიწყეთ შეხვედრები. მინდოდა, კარგად შემესწავლა მისი ხასიათი და თუ დავრწმუნდებოდი, რომ სწორედ ის იყო, ვინც მე მინდოდა, ხელი უნდა მეთხოვა. თანდათან, სულ უფრო და უფრო მომწონდა და მიყვარდებოდა, მაგრამ ვგრძნობდი, თითქოს თავს მამადლიდა, ამიტომ არ ვანებივრებდი სასიყვარულო სიტყვებით. ერთ ზაფხულის საღამოს, სასეირნოდ წავედით. საკმაოდ რომანტიკული საღამო გამოგვივიდა და ისე არ მინდოდა მასთან დაშორება, რომ გადავწყვიტე, სახლში წამეყვანა. ვიდრე მას ამის შესახებ ვეტყოდი, მანქანა ცოტა ბნელ ადგილას გავაჩერე და საუბარი გავუბი. თან, ხელსაყრელ მომენტს ველოდი, რომ ასეთი მნიშვნელოვანი რამ მეთქვა. მან კი ვერ მოითმინა და მკითხა — გიყვარვარ? თავი უხერხულად ვიგრძენი: — ნუუუ, ახლა... მიყვარხარ, რااა... მაგარი ქალი ხარ და ალბათ, მიყვარხარ-მეთქი, — ამოვილუღლუღე. ამის გამო ძალიან გამიბრაზდა და მანქანიდან გადავიდა. გავეკიდე, ვეხვეწე, მობრუნდი-მეთქი, მაგრამ ყურადღებაც არ მომაქცია. ტაქსი გააჩერა და წავიდა. მალე სხვაზე გათხოვდა. მე კი დავრჩი ყურებჩამოყრილი... აი, ეს იყო მნიშვნელოვანი ჩემს ცხოვრებაში. ახლა რაღა ვქნა?"

„ცუთი" მამა

„მარი, გწერს 2 გიჟი გოგო. ახლა მაგარი მხიარული „თვითგვემა" გვაქვს, რადგან ძმაკაცის დაბადების დღეზე რესტორანში არ გაგვიშვეს. არადა, ჩვენ გარდა ყველა იქ არის. ჩვენ კი მესიჯებით, დაუსწრებლად ვქეიფობთ. რა საწყლები ვართ! არა უშავს? მამიკო, „ცუთი" რატომ ხარ? ესეც შენ! ხომ გავიპარეთ სახლიდან, რომ მონო გვეყიდა?! ჰოდა, ახლა, მარი, შენ გწერთ. მამიკო, უუს! „გზავნილებს" მაინც ხომ ვერ აგვიკრძალავ!.. კიდევ, მნიშვნელოვანი ის იყო, რომ სტუდენტები გავხდით და „პრინცი" მარტო წავიდა ტუალეტში. 2007 წელს

კი, ზეთისხილის ჭამა „დავამუღამე“. გკოცნით, ვირუსა და ცაცო“.

„ბუდღაჯანა“

„2006 წლის მნიშვნელოვანი მოვლენა ის იყო, რომ ზაფხულში გავიცანი ჩემი უწიგნური და სოფლელი „ბუდღაჯანა“. მისი თქმით, ერთი ნახვით მოვხიბლე და იმის მერე, თავბედს იწყევლის. ამაში კი უშუალო მონაწილეობას ვიღებ, ჩემი „გველი“ ენის წყლობით. გარეგნულად მართლა არ დაიწუნება (არ დაიწუნება, რომელია!): მაღალი, ბრგე, მტკიცე ნიკაპით და უზომოდ სევდიანი, ლურჯი თვალებით. ამ დასაღუპავი თვალებით რომ მათვალიერებდა, რომ არ წავქცეულიყავი, სწორედ ამის გამო „ვკბენდი“ და „ვგესლავდი“. ახლა კი ვგრძნობ, ენაც ნელ-ნელა მერთმევა და ისიც თანდათან სადავეებს ხელში იგდებს. ეს რომ ზაფხულში ვინმეს ეთქვა, შევიცხადებდი. რას ამბობ! უწიგნური, სოფლელი! — რაღაც „საქათმე“ ინსტიტუტში ჩააბარა და ჭკუაზე არ არის. ახლა უკვე დიპლომიანი სასიძოა ბიჭი!.. არადა, ჩემი გულისთვის წაიკითხა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. მერე რა, თუ მარტო დასაწყისისა და ბოლოს წასაკითხად ეყო ნებისყოფა?!. ახლახან რუსთავში მივდიოდი და სამარშრუტო ტაქსის გამოჰყვა მანქანით (მანქანაც ჰყავს, აბა!). რომ ჩამოვედი, გაჩერებაზე დამხვდა, მორცხვი ღიმილით. მოკლედ, მგონი, შიგნიდან გატყდა ჩემი „ციხესიმაგრე“. რას წარმოვიდგენდი 2005-ში, რომ პროვინციელი თითზე დამიხვევდა?!“

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

დიდი საიდუმლო

„ჩემი აუხდენელი ოცნება — ერთი გიჟი, „ჩერეზ“ იმერელი — სვანია. ვენაცვალე, ლოყებში!.. პატარა ქალი“.

„ეჰ, მარი, თუ ამ მესიჯს არ დამიბეჭდავ, მოგიტაცებ, სვანეთში წამოგიყვან და სვანურ კოშკში ჩაგკეტავ. მინდა, ჩემს სიცოცხლეს ვუთხრა: თეკო, მართალია, „ლაითი“ სვანი ხარ, მაგრამ ძალიან ჯიუტი ხარ და შენი სიჯიუტით დიდხანს არ მოგაშლევინებ ნერვებს. მაინც ჩემი, მარტო ჩემი იქნები და მოგიტაცებ, სიხარულო. მარიკო, მეჯვარე შენ იქნები. „მოსულა“? თვით თავზე ხელაღებული სვანი“.

„2006 წელი რომ დგებოდა, ფურცელზე სურვილი დავწერე და გადავყლაპე. ზედ შამპანური დავაყოლე. ჩანაფიქრი ამისრულდა და ოჯახი შევქმენი, ოღონდ, იმასთან ვერა, ვისი სახელიც ფურცელზე დავწერე. იმან თავი დაიფასა და მეც ზუგდიდელი გოგო მოვიყვანე. რ.გ. ხაშური“.

„მარი, „ჰედლაინები“ სად გადამალე? იმედია, მომავალში გამოჩნდება. ერთ ჰედლაინს მეც მოგწერ. ეს ლექსი ერთმა გოგომ მაჩუქა. „დაცემა“ ლექსია: გარეთ გაიხედე, ნახე, როგორ წვიმს,/ წვიმის სლუკუნი გრძნობებს ღრღნის./ ქარი კი ქრის და ქრის,/ როგორ ხარ, მონასტრის გიჟო? — ასეთ ჰედლაინს ბლომად ვიღებ, მაგრამ „ზატო“, მაგრად ვხალისობ. მარი, გილოცავ ახალ წელს და გისურვებ ბილ გეიტსის 60 მილიარდს. მონასტრის ბიჭი“.

„მნიშვნელოვანი მოვლენა ის იყო, რომ ცოტა დავლიე და ჩემს შეყვარებულს, დათოს, აივნის წინ სერენადები ვუმღერე, მაგრამ გაიგონა?.. ისიც მაგარი მთვრალი იყო და ჩემმა „ხავილმა“ ვერ გამოაღვიძა. ძალიან მიყვარხარ, ბიჭო! შენ?“

„ჩემთვის 2006 წლის მნიშვნელოვანი მოვლენა ის იყო, რომ დიდი ხანია, „გზას“ ვკითხულობ და დამესიჯება ვერ ვბედავდი. ჰოოოდა, 2006 წლის ერთ მშვენიერ დღეს გავბედე და დაგიმესიჯეთ. გულის ფანცქალით ველოდი ხუთშაბათს და ჩემი მესიჯი რომ ვნახე, ლამის გავგიჟდი სიხარულით. თურმე პირველი ყოფილა ძნელი, თორემ მერე „რიხინ-რიხინით“ მიდის. ახლა, რომ არ დავამესიჯო, ჯაფარიძის „ლომკა“ მეწყება. გაიხარე, მარი! სვანი“.

„მნიშვნელოვანი მოვლენა ის იყო, რომ 23 წლის ასაკში პირველად გავიგე სიყვარულის გემო, მაგრამ არ გამიმართლა. ნათია“.

„საღამო მშვიდობისა, მარი. თუმცა, რაღა საღამოა?.. არც კი ვიცი, რატომ გწერ. ალბათ იმიტომ, რომ ზოგჯერ უცხო ადამიანთან ლაპარაკი გაცილებით იოლია. ერთ-ერთ რაიონში, გაზეთში კორესპონდენტად ვიმუშავე, მხოლოდ წელიწად-ნახევრის განმავლობაში, რადგან ყოველთვიური ხელფასი 30 ლარი მქონდა. იქიდან წამოვედი და შობა დღე ბაზრობაზე გავატარე. თან ძალიან ვცდილობდი, ჩემს უფროსს მოვწონებოდი, რომ გამყიდველის ადგილი არ დამეკარგა. არ ვთაკილობ, ასე მილიონი ადამიანი ცხოვრობს. მაგრამ როცა დღის ბოლოს უფროსმა ფული გადამიხადა, თავი მათხოვრად წარმოვიდგინე. მთელი ღამე ტირილში გავატარე. საკუთარ უმწეობას ვგლოვობდი... მაპატიე შეწუხებისთვის და გმადლობთ, რომ წაიკითხე. გიჟი გოგო“.

„გამარჯობა, მარ-მარი! (ასე მოუმართავთ შენთვის?). არ ვიცი, დაიჯერებ თუ არა, მაგრამ პირველად ვამესიჯებ (ალბათ, რამდენი გწერს ასეთ შესავალს, არა?). გასულ ზაფხულს ქობულეთში მშობლების გარეშე დავისვენე და ეს იყო მნიშვნელოვანი. უკვე 20 წლის ვარ და უფრო მეტს ველი 2007 წლისგან. ნანა. მარ-მარი, შეიძლება გავგიჟდე, ეს მესიჯი ჟურნალში რომ ვნახო. ნუ მოერიდები ჩემს გაგიჟებას და დამიბეჭდე, რა!“

„გამოგონილ სამყაროში ვცხოვრობ. ერთი გოგო მიყვარს, რომელიც არ არსებობს. ის არის 20 წლის, აქვს ცისფერი თვალები, ქერაა, ძალიან ლამაზია და მილა ჰქვია. არ ვიცი, ასეთი გოგო სად ვნახო. მიშველეთ რამე...“

„19 წლის ვარ. მამაჩემი უკვე 15 წელია, მოსკოვში ცხოვრობს. მთელი ამდენი ხნის მანძილზე სულ ვნატრობდი, რომ ერთხელ მაინც მენახა. თან მეუბნებოდნენ, ძალიან ჰგავხარო. ეს ნატვრა, როგორც იქნა, ამიხდა. ჩამოვიდა, მაგრამ მე კი არა, მისმა საკუთარმა დედამ ვერ იცნო. სულ რაღაც 1 კვირა გაჩერდა და წავიდა. მეტი ხნით რომ დარჩენილიყო, ალბათ გავრეკავდი. მამად საერთოდ ვერ აღვიქვი და ვერც შევიყვარე. არც თვითონ მოუკლავს თავი ჩვენი მოფერებით. ასეთი მამა გინდ მყოლია და გინდ — არა. სადღეგრძელოში „წასულებში“ მოვიგონებ ხოლმე, მეტის ღირსი მაინც არ არის. ჟორჟი“.

„ჩემი აზრით, ქვეყანაში მნიშვნელოვანი მოვლენა ის იყო, როცა ნათელაშვილმა სააკაშვილს თეთრი ხელთათმანი ესროლა“.

„ნათია, შენ უკვე გათხოვილი გოგო ხარ, მაგრამ მე ისევ მიყვარხარ. თუ წაიკითხავ, ვიცი, მიცნობ. ეჰ, როგორ მინდოდა, რომ ჩემი ყოფილიყავი...“

„მნიშვნელოვანი მოვლენა ის იყო, რომ ნამდვილი სიყვარული ვიპოვე და ძალიან ბედნიერი ვარ. მარი“.

„ძალიან მინდა „მონასტრის ბიჭის“ გაცნობა. ის ერთ-ერთ ნომერში გოგონას ტრაგიკული დაღუპვის შესახებ გწერდა. თამუნა ჩემი მეგობარი იყო. თუ სურვილი ექნება, შემეხმიანოს“.

„...და ხალხის აზრი ჩემ შესახებ არ მენაღვლება,/ ყველასთვის მტკიცედ გადავრაზე გულისა კარი,/ თქვენი თემა და „გზავნილები“ მწყურია მარტო,/ აღარავინ მყავს და ყველასთვის თვითონ ვარ მკვდარი. „მანგუსტი“.

„2006 წლის მნიშვნელოვანი მოვლენა ის იყო, რომ მარი, შენი წყალობით, „გზის“ ერთგული მკითხველი გავხდი. არადა, ჟურნალებს ვერ ვიტანდი. მარი-პეპი“.

„2006 წლის მნიშვნელოვანი მოვლენა ის იყო, რომ პირველად შემიყვარდა, ხოლო 2007 წლის მნიშვნელოვანი მოვლენა ის იქნება, რომ გოგონას დედა გავხდები“.

„გამარჯობა. მინდა, იმ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ მოგიყვეთ, რომელიც შარშან მოხდა. 8 ბიჭმა ამიხსნა სიყვარული. მათ შორის, 4 გიორგი იყო და 4 — ალიკა. წარმოგიდგენიათ? კუსა“.

„2006 წლის მნიშვნელოვანი მოვლენა ის იყო, რომ ინგლისიდან მომივიდა მიწვევა შეჯიბრებაზე. მუკობაზიერი“.

„მარი, ჩემს მესიჯებს რატომ არ ბეჭდავ? ი ჯამი რო არ დავლიე, იმითვინა?..“

„16 წლის გოგო ვარ და 2006 წელს პირველად მივეცი ბიჭს კოცნის უფლება. მარი, ქალო, მგონი, მნიშვნელოვანი მოვლენაა, არა? შობას იმ ბიჭს ცოლად მივყვები და თუ ამ მესიჯს დამიბეჭდავ, საქორწილო საჩუქრად ჩავთვლი“.

„18 წლის ვარ და ჩემზე 7 წლით უფროსი ბიჭი შემიყვარდა, მაგრამ რად გინდა?! არ მელაპარაკება. ვიღაცამ ჭორები მიუტანა, თითქოს მე მასზე საშინელი რაღაცები ვთქვი. ტყუილია, ტყუილი! მაგრამ შეჯდა ვირზე და არ მირიგდება. მიშველეეეთ!“

„ამ მესიჯს ყველაზე ლამაზი ხელები გახსნის, ყველაზე მომაჯადოებელი თვალები წაიკითხავს და ყველზე მაგარ და მიმზიდველ ტუჩებს გაეღიმება. ეს ლექსი ყველაზე მაგარ ჟურნალისტს, მარი ჯაფარიძეს

გაგრძელება 50-ე გვერდზე

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. ფომიჩევა — მსახიობ სვეტლანა ტომას ნამდვილი გვარია.
2. რუსები ზიუგანოვს „მელოტ ჩებურაშკას“ ეძახიან.
3. „ასტონ მარტინი“ ჯეიმს ბონდის უცვლელი ავტომობილია.
4. სარეკლამო ტექსტი: „საკმარისია ერთი ზალპი! არაყი „ავრორა“!
5. „ია იდეინი ბარეც ზა დენეუნიე ზნაკი“, — ამბობდა ოსტაპ ბენდერი.
6. „მამა აფრიკას“, დათო გომართელი პორტუგალიურ ენაზე ასრულებს.
7. ავტომობილის აკუმულატორი სიცივეში უფრო სწრაფად „ჯდება“.
8. XIX საუკუნის ინგლისში თვითმკვლელობის უშედეგო მცდელობა სიკვდილით ისჯებოდა.
9. იური ნიკულინმა კონტუზია დიდ სამამულო ომში მიიღო. უფრო ადრე იგი ფინეთის ომის ფრონტზეც იბრძოდა.
10. „მძულს ის ადამიანი, რომლის გონებას არ ძალუძს, გააღოს მუცელი“, — ამბობდა ბერტოლტ ბრეხტი.
11. იუმორისტული მოთხრობების მორიგ კრებულს სატირიკოსმა მწერალმა არკადი არკანოვმა „ოტ ილიჩა დო ლამპოჩკი“ დაარქვა.
12. ტყეში სანადიროდ წასულ ბარონ მიუნჰაუზენს დათვი დაესხა თავს. ბარონმა მას თათებში სტაცა ხელი და მანამ ეჭირა, სანამ დათვი შიმშილით არ მოკვდა.
13. „ამ ბიჭს ისეთი ვიწრო შარვალი ეცვა, რომ თავისუფლად შეიძლებოდა არათუ მისი სქესის, არამედ სარწმუნოების განსაზღვრაც კი“, — ჰყვებოდა ბრუნო ლაუტი ვიღაც თანამგზავრის შესახებ.



14. იგორ გუბერმანს თავის წიგნში ერთი ვეტერანის მოგონებები აქვს გამოყენებული: „მთელი ომის მანძილზე, მხოლოდ ერთხელ დამაჯილდოეს ვარშავის აღების შემდეგ და ისიც — ტრიპერით“.
15. „ზოგიერთები წარმავალ აქტუალურობას მიწინასწარმეტყველებენ. ჰგონიათ, რომ მათ შესახებ ვწერ“, — ამბობდა პოლონელი პოეტი და სატირიკოსი სტანისლავ ეჟი ლეცი.
16. „დრო უდიდესი მასწავლებელია. სამწუხაროა, რომ იგი ბოლოს და ბოლოს, კლავს საკუთარ მოსწავლეებს“, — ამბობდა ჰექტორ ბერლიოზი.
17. „ღმერთი ისე გაბრაზდა მოსესა და ებრაელებზე, რომ 40 წელი ატარა უდაბნოში და ბოლოს, ისეთი ადგილი შეურჩია, სადაც ნავთობის ნასახი არ იყო“, — ჰყვებოდა მიხაილ ზადორნოვი.
18. ძველი რომაული კანონის მიხედვით, თუკი ახალშეძენილი მონა ყიდვიდან 6 თვის

„ივერია“ 40 წლის ხდება. მაგრამ რადგან 40 წლის იუბილეს აღნიშნვნა მიღებული არ არის, თავიანთ კონცერტებს „ოცდაცხრამეტ-ნახევარი“ დაარქვეს... მთელი ამ ოთხი ათეული წლის მანძილზე, ანსამბლის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურაა ვახტანგ ტატიშვილი, რომელიც არა მარტო სცენაზე, არამედ ყოველდღიურ ყოფაშიც გამორჩეული გახლავთ. მაგალითად, იმით, რომ როგორც საახალწლო და საერთოდ, სადღესასწაულო დღეებში, ასევე ჩვეულებრივ, ცოლთან ერთად დადის ბაზარში, ეი. კარგად ერკვევა სხვადასხვაგვარ პროდუქტის ავ-კარგშიც, ფასებშიც და გაძვირებულ სოფლის ნობათზე ლაპარაკიც არ ეძნელება.

როგორ ემზადებოდა ბატონი ვახტანგი ახალი წლისთვის, როგორ იხსენებს განვლილ წლებს და დღევანდელობასთან რა შედარებებს აკეთებს?..

3 კილომეტრი „კალბასი“, იარაკზე მიმობნეული 25-მანეთიანები და 800 დოლარად ნაყიდი ვანი

ლელა ჭანკოტაძე

— 65 ახალ წელს შევგებებივარ. ზოგჯერ ხმელეთზე შეხვედრივარ ახალ წელს, ზოგჯერ — ოკეანეში... მახსოვს, პერუში დღის 3 საათზე, „ივერიის“ წევრებმა ერთმანეთს ახალი წლის დადგომა რომ მივულოცეთ, იქაურები გაოგნებულები გვიყურებდნენ. მაშინ ლათინური ამერიკა მოვიარეთ. ეს იყო 1967 წელს. ვცდილობდით, ამ მნიშვნელოვან დღესასწაულზე სახლში — საქართველოში ვყოფილიყავით, მაგრამ ხშირად, ეს არ გამოგვდიოდა. ყოველთვის მიხარია და მგონია — ახალი წელი დადგება და ყველაფერი გამოსწორდება-მეთქი.

— მატერიალური თვალსაზრისით, რომელი ახალი წელი იყო თვენთვის ყველაზე ცუდი? ალბათ, ჯიბეცარიელიც შეხვედრიხართ ახალ წელს, არა?..

— უწინ არ იყო ტელევიზორი, ტელეფონი, მაგნიტოფონი. ახლა მობილური ტელეფონით სახლიდან ამერიკას ვუკავშირდებით. პროგრესი ყველგან და ყველაფერში შეიმჩნევა, მაგრამ წინ კუს ნაბიჯებით მივიწევთ... ჩემს ბავშვობაში, როცა შიმშილი მძვინვარებდა, ცხადია, ახალი წელიც მძიმე გახლდათ. ახლა მეცოდება ჩემი თავი, მაშინდელ ამბებს რომ ვიხსენებ. ჩემი მშობლები მეცნიერები იყვნენ. ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ვცხოვრობდით. როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, მამა ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, დაცვაში გადაიყვანეს, რაც ომში წასვლის ტოლფასი იყო... 1941 წელს ვარ დაბადებული. ომის შემდგომ, შიმშილობა ჩვენი ოჯახისთვისაც დაიწყო. სანამ მამა დაცვაში მუშაობდა, საკვებს აძლევდნენ, მაგრამ როცა ისევ სამეცნიერო საქმიანობას დაუბრუნდა, საჭმელიც გაქრა. მეცნიერს არც მაშინ ჰქონდა ფული და არც ახლა აქვს. კიდევ კარგი, რომ ბოტანიკურ ბაღში ვცხოვრობდით: ბავშვები ხან ტყემალს ვჭამდით, ხან — „კარალიოკს“, კომშს ან მანდარინს... ახალ წელს კლუბში ვმღეროდით. პატარა პარკში ჩაგვიწყობდნენ ხოლმე: ერთ მანდარინს, ვაშლს, კანფეტს და ორცხობილას — ეს გახლდათ საახალწლო საჩუქარი. გვიხაროდა და ბედნიერები ვიყავით. შემდეგ, სკოლაში სიარულის პერიოდშიც გვიჭირდა. 4 კმ-ს ფეხით მივდიოდი და მოვდიოდი. მამა მანეთს მაძლევდა. ეს ავტობუსის ფული იყო. იმ მანეთით შვიდ „პრიანიკს“ ან „ირისს“ ვყიდულობდი. სამაგიეროდ, გზა ზღვის პირას გადიოდა. დღემდე მახსოვს ერთი ადგილი, სადაც ტალღა ისეთი ძალით ეხეთქებოდა ხოლმე ჯებირს, რომ შხეფებით ერთიანად ვსველდებოდით. ახალგაზრდობა-

მეუღლესთან და ძმასთან ერთად

ში ყველაფერი კარგი იყო, რადგან ახალგაზრდები ვიყავით...

— რომელი კერძი ამშვენებს ხოლმე თქვენს საახალწლო სუფრას?

— საახალწლოდ გოჭს არ ვყიდულობ: ოჯახში ყველანი მარხვას ვინახავთ. შარშან წავედით ბაზარში 13 იანვრისთვის და გოჭი ვერ ვიყიდეთ, რადგან 100 ლარი ღირდა. წელს ალბათ, უფრო ძვირი იქნება. არ მინდა გავრითმო, თორემ, — ვინც არ იყიდოს გოჭი, იმას... იყიდეთ ინდაური, მარგებელია... თუმცა მგონია, რომ საცივთან ერთად, ეს გმრიელი კერძიც 100 ლარამდე დაჯდება. ამიტომ, ვისაც პატარა ოჯახი აქვს, უნდა იყიდოს მესამედი ან მეოთხედი ნაწილი, რაც ქართველისთვის იოლი არ არის... მახსოვს, მე და ჯემალ ბაღაშვილი რუსეთში მაღაზიებში როგორ ალიაქოთს ვიწვევდით. ჯემალი „პერესტრახოვშიჩიკია“: თუ ორი გოგო უნდა მოსულიყო სტუმრად, ერთი ბოთლი არაყი და ერთიც — შამპანური გვჭირდებოდა, მაგრამ ჯემალი გამოაცხადებდა: 3 არაყი, 5 შამპანურიო! — რატომ, გოგოები დასალევად მოგვყავს თუ იმისთვის, ჩვენ რომ ვიცით-მეთქი?.. — ვკითხავდი. — რომ დაგვაკლდესო?! — იტყოდა და მაინც იყიდდა. სასმელს თან ერთვოდა: სოსისი, „კალბასი“ და ა.შ. დათვლილი და გამოანგარიშებული მაქვს, რომ 3 კილომეტრი „კალბასი“ მაქვს რუსეთში შეჭმული... მაღაზიაში ყოველთვის რიგი იყო. ბოლოს და ბოლოს, ჩემი რიგიც დადგებოდა. ბევრ სასმელს რომ ვუკვეთდი, ჩემ უკან მდგომებს ძალიან უხაროდათ, გაიძახოდნენ: ესეც იყიდეთ, ისიც იყიდეთო! განსაკუთრებით ღვინო „ივერიას“ გვირჩევდნენ. ზესტაფონი უშვებდა და „წამლავდა“ მთელ რუსეთს, იმის დალევა როგორ შეიძლებოდა?!

— საახალწლოდ რომელ ღვინოს ყიდულობთ?

— ცხადია, წითელ ღვინოს — მართლმადიდებელთა წესის თანახმად: ჩაიწეთ წითელ ღვინოში პური და ნახავთ, რა გემრიელია. თუ ჯანმრთელობა ხელს არ გიწყობთ, წყალიც გაურიეთ. ქრისტე სვამდა ასე... მშვენიერი ღვინოები გვაქვს — „კაბერნე“ და „საფერავი“ არაჩვეულებრივებია. სხვათა შორის, უწინ უფრო მეტს ვსვამდით. ახლა ახალგაზრები თითქმის აღარ თვრებიან. ეს ძალიან კარგია.

— მეკვლედ არ გეპატიჟებიან ხოლმე?

— მჯერა ამ ტრადიციის. სადაც დამიძახებენ, ყველგან მივდივარ, გულს არავის ვწყვეტ. ახალ წელს ვმუშაობ ხოლმე. 200-300 დოლარს მომცემენ და მერე, მსგავსი რამ კარგა ხანს აღარ მეორდება... სახლში გამთენიისას ვბრუნდები, მეკვლეც მე ვარ — თუმცა ამბობენ, მეკვლედ ოჯახის წევრი არ ითვლებაო. ამიტომ, შემდეგ ჩემი დეიდაშვილი მოდის. „ლაითი“ გურულია, გულკეთილია და როგორც არ უნდა მოინდომო, ვერ გააბრაზებ. შემოგვიყრის ხურდა ფულს, კანფეტებს, გვლოცავს. ასე გრძელდება უკვე ათი წელია... ერთ ამბავსაც გაგიმხელთ: წლების წინ, ფული ვისესხე კაცისგან, რომელსაც კარგი თანამდებობა ჰქონდა და ფულს სამსახურში, სეიფში აგროვებდა — ცხადია,

ზოგჯერ ხმელეთზე შევხვედრივარ ახალ წელს, ზოგჯერ — ოკეანეში...

ოჯახისგან მალულად. ვესესხე 2.500 მანეთი. მაშინ ეს დიდი თანხა იყო. მერე იმ კაცმა მეკვლედ დამპატიჟა. მივედი. კარი მისმა ცოლმა გამიღო. ჯერ კანფეტი დავყარე, შემდეგ კი — 25-მანეთიანების „პაჩკა“ ამოვიღე ჯიბიდან. მოვიარე მთელი სახლი. ყველა ოთახში ვყრიდი. გაოცებული დიასახლისი დამყვებოდა და გაიძახოდა: რას აკეთებ, ვახტანგ, რა საჭიროა ამდენი ფულიო?!. მე კი ვიმეორებდი: მინდა, წელს ფული დაგებედოთ-მეთქი!.. საწყალი კაცი, იდგა გაფითრებული და მალულად მუშტებს მიღერებდა. ბოლომდე მოვაბნიე... მას შემდეგ, რამდენჯერაც იმ ოჯახში მივედი, დიასახლისმა ეს ამბავი გაიხსენა. რა იცის, რომ ისევ მისი ქმრის ფული დავუბრუნე პატრონს?! სიმართლე დღემდე არ გაუგია. ახლა, ცხადია, მიხვდება... საერთოდ, ბედნიერებაა, როცა ადამიანისთვის ამხელა სიხარულის მინიჭება შეგიძლია.

— ეი. საჩუქრების გაკეთება გიყვართ?

— გაჭირდა ცხოვრება. სამწუხაროდ, ყველას არ შეუძლია, ახალ წელს გაშლილი სუფრით შეეგებოს. ბევრს სტუმრის დანახვაც აშინებს. ნივთები გამოაქვთ ოჯახებიდან და ყიდიან... ზოგს გასაყიდიც აღარაფერი დარჩა. იყო შემთხვევა — ერთი კაცი ყიდდა ღვთისმშობლის ხატს, რომელიც XVII საუკუნის ნამუშევარი გახლდათ. მეორე მსოფლიო ომის დროს, კიევიდან ჩამოუტანია. ვინც ყიდდა, იმან მთხოვა — ერთ კაცს უნდა წაეღო საზღვარგარეთ, მაგრამ ვერ შეძლო, იქნებ გამაყიდვინოო? 1.000 დოლარს აფასებდა, მე კი 800-ად მომცა. ვიყიდე. შემდეგ შევაფასებინე. მითხრეს — დაახლოებით 10.000 დოლარი ღირს, საზღვარგარეთ გაცილებით ძვირად გაიყიდებაო. მეორე დღესვე წავედი სიონში. ილია მეორე წირავდა. სტიქაროსანს ვთხოვე — დამეხმარეთ, ხატი მინდა ვაჩუქო-მეთქი. უწმინდესსა და უნეტარესს მივართვი. დაახლოებით 6 წელი სიონში ეკიდა. ახლა საპატრიარქოს ამშვენებს. მიხარია და მეამაყება... ქართველები თანდათან ვუბრუნდებით ჩვენს სარწმუნოებას. ესეც მახარებს. ბედნიერი შობა-ახალი წელი გვქონოდეს, ბედნიერი და მშვიდობიანი!.. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

განმავლობაში თავს მოიკლავდა, პატრონს უფლება ჰქონდა, ძველი მეპატრონისგან უკან მოეთხოვა მასში გადახდილი თანხა.

19. დანტეს მიერ აღწერილ ჯოჯოხეთში შურიან ცოდვილთა აჩრდილებს რკინის ძაფით ჰქონდათ ამოკერილი თვალები.

20. რაჭაში მდინარეს ხშირად, იმ სოფლის მიხედვით აქვს დარქმეული სახელი, რომლის მახლობლადაც ჩამოედინება. მაგალითად, სოფელ კრიხთან მდინარე კრიხულა ჩამოდის, ხოტევთან — ხოტეურა, ქვედთან — ქვედრულა.

21. ანეკდოტი: — მითხარი, რას კითხულობ და გეტყვი, ვინ ხარ! — რას ვკითხულობ და არისტოტელეს, დანტეს, მოლიერს... ვინ ვარ, შენი აზრით? — ვინ ხარ და მატყუარა!

22. ანსამბლ „ბითლზის“ ერთ-ერთი ასისტენტი, ტონი ბრემუელი ჰყვებოდა, — კონცერტის დამთავრების შემდეგ, ხშირად, დარბაზში სიმღერის — „ღმერთო, დაიფარე დედოფალი!“ — ჩანაწერი ჟღერდაო. ეს ჩანაწერი საშუალებას აძლევდა ანსამბლის წევრებს, ხელიდან დასხლტომოდნენ იმ აუარება თაყვანისმცემელს, რომელიც კონცერტის შემდეგ, თავიანთ სათაყვანებელ მომღერლებთან შეხვედრას იმედოვნებდა.

23. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ ოფიციალურად დაადგინა, რომ „ერთხელ ღამით, მკვეთრმა შუქმა გამოაღვიძა კორეის ყველა მცხოვრები. ყველანი გამოვიდნენ სახლებიდან და გაკვირვებულები ერთმანეთს ეკითხებოდნენ — რა მოხდაო?“ თურმე, ნუ იტყვით და, იმ ღამით, დიდი ბელადი — კიმ ირ სენი დაბადებულა.

24. „რა თანხას ინატრებდით, რომ სრულიად ბედნიერად გეგრძნოთ თავი? — ჰკითხეს ერთხელ ბერნარდ შოუს. — ზუსტად იმდენს, რამდენსაც ჩემი მეზობლების ვარაუდით, ვშოულობ...“ — უპასუხა დრამატურგმა.

25. ერთხელ პაბლო პიკასომ დურგალს აგარაკისთვის წითელი ხისგან ავეჯის დამზადება სთხოვა, წინასწარ აუხსნა, რა სჭირდებოდა და თვალსაჩინოებისთვის, ერთი ხელის მოსმით, ესკიზიც დაუხატა. „რა დამიჯდება ეს ყველაფერი? — იკითხა ბოლოს მხატვარმა. — არაფერი, — უპასუხა დურგალმა, — თქვენ უბრალოდ, ხელი მოაწერეთ მაგ ესკიზის ქვემოთ“.

საახალწლო სილამაზის სალონი

მალე ძველი სტილით ახალ წელსაც ვიზეიმებთ, რომელზეც თქვენ არაჩვეულებრივად უნდა გამოიყურებოდეთ, ამისთვის კი, გვერდს ნამდვილად ვერ აუვლით მოდურ ტანსაცმელსა და მკვეთრ მაკიაჟს... უპირველეს ყოვლისა, სახის კანზე უნდა იზრუნოთ, მაგრამ ტანიც არანაკლებ მოვლას საჭიროებს, რადგან თქვენი ბრწყინვალე გარეგნობის საავიზიტო ბარათი რბილი და ელასტიკური კანი იქნება.



მიეცით კანს საშუალება დაისვენოს და ისუნთქოს. მეტად ისეირნეთ სუფთა ჰაერზე და დაკავდით სპორტით. არ აურიოთ ერთმანეთში მაკიაჟი და ნიღაბი. დაიმახსოვრეთ, დეკორატიული კოსმეტიკა მალავს ნაკლოვანებებს, მაგრამ არ აქრობს მას. როგორც კი მიხვალთ სახლში, მაკიაჟი მაშინვე უნდა მოიშოროთ. დაწოლამდე რამდენიმე საათით ადრე, სახის კანი სპეციალური ლოსიონით გაიწმინდეთ და საღამოს კრემი წაისვით. განსაკუთრებით, სათუთია კანი თვალების გარშემო, ამიტომ გაწმენდის შემდეგ, ნაოჭების საწინააღმდეგო კრემი შეიზილეთ.

ასევე აუცილებელია სკრაბის ხმარება (სასურველია, პროცედურა კვირაში 2-3-ჯერ ჩაიტაროთ), მისი დახმარებით თქვენი კანი ხავერდოვანი გახდება. ეს კოსმეტიკური საშუალება სასურველია წაისვათ მშრალ კანზე. კარგია, თუ მასში აურევთ დამარბილებელ ან მკვებავ კრემს.

ასევე კარგია, თუ სკრაბს ტანზეც წაისვამთ, მაგრამ ის სწორად უნდა შეარჩიოთ. თუ ნორმალური კანი გაქვთ, შეიზილეთ ზღვის მარილის შემცველი სკრაბი, მგრძნობიარე კანზე — შაქრის შემცველი, რადგან ის შედარებით რბილია და შეიცავს დამატებით ანტისეპტიკურ საშუალებებს.

სკრაბის მომზადება თქვენც შეგიძლიათ. ამისთვის ერთმანეთში აურიეთ:

1. 6 ს/კ მარილი, 4 ს/კ ზეითუნის ზეთი, 6 მარწყვი (ის შეიცავს სალიცინის მჟავას, გამწმენდ და ანტისეპტიკურ ნივთიერებებს).
2. შაქარი, ზეითუნის და ლავანდის ზეთი (რამდენიმე წვეთი).
3. ზღვის მარილი და ზეითუნის ზეთი.

ტანის ჯაგრისი — სასარგებლოა, როგორც ჯანმრთელობისთვის, ისე თქვენი კანისთვის, რადგან სხეულის ჯაგრისით მასაჟის დროს, სისხლი კანს უკეთ მიეწოდება, რაც მის ხავერდოვნებას განაპირობებს. მასაჟი ჯაგრისით ყოველთვის ქვევიდან ზემოთ უნდა დაიწყოთ, მაგალითად, მუცლიდან მკერდამდე. ოღონდ, ტანს ძალიან მაგრად ნუ გაიხეხავთ — ხელის მოძრაობა უნდა იყოს ნელი და სასიამოვნო. ეს მასაჟი უნდა გაიკეთოთ მანამ, სანამ შხაპს მიიღებთ. შხაპის მიღების შემდეგ აუცილებლად წაისვით მკვებავი კრემი.

გარუჯული კანი შედარებით მიმზიდველად გამოიყურება. ამის მისაღწევად საჭიროა „ავტოზაგრის“ წასმა. დაიწყეთ ნათელი ფერებით, რათა შეამოწმოთ რეაქცია კანზე და ისწავლოთ მისი სწორად გამოყენება — ლაქები რომ არ დაგრჩეთ.

მაგრამ ასევე შესაძლებელია, წახვიდეთ სოლარიუმში და გაირუჯოთ. მით უმეტეს, რომ ულტრაიისფერი სხვები ზამთრის დეპრესიიდან გამოგიყვანთ, ის განწყობილების ამაღლებას უწყობს ხელს. მაგრამ არ შეეცადოთ, რაც შეიძლება სწრაფად გაირუჯოთ, ყურადღება მიაქციეთ სეანსის დოზას. დაიწყეთ ხუთი წუთით და ნელ-ნელა ადით 10-12 წუთამდე. დაიმახსოვრეთ, სოლარიუმი კანს აშრობს, ამიტომ აუცილებელია დამცავი კრემი წაისვათ პროცედურის დროსა და მის შემდეგაც. ყველაზე მალე ვერტიკალური ფორმის სოლარიუმში გაირუჯებით, რადგანაც მასში უფრო დიდი ზომის ნათურებია ჩამონტაჟებული. მაგრამ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში წოლისას ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნებათ, თითქოს ზაფხულია და მზეზე ირუჯებით.

საოცარია, მაგრამ სურნელი არა მარტო ჩვენს განწყობილებაზე ახდენს რეაქციას, არამედ კანზეც ზემოქმედებს. ამიტომ, კრემში ან წყლით სავსე აბაზანაში ჩაამატეთ თქვენთვის სასიამოვნო სურნელის მქონე ზეთოვანი სუნამო. ვარდისა და ლავანდის ზეთი შეგიძლიათ გამოიყენოთ სუფთა სახით.

რაც შეეხება სუნამოებს, ის უნდა აირჩოთ თქვენი კანის სპეციფიკური სუნის მიხედვით, რაც თქვენს სექსუალურობასა და მიმზიდველობას მკვეთრად გაუსვამს ხაზს. ჟასმინი და ვანილი მამაკაცებში ეროტიკულ ფანტაზიას აღძრავს; მკაფიო, თამამი არომატი ხაზს უსვამს თქვენს მომხიბვლელობას და ქალურ ინდივიდუალობას.

ვაშლის ლიქიორი

მოსამზადებლად საჭიროა: 1 კგ ვაშლი, 300 გ შაქარი, 600 გ წყალი, 0,5 ლ არაყი.

მომზადების წესი: ვაშლი დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად, ჩაყარეთ ბოთლში, დაასხით არაყი და დადგით მზეზე (გააჩერეთ დაახლოებით, 4 კვირის განმავლობაში). მიღებული წვენი გაწურეთ და მას დაამატეთ შაქრის თბილი სიროფი (წყალში ჩაყარეთ შაქარი და მოადუღეთ). გააჩერეთ კიდევ ერთი კვირა, მერე გაფილტრეთ და ჩაასხით ბოთლებში.

ლაიმა ვაიკულეს დიეტა

გათვლილია 9 დღეზე

პირველი 3 დღე — მხოლოდ ბრინჯი — უმარილო, ცხიმის გარეშე. შეიძლება, მოხარშულ ბრინჯს მოასხათ პომიდვრის სოუსი.

მეორე 3 დღე — მხოლოდ ქათმის თეთრი ხორცი, უმარილო.

ბოლო 3 დღე — მხოლოდ ვაშლი.

ლაიმას აზრით, 1 დღე უდრის მინუს 1 კილოგრამს. „საერთოდ, მე დიდი ხანია, ერთი თვისება გამოვიმუშავე — კვირაში ერთი დღე ვშიმშილობ, მაგრამ არა იმიტომ, რომ ამით წონას ვაკონტროლებ“.

ია ჩანტლაძე ფიფფილებს

„მიუხედავად იმისა, რომ სულ გადარბენაზე ვარ, სახის კანს ყოველთვის ვუვლი“, — მითხრა მომღერალმა ია ჩანტლაძემ, რომელიც ექსპერიმენტებს არასდროს იტარებს და მხოლოდ იმ კრემებს თუ ლოსიონებს ხმაროობს, რომელიც მის კანს უხდება.

სოფო ჭონიმვილი

— სამსახურებრივი გრაფიკიდან გამომდინარე, დილით ყოველთვის ადრე ვიღვიძებ; შემდეგ, როგორც ყველა ქალი, თავს ვიწესრიგებ და სახლიდან გავდივარ. ამ ბოლო დროს, ჩაცმის სტილი შევიცვალე, ძირითადად, კლასიკურ სტილს ვანიჭებ უპირატესობას, მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ისე მივეჩვიე, რომ დაბლებზე ვეღარც დავდივარ.

— სარკის წინ დიდხანს ტრიალებ ხოლმე?

— ვფიქრობ, რომ სარკის წინ ტრიალი ყველა ქალს უყვარს, მაგრამ პირადად მე, სამწუხაროდ ამისთვის დრო არ მრჩება.

— სახის კანის მოვლის რაიმე განსაკუთრებული მეთოდი თუ გაქვს?

— მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის გადარბენაზე ვარ და თავისუფალი დროის ნაკლებობას განვიცდი, სახის კანის მოვლისთვის ყოველთვის ვიცლი. ძალიან ბევრი, ბუნებრივი კომპონენტებით დამზადებული ნიღბის რეცეპტი ვიცი. როცა მსგავსი რაღაცების კეთებას ვიწყებ, დედაჩემი დამცინის — დაიწყო ახლა „ტიტყვნაო“ (*იცინის*). არასოდეს ვიძინებ მაკიჟით. როგორი დაღლილიც არ უნდა ვიყო, ძილის წინ, სახის კანს სპეციალური ლოსიონით ვისუფთავებ. ზამთარში ხშირად ხაჭოს ნიღაბს ვიკეთებ, ზაფხულში კი, ძირითადად, ხილის ნიღბებს ვამზადებ ხოლმე.

— კოსმეტოლოგთან თუ დადიხარ?

— ერთი კოსმეტოლოგი მყავს შერჩეული და ყოველთვის მასთან დავდივარ, ვითვალისწინებ მის რჩევებს და ბოლომდე ვენდობი.

— პრეტენზიული კანი გაქვს?

— არა, მაგრამ სახის კანს ყოველთვის ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ.

— სახის მკვებავ კრემებს თუ იყენებ?

— ჯერჯერობით, მკვებავი კრემების გამოყენება არ დამიწყია, ძირითადად, ლოსიონებს ვხმარობ.

— სილამაზის სალონში ხშირად დადიხარ?

— ხშირად დავდივარ. თმას კვირაში ორჯერ, სალონში ვივარცხნი. საერთოდ ხვეული თმა მაქვს და ის ბევრად უფრო რთული მოსავლელია, ვიდრე სწორი თმა.

— სტილისტების მიმართ პრეტენზიული ხარ?

— პრეტენზიული არ ვარ, მაგრამ თუ რაღაც არ მომწონს, ამას ღიად ვამბობ და ისტერიკაში არასოდეს ვვარდები.

— თმის ნიღბებს თუ იკეთებ ხოლმე?

— ხშირად ვიკეთებ მაიონეზის ნიღაბს, ძალიან კარგია ასევე ძმარი, რომელიც თმას არბილებს და მას ბზინვარებას მატებს.

— თმას არ იღებავ?

— დიდი ხანია, თმა აღარ შემიღებავს. ახლა ბუნებრივი ფერის თმას ვატარებ. საერთოდ, თმის ფერის შეცვლა, ძალიან მცვლის და ამასთან დაკავშირებით კურიოზიც კი გადამხდენია. ერთხელ, წინა საკონცერტო პერიოდში თმა მოკლედ შევიჭერი და შავად შევიღებე. კონცერტზე მისული, უახლოესმა ადამიანებმა ვერ მიცნეს (*იცინის*).

— ხშირად იცვლი იმიჯს?

— იმიჯის შეცვლაზე უფრო ხშირად თინეიჯერობის ასაკში ვფიქრობდი. ახლა ვცდილობ, რომ ჩემს გარეგნობაში მკვეთრი ცვლილებები აღარ შევიტანო.

— მაკიაჟს ყოველდღე იკეთებ?

— მაკიაჟის გარეშე, სახლიდან არასოდეს გავდივარ. ისე გაჩნია, სად მივდივარ. ყოველდღიურად, შედარებით მსუბუქ მაკიაჟს ვიკეთებ. როცა სახლში ვარ, სახის კანს ვასვენებ ხოლმე.

— უპირატესობას რა ფირმის კოსმეტიკას ანიჭებ?

— ძირითადად, „ლორეალის“, „დიორის“ და „ბურჟუას“ კოსმეტიკა მაქვს.

— შოპინგებზე სიარული თუ გიყვარს?

— მაღაზიებში სიარული ძალიან მეზარება და როცა ამის აუცილებლობაა, მხოლოდ მაშინ ვიწყობ შოპინგს. თუმცა ხანდახან გუნება-განწყობილების გასაუმჯობესებლად ნამდვილად კარგი საშუალებაა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ბევრი კარგი მაღაზია გაიხსნა, ძალიან მიჭირს არჩევანის გაკეთება. ძირითადად, საზღვარგარეთ ყოფნისას ვიკმაყოფილებ გემოვნებას.

— უპირატესობას კლასიკურ სტილს რატომ ანიჭებ?

— იმიტომ, რომ კლასიკური კოსტიუმები ქალს ელეგანტურობას და მომხიბვლელობას მატებს.

— როგორი ფერები მოგწონს?

— ჩემი საყვარელი ფერებია თეთრი და წითელი. შავი ფერიც ძალიან მიყვარს, მაგრამ ვცდილობ, „ჩაშავებულმა“ არ ვიარო. ძირითადად, ხალასი ფერები მომწონს. საერთოდ, პასტელის ფერებს ვანიჭებ უპირატესობას.

— რაში ხარჯავ ფულს დაუნანებლად?

— ფულს დაუნანებლად დისკების შესაძენად ვხარჯავ. როცა მაღაზიაში შევდივარ, ჭკუა „მეკეტება“ და ყველა დისკი მინდა ვიყიდო, თან არჩევანის გაკეთებაც ძალიან მიჭირს. ორი საათი მაინც ვფიქრობ, რომელი ვიყიდო.

— ქუჩაში რის გარეშე არ გადიხარ?

— ჩანთის და მობილური ტელეფონის გარეშე სახლიდან არასოდეს გავდივარ. ტელეფონი ჩემი მარჯვენა ხელია, ის არა მარტო საკომუნიკაციო საშუალებაა, არამედ მასში ბევრ საჭირო ინფორმაციას ვინახავ... მიყვარს დიდი ზომის ჩანთები, რადგან მასში, ყველაფერს ვატევ. შეიძლება ითქვას, რომ ჩემოდანს ვატარებ, რომელშიც ბევრი რაღაც ყრია...

— სპორტულ დარბაზებში თუ დადიხარ?

— ყოველ დილით იმაზე ფიქრით ვიღვიძებ, იქნებ, როგორმე შევძლო და სპორტულ დარბაზში დავიწყო სიარული. მაგრამ ამას ვერ ვახერხებ. ადრე, ფეხით მაინც მიწევდა სიარული, ახლა, მანქანამ სულ გამაზარმაცა... აუზზე იმის გამო არ დავდივარ, რომ ცურვა არ ვიცი. ახლახან, ქართულ ცეკვებზე დავიწყე სიარული, მაგრამ ვხვდები, რომ ეს საქმე არ მიტაცებს...

— სოლარიუმში თუ ირუჯები ხოლმე?

— ერთხელ ვიყავი და მეორედ წასვლის სურვილი აღარ გამჩენია. იქ სიარული კი არა, ზღვიდანაც თეთრი ჩამოვდივარ — არ შემიძლია, საათობით გაშეშებულ პოზაში წოლა, უნებისყოფო ადამიანი ვარ.

— თუ გიფიქრია შენს გარეგნობაში რამე შეგეცვალა?

— მგონი, თვით ალენ დელონიც არ არის ბოლომდე საკუთარი გარეგნობით კმაყოფილი, მიუხედავად იმისა, რომ ის მსოფლიომ სიმპათიურ მამაკაცად აღიარა... საერთოდ კი მიმაჩნია, რომ თუ ადამიანს რაღაც აკომპლექსებს, ის აუცილებლად უნდა შეიცვალოს, რა თქმა უნდა, თუ ამის საშუალება აქვს. მაგრამ ერთსაც ვიტყვი, ძალიან არ მომწონს დაბერილი ტუჩები, ვფიქრობ, არავის უხდება და თანაც, ძალიან არაბუნებრივია.

— თუ გახსოვს, პირველად როდის გაიპრანჭე?

— თურმე, პირველად მაკიაჟი ძალიან პატარას გამიკეთებია — ქუსლიანი ფეხსაცმელი ჩამიცვამს და მამაჩემთან ოთახში შევსულვარ. თან მითქვამს: აბა, შემომხედე, ხომ ლამაზი გოგონა ვარ-მეთქი. ე.ი. პატარაობიდანვე „ვზრუნავდი“ საკუთარ გარეგნობაზე (*იცინის*).

— ხშირად იცავ დიეტას?

— დიეტას ვიცავ კი არა, ხანდახან ვშიმშილობ ხოლმე, რადგან ხშირად ჭამა მავიწყდება. ჩემი უყურადღებობის გამო, ერთი პერიოდი ჯანმრთელობის მხრივ პრობლემებიც მქონდა. არასწორი კვება საშინელებაა. ისე, თინეიჯერობის პერიოდში უფრო ვდიეტობდი — 1-2 კგ რომ მოვიმატებდი, პანიკაში ვვარდებოდი და სასწრაფოდ შიმშილს ვიწყებდი. ■



მე, ლოთი...

ლეა ცუცქირიძე

ვიწრო, გრძელი ოთახი, ორი სკამი თეთრ მაგიდასთან და თეთრად შეღებილი კედლები. ერთ მხარეს ზეწარგადაფარებული მაგარი ტახტი, ისეთი, მედიკები „ტაფჩანს“ რომ ეძახიან. სკამზე ჯდები და ვერაფერზე ფიქრობ. ახლა ფიქრი აღარ არის საჭირო... ეს უკვე გადაწყვიტე. ოთახში თეთრ ხალათში გამოწყობილი მედდა შემოდის, ხელში თეთრი თაბახის ფურცლით. ირგვლივ ყველაფერი თეთრია... თუ გეჩვენება? არა, შენ აღარაფერი გეჩვენება, რადგან თეთრი ცხელება, белая горячка უკვე დასძლიე. მაგრამ ეს სითეთრე? ეს საშიში სითეთრე აღარ არის, ეს შენი მომავლის ფერია.

ისევ იღება კარი და ახლა ოთახში ექიმი შემოდის. ლამაზი ქალბატონი. რა კარგია, რომ ლამაზია! გადარჩენაში მისი კეთილგანწყობილი, სანდომიანი სახეც დაგეხმარება.

— დაწერეთ?

გეკითხება და მეორე სკამზე ჯდება.

— რა უნდა დავწერო?!

კითხულობ და გაქცევის სურვილი გიპყრობს.

— უნდა დაწეროთ ის, რაზეც უკვე ვისაუბრეთ. უნდა დააფიქსიროთ, რომ იცით, თუკი სასმლის თუნდაც ერთ წვეთს მიიღებთ, ფატალური შედეგი გელით...

ჰო, ამ ინიექციას მხოლოდ მას შემდეგ გაგიკეთებენ, რაც საკუთარი, თუნდაც აკანკალებული ხელით, მიწოდებულ ფურცელზე გარკვევით დაწერ: სრულ ჭკუაზე და საღ გონზე მყოფი ვადასტურებ, რომ კარგად მესმის, ამ ინიექციით საფრთხეს ვუქმნი საკუთარ სიცოცხლეს. ვიცი, რომ ექიმის მითითების დარღვევის შემთხვევაში... გარდავიცვლები...

ისე გამოდის, რომ ხელწერილი, რომელიც თითქმის ჯოჯოხეთის შესასვლელთან დაწერილი განცხადებაა, ერთადერთი შანსია შენთვის, რომელიც აღიარების შემდეგ მოიპოვე.

ეს აღიარება კი ასე ჟღერს — მე ლოთი ვარ!

შენ დაიბრუნე ვაჟკაცობა, რომ ცხოვრებას თვალებში ჩახედო, მაგრამ ეს სასტიკი სიტყვა — სიკვდილი, მაინც უნდა დაწერო. არა აქვს მნიშვნელობა, რომელ სინონიმს გამოიყენებ, რას გაუბედავ საკუთარ თავს: მოვკვდები, გარდავიცვლები თუ ფატალურად დავასრულებ სიცოცხლეს. გინდა, ასე თქვი და გინდა, ისე. მთავარია, რომ აქ ხარ და აღიარებ!..

შენ არ იცი, რა ჰქვია იმ წამალს, რომელიც ალკოჰოლის შესაძულებლად შეიყვანეს შენს სხეულში, მაგრამ კარგად იცი, რომ დღეიდან, 365 დღე, მთელი წელიწადი, ყველა მზის ამოსვლითა და ჩასვლით, ყველა ბედნიერ-უბედური დღით... ისევ შეეცდები საკუთარი ცხოვრება დაიბრუნო.

ეს არ არის ყურით მოთრეული ისტორია, ეს ჩვენს ქვეყანაში ხდება. საბედნიეროდ, არა ათეულათასობით, მაგრამ რამდენიმე ასეული ადამიანი, წელიწადში ერთხელ, ზუსტად ერთსა და იმავე დღეს, წლების განმავლობაში, მკურნალობის ამ მეთოდს მიმართავს. მაგრამ ვინც არ მიმართავს?

ჩვენ ვებრძვით საკუთარ უბედურებას, მოწყენილობას, უიმედობას — ალკოჰოლით, შემდეგ კი, ამ „წამალთან“ ბრძოლა გვიხდება. ეს უკანასკნელი კი, თუმცა ნარკოტიკი არ არის, მაგრამ ჯანმრთელობას, საღად განსჯის უნარს გვართმევს.

ერთი ანეკდოტი მახსენდება. ერთი კაცი ქუჩაში მეორეს ხვდება. პირველი დამწუხრებულია, მეორე მიზეზს კითხულობს.

— მეუღლე დამეღუპა. — განუმარტავს მოწყენილი.

— აუჰ, რითი კაცო?! — წუხს შემხვედრი.

— გრიპით. — მიზეზს უმხელს მოსაუბრე.

— გრიპით? ოჰ, გრიპი, ეგ არაფერი...

ჰოდა, რატომ უნდა შეგვეშინდეს, თუკი ნარკომანიაზე კი არა, ლოთობაზე ვლაპარაკობთ?

საქართველო.

ქვეყანა, სადაც ცივილიზაციის აყვავების ხანაშიც ომს ვაზის „აჩეხით“ იწყებენ...

ქვეყანა, სადაც ჩვენი ცოდვებისათვის შენდობის დასტურად, მისი ნაჟურის ერთ ყლუპს ვიღებთ მოოქრული ფიალით...

ქვეყანა, სადაც სუფრის მთავარ ატრიბუტს — ღვინოს, ოჯახის მთავარი პერსონაჟი, მამაკაცი ირჩევს საკუთარი ღირსების ხაზგასასმელად და სტუმრის პატივსაცემად.

ქვეყანა, სადაც თავმოყვარე მამაკაცი არასდროს დათვრება ისე, რომ ფეხი აერიოს.

სადაც ზომიერების შეგრძნება (არა მხოლოდ სუფრაზე, სხვათა შორის), ვაჟკაცობის ერთ-ერთი გამოვლინება გახლდათ ყოველთვის.

ქვეყანა, სადაც ახლა მუდმივი ომია თვითდამკვიდრებისათვის, რადგან უამრავ ნიჭიერებას, აურაცხელ ამბიციას და მუდმივ შიშს — ჩემზე რას იფიქრებენ, თვალები საწყალობლად დაუქაჩავს და დასასვენებლად ჩამოჯდომის, დასვენების საშუალებას არ გვაძლევს...

ეს შიში დასვენების საშუალებას არ გვაძლევს და ერთი უკიდურესობიდან მეორისკენ გვიბიძგებს.

შენ სხვისი თქვიო — მეტყვით, განა, რა დაინახე ისეთი, ამ დალოცვილ ქვეყანაში, რომ ახალი სადარდებელი გაგვიჩინეო! სხვისისა მე რა გამეგება, იმაზე მოგახსენებთ... ჩვენს ლოთზე!

თქვენ გყავთ თქვენი ლოთი?

ნუთუ, არ იცნობთ მას, ფხიზელი რომ ანგელოზია, ნასვამი კი, — რა ქნას, პათოლოგია! ამ „დიაგნოზით“ შეინდობენ ახლობლები?

ნუთუ, არ იცნობთ მას, რომელიც დილით, კურტანდადგმული დიდყურა ცხოველივით წელებზე ფეხებს იდგამს, მზის ჩასვლისთანავე კი დასვენების, განტვირთვის, კაიბიჭობის სახელით, საკუთარსა და ახლობლების ცხოვრებას წყალს ატანს?

რატომ? — ეს რთული ასახსნელია. ალბათ, მაინც სისუსტის გამო, რომელსაც ურწმუნობა აჩენს.

— დავიღალე!

— გავწბილდი!

— მომბეზრდა!

— არავის ვეცოდები!

— არ ვუყვარვარ!

— ჩემგან იდეალურობას მოითხოვენ!

— საქმეა მხოლოდ ჩემი ცხოვრება?

მერე გამოდიხარ ქუჩაში, სადაც აღარაფერი გხიბლავს.

— გამარჯობა. (ამერიკული ღიმილი...)

— გაგიმარჯოს! (ირგვლივ მოწყენილი ადამიანები დადიან...)

— რავა ხარ? (რა უბედურებაა, ეს რავა!)

— რავი, შენ? (ძალიან მაინტერესებს?)

— ფეხით რატომ ხარ? (დამცინის?!)

ორი ზემოთ აწურული მხარი.

— შემომიარე ამ დღეებში. (არ სცალია, კიდევ კარგი!)

— ერთ ქალაქში ვცხოვრობთ! (კაი, კაცო!)

მერე, უარესებიც ხდება — ადამიანები ვეღარ გხედავენ ან ისე იქცევიან, რომ ვერ დაგინახონ. не вижу! შენ ისე გამოიყურები, რომ შენსავე სასიკეთოდ აჯობებს, ვერც დაგინახონ და არც ის გაგახსენონ, როგორი იყავი ერთ დროს.

მერე, შენი ნაცნობების წრე იცვლება. თანდათან ფართოვდება და ბოლოს, ყველანი ერთნაირები ხართ — ერთნაირად დაღლილი და გაბოროტებული მამაკაცები. ყველა დამნაშავეა თქვენ წინაშე და

ყველას რაღაც განსაკუთრებული უნდა. ეს ის მდგომარეობაა, როდესაც უკან მობრუნებას ბევრი ვეღარ ახერხებს და ღობის ძირში ასრულებს სიცოცხლეს!

აღარ გაქვს სახე!

სამსახური.

ოჯახი.

მეგობრები...

ოცნებები.

სამაგიეროდ, ზმანებები გაქვს. ზოგჯერ, კეთილი და ზოგჯერ — ბოროტი.

კეთილს რა უჭირს, ბოროტია მძიმე. ეს ზმანებები თუ ჩვენებები, რეალობაზე გაცილებით უფრო მძიმეა. როცა მათ ხედავ და გეჩვენება, რომ შენი სიკვდილის მსურველი ხმალამოღებული მოგდევს, დედიშობილა გარბიხარ კიბეზე და მისდევ... მისდევ მაჯლაჯუნებს, რქიან გველეშაპებს, უამრავ ჩონჩხად ქცეულ გვამს და საკუთარ სიცოცხლეს უფსკრულისკენ მიაქანებ.

— ღმერთო, გადამარჩინე!!!

გაგახსენდა?!

მადლობა, უფალს!

შენი ხსნა შენთან არის!

მერე თეთრ, ვიწრო ოთახში ხელს რომ აწერ საკუთარ სიკვდილს სიცოცხლის სასარგებლოდ, ზეწარგადაფარებულ მყიფე ტახტზე წევხარ და ლამაზი ექიმის ხელით ჩადენილ სასწაულს ელოდები.

ერთი უბრალო ჩხვლეტა და თავიდან დაიბადე.

გამოდიხარ ქუჩაში.

— გამარჯობა! (სახეზე ღიმილი).

— გაგიმარჯოს! (ირგვლივ ჰაერია ბევრი და მზე, შემწყნარებლურად თბილი.)

— რავა ხარ? (თბილისური სლენგი, ახლობლებისთვის).

— რავი, შენ? (დაჟანგულმა „ნივამ“ შავად „ჩაახველა“ და თემაც მოიტანა.)

— შენი მანქანაა? (დიდი, წყლიანი თვალები. ო, რა დრო იყო!).

— რამ გაგახსენა! როგორ მიხარია, რომ გნახე. (მაგრამ, მოგონებების მიუხედავად, სალაპარაკო არაფერია.)

— შემომიარე ამ დღეებში, სახლი იცი და კარი. (თავდაღმართზე ბიჭები ჩამორბიან... რა იციან მაგათ... როგორ არ არის სალაპარაკო... რამდენიც გინდა...)

— კარგი, შემოგივლი, მომიკითხე ნატალი. (ნატალი შარშან, გაზაფხულზე დაკრძალეს. დიდი, წყლიანი, ნაცრისფერი თვალები.)

— ნატალი აღარა მყავს. (ახლა მოკვდა, ისევ).

— ვაიმე. (ვაიმე, ვაი!)

— მიხვდი ახლა, რომ უნდა მინახულო? (თვალებში სითბო. ეს სიყვარულია და არა პატიება).

— მაპატიე, ძმაო. („მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი“.)

— ერთ ქალაქში ვცხოვრობთ... (თბილისი, სინათლის ქალაქი!)

— მოვალ. (ჰო, მივა! ირგვლივ ადამიანები დადიან და არ ახსოვთ, მაგრამ იციან, რომ „მოწვეული ბევრია, რჩეული კი ცოტა!“)

— ვიცი, მოხვალ. (ჩამოსართმევად გაწვდილი ორი მარჯვენა, კაცური ალერსისთვის სრულიად საკმარისი ატრიბუტი.)

გააგრძელე ცხოვრება!..

■

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

კუჭქვეშა ჯირკვალი ალკოჰოლს არ შლის

ცხიმიანი საკვები, ალკოჰოლი ქრონიკული პანკრეატიტის განვითარების ძირითადი მიზეზებია და რადგანაც ჩვენში ღვინოცა და ცხიმიანი საჭმელიც ბევრს უყვარს, ეს დაავადებაც საკმაოდ გავრცელებულია.

თუ ადამიანს ნაღვლის ბუშტის დაავადება აქვს და ხშირად იღებს ალკოჰოლს, მას პანკრეატიტის განვითარების საკმაოდ დიდი ალბათობა აქვს. კუჭქვეშა ჯირკვლის ქსოვილში არ არის ალკოჰოლის დამშლელი ფერმენტი, რომელსაც ღვიძლი შეიცავს, ამიტომ ის ამ ჯირკვალზე ტოქსიკურ ზემოქმედებას ახდენს. პანკრეატიტის განვითარების კიდევ ერთი მიზეზია ნაღვლკენჭოვანი დაავადება.

კუჭქვეშა ჯირკვლის ანთება შეიძლება გამოიწვიოს მწარე და ცხიმიანი საკვების ბოროტად გამოყენებამ, არარეგულარულმა კვებამ, რაციონში ცილების ნაკლებობამ, თორმეტგოჯა ნაწლავის დაავადებებმა (წყლულოვანი დაავადება, გასტროდუოდენიტი), ტრავმებმა, ზოგიერთი წამლის (პარაცეტამოლის, ანტიბიოტიკების, სულფანილამიდების და ა.შ.) არასწორად და ხანგრძლივად მიღებამ, ინფექციებმა (ყბაყურა, B და C ჰეპატიტებმა და ა.შ.).

სტკივა თუ არა?

პაციენტთა უმრავლესობას პანკრეატიტის დროს ტკივილი აღენიშნება, თუმცა, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქცია დარღვეულია, მაგრამ ტკივილი არ არის ან პერიოდულია.

ტკივილი გულის კოვზის ქვეშ ლოკალიზდება და ძლიერდება საკვების მიღებისას ან ჭამის შემდეგ. იგი სარტყლისებურია (გადაეცემა ზურგისკენ), ზოგჯერ კი, ტკივილი გულის მიმართულებითაც ვრცელდება, რის გამოც, პანკრეატიტი სტენოკარდიულ შეტევაში ერევათ ხოლმე. მაგრამ სტენოკარდია უპირატესად, ფიზიკური დატვირთვის შემდეგ ვითარდება, პანკრეატიტის შეტევა კი — საკვების მიღების შემდეგ.

პანკრეატიტის მახასიათებელი ნიშნებია: ბოყინი, მეტეორიზმი, უმადობა, გულისრევა და პირღებინება. თანაც, მრავალჯერად პირღებინებას პაციენტისთვის შვება არ მოაქვს. პანკრეატიტის კიდევ ერთი უსიამოვნო სიმპტომია ფაღარათი.

ქრონიკული პანკრეატიტის მკურნალობა აუცილებელია, რადგან დაავადებამ შეიძლება გამოიწვიოს კუჭქვეშა ჯირკვლის ქსოვილის დაშლა და დააზიანოს სხვა ორგანოებიც.

როგორ ვიმკურნალოთ?

დაავადებისგან თავის დასაღწევად საჭიროა წამლები, დიეტა და მინერალოთერაპია (იდეალურია სანატორიული მკურნალობა ბორჯომში). პანკრეატიტისგან ბოლომდე განკურნება არ ხდება, მაგრამ შესაძლებელია, ხანგრძლივი რემისიის (ჩაწყნარების) და გამწვავებათა სიხშირის შემცირების მიღწევა. ალკოჰოლზე უარის თქმა და საჭირო დიეტის დაცვა ძალიან კარგ შედეგებს იძლევა — ზოგჯერ, ადამიანს საერთოდ ავიწყდება ამ პრობლემის არსებობა.

ტკივილის სინდრომის მოსახსნელად იყენებენ სპაზმოლიზურ პრეპარატებს — ნოშპას, ბარალგინს, პაპავერინს, პლატიფილინს. თუ ადამიანს აქვს პანკრეატიტი და იცის, რომ მოუწევს დიეტის დარღვევა, უმჯობესია, წინასწარვე მიიღოს სპაზმოლიზური პრეპარატები, რაც ტკივილის შეტევას ააცილებს თავიდან.

პანკრეატიტის დროს კარგ შედეგს იძლევა ფერმენტული პრეპარატები — პანკრეატინი, მეზიმი, ფესტალი, კრეონი და ა.შ. დიეტის დარღვევის შემთხვევაში, ამ პრეპარატთა მიღება წინასწარვეა აუცილებელი.

პანკრეატიტის დროს, ანალგეტიკების მიღება არ არის სასურველი, რადგან არსებობს დაავადებები, რომელთა სიმპტომები ჰგავს პანკრეატიტის სიმპტომებს და რომელთა დროს, გამაყუჩებლის მიღება შენიღბავს პათოლოგიური პროცესის მიმდინარეობას.

როგორ ვიკვებოთ?

პანკრეატიტის დროს დიეტა მნიშვნელოვანია. დაავადების გამწვავებისას, პირველი 2-3 დღის განმავლობაში ინიშნება შიმშილი და ჰიდროკარბონატული წყლები (ბორჯომი, ნაბეღლავი), დღეში 6 ჭიქამდე. ეს ამცირებს პანკრეასის წვენის გამოყოფას. მდგომარეობის გაუმჯობესებისას დიეტაც ფართოვდება. რეკომენდებულია ცილებით მდიდარი საკვები — უცხიმო ხორცი, ხაჭო, ყველი; რაციონში უნდა შემცირდეს ცხიმი და ნახშირწყლები. სასურველია, რომ საკვები მოხარშული იყოს, მისი ტემპერატურა კი — ზომიერი, არც ძალიან ცივი და არც ძალიან ცხელი. კარგია ბოსტნეულის და ბურღულეულის წვნიანები, უცხიმო ქათმის ხორცი, მოხარშული უცხიმო თევზი, რძე, მაწონი, ფაფეული, თეთრი ან შავი პური, მწიფე ხილი, კენკრა (მაგრამ არა მჟავე), ბოსტნეული და მწვანილი (მოხარშული ან უმი სახით სტაფილო, ჭარხალი), მურაბები, თაფლი, შაქარი (დღეში 70 გ-მდე), ხილისა და ბოსტნეულის წვენები, რძიანი ჩაი. მინერალური წყალი სჯობს გაზგასული დალიოთ. საკვები მცირე პორციებით უნდა მიიღოთ, დღეში 5-6-ჯერ.

კატეგორიულად გეკრძალებათ ცხიმიანი საკვები (ცხიმიანი ძროხის, ღორის, ცხვრის, ქათმის ხორცი), კონსერვები, გაზიანი სასმელები, მჟავე ხილი (ფორთოხალი, ლიმონი), ბულიონები, შებოლილი, დამარილებული პროდუქტები, ხახვი, ნიორი, ძმარი, პირშუშხა, მდოგვი.

როდის არის საჭირო ოპერაცია

თუ ტკივილი მუდმივი ხდება, წამლები შედეგს არ იძლევა, მიდის კუჭქვეშა ჯირკვლის ქსოვილების დაშლა, წარმოიქმნება აბსცესი ან ფსევდოკისტები, ექიმები მკურნალობის ქირურგიულ მეთოდს მიმართავენ.

■

მიოპია — ახლომხედველობა

მიოპია ანუ ახლომხედველობა დღეისთვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა. ახლომხედველთა რაოდენობა დღითი დღე იზრდება და სულ მალე, მსოფლიოს მოსახლეობის 40% ახლომხედველი იქნება — ასეთი პროგნოზი გააკეთეს ცოტა ხნის წინ ავსტრალიელმა მკვლევარებმა. ყოველივე ამის მიზეზი კი, არც მეტი, არც ნაკლები, ცივილიზაციის განვითარება ყოფილა. ადამიანის თვალი ვერ უძლებს იმ პირობებს, რომელსაც მას თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი უქმნის. საათობით წერა და კითხვა, კომპიუტერთან მუშაობა, ერთი სიტყვით, მუდმივად ახლო მანძილზე ყურება თვალს მეტისმეტად დატვირთავს, თანაც, დაძაბული მუშაობისას, თვალების დასასვენებლად არავის სცალია და აი, შედეგიც.

მიოპია თვალის რეფრაქციის (სინათლის სხივების გარდატეხის უნარი) ანომალიაა, რომლის დროსაც, სინათლის პარალელურ სხივთა კონა ფოკუსირდება არა ბადურაზე, როგორც ნორმალურ, ჯანმრთელ თვალში, არამედ მის წინ. ამის გამო, ადამიანი შორს ვერ ხედავს. პათოლოგია „მიოპია“ (ბერძნულად — „თვალს ვხუჭავ“) იმიტომ დაერქვა, რომ ახლომხედველები შორეული საგნების უკეთ დასანახავად თვალს ჭუტავენ. ეს ბადურაზე უფრო მკვეთრი გამოსახულების მიღებას უწყობს ხელს.

მიოპიის განვითარების შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს. იგი თანდაყოლილიც შეიძლება იყოს და შეძენილიც, თუმცა, თანდაყოლილი შედარებით იშვიათია. მეტწილად, ახლომხედველობა ადამიანს სკოლის ასაკში გამოაჩნდება. იგი თვალის გადაძაბვის, გადატვირთვისა და ცხოვრების რეჟიმის დაუცველობის გამო ყალიბდება. ახლომხედველ ბავშვთა რაოდენობა დაბალ კლასებში გაცილებით ნაკლებია და მათ გაცილებით დაბალი ხარისხის მიოპია აღენიშნებათ, ვიდრე მაღალი კლასის მოსწავლეებს. ამრიგად, მხედველობის თანდათანობითი დატვირთვა დაავადების პროგრესირებას იწვევს. მიოპია ხშირად ემართებათ მათ, ვისაც ხანგრძლივი და დაძაბული მხედველობითი სამუშაო აქვს, განსაკუთრებით — თვალთან ახლო მანძილზე.

თანდაყოლილი ახლომხედველობის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს მემკვიდრეობითი ფაქტორი. ეს დაავადება 4 თაობაზე ვრცელდება. თუ დედამ ორსულობის დროს რაიმე ინფექციური დაავადება ან ნერვული სტრესი გადაიტანა, შვილს შეიძლება, თანდაყოლილი მიოპია აღმოაჩნდეს.

გენეტიკურ ფაქტორს არც შეძენილი მიოპიის დროს გამორიცხავენ, თუმცა, ამ შემთხვევაში, არსებობს მხოლოდ მიდრეკილება დაავადებისადმი. მის განვითარებას კი გარემო პირობები, თვალის გადატვირთვა და გადაძაბვა აძლევს ბიძგს.

ახლომხედველობა მკვეთრად პროგრესირებს მოზარდობისას, მერე კი უმეტესად, ერთ მაჩვენებელზე ჩერდება.

მიოპიის შემთხვევებს სამ ჯგუფად ყოფენ:

მსუბუქი (-3 დიოპტრიამდე);

საშუალო (-3-დან -6 დიოპტრიამდე);

მაღალი (-6 დიოპტრია და მეტი).

იშვიათად გვხვდება ახლომხედველობა, რომლის ხარისხი 20-30 დიოპტრიასაც კი აღწევს.

ხშირი სიმპტომი

დაავადების ძალზე ხშირი სიმპტომია ე.წ. მფრინავი ქინქლები — ახლომხედველი თვალი მოძრაობისას, წვრილ მონაცრისფრო ზოლებსა თუ ლაქებს ხედავს. საშუალო და მაღალი ხარისხის ახლომხედველობის დროს, თვალი გარეგნულადაც დამახასიათებელ ფორმას იღებს — თვალის კაკლები ოდნავ წინ წამოიწევს, ქუთუთოების ნაპრალი ჩვეულებრივზე ფართო ხდება, გუგის დიამეტრი კი — იზრდება.

როგორ ვუმკურნალოთ

მიოპიის კონსერვატიული მკურნალობა მხოლოდ პირველ ეტაპზე შეიძლება, მანამდე, სანამ იგი ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. ამ დროს, თერაპიული მეთოდებით საწყისი მდგომარეობის დაბრუნება შესაძლებელია, მაგრამ თუ მხედველობა -1/5 დიოპტრიაზე მეტია, ამ გზით, სრული განკურნება ვერ მოხერხდება.

ახლომხედველობის კორექციის პირველი და ტრადიციული მეთოდი სათვალე გახლავთ. კორექციის მიზანი, პირველ რიგში, ახლომხედველი თვალის მხედველობის გაუმჯობესებაა. თუმცა, ოპტიკურ მინებს უკვე დიდი ხანია, შესანიშნავი ალტერნატივა გამოუჩნდა — კონტაქტური ლინზები, რომელიც უკეთესია კოსმეტიკური თვალსაზრისით და მხედველობის კორექციის შესაძლებლობაც მეტი აქვს, განსაკუთრებით — მაღალი ხარისხის მიოპიის დროს. ვინც ლინზებს ატარებს, რამდენიმე მთავარი პრინციპი უნდა დაიმახსოვროს: ლინზები რაც შეიძლება მოკლევადიანი უნდა იყოს, სპეციალური ხსნარებით უნდა დამუშავდეს და ზედმიწევნით იქნეს დაცული ჰიგიენა. თუ ეს წესები შესრულდა, ლინზები პრაქტიკულად, უვნებელია.

თუმცა, თანამედროვე ადამიანს უკვე ლინზებისა და სათვალის გარეშეც ეძლევა შანსი, მშვენივრად ხედავდეს. ექსიმერული ლაზერით მკურნალობა ყველას აძლევს შესაძლებლობას, ერთხელ და სამუდამოდ გამოემშვიდობოს მოსაბეზრებელ სათვალესაც და ლინზებსაც. ლაზერული მეთოდით მკურნალობა შეუძლია ყველას, ვისაც მხედველობა -15,0 დიოპტრიამდე აქვს დარღვეული. ლაზერის ზემოქმედება 30 წამამდე გრძელდება, მთელი ოპერაცია კი — 2-3 წუთი.

ექსიმერული ლაზერით მკურნალობა პრაქტიკულად, უსაფრთხოა. მთავარია, ოპერაციამდე ყველა მონაცემი სწორად შეაფასონ.

უსათვალოდ და ულინზოდ რომ ვიცხოვროთ

საჭიროა, თვალს ნორმალური სამუშაო პირობები შევუქმნათ. სამუშაო ადგილი კარგად უნდა იყოს განათებული — ყველაფერს ბუნებრივი განათება სჯობს. ხელოვნური სინათლე მარცხნიდან უნდა ეცემოდეს და პირდაპირ არ უნდა ხვდებოდეს თვალს. არ არის მიზანშეწონილი სიბნელეში ტელევიზორის ყურება.

მიოპიის პროვოცირებას ხელს უწყობს წამოწოლილი კითხვა. მშობლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ბავშვის, განსაკუთრებით სკოლის მოწაფის დატვირთვას. ნება არ დართონ, დიდხანს იჯდეს კომპიუტერთან ან ტელევიზორთან, ხოლო მისი სამეცადინო კუთხე კარგად უნდა იყოს განათებული. თანაც, ბავშვმა ყოველ 30 წუთში თვალი ცოტა ხანს უნდა დაასვენოს. ყველაზე მეტი ყურადღება იმ მოზარდებს სჭირდებათ, რომლებიც სწრაფად იყრიან ტანს — მათ ძლიერი მიდრეკილება აქვთ ახლომხედველობისკენ.

■

ვაპიხვაურება

რაზე ლაპარაკობენ თბილისში და ვინ აპირებს ნანას „მოპარვას“

მარი (ბათუმიდან), *16 წლის:*

„ნანა, ძალიან მომწონს შენი ხმა. შენი ნამღერი მუდამ სასიამოვნო მოსასმენია. წარმატებებს გისურვებ!“

ნანა ჩიძავა:

— დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის, გაიხარე.

ნანა ლალიაშვილი, *20 წლის:*

„ნანა, შენ მართლაც არაჩვეულებრივი გარეგნული მონაცემები გაქვს, მაგრამ რაც შეეხება ხმას, მგონი, ყველა „ჯეოსტარელი“ გჯობდა. ყველაზე მაგრები ანანო და გიო (საჩხერიდან) იყვნენ, მაგრამ მეგრელებს ჩვენ ვაჯობებდით? ხომ არ გაბრაზდი, საყვარელო ჭრიჭინა?“

— *(იცინის).* არა, რა თქმა უნდა, არ გავბრაზებულვარ, რადგან ვიცი, რომ ყველა ადამიანს ჰყავს თავისი ფავორიტი, ყველა მომღერალს კი, თავისი მსმენელი. ამიტომაც, ასეთი შეფასებები არ მაღიზიანებს.

მუკოზანძელი, *30 წლის:*

„ოხ, ეს თვალები, თითქოსდა უტყვი, მაგრამ ენაზე დიდად მეტყველი, შენს ლამაზ თვალებს, პრინცესა ნანა, ვეღარავისთვის ვერ შეველევი!.. ქიგალე, ჩქიმი მაფშალია! დამიმესიჯე, რა!“

— დიდი მადლობა, ჩემო კარგო. ისე, ძალიან კარგი ლექსი დაგიწერია, მართლა მომეწონა.

მეგრელი, *18 წლის:*

„ნანა, მეც მეგრელი ვარ და აქედან გამომდინარე, „ჯეოსტარში“ შენ „გბალეშჩიკობდი“. მაინტერესებს, ზუგდიდში გურანდა შელიას თუ იცნობ? ისიც „რიმბირამბოში“ მღეროდა. წარმატებებს გისურვებ!“

— გაიხარე და დიდი მადლობა იმისთვის, რომ ჩემი გულშემატკივარი იყავი. გურანდა შელიას კარგად ვიცნობ.

ფატი, *16 წლის:*

„ოჰ, ნანა (სკან გოლუაფირო), როგორ ვერ გახვედი ბოლომდე?.. არა უშავს, შენი ბოლო დიდ სცენაზე დგომა და ხალხის სიყვარულია. გისურვებ წარმატებებს!“

— დიდი მადლობა.

გივი, *19 წლის:*

„ნანა, მართლა, გოროზია შენი მეგობარია? მართალია, ამბობ, მას არც კი ვიცნობო, მაგრამ მთელი თბილისი ამას გაიძახის და რა ვიცი. ისე, მაინც ვერ მივხვდი, როგორი ბიჭები მოგწონს და შენს გემოვნებას დავაკმაყოფილებ თუ ვერა“.

— სამეგრელოს გუბერნატორს მართლა არ ვიცნობ, ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ შევხვდი და კიდევ, თბილისში მარტო ამაზე არ ლაპარაკობენ... რაც შეეხება შენს მეორე კითხვას, თუ როგორი ბიჭები მომწონს, ამას კითხვის ნიშნის ქვეშ დავტოვებ...

ვიკა, *18 წლის:*

„ნანა, ძალიან მიყვარხარ და გული დამწყდა, რომ ვერ გაიმარჯვე. მაინტერესებს, რომელ „ჯეოსტარელთან“ მეგობრობ? ისე, კარგია, შურიანი ანანო რომ დაამარცხე. მაგარი ხარ, გაიხარე“.

— ყველასთან ვმეგობრობდი, მათგან გამორჩეული არავინ მყოლია.

ნათია, *16 წლის:*

„ნანა, ულამაზესი ხარ. მე შენი გულშემატკივარი ვიყავი. ძალიან გთხოვ, მირჩიე რაიმე. როგორ დავივიწყო ის ადამიანი, რომელმაც თავი შემაყვარა, მერე კი, გული მატკინა?“

— თუ ის ადამიანი ისევ გიყვარს, მე ვერ მოგცემ ისეთ რჩევას, რომელიც მას დაგავიწყებს. ისე, დაიმახსოვრე, ყველაფერს დრო სჭირდება.

ვერო, *19 წლის:*

„ნანა, ძალიან ლამაზი ხარ და მინდა ახალი წელი, შობის დღესასწაული მოგილოცო და ბედნიერება, გამარჯვება გისურვო. ეს წელი შენი ყოფილიყოს. გკოცნი“.

— დიდი მადლობა. მეც გილოცავ და ბედნიერებას გისურვებ!

თუშეთი, *17 წლის:*

„ძალიან მიყვარს ნანა და რომ ვერ გაიმარჯვა, გული დამწყდა. მინდა, ნანას ვკითხო, თავიდანვე რომ დაეტოვებინა პროექტი, ვის უგულშემატკივრებდა და რატომ?“

— არ ვიცი, ამაზე არ მიფიქრია. საერთოდ რომ არ მიმელო ამ პროექტში მონაწილეობა, მაშინ შენს კითხვაზე პასუხი აუცილებლად მექნებოდა...

ფიქრია (მარტყოფი), *18 წლის:*

„ნანა, მაგარი ადამიანი ხარ. გული დამწყდა, მეორე ადგილი რომ დაიკავე, მაგრამ არა უშავს, ჩემთვის მაინც გამარჯვებული ხარ. გისურვებ ბედნიერებას!“

— ძალიან დიდი მადლობა, შენც წარმატებებს გისურვებ!

ეკა, *19 წლის:*

„ნანა, ძალიან ლამაზი გოგო ხარ. შენზე გავიგე, გათხოვილი იყოო და მართალია? თუ ასეა, ვინ იყო შენი მეუღლე და რატომ გაშორდი?“

— გათხოვილი ვიყავი და ვარ...

გიო, *16 წლის:*

„ნანა, შენი გულშემატკივარი ვიყავი და გული დამწყდა, რომ ვერ გაიმარჯვე, მაგრამ არა უშავს, ყველაფერი წინ გაქვს. მაინტერესებს, ყველაზე მეტად რომელმა საჩუქარმა გაგახარა? ალბათ, სამოგზაუროდ წასვლამ, არა?“

— რა თქმა უნდა, მოგზაურობა ძალიან მიყვარს.

ლილე, *18 წლის:*

„ნან, ახალი წელი როგორ გაატარე? ისევ ტელევიზორს მიეჯაჭვე თუ ამჯერად,

ცოტათი მაინც გამოფხიზლდი? არ გეწყინოს, გეხუმრე. ძალიან მიყვარხარ და გკოცნი ბევრს“.

— *(იცინის).* არა, ამჯერად კარგად გავერთე. ახალ წელს ზუგდიდში, ახლობლებთან ერთად შევხვდი.

მამუკა, *20 წლის:*

„ნანა, ნანა, ნანინაო, ჩემო პაწაწკინტელაო, მინდა, გულში ჩაგიკრა და დიდხანს ასე გიყურეო. მიყვარხარ და შევეცდები, გაგიცნო, თავი მოგაწონო და ცოლადაც შეგირთო“.

— ჰოოოო?.. დიდი მადლობა ლექსისთვის.

რუსკა, *18 წლის:*

„ნანა, მეც მეგრელი ვარ და ვგიჟდები შენზე, შენი ფანი ვარ. გული დამწყდა „ჯეოსტარი-2006“ რომ ვერ გახდი. მეგრელებს გაუმარჯოს, მაინც მაგარი ხარ. გკოცნი“.

— გაუმარჯოს მეგრელებს!..

რუსკა, *16 წლის:*

„ნანა, კარგი ადამიანი ჩანხარ. მინდა, შენნაირი მეგობარი მყავდეს. ისე, მაინტერესებს, როგორ ფიქრობ, გოგონები უკეთესი მეგობრები არიან თუ ბიჭები?“

— ალბათ ბიჭები, რადგან გოგონებს ბოლომდე მეგობრობა და ერთგულება არ შეუძლიათ.

გიო, *18 წლის:*

„მენატრები ისე, როგორც არავინ, ნეტავ სადმე მქონდეს ერთი კარავი, ქურდი ვიყო, სიყვარულის მპარავი, მოვიდოდი, ნანა, მოგიპარავდი. ძალიან მიყვარხარ, გკოცნი უამრავს და წარმატებებს გისურვებ. ვიცი, ბევრს მიაღწევ“.

— დიდი მადლობა, კეთილი სურვილებისთვის. შენც და მთელ საქართველოს ბედნიერებას გისურვებთ.

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 58

ეროვნების საკუთრება

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცქეთ თვალი.

1. რა არის ბჯა?
2. ვის ეკუთვნის გამოთქმა: „ვერ გაიგებ, ვისი თხლე ვის კასრშია...“?
3. ამ მავნე ჩვევას მარკ ტვენი დიდებულ მანკიერებას ეძახდა.
4. სიცილიაში მოგზაურობის დროს კალიგულა დიდხანს დასცინოდა ადგილობრივ სალოცავებს, სანამ ერთ ღამეს, გრუხუნითა და გრიალით გულგახეთქილს, მესანიდან არ მოუწია გაქცევამ. რა მოხდა იმ ღამეს?
5. დაასახელეთ ინგლისის პრემიერ-მინისტრი, რომლის დედაც უელსის პრინცის საყვარელი იყო.
6. რა არის აგალმატოფილია?
7. ეს მხატვარი მექანიკას მათემატიკურ მეცნიერებათა სამოთხეს ეძახდა.
8. დაასახელეთ ცხოველი, რომელსაც საკუთარ სხეულზე ორჯერ უფრო გრძელი ენა აქვს.
9. მიხეილ გორბაჩოვმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება (საბჭოთა კავშირის დაშლის წინ) უკანასკნელად ოლეგ იანკოვსკისა და ამ მომღერალ ქალს მიანიჭა. დაასახელეთ იგი.
10. „შეუპოვრობით სავსე მზერა მაკედონელის, ლისიპემ სპილენძს შეადუღა. ცოცხლობს ბრინჯაო. ასე გგონია, ზევსს უყურებს, ამბობს ქანდაკი: გქონდეს ოლიმპო, დედამიწის მე ვარ მფლობელი“, — წერდა ასკლეპიადე სამოსელი. ვინ იყო ლისიპე?
11. „იგი უნდა წაიყვანოს კონსტებლ უილიამ კინგსტონმა სასამართლოდან ტაუერში, საიდანაც უნდა გადაიყვანონ ტაიბერნში. იქ სახრჩობელაზე ჩამოკიდონ, სანამ სანახევროდ არ მოკვდება, შემდეგ თოკი გადაჭრან, სასქესო ორგანოები მოჭკვეთონ, მუცელი გაუფატრონ, გამოჰგლიჯონ და დაწვან შიგნეულობა, შემდეგ ოთხად გაკვეთონ და მისი სხეულის ოთხი ნაწილი დაკიდონ ქალაქის კარიბჭეზე, ხოლო თავი გამოკიდონ ლონდონის ხიდზე,“ — ასეთი განაჩენი გამოუტანა სასამართლომ ამ ინგლისელ განმანათლებელს. მოგვიანებით მეფემ სასჯელი შეამსუბუქა და ბრძანა, დამნაშავისთვის მხოლოდ თავი მოეკვეთათ. დაასახელეთ იგი.
12. ცნობილია, რომ ვიღაც ქალმა სოკრატეს ნარეცხი წყალი გადაასხა თავზე. რისი გულისთვის?
13. ეს ფრინველი ჩინელ ზოოფილთა „სისუსტე“ გახლდათ. სექსუალური აქტის დროს, მას ერთი დაკვრით აგდებინებდნენ თავს, რათა მოფართხალე ფრინველისგან მეტი სიამოვნება მიეღოთ.

ანეკდოტები

***

ცოლი ეუბნება ქმარს:
— ერთი წუთით მეზობელთან გადავალ, გაზქურაზე ლობიოს ვტოვებ, იხარშება და ყოველ ნახევარ საათში წყალი ჩაამატე.

***

მოსაზრება: დაიბადოს მუნჯი — ეს ყველაზე უფრო დიდი უბედურებაა ქალისათვის.

***

ორი ამერიკელი ტურისტი კოსტარიკაში იმყოფება. ერთი ეუბნება მეორეს:
— იცი, აქაურები ხელთათმანებს როგორ აკეთებენ? კუჭუკის ხის წვენში ისველებენ ხელებს, მერე იშრობენ, წვენი შრება და ხელთათმანებიც მზადაა.
— ვაა, მაგარია! ნეტა, პრეზერვატივებს როგორღა აკეთებენ?!

***

პატარა ინდიელი ეკითხება დედას:
— დედი, რატომ ეძახი ჩემს დას ამომავალ მზეს?
— იმიტომ, რომ მზის ამოსვლისას ჩაისახა.
— აბა, ჩემს ძმას რატომ ეძახი ცისფერ ყვავილს?
— იმიტომ, რომ მინდორში, ყვავილებში ჩაისახა. დღეს რაღაც ძალიან ბევრ შეკითხვას იძლევი, გახვრეტილო რეზინავ!

***

ნარკუშა ტაქსიში ჩაჯდა და მძღოლს ეუბნება:
— რუსთაველზე გამიყვანე.
— რუსთაველზე ვართ, — უთხრა მძღოლმა.
— ვაა!.. აჰა შენ ათი ლარი და ნელა იარე, თუ ძმა ხარ!

***

ღამის 4 საათზე მიხოს კარზე კაკუნია. მიხო ნამძინარევი ხმით კითხულობს:
— რომელი ხარ?
— ჟან კლოდ ვან დამი.
— აბა, დავაი აქედან, თორე გამოვალ და ოთხივეს თავყბას დაგისიებთ.

***

ორი დაქალი ხვდება ერთმანეთს. ერთი ეუბნება მეორეს:
— გუშინ მეზობელ კაცს დავნებდი.
— სიყვარულით?!
— ჰო, აბა, 100 დოლარი რა ფულია?!

***

ორგანული ქიმიის მთავარი კანონი: თუ 1 კილოგრამ მურაბას და 1 კილოგრამ ნეხვს შევურევთ, მივიღებთ 2 კილოგრამ ნეხვს.

***

ქალის ლოცვა:
— ღმერთო, მომეცი სიბრძნე, რათა მამაკაცს გავუგო, სიყვარული — რათა ვაპატიო და მოთმინება — რათა მის ხუშტურებს გავუძლო. ძალას კი არ გთხოვ, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩება!

***

თვითმფრინავი ვარდება. სალონში ავტომატურად ირთვება ჩანაწერი:
— ძვირფასო მგზავრებო! გთხოვთ, ამოიღეთ პასპორტები, ამოხიეთ ფოტოსურათიანი ფურცელი და მოითავსეთ უკანალში. ამ უხერხულობისათვის წინასწარ გიხდით ბოდიშს, მაგრამ წინა ავარიის შემდეგ, გვამების გარჩევისას ძალიან გავწვალდით.

***

— ბუძგურია, შენ მართლა ერთი ძმა გყავს?
— კი.
— აბა, შენი და რას ახურებს, ორი ძმა მყავსო?!

***

— მოშე, რატომ ხარ მოწყენილი?
— გუშინ დოლარები ვიყიდე და ფული აღარ დამრჩა.

***

ხატვის გაკვეთილზე მასწავლებელი ამბობს:
— აბა, ბავშვებო, ამოიღეთ სახატავი ფურცლები, ფერადი ფანქრები. დღეს უნდა დავხატოთ ცხენი. ჩვენი ქეთინო კი შეეცდება, გაუნძრევლად იჯდეს.

***

მღვდელი და პოლიციელი მიდიან და ერთმანეთს დროის ძნელბედობაზე ეს-

MK

***

— გუშინ ჩემი ცოლის გარდერობში ძალზე საინტერესო ადამიანი გავიცანი.

***

ოჯახური სცენა. ცოლი უყვირის ქმარს:
— კაცობა არც არასოდეს გქონია და ახლა, კაცის ფორმასაც კარგავ!
ქმარი პასუხობს:
— შენ ქალი კი არა, ძაღლი ხარ, ძაღლი!!!
— აუუუუ!.. — აყმუვლდა ძაღლი.

***

— შენთვის მართლა პირველი მამაკაცი ვარ?
— კი, სამ შვილს გეფიცები!

***

— სექსი ტელეფონით. მე თქვენს ნებისმიერ სურვილს შევასრულებ.
— მე ვარ, ქალო, პურის მოტანა არ დაგავიწყდეს სახლში!

***

სვანი ცოლს ეჩხუბება:
— რა ამბავია, ყოველთვე კედლების ღებვა, ოთახები დაპატარავდა!..

***

მიხოს ავტოინსპექტორი აჩერებს და საბუთებს სთხოვს.
— რაღაც შენი „პრავის“ სურათი არ მომწონს!
— რათა, უფროსო, ენდე, მეორე რიგში, მარცხნიდან მესამე მე ვარ!

***

ხარმა ხელთათმანი იპოვა და ძროხებისკენ გაქანდა:
— ქალბატონებო, ბიუსტჰალტერი რომელმა დაკარგეთ?!

***

მათხოვარი გამვლელს მიმართავს:
— დაეხმარეთ წიგნის — „გამდიდრების ათასი მეთოდის“ ავტორს.
— თუ თქვენ მართლა ამ წიგნის ავტორი ხართ, რატომღა მათხოვრობთ?
— ეს გამდიდრების ერთ-ერთი ხერხია.

***

შვილი მამასთან მიდის და ეუბნება:
— მამაი, ცოლი მომყავს!
— ვინ მოგყავს?
— ვანიკო!
— კი მაგრამ, ვანიკო ხომ ბიჭია!
— ყვირის გაოგნებული მამა.
— რაღა ბიჭია, უკვე 30 წლის კაცია.

***

განცხადება გაზეთში: „ვეძებ სამუშაოს. დამავიწყდა, რომელ ქუჩაზე მდებარეობს“.

***

— დაასახელეთ იესოს ერთ-ერთი მოსწავლე. — ეუბნება მასწავლებელი ბავშვებს.
— ზაქრუას მამა, მასწავლებელო. ჭის წყლის ღვინოდ გადაქცევის ტექნოლოგია ყველაზე კარგად მაგას აქვს დამხეცებული.

***

ვანო მერაბიშვილი რესტორანში:
— ეს ქათამი ბულგარული არ არის!
— საიდან იცით?!
— თვითონ მითხრა!..

***

გურული მამა შვილს ეკითხება:
— აბა, როგორ არის ქართულად სტოლ?
— მაგიდა!
— სტულ?
— სკამი!
— სახარ?
— აქ ვარ!

ჯორნალის საპასუხოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. შიშველი სხეულის გამოსახულებას.
2. დავითი.
3. ისინი ძმებმა გამოიგონეს.
4. გერმანულ ტომებს მიეკუთვნებიან.
5. „პოლიქრონიონ“.
6. ლენინი.
7. კოტე მახარაძე.
8. კაკაფონია.
9. კოტე ყუბანეიშვილი.
10. მატარებელს.
11. აკაკი ხორავა.

***

სომეხი კვდება და შვილებს მოიკითხავს:
— გარიკ!
— აქ ვარ, მამი!
— ლოვიკ!
— აქ ვარ, მამი!
— არტურ!
— აქ ვარ, მამი!
— აბა, ცეხში ვინ არის, თქვენი დედა!..

veluri wablis xeivani

„pantera“

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-44

ზაზა ვაჩნაძე

გრძელდება ანი ბერიძის ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც მისი მულის, ნუციკოს საყვარლის (ამავე დროს, მამამთილის, გაიოზის ბავშვობის მეგობრის), ბიზნესმენ ლევან იაშვილის იდუმალი სიკვდილის გარემოებათა გარკვევას ისახავს მიზნად. გამომძიებელ მურად ოქროფირიძესთან ერთად, ის სამხილების მოპოვებას ცდილობს და შესთავაზებს მას, ლევანის საახლობლო წრის ბიზნესმენებს ეწვიოს და რაიმე ინფორმაცია გამოსტყუოს. მათ შორისაა თენგიზ გომართელია, რომელიც ერთობ ექსცენტრიული ადამიანი აღმოჩნდება, მურადის მოსვლისთანავე კარადიდან კონიაკის ბოთლს ამოაძრობს, ხოლო როცა შეიტყობს, რომ გამომძიებელს ქვემოთ, მანქანაში ჟურნალისტი ქალი ელოდება, ამოაყვანინებს მას, თავის მდივან ქალს, ჯულიეტას უხმობს, კალთაში ჩაისვამს და ახალგაცნობილებთან ერთად, „ბაირამობას“ მიჰყოფს ხელს. კულმინაცია მაშინ დადგება, როცა მასპინძელი კონიაკის მთელ ბოთლს ვაზაში ჩააპირქვავებს და გამომძიებელს მოსთხოვს — გამოცალეო!..

მურადმა საცოდავად შეხედა ანის. ანი წამოხტა და მურადს გამოექომაგა:

— რატომ უნდა დალიოს?! მერე, მე ვინ წამიყვანს აქედან?

— ვინ და მიქელგაბრიელი!.. თუ არ დაცლის, აბა! — გაიცინა თენგიზმა.

ანიმ ჯულიეტას შეხედა, რომელმაც უხმოდ აიჩეჩა მხრები და ხელი ჩაიქნია:

— ვერ გააგებინებთ მაინც...

— იცოდე, თუ ამას არ დაცლი, ორჯერ დიდ ვაზას გადმოვაღებინებ! გაწყობს? — დაემუქრა მურადს თენგიზი.

— „დავაი“, დავლიოთ! — გამწარდა მურადი, მოჭიდა ვაზას ხელი და... სწორედ ამ დროს, მისმა მობილურმა დარეკა. — ბოდიში... დიახ, ბატონო ზაურ! ამწუთას, ბატონი თენგიზ გომართელის ოფისში ვიმყოფები... დიახ... დილამდე ხომ მაქვს დრო?.. დილაზე, მაგიდაზე გედებათ პატაკი. მანამდე, ბატონო ზაურ, ერთ რამეს გთხოვთ, რა! ბრძანება მჭირდება, რა, ეგებ დააბეჭდვინოთ, სანამ გახვალთ და ხელიც მოაწეროთ, რა, — ლალი იაშვილის დაკავების თაობაზე... აუცილებელია, აბა, რა: სხვანაირად არ შვრება ეს დედაკაცი არაფრით და რა ვუყო, ლავუაზიე ხომ არა ვარ, არა?! — მურადმა მობილური გამორთო და ჯიბეში ჩაიდო...

— მეე? — იკითხა მუქარით თენგიზმა. — მე რატომ არ მიჭერ, ძმაო?! ვერ გავიგე? შენ რა, მე კაცად არა მთვლი?! დაურეკავ ამწუთას მაგ შენს ზაურას და ჩემი დაჭერის ბრძანებასაც დააბეჭდვინებ! მე მოვკალი ის კაცი, მე! თუ არ დამიჭერთ, სხვებსაც დავხოცავ, დანარჩენებს!.. — და ისევ კონიაკით სავსე ვაზაზე მიუთითა მურადს. — მოჰკიდე ხელი! ქალს იჭერ და მე არ მიჭერ?!.

— დაგიჭერ, შენც დაგიჭერ, ყველასაც დაგიჭერთ! — აყვირდა ჭკუიდან გადასული მურადი. — თორემ, არა ხართ ყველა დასაჭერები! პატიოსანი გზით იშოვეთ ფული? თუ მამაშენმა დაგიტოვა ოქროთი სავსე ქოთანი?..

— მურად! — მაგრად შეშინდა ანი.

— ჰოდა, დამიჭირე, რაღას უყურებ?! მკვლელი ვაარ? — ვარ! ქურდი ვაარ? — ვარ! — ჯერ ეს დავლიოთ და მერე დაგიჭერ!

— ძალიან კარგი. დავლიოთ!

მურადმა ვაზა მიიყუდა და გამოცალა.

— ა, ეს არის საქართველო!.. არ ღირს, რა, ამ ქვეყანაში არაფერიც არ ღირს... გინდა, რომ საქმე გამოიძიო, გინდა, რომ მკვლელი იპოვო... მოდიხარ და კაცი გეუბნება — მე მოვკალი ის კაცი, მკვლელიც მე ვარ და ქურდიც, დამიჭირეო... მაშინ, რაღა საჭიროა გამომძიებელი?! მე ვიღას ტიკი-ტომარა ვარ?! ასე ხომ სამსახურს დავკარგავ...

— არ დაკარგავ, არა. მე თუ დამიჭერ, პირიქით — დაგაწინაურებენ, ძმაო, დამიჯერე! ამწუთას გაჩვენებთ, როგორც იყო, — და თენგიზმა უეცრად უჯრიდან „ბრაუნინგი“ დააძრო.

— ვაიმე, დაიწყო!.. — თქვა, რაღაც ცუდი წინათგრძნობით შეშინებულმა ჯულიეტამ.

თენგიზმა ბრაუნინგის მჭიდის მრგვალ ბუდეს ჩამოჰკრა ხელი და დაატრიალა.

— აი, ხომ ნახეთ — ცარიელია... — სასხლეტი გადმოწია და გამჭვირვალე ლულა უჩვენა დამსწრეთ. — ასე ვისხედით, როგორც ახლა ჩვენ ვზივართ, რა. ზუსტად ოთხნი ვიყავით, ის — თავისი საყვარლით, მე — ჩემით... — თან პერანგის გულის ჯიბიდან ტყვია ამოიღო და „ბრაუნინგის“ ბუდეში ჩადო. — არ გინდა, სცადო? — გაუწოდა მან იარაღი მურადს.

ანის რომ ეგონა, მურადი შეშინდებოდა, პირიქით, საოცრება მოხდა: მურადმა იარაღი ჩამოართვა თენგიზს, დახედა და ხელში აწონ-დაწონა.

— კაი რამეა, — თქვა მან. — მაშ, ვცადოთ ბედი, არა? დავატრიალოთ და გამოვკრათ სასხლეტს თითი... რის სანაცვლოდ? — იკითხა უეცრად გულუბრყვილოდ მურადმა.

— სიცოცხლის, სხვა — რის? — გაიკვირვა თენგიზმა.

— აბა, მე ჯერ სიცოცხლე არ მომბეზრებია, — თქვა მურადმა და იარაღი თენგიზს დაუბრუნა. — თუ გინდა, შენ სცადე, — დააყოლა მან.

— ჰოდა, ზუსტად ასე იყო... — თენგიზმა „ბრაუნინგის“ ბუდე დაატრიალა და ჩახმახი შეაყენა, თან ხმამაღლა განაგრძო: — ჩადო ლევან იაშვილმა ბუდეში ერთი ტყვია, — თენგიზმა იქ მყოფთ ტყვიის მასრა დაანახვა და მჭიდში ჩადო, — მიიდო საფეთქელთან და...

— ااااااااااا!!! — ჯულიეტას წივილმა იქაურობა გააყრუა.

თენგიზმა „ბრაუნინგი“ მიუშვირა.

— გინდა, ამწუთას გაგაჩუმო? — ჯულიეტა მთლად გათეთრდა. — ჰოდა, მოკეტე!.. მოკლედ, მიიდო საფეთქელთან იარაღი და სასხლეტს თითი გამოჰკრა.

გასროლის ხმამ იქაურობა გააყრუა. თენგიზი დაბარბაცდა, მერე მარცხნივ გადაიხარა და „წაეყუდა“... ამ მომენტში, ცოცხლები უფრო ჰგავდნენ მკვდრებს, ვიდრე მკვდარი. მკვდარმა კი, იარაღიანი ხელი ასწია, „ბრაუნინგი“ ჯულიეტას მიუშვირა და სასხლეტს გამოჰკრა. ჩხაკ! — გაიჩხაკუნა სასხლეტმა და მკვდარიც გაცოცხლდა. წამოჯდა და ახარხარდა.

ანი მურადს ასწებებოდა. მურადი კი, ჯერაც გონზე ვერ მოსულიყო.

— აი, ასე იცის, აი... სათამაშო პისტოლეტი აქვს, დანიიდან ჩამოუტანეს და ასე აფეთიანებს ხალხს! ცარიელი ვაზნები აქვს, მარტო ხმას გამოსცემს... — დაასრულა სი-

ცილით ჯულიეტამ.

— დაასხი, ძმაო, ერთი! — მურადმა ვაზა მოუმარჯვა თენგიზს. — გიუების ქვეყანაა, დამთხვეულების. ამათ ვერც ევროპა უშველის, ვერც ამერიკა...

— ისე, ხომ მაგარი იყო?.. ხომ არ დაგავიწყდებათ, არა, არასოდეს?! — ხარხარებდა თენგიზი.

— და საერთოდ, რა!.. ამ ქვეყანაში ადამიანები აღარ არიან, არა. ჩვენ ანტიპოდები ვართ, ადამიანების ანტიპოდები... ჰო, ჰო... აი, ეს ქალი, რა... — თითი დაადო მკერდზე ანის მურადმა. — ქალია, ყველაფერი აქვს, რაც ქალს სჭირდება: სახე, მკერდი... დაბლაც ყველაფერი აქვს, რაც ქალს უნდა ჰქონდეს... მაგრამ რაც მთავარია, ის არა აქვს, ხალხო!

— ვაიმე, რა საინტერესოა! რა არა აქვს, რა არის მთავარი? — საოცრად დაინტერესდა ჯულიეტა.

— სული, სული არა აქვს!.. — გამოაცხადა მურადმა.

— საიდან დაასკვენი? — შეეკითხა თენგიზი.

— არ ვეცოდები. აი, თუ გინდათ, ჰკითხეთ, აქ არ ზის?! იცის კი, რა არის სული?

— არც ვიცი და არც მაინტერესებს... რაც არ არსებობს, რატომ უნდა მაინტერესებდეს?! ან თქვენ კი, გაქვთ სული?.. ან — იყენებთ რამეში, გჭირდებათ?.. შეგიძლიათ მაჩვენოთ, დამანახვოთ?

— დიახ, გვჭირდება. თუ ადამიანს სული აქვს, ფასიც მეტი აქვს. აი, თქვენ იცით ჩემი ფასი? — გამოაცხადა თენგიზმა.

— რა-ა? — შეეკითხა მურადი.

— ჰო, რამდენი ვეღირები, აბა? — ანიშნა ხელით საკუთარ პერსონაზე, უკვე კონიაკით გვარიანად გალეწილმა თენგიზმა.

მურადმა ჯერ კარგად აათვალიერ-ჩაათვალიერა, წამით ჩაფიქრდა და უეცრად მთელი ხმით ამღერდა:

— „შაური — შენ, შაური — მე, შაურიც — მამაშენს, სამ შაურად სულ გიყიდით, შენ და მამაშენს“... ოსა-ა! — და გაგრძელდა, რაღა თქმა უნდა, თბილისური გრიალი...

ცოტა ხანში, ღამის სიბნელეში, საჭესთან მჯდომი გალეწილი მურადი თბილისის ქუჩებს „რვიანებით“ მიუყვებოდა. გვერდით კი, შეშინებული ანი ეჯდა და ცდილობდა, მურადს საჭის სწორად დატრიალებაში მიხმარებოდა. ხან მანქანას ააცდენდნენ, ხან — ბოძს, ხანაც — ჩანთიან ქალს და ასე, ანის წივილ-კივილში, როგორც იქნა, პროკურატურამდე მიაღწიეს. ანი მანქანიდან გადმოვიდა და შენობაში შევიდა. თეჯირს იქით მორიგე პოლიციელი იჯდა და ყვინთავდა. ანიმ დაუბრახუნა. მორიგე გამოფხიზლდა.

— რა ამბავია?! ნელა რომ დააკაკუნოთ, არ გამეღვიძება?

— ბოდიში. ლალი იაშვილის დაკავების ბრძანება თქვენთან დევს? — შეეკითხა ანი.

— რა-ა?

— ბრძანება — ლალი იაშვილის დაკავების.

მორიგემ მაგიდას დახედა. რაღაც ფურცელი აიღო.

— ეს? თქვენ ვინა ხართ?

— მე მურად ოქროპირიძის ასისტენტი ვარ, გამომძიებლის.

— ახალი ხარ?

— არც ისე...

— მაშ, მე რომ პირველად გხედავ? რა გქვია?

— მომეცი, რა, ეგ ფურცელი, სხვა დროს ვილაპარაკოთ, ახლა მეჩქარება.

— აჰა! — მიაწოდა მორიგემ ფურცელი და თვალიც ჩაუკრა.

ანიმ ფურცელი გამოართვა.

— დახუჭე, რა, თვალები და დაიძინე! — ურჩია მან მორიგეს, შეტრიალდა და უკანალის სექსუალური რხევით გავიდა. მორიგეს თვალები გაუფართოვდა. ანი კართან შეჩერდა, მოტრიალდა, მორიგეს ფურცლიანი ხელი დაუქნია, გაუღიმა და გარეთ გავიდა.

ანი მანქანაში ჩაჯდა თუ არა, მურადი დაელმებული თვალებით მიაშტერდა.

— მოგცეს? — ჰკითხა მან.

— აი, — უჩვენა ფურცელი ანიმ. — გამოფხიზლდი, რა, ბიჭო, ცოტათი მაინც.

— წავედით ახლა პოლიციაში. — მაგარი მთვრალი იყო მურადი. სიმღერების ხასიათზე დამდგარუყო: — „სიყვარულო, სიყვარულო, რა ხარო... იმისთანა საყვარელი რამ ხარო, აბა, მითხარ, გულო, რით გაგახარო... ისღა დამრჩა, თავი კედელს ვახალო“. — მოკლედ, ემღერებოდა და ისიც მღეროდა...

მანქანა პოლიციასთან გაჩერდა. ანი ფურცლით ხელში გადმოხტა და მორიგეს მიადგა. მის დანახვაზე მორიგემ რატომღაც, შუბლი შეკრა. ანიმ კი ფურცელი დაუდო წინ.

— ეს რა არის? — იკითხა მორიგემ.

— ბრძანებაა... ქალბატონია დასაჭერი. ერთი, — მოახსენა ანიმ.

მორიგე ფურცელს დასცქეროდა.

— ვინ აწერს ხელს?

— დარჩიაშვილი, პროკურორი. დარეკილია. იციან, — მოახსენა ანიმ.

— ჰოო? ახლავე უნდა გავიდნენ? — იკითხა მორიგემ.

— კი, — უპასუხა ანიმ.

— კაი, შევუტანთ, — თქვა მორიგემ და წამოდგა.

— მე წავიდე? — შეეკითხა ანი.

— როგორც გინდა, გენაცვალე! — გაიკრიჭა მორიგე.

— ჰმ... — ვითომ ეწყინა ანის და გარეთ გავიდა.

— რა ქენი? — შეეკითხა მურადი, როცა ანი მანქანაში ჩაჯდა.

— აიყვანენ. ესეც ასეე!.. — ხელები მოიფშვნიტა ანიმ. — ახლა ვასიკოს გავუაროთ და წავიყვანოთ, რომ გადაიღოს ყველაფერი.

— რაში გავყავი, ნეტავ, თავი, წარმოდგენა არა მაქვს... — ჩაილაპარაკა მურადმა.

— მახეში, მა-ხე-შიიი! — „მიულოცა“ ანიმ.

მანქანა ღამის თბილისში გასრიალდა.

მეორე დილას, ნამთვრალევი, დაღლილი და დახეულ ჯინსში გამოწყობილი ანი რედაქციაში პირველი გამოცხადდა, მაგიდას მიუჯდა, ჩანთიდან კოსმეტიკური საშუალებები ამოალაგა და თავის მოწესრიგებას შეუდგა. სარკიდან თითქოს ვიღაც სხვა შემოჰყურებდა. „აუ, რა მაგრად მაქვს ქუთუთოები ჩასივებული!..“ საათს შეხედა და ვასიკო გაახსენდა. „სად არის ეს კრეტინი აქამდე?!.“ მოძებნა ვასიკოს ნომერი მობილურში და ზარი გაუშვა.

— ვასო, ცოცხალი ხარ? სადა ხარ აქამდე? მოვკვდი ნერვიულობით. დერეფანში?

— აქა ვარ, აქ? — შემოგლიჯა რედაქციის კარი ვასიკომ.

— დებილი ხარ, რა! რაღას მპასუხობდი, ვერ გამითიშე?! რას დამაკარგვინე ტყუილად?

— შენსას გაიგებს კაცი რამეს? ვიფიქრე — რომ არ ვუპასუხო, ტელეფონი არ დაახეთქოს და არ გატეხოს-მეთქი... — ვასიკომ კამერა მაგიდაზე დადო.

— მასეთ გიჟადაც მთვლი?! — შეეკითხა ანი.

— რა, არა ხარ?.. სულ მგონია, რომ სატანაზე ერთი, ასი დღით ადრე მაინც უნდა იყო დაბადებული.

— ჰა, აბა, აბა, მთლად მოუკრეფავებშიც ნუ გადადიხარ, თორემ, შეიძლება, ნაღმზე დაგედგას ფეხი და აფაეთქდე... ეს პომადა მიხდება?

— რა ვიცი, აბა, როგორ გითხრა?.. მე შენში ქალს ვერ ვხედავ, საერთოდ...

— არ მოვინდომო, თორემ, ისე გაგთიშო...

— შე-ენ?.. მე-ე?.. ასი ათას კილომეტრში გადავსახლდები...

— ასეთი ურჩხულიც გგონივარ? — ეწყინა ანის.

— მგონიხარ კი არა — ხარ!

— რა დაგემართა, ვასო?! გიჟი, ურჩხული, დრაკონი... კიდევ რას დამარქმევ?

— მომკლავ, რომ გითხრა.

— ისეთი რა უნდა მითხრა?.. თქვი, ნუ გეშინია.

— არა, ტო, მაგრად გაგიტყდება... — ყოყმანობდა ვასიკო.

— არ გამიტყდება, თქვი! — გაათამამა ანიმ.

— ნაბოზარი! — წამოსცდა ვასიკოს.

— რა-ა?! — სკამიდან წამოფრინდა და ძუ მგელივით დაეტაკა ანი ვასიკოს. — ვინ არის, ნაბოზარი, ვინ?! მე ქმარი მყავს, შე დაუნო, ოფიციალური ქმარი!.. — თან, მთელი ხმით კიოდა და ისეთი გამეტებით და ისე ოსტატურად ურტყამდა მტკივან ადგილებში, რომ ვასიკოს სუნთქვაც კი შეეკრა. მალე სკამი გადააყირავეს და იატაკზე გაგორდნენ. ვასიკო იძულებული იყო, თავი დაეცვა და რომ როგორმე გაეკავებინა ანი, ორივე მკლავი შემოაჭდო. მერე კი, რადგან ქალი ფეხებს არ აჩერებდა, შუაკაური იხმარა. ანი კი, ვეღარაფერი რომ ვერ გააწყო, კბილებით მის ყბას ჩააფრინდა. ისე, რომ ვასიკო მთელი ხმით აბღავლდა. ბიჭს ერთი რამ ვერ აეხსნა ვერაფრით: ანი ერთადერთი არ იყო, ვისაც ქმარი ჰყავდა, მაგრამ ნებისმიერ მომენტში თავისუფლად ღალატობდა, არადა, ანიც და სხვებიც, ვინც ქმრებს ღალატობდნენ, სწორედ იმით ტრაბახობდნენ, რომ ისინი გათხოვილები იყვნენ. ეს ხომ უარესიაო?! — ფიქრობდა ვასიკო და რატომ აწვებოდნენ თავიანთ ქმრიანობას ეს კახპები, ვერაფრით აეხსნა...

მოკლედ, რედაქციაში შემოსულმა ლოლამ

არაფერი ჰქონდა, ეგენი ერთმანეთს არ იცნობდნენ... — თაზოს ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია და თავის ინტუიციას მიჰყვა გამომძიებელი. — ჰო... ის მათი ბანდის წევრი რომ ყოფილიყო, შენ ახლა მკვდარი იქნებოდი!.. შენ ვის მიეცი ფული?

— ვინც გუშინ საღამოს მოკლეს. ტარიელ ილურიძეო, — ასე გამოაცხადა დიქტორმა, — უპასუხა დაეჭვებულმა თაზომ.

— ჰოდა, იცი, ვინ იყო ეგ კაცი?

— საიდან უნდა ვიცოდე?! — ხელები გაშალა თაზომ.

— ჰოო, „ტაქსაობდა“... მაგრამ მანამდე, სანამ საბჭოთა კავშირი დაინგრეოდა, ეგ კაცი მესამე „რეოს“ დირექტორი იყო, იცი შენ?

— „რეო“ რაღა ჯანდაბაა? — იკითხა თაზომ.

— იგივე პროფტექნიკუმი, ხარატობას და რაღაც ამდაგვარ ხელობას ასწავლიდნენ... რატომ უნდა დაერეკა მაგას, თუ იმ ბანდის წევრებთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა?

— აბა, მე რა ვიცი?! — თავში ხელი შემოირტყა თაზომ.

— ჰოდა, წავედით მე და შენ მაგის სახლში!

— რატომ? — ვერაფერს მიხვდა თაზო.

— წამოდი, მივუსამძიმროთ, ვითომ მოწაფეები ვიყავით მაგისი და ჩვენი დირექტორი იყო...

თაზომ, რომელიც ცოლის „გოლფით“ დადიოდა, მანქანა დაკეტა და მურადს ჩაუჯდა. მურადმა ვაჟა-ფშაველას პროსპექტის მეორე კვარტალში ერთ-ერთ ცხრასართულიან „ხრუშჩოვკასთან“ გააჩერა და გადავიდა. მე ავალ, შენ იყავიო, — უთხრა, თაზო მანქანაში დატოვა და თვითონ, ვითომ ჭირისუფალთან სამძიმარზე ავიდა.

ახლა კი ისევ თაზოს ბინაში გადავინაცვლოთ. გაიოზი, რომელიც გაკვირვებული და დაკვირვებით უყურებდა ტელეეკრანზე „ახალ ამბებს“, გაოცებას და გაცოფებას ვერ ფარავდა ძალოვნების მორიგი არამზადული ტყუილის გამო — ლევან იაშვილის მკვლელობის საქმე გახსნილია, ხოლო ყაჩაღთა ბანდა — ლიკვიდირებულიო. ხოლო როცა დიქტორისგან შეიტყო, ორივეს გვამი პროზექტურიდან რესპუბლიკური საავადმყოფოს მორგში გადაასვენესო, დანა აიღო, პიჯაკის გულის ჯიბეში ჩაიდო და თავისი ყოფილი სიძის მოსაკლავად წავიდა: იცოდა, მიამიტა აუცილებლად სადმე იქ, მორგთან შორიახლოს იტრიალებდა...

ასეც იყო. მიუხედავად დიდი განსხვავებისა, სიბერისა თუ წვერისა, — დაინახა თუ არა, მაშინვე იცნო. ორნი ისხდნენ თეთრ „ნივაში“: ერთი — ლაწირაკი, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ბიჭი საჭესთან და გვერდით სავარძელში — მიამიტა.

გაიოზი მივიდა, „ნივის“ კარი გამოაღო და გაკვირვებულ და პირდაღებულ მიამიტას თავისი ღორის დასაკლავი, ხანჯლისპირიანი დანა მთელი ძალით ჩასცხო მუცელში. მიამიტამ დაყვირებაც ვერ მოასწრო, დანაზე ორივე ხელი უტაცა, მაგრამ უკვე გვიან იყო. გაიოზმა ამდენი წლის მანძილზე დაგროვილი ბოღმა ერთ წამში ამოიღო, დანა მუცელში დაუტრიალა და გულის მხრისკენ „აახია“. და იგრძნო, როგორ გაკვეთა დანის პირმა შიგნეულობა.

მიამიტამ თავი გვერდზე გადააგდო და პირიდან სისხლი წასკდა. გაიოზმა დანას ხელი უშვა, შიგ ჩაუტოვა და მოკლულს კეთროვანივით მოსცილდა.

— მოვკალი! მოვკალი! — იყვირა მთელი ხმით და სისხლიანი ხელები და თავი ზეციისკენ ასწია — თითქოს ღვთის დავალება აესრულებინოს... ტყვია შიგ საფეთქელში მოხვდა. ხელებაწვდილი, ასოთხმოცი გრადუსით შეტრიალდა და ასფალტზე უსულოდ გაიშლართა...

მურადი კარგა ხნის მერე გამოვიდა მიცვალებულ ტარიელ ილურიძის ბინიდან. მანქანაში მობილიზებული ჩაჯდა:

— წავედით! — ეს ერთი სიტყვა თქვა და აქსელერატორს ბოლომდე მიაჭირა.

— სად მივდივართ? — იკითხა თაზომ.

— სამგორში, მიტოვებულ აგარაკებზე, — თქვა საკუთარ თავში დარწმუნებულმა მურადმა. — ასით — არა, მაგრამ ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით დარწმუნებული ვარ.

— და როგორ მივაგნებთ, მერე? — ვერ დაიჯერა თაზომ მურადის ნათქვამი.

— გაგვაგონებს ალბათ... არ გაგვაგონებს?.. — იკითხა დაბნეულმა მურადმა.

— მაგრამ თუ მკვდარია?.. — იკითხა თაზომ.

— თუ მკვდარია?!. მაშინ, ვერ გაგვაგონებს, ნაღდად... — თქვა მურადმა და ამ სიტყვებზე ორივეს გაეღიმა. დაძაბულობაც მოეხსნათ.

მანქანა კახეთის გზატკეცილზე მიქროდა და ბღაოდა.

ერთ დროს სუფთა და მოვლილი აგარაკები ისე იყო დანგრეულ-გაპარტახებული, რომ ომგამოვლილს, დაბომბილს ჰგავდა იქაურობა...

— ანი! ანი! — ყვიროდნენ მანქანიდან გადმოსული ქმარი და „საყვარლობის პრეტენდენტი“.

— აქა ვარ, აქ! — აშკარად შემოესმა ორივეს იმწუთას ანის ხმა.

— მომეჩვენა? — ვერ დაიჯერა თაზომ და კვლავ დაუძახა. პასუხი ისევ შემოესმათ.

ორივე იმ მხარეს გაიქცა, საიდანაც ხმა მოდიოდა.

— ანი, ანი! — კიდევ დაიყვირა თაზომ.

— აქა ვარ, აქ! — უკვე ახლოდან უპასუხა ქალის ხმამ.

— აქა ხარ? — დაუბრახუნა ფარეხის კარზე თაზომ, რომელმაც მურადს დაასწრო და პირველი მივიდა. — ცოცხალი ხარ?

— ჰო, ჰო! — უპასუხა ანიმ.

— გაიწი! — მოარიდა თაზო კარს მურადმა, იარაღი ამოიღო და მთელი მჭიდი დააცალა ბოქლომს.

— რუსული ჯართია, ამას რა გატეხს, მე ამის!.. — შეეგინა მურადმა, როცა ნახა, რომ ბოქლომი არ გაიხსნა, მხოლოდ პატარა ნაჭდევები დაეტოვებინა ტყვიებს. — წავალ, „ნაჟოვკა“ მაქვს მანქანაში, მოვიტან და გადავხერხოთ. — თქვა მან და ხერხის მოსატანად წავიდა.

— რა ხდება? — იკითხა შიგნიდან ანიმ.

— ხერხს მოიტანს და ბოქლომი უნდა გადავხერხოთ. სხვანაირად ვერ გავაღებთ, — უპასუხა თაზომ. — როგორა ხარ?

— ყველაზე უკეთესად... — უპასუხა ანიმ.

სანამ კაცები ბოქლომს ხერხავდნენ, ანის ეს დრო საუკუნედ ეჩვენა:

— რა ხდება? იხერხება? — მოუთმენლად კითხულობდა შიგნიდან.

— ცოტაც, ცოტაც... — პასუხობდნენ კაცები. ბოლოს, როგორც იქნა, გადახერხეს ბოქლომი.

თაზომ კარი გამოაღო და ხელი ჰკრა. კართან, ლურჯ „ადიელაში“ გახვეული, ჭუჭყიანი, თითებდაჭმული, დაღლილი, მშიერ-მწყურვალი ანი იდგა და თვალებს ველური ტყის ალივით აბრიალებდა. მიუხედავად ყველაფრისა — ტყვეობისა, შიშისა და შიმშილისა, ის მაინც იგივე ანი იყო — მებრძოლი, გაშმაგებული მტაცებელი...

ვერ გეტყვით, ვინ, რამ, როგორ უკარნახა მურად ოქროპირიძეს ამ გორდიას უკანასკნელი კვანძის გახსნა, მაგრამ ერთი რამ კი ცხადი იყო: ანის სამყოფლის აღმოჩენა ჯერჯერობით, მისი ყველაზე წარმატებული და, მისთვის თუ ანისთვის და ალბათ, საერთოდ, ყველასათვისაც მნიშვნელოვანი საგამოძიებო პროცესი გახლდათ.

...ვერც გაიოზის უეცარმა სიკვდილმა მიაყენა ამ ყოველივეს ჩრდილი. ვერც იმას გეტყვით, როგორ წარდგება უმაღლეს სამსჯავროზე მისი სული, მაგრამ ის, რომ მის ქმედებაში იყო რაღაც ამაღლებული და ღირსებასთან მიახლოებული, — უდავოა!..

ასე დასრულდა რომანის — „ველური წაბლის ხეივანი“ — მეორე ნაწილი — „პანტერა“. მაგრამ ბერიძეების მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრთა თავგადასავლის თხრობას ამით როდი ამოიწურება: „გზის“ მომდევნო ნომრიდან ჩვენი მკითხველი ძალზე საინტერესო ამბების მომსწრე გახდება: დღევანდელი ქართული სინამდვილის ამსახველი რომანის მესამე ნაწილში, ბედოვლათი „ბიზნესმენი“ — რეზი ბერიძე ჩვენი რეალობისთვის დამახასიათებელი უამრავი საცდურისა და საკუთარი ილუზიების მსხვერპლად მოგვევლინება. მისი მწარე თავგადასავალი ხეტყით უკანონო ვაჭრობის, ქვეყანაში კონტრაბანდის შემოტანის, საბაჟო ტერმინალში გაბატონებული განუკითხაობის, სამართალდამცველთა აღვირახსნილი „მოღვაწეობისა“ და საროსკიპოების ბინადართა ვულგარული ყოფა-ცხოვრების ფონზე იქნება წარმოდგენილი.

„გაყიდულ მიწაზე გვაომებდნენ“... ანუ რამ წაიყვანა აფხაზეთში ქმარშვილიანი ქალი

აფხაზეთის ომში ნაბრძოლ ადამიანებს დღესაც გუშინდელი დღესავით ახსოვთ ომში გადატანილი საშინელი დღეები, რომლებიც ტკივილით, ღალატით, ორგულობითა და ერთმანეთის გაუტანლობით იყო აღსავსე. „გზის“ მკითხველს ალბათ კარგად ახსოვს, ინტერვიუ აფხაზეთში მებრძოლ სნაიპერ ქალბატონ ნათელა ქარდავასთან (2006 წლის №28). ჩვენი რესპონდენტები სწორედ ქალბატონი ნათელას ბატალიონის წევრები: გოჩა კაკაბაძე და იზოლდა რუსიტაშვილი არიან, ეს უკანასკნელი კი აფხაზეთის ომში, მეუღლესთან ერთად იბრძოდა.

სოფო ჭონიშვილი

გოჩა კაკაბაძე:

— გუდაუთაში დავიბადე და გავიზარდე. შორეული ნაოსნობის მეზღვაური ვიყავი, ძალიან მიყვარდა და მიყვარს ის ადგილი, სადაც ბავშვობის და ახალგაზრდობის ლამაზი წლები მაქვს გატარებული. აფხაზეთი ჩემთვის დღემდე დიდი ტკივილი, სევდა და მონატრების უზომო განცდაა... როცა ომი დაიწყო, ერთ-ერთი შორეული ნაოსნობიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი. ეს იყო 14 სექტემბერს. 21 სექტემბერს კი, მე და ჩემი მეგობარი აფხაზებმა ტყვედ აგვიყვანეს იმის გამო, რომ ქართველები ვიყავით. ომის დასაწყისში საშინელი ქაოსი იყო, ძალიან ბევრმა არ იცოდა, რა ხდებოდა, რა უნდა მოემოქმედა...

— დიდხანს გაგრძელდა თქვენი ტყვეობა?

— ზუსტად ერთ თვეს.

— აფხაზები ცუდად გექცეოდნენ?

— როგორც უკვე აღვნიშნე, ომის დასაწყისში ისეთი აგრესიული დამოკიდებულება არ ყოფილა ჩვენ მიმართ, როგორიც შემდგომში. ვითარება თანდათან საშინლად იძაბებოდა და სისასტიკე მატულობდა... მაშინდელ აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრს, ბატონ ანქვაბს თურმე, ჩემი გვარი ეცნო, დამიბარა და მკითხა: შალვა კაკაბაძე შენი ვინ არისო — მამა-მეთქი, — ვუპასუხე. მამაჩემი ცნობილი ექიმი გახლდათ, თურმე, ანქვაბის ძმისშვილი მოურჩენია და ამის გამო, მამაჩემს დიდად ემადლიერებოდა. მოკლედ, ტყვეობისაგან მამის სახელმა მიხსნა. ანქვაბმა ჩემი გათავისუფლების ბრძანება გასცა, მაგრამ რადგან მარტო მე მათავისუფლებდნენ, გადავწყვიტე, მარტო არ წამოვსულიყავი. ქუჩაში მაინც ვერ გამოვიდოდით, საზღვრები ჩაკეტილი იყო, ყველგან აფხაზები დათარეშობდნენ. პატიმრები ეკლესიაში გადაგვიყვანეს და კარგა ხანს თავს იქ ვაფარებდით. ერთი ძალიან ახლობელი აფხაზი მეგობარი მყავდა — არტურ ბარციცი. მას ჩემი ადგილსამყოფელი დაუდგენია და ეკლესიაში მომაკითხა. გაგრის აღების დროს, ქართველებს მისთვის ძმა მოუკლავთ და მკვდარსაც ვეღარ პოულობდა. დახმარება მთხოვა — იქნებ, როგორმე, დაღუპული ძმის პოვნაში დამეხმაროო. უარი არ მითქვამს, თუკი ამას შევძლებდი, უკან არ დავიხევდი, ის ჩემი მეგობარი გახლდათ და მნიშვნელობა არ ჰქონდა, აფხაზი იყო თუ ქართველი. ეკლესიიდან გამოგვიყვანეს, დაცვაში ოთხი აფხაზი მოგვყვებოდა. გაგრამდე ძალიან ბევრი სამხედრო პოსტი უნდა გაგვევლო. ამ პოსტებზე აფხაზებიც იდგნენ, ჩეჩნებიც და კაზაკებიც. ერთ-ერთ პოსტზე ქართველები რომ დაგვინახეს, ჩვენს თანმხლებ აფხაზებს შესთავაზეს, ჩვენი თავი მათთვის დაეთმოთ, შემდეგ, ისინი აფხაზ ტყვეებში გადაგვცვლიდნენ. არტურმა მათ უარი უთხრა — მაგას ვერ ჩავიდენო... ჩეჩნები გაბრაზდნენ, ისინი აფხაზებსაც კი ძალზე ცუდად ექცეოდნენ. ჩვენ თქვენს დასახმარებლად მოვედით და კეთილი ინებეთ, ჩვენი გულისთვის ყველაფერი გააკეთეთო. — უთხრეს. არტურმა უპასუხა: **это наши братья.** ჩეჩენი კიდევ უფრო გამწარდა: ვერ გავიგე, თუ ძმები ხართ, ერთმანეთს რაღას ეომებითო?!. სანამ გაგრის პოსტამდე მივაღწევდით, ძალიან დიდი წინააღმდეგობების გადალახვა მოგვიხდა. როცა დანიშნულების ადგილამდე მივედით — ანუ აფხაზების ბოლო პოსტთან (იქით უკვე ქართველების პოსტი იყო) მოვილაპარაკეთ, რომ ჩემი ძმა კახა, თეთრი დროშით ხელში ქართველების პოსტზე გადავიდოდა და საკუთარ მამულიშვილებს დაღუპული აფხაზის ცხედრის დაბრუნებას სთხოვდა. ქართველებმა უარი უთხრეს. მაშინ არტურმა მათ ჩვენი თავი შესთავაზა: ორ ცოცხალ ქართველს დაგიბრუნებთ და ერთი მკვდარი აფხაზი მოგვეცითო. ამ წინადადების გამო, არტურმა წინასწარ მოგვიბოდიშა: რა ვქნა, უბრალოდ, სხვა გზა არა მაქვსო. ქართველებმა არც ეს წინადადება მიიღეს.

— რატომ? ორი ვაჟკაცი ქართველი ერთ მკვდარ აფხაზზე არ გაგცვალეს?

— იმიტომ, რომ იქ საშინელი მაროდიორობა და ქაოსი იყო. ქართველებმა იმ აფხაზის გვამი (როგორც შემდეგ გავიგეთ) 50.000 მანეთად გაყიდეს. ფულის გამო, ქართველმა ქართველები ომშიც კი არ დაგვინდო. მათ თავისუფლად შეეძლოთ, არტურისთვის ძმის ცხედარი გადაეცათ და ამის სანაცვლოდ, ჩვენ სამშვიდობოს გავსულიყავით. რამდენ ხანს შეძლებდა არტური ჩვენს დამაღვას, არ ვიცოდით... 100 მეტრით ვიყავით ქართველების პოსტს მოშორებული და არ მიგვიღეს, ფული ერჩივნათ, ჩვენ რაში ვედარდებოდით?! ძალიან ბევრი ნარკომანი იყო, ვითომ საბრძოლველად წამოსული. ისინი ფულის და წამლის გულისთვის ყველაფერს აკეთებდნენ... უკან დაბრუნება და ხელახლა პოსტების გავლა სიკვდილის ტოლფასი იყო. შეიძლებოდა, არტურს ვეღარც დავეცავით.

— როგორც ვიცი, თქვენ შამილ ბასაევსაც შეხვედრიხართ...

— იმ მომენტში, როცა არტური ქართველებთან ჩვენს გაცვლაზე მოლაპარაკებას აწარმოებდა, ჩვენ იქვე, აფხაზების პოსტთან ვიდექით და პასუხს ველოდებოდით. ამ დროს, პოსტს დიდი სატვირთო მანქანა მოადგა, გაჩერდა და იქიდან ჩეჩენი მებრძოლები გადმოცვივდნენ. ომი ახალი დაწყებული იყო და ყველას სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა. სწორედ ამან გადაგვარჩინა. კარი გაიღო და ნაცნობი სახე დავინახე — მივხვდი, რომ ბასაევი იყო. შიშმა ამიტანა... იქვე, ჩვენ გვერდით ჩამოსხდნენ. იარაღს ამონმებდნენ და ერთმანეთში ლაპარაკობდნენ, ჩვენ, რა თქმა უნდა, აფხაზები ვეგონეთ... კარგად მახსოვს შამილ ბასაევის სიტყვები: ეს ქართველები რა კურდღლებივით არიან, ესვრი ტანკს და კურდღლებივით გარბიანო... სიმართლე

გითხრათ, ძალიან გავმწარდი, მაგრამ არაფრის თქმა არ შემეძლო...

— ბოლოს და ბოლოს, როგორ გათავისუფლდით?

— ბოლოს, რადგან ქართველებმა უარი თქვეს, უკან მშვიდობიანად ჩვენი დაბრუნება ისევ არტურმა იკისრა. ეკლესიაში მისულებს კი მღვდელმა, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში გვმფარველობდა, უარი გვითხრა უკან მიღებაზე — წადით და თავს უშველეთ, მე ველარ დაგეხმარებითო, — თან ორი აფხაზი გამოგვაყოლა. როგორც იქნა, ადლერამდე ჩავაღწიეთ, ადლერიდან კი, თბილისში გადმოვფრინდი. ეს იმ პერიოდში მოხდა, როცა ქალბატონი ნათელა ქარდავა სოხუმში საბრძოლველად, საკუთარ ბატალიონს აყალიბებდა. გადავწყვიტე, მათთან ერთად, ისევ დავბრუნებულიყავი აფხაზეთში და ბრძოლა მანამდე გამეგრძელებინა, სანამ ამას შევძლებდი.

— როგორ ფიქრობთ, შეიძლებოდა, აფხაზეთის ომი მოგვეგო?

— აფხაზეთის ომმა 1 წელსა და 2 თვეს გასტანა, ესეც, იმ უბრალო ადამიანების ბრძოლის ხარჯზე, ვისაც მართლა გული შესტკიოდა საკუთარ მიწა-წყალზე. აფხაზეთის ომი თავიდანვე გაყიდული იყო. ჩვენ მიერ დაწყებული ყველა შეტევა წარმატებით ხორციელდებოდა: ავიღებდით პოზიციებს, წინ წავიდოდით, მეორე დილას კი, მოდიოდა ბრძანება, რომ უკან დაგვეხია. ომი ჩვენ, მებრძოლებს არ წაგვიგია. უბრალოდ, ბრძოლის საშუალება არ მოგვცეს. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვცდილობდით, პოზიციები არ დაგვეთმო და ბოლომდე გვებრძოლა.

— ბრძოლის დროს ტყვედ თუ ჩავარდნილხართ?

— ერთ საღამოს მივიღეთ დავალება — ხიდიდან, რომელიც სოხუმსა და ოჩამჩირეს ერთმანეთთან აკავშირებდა, 1200 კილო ამონალი უნდა ამოგვეღო, დრო ძალიან ცოტა გვქონდა. 12 კაცი შევიკრიბეთ და გეგმა შევიმუშავეთ. ღამის 3 საათზე დავიწყეთ გეგმის შესრულება, ამონალი ამოვიღეთ, ტომრებში ჩავყარეთ და წყალს გავატანეთ. ოპერაცია წარმატებით ჩავატარეთ. დაღლილებმა, იქვე მდგომ ცარიელ სახლს მივაშურეთ. როცა ცოტა დავისვენეთ და აზრზე მოვედით, აღმოჩნდა, რომ შემთხვევით, ალყაში აღმოვჩნდით: თურმე, ამ სახლის გარშემო აფხაზი მეომრები ყოფილან განლაგებული. სიტუაციიდან გამოსვლა ძნელი იქნებოდა — ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ, ბრძოლით ვერ მოვუგებდით და ეშმაკურ ხერხს მივმართეთ: ვითომ, ჩვენც აფხაზები ვიყავით — აფხაზურად დავიწყეთ ლაპარაკი. მე ერთი-ორი სიტყვა ვიცოდი, ქალბატონმა ნათელამ, ჩვენი ბატალიონის მეთაურმა კი, აფხაზური კარგად იცოდა. ბოლოს, აფხაზურად ვიმღერეთ კიდეც. ასე გამოვძვერით იმ ალყიდან. მსგავს სიტუაციაში ბევჯერ ჩავვარდნილვარ. იმწუთას ვერ გრძნობ იმას, რომ სერიოზული საშიშროების წინაშე დგახარ, როცა მდგომარეობიდან გამოდიხარ და ყველაფერს აანალიზებ, შიში მხოლოდ მაშინ გიპყრობს.

— ყოფილხართ თუ არა ისეთ სიტუაციაში, როცა გიფიქრიათ — მორჩა, ყველაფერი დამთავრდა — ანუ სიკვდილისთვის თვალებში თუ ჩაგიხედავთ?

— დღემდე ძალიან მიკვირს, ცოცხალი როგორ გადავრჩი: რამდენიმე მძიმე ჭრილობა მაქვს მიღებული. ერთხელ, ღვთისმშობლის ხატმა გადამარჩინა, რომელსაც გულის ჯიბით ვატარებდი — ჩემთვის დამიზნებული ტყვია აისხლიტა და ასე გადავრჩი. მაგრამ იმ წუთებში ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ტყვია მომხვდა და რაღაც წამებში, სულსაც დავლევდი... ძალიან მწარე და საშინელი დღეები გვაქვს გამოვლილი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რასაც იქ ვხედავდი, როგორ ექცეოდნენ აფხაზები ქართველებს, — დაუნდობლად, ცხოველებივით, — ეს იყო სრულიად გამანადგურებელი... გუდაუთაში ყოფნისას, ერთ-ერთი რუსული საშუალო სკოლის ეზოში საკუთარი თვალით ვნახე გაბმული მავთული, რომელზეც ქართველი მეომრების ყურები ჩამოეცვათ; იქვე დაჭრილი და ნაწამები ქართველის გვამი ეგდო და ზედ გულზე გაეკეთებინათ წარწერა: **продаётся грузинское мясо.** სიტყვებით ვერ გადმოგცემ, თუ რა დამემართა მაშინ... ეს იყო მართლა შოკის მომგვრელი.

— ქართველი მეომრები თუ ექცეოდნენ ასევე სასტიკად აფხაზებს?

— ჩვენ მეომრები ვიყავით და არა ჯალათები. ომის კანონი ასეთია: მტერი მოკალი, მაგრამ ნუ შეურაცხყოფ. შეტევებისა და შეტაკებების დროს ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა ძალიან ბევრი აფხაზი ჩაგვიხოცავს, მაგრამ გვამის შეურაცხყოფა და მსგავსი რაღაცები, რასაც აფხაზები ქართველებს უკეთებდნენ, ჩვენ არ ჩაგვიდენია. ძალიან ბევრჯერ იმის საშუალებაც კი მიგვიცია მოწინააღმდეგეებისთვის, რომ თავიანთი მიცვალებული გადაესვენებინათ. მაგრამ იყო ქართველ მეომართა დაჯგუფებებს შორის ისეთებიც, ვინც აფხაზ მიცვალებულებს „ყიდდა“. ჩვენს ბატალიონს მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა — ბრძოლა საქართველოს ერთიანობის შესანარჩუნებლად.

— ომში სხვა რა მიზანი უნდა გქონდეს?..

— ძალიან ბევრი, აფხაზეთში საომრად და საკუთარი მიწა-წყლის დასაცავად კი არა, გასამდიდრებლად იყო ჩასული. ამის დამადასტურებელ ფაქტებს თვითონ ვაწყდებოდი. ჩვენი ბატალიონის მეთაურმა, ქალბატონმა ნათელამ ორი დიდი ტრაილერი დაიკავა, რომელიც ძვირად ღირებული ნივთებით იყო დატვირთული. მან შეძლო ეს ქონება ჩამოერთმია მაროდიორებისთვის, მერე გაყიდა ის ნივთები და ბატალიონისთვის საბრძოლო იარაღი, ტყვია-წამალი შეიძინა... თავდადება და ერთგულება არავინ დაგვიფასა, რაზეც ძალიან მტკივა გული. როცა ახალგაზრდა თაობა ხედავს, თუ როგორ ექცევა სახელმწიფო თავის გმირებს, თავდადებულ ადამიანებს — მას აღარ გაუჩნდება სურვილი, ჯარში წავიდეს და საკუთარ ქვეყანას გამოადგეს...

იზოლდა რუსიტაშვილი:

— 27 წლის ვიყავი, როცა აფხაზეთის ომი დაიწყო. უკვე გათხოვილი გახლდით, ქმარიც მყავდა და ორი შვილიც.

— რამ გადაგაწყვეტინათ, რომ შვილები დაგეტოვებინათ და ომში საბრძოლველად წასულიყავით?

— ომში წასვლა არავის დაუძალებია, ჩემი სურვილი იყო, საბრძოლველად წავსულიყავი და ამით სამშობლოს სიყვარული გამომეხატა. ამ გადაწყვეტილების შესახებ მეუღლის გარდა, არავინ

არაფერი იცოდა. იმ პერიოდში ძალიან ხშირი იყო შემთხვევა, როცა ქართველი ქალები თურქეთში სავაჭროდ მიდიოდნენ. ჩემზეც ასე უფიქრიათ — თურქეთშია წასულიო. მაგრამ, როცა უკვე დანამდვილებით გაიგეს, თუ სად ვიყავი და რას ვაკეთებდი, ძალიან გაჰკვირვებიათ. მე და ჩემი მეუღლე ქალბატონ ნათელა ქარდავას ბატალიონის წევრები ვიყავით.

— ომში წასვლა რომ გადაწყვიტეთ, სროლა იცოდით თუ იქ ისწავლეთ?

— როცა საბრძოლველად წასვლა გადავწყვიტე, სროლის კურსები გავიარე, სადაც ასევე, ხელჩართული ბრძოლის ილეთებსაც გვასწავლიდნენ. მოკლედ, ომში ყველანაირად მომზადებული და მობილიზებული წავედი. როცა პირველად ოჩამჩირეში ჩავედით, იქ ძალზე ბევრი ჩემნაირი, ბრძოლის სურვილით შეპყრობილი გოგონა ვნახე, მაგრამ როცა უკვე დავალებები მივიღეთ — ვის რა უნდა გაეკეთებინა, ბევრი მათგანი შემინდა და მეორე დღესვე, უკან წამოვიდა. მე, პირიქით, იქ ჩასულს, ბრძოლის უფრო დიდი ჟინი გამიჩნდა. 16-კილოიანი ჯავშანჟილეტი ჩამაცვეს, „ლიმონკებიც“ მომცეს, იარაღიც და მიღებული დავალების შესასრულებლად თამამად, მეუღლესთან ერთად წავედი.

— როგორც ქალს, არ გაგიჭირდათ სისხლის ღვრასა და კაცისკვლაში ჩაბმა?

— საერთოდ, ბუნებით ძალიან მამაცი და უშიშარი ადამიანი ვარ. გადაწყვეტილი მქონდა, სანამ შევძლებდი, უკან დაუხევლად მებრძოლა. ჩემმა მშობლებმა რომ გაიგეს, ომში ვიყავი წასული, გლოვა გამოაცხადეს, ყოველდღე ჩემი სიკვდილის ამბავს ელოდნენ. მადლობა ღმერთს, რომ მეც და ჩემი მეუღლეც შინ მშვიდობით დავბრუნდით.

— მეუღლემ არ დაგიშალათ წასვლა? არ გითხრათ, რომ სახლში დარჩენილიყავით და შვილებისთვის მიგეხედათ?

— არა, არ დაუშლია, ეს გადაწყვეტილება ერთად მივიღეთ. ომში ყოფნისას, ერთი დღითაც არ დავცილებივართ ერთმანეთს. ძალიან ბევრი ტკივილი გადავიტანეთ. იყო დღეები, როცა საჭმელი არ გვქონდა, წყალი არ გვქონდა... ძალიან ბევრი მებრძოლი მინახავს, შიმშილისგან იმ დონეზე მისული, რომ მკვდარი ღორის ხორციც კი უჭამია. ჩვენს ბრძოლას აზრი არ ჰქონდა: აფხაზეთი გაყიდული იყო, გაყიდულ მიწაზე გვაომებდნენ... ისინი არა მარტო ჩვენ მიმართ იჩენდნენ სისასტიკეს, შეუბრალებლად ექცეოდნენ დაქირავებულ ჩეჩენ მებრძოლებსაც: მათთან კონტრაქტებს აფორმებდნენ — 3-თვიანს, 6-თვიანს, — ვადის გასვლამდე ცოტა ხნით ადრე, ფული რომ არ გადაეხადათ, კლავდნენ... აფხაზეთი პირადად ჩემთვის, ძალზე დიდ ტკივილთან და საშინელებასთან ასოცირდება. ■

თუმცა მეკობრეობა ძლიერი სქესის წარმომადგენელთა პრეროგატივაა, არსებობენ ქალები, რომელთაც ბავშვობაში ძალზე იტაცებდათ მეკობრეების ხიფათით აღსავსე ცხოვრება. ისინი ღამღამობით, ფარნის შუქზე, გულისფანცქალით კითხულობდნენ ჰენრი მორგანისა და ფრენსის დრეიკის თავგადასავლების შესახებ. ერთ-ერთმა მათგანმა კი, მეოთხე კლასში სწავლისას, ისტერიკამდე მიიყვანა მასწავლებელი, როცა შრომის გაკვეთილზე წინსაფრის ნაცვლად დროშა შეკერა, რომელზეც თავის ქალა და ძვლები იყო გამოსახული. არსებობდნენ ისეთი გოგონებიც, რომლებიც ზაფხულობით, სოფელში ყოფნისას, მეზობლის ფიცრულებს აბორდაჟით იღებდნენ...

მეკობრე ქალები – გუშინ და დღეს

სკოლაში სწავლისას, ასეთ გოგონებს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ იმაზე, თუ რით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან სინუსი და კოსინუსი, სამაგიეროდ, საზღვაოსნო ტერმინოლოგიაში ერკვეოდნენ კარგად. — აი, გავიზრდები, — ანდობდნენ გულისნადებს თანაკლასელებს, — დიდ ხომალდს ვიყიდი და მეკობრე გავხდები!.. თუმცა, იმ წიგნებში, რომლებსაც ისინი კითხულობდნენ, მეკობრე ქალებზე ერთი სიტყვაც არ იყო თქმული. იმ შემთხვევაში, თუ ამ თხზულებებში სუსტი სქესის წარმომადგენელი გამოჩნდებოდა, იგი უცილობლად მეკობრეთა ტყვე გახლდათ, ბრწყინვალე ქალბატონის ყველა კეთილშობილი თვისებით შემკული. ასეთი პერსონაჟები უეჭველად მოოქროსფრო-წაბლისფერთმიანები იყვნენ, ხშირ და გრძელ წამწამებს ნაზად აფახულებდნენ და დროდადრო, გული მისდიოდათ, საამისო მიზეზი კი, ნამდვილად ჰქონდათ.

აი, მაგალითად, XVII საუკუნის მოღვაწის მოწმობა — იმ პერიოდის მეკობრეთა ჩვეულების შესახებ: „...მათ ეკიპაჟის წევრებს ხელ-ფეხი მოჰკვეთეს, ყურები და ცხვირები დააჭრეს, დასახიჩრებულ სხეულზე თაფლი წაუსვეს და ბოძებზე გააკრეს, რათა მათთვის ბუზებსა და სხვა მწერებს კიდევ უფრო აუტანელი ტანჯვა მიეყენებინათ“.

სავსებით შესაძლებელია, თქვენი ბებია მრისხანე მეკობრეთა მავი დროშის ქვეშ ოკეანეებს სერავდა...

აბა, შეიძლებოდა, შუა საუკუნეებში მცხოვრებ ნაზ ქალებს ასეთი სისასტიკის ჩადენა შესძლებოდათ?!

თურმე, შეეძლოთ! მეკობრე ქალები მართლაც არსებობდნენ! უბრალოდ, ისინი მაღალ, კეთილშობილურ მიზნებს არ ისახავდნენ და მათ შესახებ რომანტიკულ ლეგენდებს არ თხზავდნენ. ისინი, როგორც წესი, საზოგადოებისგან დევნილნი იყვნენ, სამაგიეროდ, მათი სახელის ხსენებაზე, თავად ძლიერნი ამა ქვეყნისანი ძრწოდნენ...

ჟანა დე ბოვილი – „ანგელოზი“ და „მძვინვარე ძუ ლომი“

1325 წლის გაზაფხულზე პარიზში გრანდიოზული ქორწილი გადაიხადეს. მთელი ქალაქი მხოლოდ ფეოდალ ოლივერ დე კლისონის ნორჩ, ულამაზეს საცოლეზე — ჟანა დე ბოვილზე ლაპარაკობდა, რომლის ძარღვებშიც კაპეტინგთა სამეფო დინასტიის სისხლი ჩქეფდა, მაგრამ ახალგაზრდა ცოლ-ქმრის თანაცხოვრება მეტისმეტად რთული აღმოჩნდა. ისინი ძალზე განსხვავებულები იყვნენ — ნაზი, უწყინარი ჟანა და — უგულო, ქარაფშუტა დე კლისონი. მას არამზადის რეპუტაცია ჰქონდა. ერთხელ, დღისით, მზისით, ქუჩაში მოწყალების სათხოვნელად გამოსული მათხოვარი აკუწა და რომ არა მისი მფარველის, ძლევამოსილი შარლ IV-ის ქომაგობა, სახრჩობელა ნამდვილად არ ასცდებოდა. თვინიერი ჟანა ღირსეულად იტანდა ქმრის გამოხდომებს, ოინებს. მას უყვარდა მეუღლე და დე კლისონს ორი შვილიც აჩუქა. შესანიშნავი დედა გახლდათ.

თუ მოქალაქეები დე კლისონს „ხორცშესხმულ ეშმაკს“ ეძახდნენ, მადამ დე ბოვილი მათთვის არაამქვეყნიური სიკეთისა და სიმშვიდის განსახიერებას წარმოადგენდა. მათხოვართან დაკავშირებული ინციდენტიდან სულ მოკლე ხანში, შარლ IV

ისე გარდაიცვალა, რომ მემკვიდრე არ დარჩენია. მეფედ მისი ბიძაშვილი — ფილიპ VI აკურთხეს, რომელიც დე კლისონს ნამდვილად არ სწყალობდა. ამიტომ მან ხომალდი შეიძინა, ეკიპაჟის წევრები დაიქირავა და ბედის საძებნელად, გაშლილ ზღვაში გავიდა.

მაგრამ როგორც ჩანს, ოლივერ დე კლისონმა ბედნიერების ძიებაში ძალზე ღრმად შეტოპა: თუ მანამდე მას უბრალოდ არამზადად მიიჩნევდნენ, იმ დღიდან, შეუბრალებელი ზღვის ყაჩაღის სახელი დაიმკვიდრა. მისი ფათერაკების შესახებ ძალზე ცოტა რამ არის ცნობილი. გაურკველია ისიც, თუ რამ აიძულა ფილიპ VI, დე კლისონისთვის სახელმწიფო ღალატში დაედო ბრალი, ხოლო 1345 წელს, ცოლისა და ორი ვაჟიშვილის თვალწინ, სიკვდილით დაესაჯა. უბედურებით თავზარდაცემული, ნაზი და მგრძნობიარე ჟანა კინაღამ ჭკუიდან შეიშალა, მაგრამ მასში შურისძიების გრძნობამ იმძლავრა და ამან გადაარჩინა. მალე ჟანამ უკანასკნელი დანაზოგით სამი ხომალდი შეიძინა და ვაჟიშვილებთან ერთად, ლა-მანშის სრუტეში მათი მხედველობის არეში მოხვედრილი ყველა გემის ძარცვას მიჰყო ხელი.

საფრანგეთში მას მაშინ ახალი მეტსახელი შეარქვეს — „მძვინვარე ძუ ლომი“. ჟანა დე ბოვილმა თავის ქმარსაც კი გადაჭარბა სისასტიკით. ის ხელში ტყვედ ჩავარდნილთ აუცილებლად სიკვდილით სჯიდა, თანაც ისე, რომ თითოეული მათგანისთვის სულ ახალ-ახალ სატანჯველს იგონებდა. მისი დაჭერა ვერავინ შეძლო, რადგან ამ ხნის განმავლობაში, ჟანამ ზედმიწევნით კარგად შეისწავლა „სამეკობრეო მეცნიერება“. ფილიპ VI-ს ისღა დარჩენოდა, რომ უძლურებისგან ხელები გაეშალა და წყევლა-კრულვით მოეხსენიებინა „ცოფიანი ჯადოქარი“.

რარიგ საოცარიც არ უნდა იყოს, ჟანა დე ბოვილის ცხოვრება მშვიდობიანად დასრულდა. მან შეძლო, საკუთარ თავში ეპოვა ძალა და მაშინ მას ხელახლა ეწვია სიყვარული. სამწუხაროდ, ისტორიულ წყაროებში მისი მეორე რჩეულის შესახებ არაფერია ნათქვამი. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მდიდარი ესპანელი დიდებული გახლდათ. მადამ დე ბოვილი მეორე ბრწყინვალე ქორწინების შემდეგ, კვლავ ნაზი და უწყინარი გახდა. ლა-მანშის სრუტეში მოგზაურმა ვაჭრებმაც შვებით ამოისუნთქეს.

თანამებრძოლი მეგობრები – ანა ბონი და მერი რიდი

ისინი მამაცები, ტემპერამენტიანები და ლამაზები იყვნენ. ორივე ისე ისროდა მიზანში, რომ ნებისმიერ ჯარისკაცს შეშურდებოდა. მათ ერთი მამაკაცი უყვარდათ, მაგრამ მათი მეგობრობისთვის ამასაც კი არ შეუშლია ხელი.

ანა ბონი ირლანდიური წარმოშობის ამერიკელი გახლდათ. 16 წლისამ მან თავისი ბედი მეკობრეთა ხომალდის კაპიტანს, ჯეკ რეკამს, მეტსახელად კალიკო-ჯეკს დაუკავშირა. მამაკაცად გადაცმული ანა თავის რჩეულს ზღვაში გაჰყვა. გამუდმებული დევნის, ძარცვის და თავგადასავლების შემხედვარე ანას, ირლანდიურმა სისხლმა უყივლა და სულ რაღაც სამ თვეში იგი მამაც, გამობრძმედილ ზღვის ყაჩაღებსაც კი არ უდებდა ტოლს.

მერი რიდი მეზღვაურის ქალიშვილი გახლდათ. ერთხელაც, მამამისი ზღვაში გავიდა და აღარ დაბრუნებულა. ამაოდ ელოდა და მისტიროდა მას მერის დედა. არც ერთი თვისა და არც ერთი წლის შემდეგ, მისგან არანაირი ცნობა არ მიუღიათ. თვით მერის, რომელსაც მამის სიკვდილი არ სჯეროდა, ერთი სურვილი ჰქონდა — შორს, ჰორიზონტს მიღმა გაეცურა და მამა მოეძებნა!

მერის საზღვაო კარიერა 14 წლის ასაკში, სამხედრო გემზე იუნგად მუშაობით დაიწყო. 1761 წელს, ანა ბონისა და ჯეკ რეკამის მეკობრეთა ბრიგმა (ორანძიანი ხომალდი) ერთი ინგლისური გემი იგდო ხელთ. ტყვეებს შორის, მამაკაცის ტანსაცმელგადაცმული მერი რიდიც აღმოჩნდა. იგი მეკობრეებს შეუერთდა, ანა კი მის საუკეთესო მეგობრად იქცა.

ისინი 4 წელი დაცურავდნენ ერთად. ამ ხნის განმავლობაში მრავალი ხომალდიც ჩაძირეს და არაერთგზის გადასერეს ატლანტის ოკეანე. მერის შეუყვარდა მომხიბლავი გარეგნობის რეკამი, მაგრამ თავისი გრძნობები მეგობრისთვისაც კი არ გაუმხელია. სამაგიეროდ, ქალების გულთამპყრობელმა რეკამმა მეგობრების „გაცურება“ მოახერხა და ერთმანეთისგან მალულად, ორივეს ესიყვარულებოდა. როდესაც სიცრუეს ფარდა აეხადა და „ცბიერი მოღალატე“ გამოააშკარავეს, ქალბატონები მრისხანებამ შეიპყრო, მაგრამ ურთიერთობის გარკვევა იამაიკაზე ჩასვლამდე გადადეს.

როგორც კი მათი ხომალდი სანუკვარ მიწას მიუახლოვდა, ინგლისელებმა შეუტიეს. მეკობრეები ბრძოლაში ჩაებნენ. გამარჯვებამდე სულ ცოტა იყო დარჩენილი, როდესაც შეშინებულმა კალიკო-ჯეკმა მოულოდნელად ანძაზე თეთრი დროშა აღმართა. მეკობრეები დამარცხდნენ. ინგლისელებმა ზღვის ყაჩაღები დაატყვევეს. ჯეკ რეკამი მეორე დღესვე ჩამოახრჩვეს. ჯეკი, როგორც კი მას კისერზე ყულფი ჩამოაცვეს, საშინლად გაფითრებული ჩანდა. სწორედ ამ დროს, ბადრაგის თანხლებით, შორიახლოს მყოფმა ანა ბონმა შესძახა: „შენ რომ მამაკაცივით გებრძოლა, სული ასე ძაღლურად არ ამოგხდებოდა!“

ანას და მერის სიკვდილით დასჯა შეუცვალეს, რადგან ორივე მათგანი ბავშვს ელოდა. მერი რიდი დაავადდა და ციხეშივე გარდაიცვალა ისე, რომ შვილის გაჩენა ვერ მოასწრო. ანა ბონმა კი გაქცევა მოახერხა, მაგრამ მის შემდგომი ბედის შესახებ აღარაფერია ცნობილი.

აგრესიული ავანტიურისტები

თურმე შესაძლებელია, მეკობრე ქალი, ჩვენს დროშიც არსებობდეს. ამისთვის რომის სმა და ტყვეებისთვის ყურების დაჭრა სულაც არაა აუცილებელი. „ჟანა დე ბოვილი, მერი რიდი, ანა ბონი განსაზღვრული ტიპის ქალებს განეკუთვნებიან, — აღნიშნა ერთ-ერთმა ცნობილმა ფსიქოლოგმა — მათთვის უმთავრესი ცხოვრებისეული ღირებულება — ავანტურიზმი და აგრესიაა. მაგრამ ეს თვისებები დროის ფაქტორზე დამოკიდებული როდია. ისინი ადამიანს ნებისმიერ ეპოქაში ახასიათებს და თუ შუა საუკუნეებში ამ ტიპის ქალები საყაჩაღოდ ზღვაში გადიოდნენ, დღესდღეობით ისინი სხვადასხვა ექსტრემისტული ორგანიზაციის წევრები, საიდუმლო აგენტები ან თაღლითები ხდებიან. ჩვეულებრივ, ასეთი ქალები სისასტიკითა და პროფესიონალიზმით მამაკაცებს სჯაბნიან კიდეც“.

საერთო ჯამში, თუ იმ ოფისის კართან, რომელშიც თქვენ მუშაობთ, დინამიტის დადების დაუოკებელი სურვილი გაწუხებთ ან მშვიდად ადგენთ ბანკის გაძარცვის გეგმას, ხოლო საღამოობით, ცხელ გულზე მეუღლეს საფერფლესაც ესვრით, — დაუყოვნებლივ უნდა შეისწავლოთ თქვენი საგვარეულო გენეალოგია: სავსებით შესაძლებელია, რომ ბებიის-ბებიისბებიის... თქვენი ბებია მრისხანე მეკობრეთა შავი დროშის ქვეშ ოკეანეებს სერავდა...

ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და კოლორიტული მსახიობი — ვუპი გოლდბერგი წარმატებული ბიზნესლედია. იგი არაკომერციული კინოს პროდიუსერია, ბოლო წლებში კი, სოფლის მეურნეობამაც გაიტაცა. ორი წლის წინ, მსახიობმა ვერმონტის შტატში შესანიშნავი ფერმა შეიძინა. 301 ჰექტარზე გადაჭიმულ მამულში საცხოვრებელი სახლის გარდა, რამდენიმე ბოსელი, საჯინიბო, საქათმე და სამეურნო დანიშნულების სხვა შენობა-ნაგებობაა განლაგებული. ვუპი ფერმაში ხშირად ვერ ჩადის, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი ბიზნესი ყვავის, რადგან მამულში მეურნეობას, ვუპის სრული ნდობით აღჭურვილი ნიჭიერი მმართველი უძღვება. სხვათა შორის, ფერმის მიმდებარე პატარ-პატარა ქალაქების მოსახლეობა „ვუპის“ ფირმის ხორცისა და რძის ნაწარმს სიამოვნებით მიირთმევს.

ვუპი გოლდბერგი

ძლიერი ქალი, რომლის გვერდით ცხოვრება მამაკაცებს უჭირთ!

— მის გოლდბერგ...

— უბრალოდ ვუპი დამიძახეთ. აქ, ნიუიორკში ყველა ასე მომმართავს.

— გმადლობთ! შარშან 50 წელს გადააბიჯეთ, ეს ასაკი ხომ არ გაშინებთ?

— სულაც არ მაშინებს! ასაკის გამო პრობლემა არასდროს შემქმნია. თმაში გარეული ჭაღარა და ნაოჭები არ მაშინებს. ეს ის არ არის, რის გამოც ნერვიულობა ღირს... მერე რა, რომ კიდევ ერთი წელი მომემატა. მთავარია, ჯანმრთელი და ბედნიერი ვარ. წარმატება, მეგობრები და იდეები არ მაკლია, ესაა მთავარი!

— ჰოლივუდის მიმართ როგორ ხართ განწყობილი?

— შესაძლოა, უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ საკუთარ თავს ჰოლივუდის და საერთოდ, გასართობი ინდუსტრიის ნაწილად არასდროს აღვიქვამდი, სტუდიაში მივდიოდი, დასახულ ამოცანას პირნათლად ვასრულებდი და იქაურობას სწრაფად ვტოვებდი. მე ვარსვლავური ცხოვრებით არ ვცხოვრობ, მაღალი საზოგადოების თავყრილობებზე არ დავდივარ, რადგან სხვა საქმეებიც თავზე საყრელად მაქვს..

— მკაცრი შეფი ბრძანდებით?

— სამართლიანი შეფი ვარ. ზოგჯერ, როდესაც თავს მაბეზრებენ, შესაძლოა, მეტისმეტად ვცხარობ, მაგრამ საქმიანი ალღო ნამდვილად მაქვს. ფერმასა და ჩემს საპროდიუსერო კომპანიაში ოცზე მეტი ადამიანი მუშაობს. მათ ბედზე პასუხისმგებელი მე ვარ და უნდა გითხრათ, რომ საქმეს თავს კარგად ვართმევ.

— როგორია თქვენი დღის განრიგი?

— დილით ადრე ვდგები, საუზმეს ვიმზადებ, გაზეთებს ვკითხულობ და ზოგიერთ საქმეს ტელეფონით ვაგვარებ. შემდეგ, გადაღებაზე მივდივარ ან ახალ კინო და ტელეპროექტებზე ვმუშაობ, ქველმოქმედებას ვწევი. ამის გარდა, ამერიკის უნივერსიტეტებში ლექციებს ვკითხულობ. ასე რომ, თავისუფალი დრო იშვიათად მაქვს.

— თქვენი ბინის ინტერიერზე ვინ იზრუნა?

— დიზაინერები ბევრს ვერაფერს გამომრჩებიან: ყველაფერი თავად მოვიფიქრე. აქ არც ერთი სტილი არ ბატონობს. უბრალოდ, სახლი ისე მოვაწყე, როგორც მომწონდა. ჩემი ბინა მყუდრო და პრაქტიკულია. ძვირად ღირებული ავეჯი არ მჭირდება. თაროების უმრავლესობა მეგობრის ნახელავია, ფერწერული ტილოები ჩემი მეგობარი მხატვრების დახატულია.

— „ოსკარის“ მფლობელი ხართ. ეს ჯილდო თქვენთვის რა ნიშნავს?

— დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ, ქანდაკებას ყველგან თან დავატარებდი, ხელიდან წუთითაც არ ვუშვებდი, მაგრამ შემდეგ ეიფორია ნელ-ნელა ჩაცხრა. ახლა ეს ჯილდო ჩემთვის უზარმაზარი, წარმატებული ნამუშევრის სიმბოლოა.

— შემოქმედებითი ჩავარდნების შიში გაქვთ?

— ეს შიში მუდამ თან მდევს. თითოეული ფილმი — დიდი მოლოდინია. ვუპი გოლდბერგის ფილმებიდან ხალხი ბევრს მოელის. ამასთან, ფილმებში უზარმაზარი ფულია ჩადებული. გაცილებით იოლი იყო, როდესაც არაფერს წარმოვადგენდი. ახლა დასვენება გადავწყვიტე და ჯერჯერობით ახალ ფილმებში არ ვთამაშობ...

— კინემატოგრაფს ემშვიდობებით?

— არა! უბრალოდ, ახლა გადაღებების ხასიათზე არ ვარ. მინდა, დრო საკუთარ თავს დავუთმო. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ბევრს ვმუშაობდი, ერთი გადასაღები მოედნიდან მეორეზე გავრბოდი. მთელი დატვირთვით ვშრომობდი. ახლა მსურს დავმშვიდდე, სახლს მეტი დრო დავუთმო, ვიკითხო და მუსიკით დავტკბე. ეკრანზე აუცილებლად დაებრუნდები, მაგრამ ამიერიდან სცენარს უფრო კრიტიკულად მივუდგები, სულელურ ფილმებში აღარ ვითამაშებ...

— მსახიობებიდან ბევრთან მეგობრობთ?

— ჩემი ბევრი კოლეგა ძალიან მომწონს, ზოგიერთ მათგანს დროდადრო ვხვდები. ბევრი საინტერესო მეგობარი მყავს. მარლონ ბრანდო ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენს ურთიერთობებზე სალაპარაკოდ, მზად არ ვარ. მარლონ ბრანდო შესანიშნავი, საოცარი, იშვიათი და განსაკუთრებული ადამიანი იყო. მისი სიკვდილი დღემდე უდიდეს ტკივილს მაყენებს. საერთოდ, ახლობელი ადამიანების სიკვდილს დიდხანს, მძიმედ განვიცდი

— თითოეულ ფილმში 20 მლნ დოლარს გიხდიან. ამ ფულს როგორ და რაში ხარჯავთ?

— ჰონორარის შესახებ კომენტარისგან თავს შევიკავებ. ფულს კი ჩემს თანამშრომლებზე, სახლსა და ოფისებზე ვხარჯავ, გადასახადებს ვიხდი და კიდევ ძალიან მიყვარს წიგნების შეძენა. ათასობით ძველი წიგნი მაქვს.

ვუპი დედასთან ერთად. ლოს-ანჯელესი 1987 წ.

— ოდესღაც კი, უმუშევართა შემწეობით გაგქონდათ თავი...

— ის დრო არასდროს მავიწყდება და წარმატებისთვის უფალს ყოველდღე მადლობას ვწირავ!

— ქუჩის მათხოვრებს ეხმარებით?

— ყოველთვის ვეხმარები. საერთოდ, საქველმოქმედო მიზნით, ბევრ ფულს ვწირავ. ბევრი კოლეგისგან განსხვავებით, ჩემს საკუთარ სამყაროში არ ვიკეტები. კარგად ვიცი, თუ რა პრობლემები დგას ჩვენი საზოგადოების წინაშე. პოლიტიკის, ეკონომიკისა და სოციალური სფეროს საკითხები მაინტერესებს.

— ერთ დროს ნარკოტიკების მომხმარებელი იყავით. ამ სენს თავი როგორ დააღწიეთ?



მსახიობი ქალიშვილთან და შვილიშვილთან, ამარა სკაისთან ერთად. ნიუ-იორკი. 1996 წ.

— ეს დიდი ხნის წინ იყო. მივხვდი, რომ ნარკოტიკები პრობლემებისგან ვერ დამიხსნიდა. ის მხოლოდ დროებით გავიწყებს შიშს, საზრუნავსა და დარდს, შემდეგ კი ეს ყველაფერი გაორმაგებული სიმძაფრით უკანვე გიბრუნდება... იმ დროს მართლაც, ძლიერ ვიტანჯებოდი...

— მართალია, თითქოს რეჟისორები სატელეფონო ზარებით აკლებული გყავთ?

— დიახ. როდესაც ესა თუ ის როლი მომწონს, სატელეფონო ტერორს მივმართავ. სულ ბოლოს, კლინტ ისტვუდი ავიკელი (აღსანიშნავია, რომ მაშინ ვუპი გოლდბერგის სატელეფონო ტერორი უშედეგო აღმოჩნდა. ვუპიმ ტრილერში — „სისხლიანი სამუშაო“ — როლი ვერ მიიღო. როგორც ამბობენ, კლინტ ისტვუდს უკვე სხვა მსახიობი ჰყავდა როლზე დამტკიცებული და გადაწყვეტილება აღარ შეცვალა).

— ვუპი, რომელიმე როლზე თუ ოცნებობთ?

— არა! რანაირი გრიმიც არ უნდა გამიკეთონ, მზეთუნახავის როლს მაინც ვერასდროს ვითამაშებ. ეკრანზე ისეთ ადამიანებს განვასახიერებ, რომლებიც მე შემეფერებიან. ახირებული, ხუშტურიანი ქალების როლების სათამაშოდ, დიდი გარდასახვა არ მჭირდება.

— სხვადასხვა ფერის წინდებით რატომ დადიხართ?

— ბოლო დროს წინდებს მკერავთან ვიკერავ! თითოეული წინდა უნიკალურია და შემიძლია, ისინი ერთმანეთს ის შევუხამო, როგორც მომესურვება.

— ფერად სათვალეს რატომ ატარებთ?

— ფერადმინიან სათვალეს იმიტომ ვატარებ, რომ მის გარეშე სამყაროს ძალზე რუხ ფერში აღვიქვამ. მე ძველი ჰიპი ვარ! უამრავი ფერადმინიანი სათვალე მაქვს...

— ჰოლივუდში ყველაზე ულიმლამოდ ჩაცმული ქალბატონის სახელით სარგებლობთ...

— ამით ვამაყობ. უბრალოდ, იმას ვიცვამ, რაც მომწონს. მოდა ნაკლებად მაღელვებს. ტანსაცმელი მოსახერხებელი უნდა იყოს.

— დიეტას ხშირად იცავთ?

— ვერ ხედავთ, რომ არ ვიცავ?! მსუყე საწებელსა და შოკოლადის ნაყინზე ვაფრენ. სიგანეში ვიმატებ, მაგრამ ეს, ნაკლებად მაღელვებს.

— თქვენ და ბილ კლინტონი ძველი მეგობრები ხართ. როგორი ადამიანია?

— ბილი კარგი მეგობარია. ის საინტერესო პიროვნებაა, რომელსაც ვენდობი. მისი იუმორის გრძნობა და ადამიანებისადმი გულწრფელი ინტერესი მომწონს. ვისურვებდი, რომ ჩვენი ქვეყნის სათავეში ისევ მისნაირი ადამიანი მოვიდეს.

— კლინტონს ხშირად ხვდებით?

— ტელეფონით ხშირად ვსაუბრობთ. ორ კვირაში ერთხელ მაინც აუცილებლად ვხვდებით ერთმანეთს. მისი ცოლიც ძალიან მიყვარს. ჰილარი ძალზე ჭკვიანი და კარგი ქალია. სხვათა შორის, კლინტონისგან შესანიშნავი კომიკოსი დადგებოდა. მის ხუმრობებს აღტაცებაში მოვყავარ.

— პოპულარობა გაღიზიანებთ?

— არა, პოპულარობის მოსაპოვებლად, დიდი შრომა დამჭირდა. ყოველთვის ვოცნებობდი, რომ ჩემი ფოტოსურათები ჟურნალის გარეკანზე მეხილა. ჩემი წარმატებით ვამაყობ. შემიძლია ვთქვა, რომ ხორცშესხმული „ამერიკული ოცნება“ ვარ.

— ამბობენ, თითქოს თვითმფრინავით მგზავრობას უფრთხით.

— მართალია! ამერიკაში სპეციალური, კომფორტული ავტობუსით გვმოგზაურობ, ევროპაში საოკეანო ლაინერით მივემგზავრები.

— მოდი, საუბრის თემა შევცვალოთ. მამაკაცები გულს ხშირად გტკენდნენ?

— ასეც მომხდარა; მამაკაცებს ძლიერი ქალის გვერდით ცხოვრება უმძიმთ. უმრავლესობას მხოლოდ უნებისყოფო, ქერათმიან ლამაზმანებთან ერთად ცხოვრება შეუძლია. მე კი, პიროვნება ვარ, ძლიერი ხასიათი მაქვს!

— სამჯერ გათხოვდით და სამჯერვე გაიყარეთ...

— თითოეული განქორწინება ქეიფით აღვნიშნე... მერწმუნეთ, ახლა ჭკუა ვისწავლე და კარგად დავფიქრდები, სანამ მეოთხედ გათხოვებას მოვინდომებ! ბედნიერების მისაღწევად, დაქორწინება არ მჭირდება.

ვუპი გოლდბერგი პირველად 1973 წელს გათხოვდა. მისი რჩეული მოკრძალებული ფარმაცევტი ელვინ მარტინი იყო. იმავე წელს ქალიშვილი ალექსანდრა შეეძინა. ვუპის მეუღლე — ძველმოდური შეხედულებების, პედანტი ადამიანი — ცოლის თავისუფალ აზროვნებას არ იზიარებდა. გასაკვირი არ არის, რომ მათი ოჯახური თანაცხოვრება არ აეწყო. ქორწინების მე-6 წლისთავზე ისინი გაიყარნენ. 1986 წელს ვუპიმ კინოოპერატორი დევიდ კლესენი გაიცნო. ორიოდე თვის შემდეგ, ისინი შეუღლდნენ, მაგრამ ეს ქორწინება პირველზე ხანმოკლე აღმოჩნდა: ორი წლის შემდეგ, ვუპი გოლდბერგი ქმარს გაშორდა. განქორწინების მიზეზი დღემდე უცნობია. 1994 წელს მსახიობმა ოჯახის შექმნა კიდევ ერთხელ სცადა. მისი რჩეული, პროფკავშირების მოღვაწე ლაილ ტრახტენბერგი, ცოლის მაღალმა შემოსავალმა იმდენად დააკომპლექსა, ქორწინებამ მხოლოდ 1 წელი გასტანა... ვუპის ქალიშვილმა ალექსანდრამ მამაკაცებისგან დამოუკიდებლობისკენ სწრაფვაში დედასაც კი გაუსწრო. 15 წლის ასაკში ქალიშვილი ისე გააჩინა, რომ გათხოვება არც უფიქრია, შვილის საქციელით აღშფოთებულ ვუპის, დიდი ხნით გაუფუჭდა ალექსანდრასთან ურთიერთობა. მას წლები დასჭირდა იმისთვის, რომ სიტუაციას შეჰგუებოდა. ამასობაში კი, ალექსანდრამ დედას კიდევ ორი შვილიშვილი გაუჩინა.

— ამჟამად შვილთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— ახლა ბევრად უკეთესი ურთიერთობა გვაქვს. ძალიან გაბრაზებული ვიყავი, მაგრამ არასდროს მიმიტოვებია, ჩემგან ყოველთვის იმის მაქსიმუმს იღებდა, რისი მიცემაც შემეძლო. შვილიშვილებს ვაღმერთებ და მათთვის არაფერზე უარის თქმა არ შემიძლია.

— ახლა, როდესაც მე-6 ათეულში გადააბიჯეთ, საკუთარ თავს რას უსურვებდით?

— საკუთარ თავს — არა, მაგრამ ზოგადად იმაზე ვოცნებობ, რომ სამყაროში მშვიდობამ წუთით მაინც დაისადგუროს. ომები, ტერორი და კატასტროფები მცირე ხნით მაინც შეწყდეს, რათა კაცობრიობამ მშვიდობის, მყუდროებისა და სიცოცხლის მშვენიერება შეიგრძნოს. აი, ეს არის ჩემი ოცნება!..

ამერიკის კინომსახიობთა გილდია 2006 წლის პრემიის ნომინანტებს ასახელებს

კეიტ ბლანშეტი და ჯუდი დენჩი ფილმში „შენიშვნები ერთი სკანდალის შესახებ“

ამერიკის კინომსახიობთა გილდიამ 2006 წლის პრემიის ძირითად პრეტენდენტთა ვინაობა დაასახელა. გილდიის ოფიციალური პრესრელიზის თანახმად, ნომინაციაში — „საუკეთესო სამსახიობო შემადგენლობა“ ძირითადი ბრძოლა 5 ფილმს შორის გაიმართება. ეს ფილმებია: „ბაბილონი,“ „ბობი“, „განდგომილნი“, „საოცნებო ქალიშვილები“, „პატარა მის ბედნიერება“.

პერსონალური ნომინაციების პრეტენდენტთა სია ასე გამოიყურება:

ნომინაცია „მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებელი“: ლეონარდო დი კაპრიო — „სისხლიანი ალმასი“; რაიან გოსლინგი — „ნელსონის ნახევარი“; პიტერ ო'ტული — „ვენერა“; უილ სმიტი — „ბედნიერების ძიებაში“; ფორესტ უითაკერი — „შოტლანდიის უკანასკნელი მეფე“.

ნომინაცია „ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელი“: პენელოპა კრუსი — „დაბრუნება“; ჯუდი დენჩი — „შენიშვნები ერთი სკანდალის შესახებ“; ჰელენ მირენი — „დედოფალი“; მერილ სტრიპი — „ეშმაკი PRADA-ს ატარებს“; კეიტ უინსლეტი — „პატარა ბავშვები“.

ნომინაცია „მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებელი“: ალან არკინი — „პატარა მის ბედნიერება“; ლეონარდო დი კაპრიო — „განდგომილნი“; ჯეკი ერლ ჰეილი — „პატარა ბავშვები“; ჯიმონ ჰანსუ — „სისხლიანი ალმასი“; „ედი მერფი — „ოცნების ქალიშვილები“.

ნომინაცია „ქალის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებელი“: ადრიანა ბარაზა — „ბაბილონი“; კეიტ ბლანშეტი — „შენიშვნები ერთი სკანდალის შესახებ“; აბიგაილ ბრესლინი — „პატარა მის ბედნიერება“; ჯენიფერ ჰადსონი — „ოცნების ქალიშვილები“; რინკო კიკუჩი — „ბაბილონი“.

ამერიკის კინომსახიობთა გილდიის პრემიით დაჯილდოებულთა ვინაობა 28 იანვარს გამართულ საზეიმო ცერემონიაზე დასახელდება. ■

ამერიკაში ყველაზე გავლენიანი ლათინურამერიკელი

აშშ-ში ყველაზე გავლენიან ლათინურამერიკელთა სიის სათავეს ცნობილი მომღერლისა და მსახიობის ჯენიფერ ლოპესის სახელი ამშვენებს. გამოცემა Forbes-ის თანახმად, ჯეი ლო ჰოლივუდის უმდიდრესი ლათინურამერიკელიცაა. „დიდი მიღწევაა — საყოველთაო მიბაძვის ობიექტი იყო“, — ამბობს მსახიობი.

პოლიტიკოსთა შორის სიაში მოხვდნენ ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი და კუბის ლიდერი ფიდელ კასტრო. პოლიტიკური რეიტინგის სათავეში კი აშშ-ის გენერალური პროკურორი ალბერტო გონსალესი აღმოჩნდა. სიის „კულტურულ ნაწილში“ ჯეი ლოს გარდა მოხვდნენ მუსიკოსები: შაკირა, კარლოს სანტანა, ხულიო იგლესიასი და რიკი მარტინი; მსახიობები: ანტონიო ბანდერასი, ევა ლონგორია, სელმა ჰაიეკი და რეჟისორი გონსალეს ინიარიტუ, რომლის ახალ სურათს — „ბაბილონი“ კრიტიკოსები „ოსკარს“ უწინასწარმეტყველებენ. ■

საახალწლო დღეებში კინოგაქირავების ლიდერი

კინოკომედიამ — „ღამე მუზეუმში“, რომელშიც მთავარ როლს ბენ სტილერი თამაშობს, გაქირავების ლიდერის პოზიცია განიმტკიცა. საიტი Boxofficemojo.com იუწყება, რომ ფილმის შემოსავალმა 1-4 იანვარს ამერიკის კინოთეატრებში 46,7 მლნ დოლარი შეადგინა და ამგვარად, აშშ-ში საერთო შემოსავალმა უკვე 125 მლნ დოლარს გადააჭარბა, მეორე ადგილს დრამა — „ბედნიერების ძიებაში“ იკავებს, რომელშიც მთავარ როლებს უილ სმიტი და მისი ვაჟიშვილი თამაშობენ. ახალი წლის დღეებში სურათის შემოსავალმა 24,7 მლნ დოლარი შეადგინა. რეიტინგში მესამე ადგილი 18,7 მლნ დოლარით მუსიკალურმა ფილმმა — „ოცნების ქალიშვილები“ დაიკავა და ამასთან, მიუზიკლებს შორის ერთი დღის შემოსავლის მიხედვით, აბსოლუტური რეკორდიც დაამყარა. 12 იანვრიდან დამატებით, ფილმის 1000 ასლი გამოვა.

საახალწლო კინოგაქირავების ლიდერთა ათეული ასეთია:

Night at the Museum — 46.700.000 დოლარი;
The Pursuit of Happyness — 24.700.000 დოლარი;
Dreamgirls — 18.672.000 დოლარი;
Charlotte`s Web — 15.050.000 დოლარი;
The Good Shepherd — 14.251.000 დოლარი;
Rocky Balboa — 13.660.000 დოლარი;
Eragon — 10.575.000 დოლარი;
We are Marshall — 10.225.000 დოლარი;
Happy Feet — 9.700.000 დოლარი;
The Holiday — 8.500.000 დოლარი.

■

ჯეკი ჩანმა საკუთარი კინოკომპანია დააარსა

ჰონკონგელმა კინოვარსკვლავმა ჯეკი ჩანმა ჩინეთში საკუთარი საპროდიუსერო კომპანია დააარსა და 10 ფილმის გადაღებას აპირებს. 52 წლის მსახიობს, რომელიც ამჟამად ფილმის — „პიკის საათი-3“ გადაღებებითაა დაკავებული, ახალი ტალანტებისა და ახალი იდეების მოძიებაც სურს. „მე რეჟისორებთან შეხვედრა, სცენარების კითხვა და ახალი სცენარებისათვის იდეების ძიება მჭირდება“, — ამბობს მსახიობი, რომელიც ჰოლივუდში მუშაობას და ჩინურ ენაზე ფილმების შექმნას ერთდროულად აპირებს. სამსახიობო კარიერის განმავლობაში, ჯეკი ჩანმა ასზე მეტ ფილმში ითამაშა. მსახიობმა 2006 წლის სექტემბერში განაცხადა, რომ ფილმებში კიდევ 5 წელიწადს ითამაშებს, შემდეგ კი ახალგაზრდა კასკადიორებთან მუშაობასა და პროდიუსერობაზე გადაერთვება. ■

რონალდო 30 გოლის გატანას აპირებს

როგორც ჩანს, რონალდო ძველ ფორმას იბრუნებს. ყოველ შემთხვევაში, „რეალის“ ბოლო მატჩებში ბრაზილიელი სუპერვარსკვლავის მიერ გატანილი გოლების შემდეგ, ამის იმედი მიეცათ მადრიდელ ქომაგებს. კიჭა ისევ იღიმება, რადგან ხვდება, რომ კვლავ გუნდის განუყოფელ და მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. ამას წინათ, რონალდომ ინტერვიუ მისცა ერთ-ერთი ესპანური გამოცემის კორესპონდენტს. ვფიქრობთ, ეს საუბარი ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება.

— რობერტო კარლოსსა და კალდერონს დაენაძლევე, რომ მიმდინარე სეზონში 30 გოლს გაიტან. სიტყვას შეასრულებ?

— ჩვენი სანაძლეო კვლავაც ძალაშია და ვეცდები, ის მოვიგო. ყველაფრის მიუხედავად, კონკრეტული მიზნის დასახვა და მისი მიღწევა ჩემი ხასიათის ნაწილია. ხალხი, რომელიც ჩემ წინააღმდეგ გაერთიანდა, — ჩემთვის მხოლოდ დამატებითი სტიმულია. დარწმუნებული ვარ, სანაძლეოს მოვიგებ.

— ფრანგულმა გაზეთმა, Le Monde გამოაქვეყნა სტატია იმის შესახებ, რომ „რეალი“, „ბარსელონა“ და „ვალენსია“ დოქტორ ეუფემიანო ფუენტესთან თანამშრომლობდნენ. ამან სპორტის სამყაროში დიდი რეზონანსი გამოიწვია...

— ამ სენიორს არ ვიცნობ, მის შესახებ არაფერი ვიცი...

— მაგრამ არ გეჩვენება, რომ სწორედ ამ მომენტში ამგვარი ინფორმაცია შემთხვევით არ გაჟონავდა?..

— არ ვიცი. სიმართლე ისაა, რომ ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს. უკანონოს არაფერს ვაკეთებთ და შესამოწმებლად, მუდამ ღია ვართ უეფასთვის, „ლა ლიგისთვის“ და ნებისმიერი სხვა საფეხბურთო ორგანიზაციისთვის. სამედიცინო პრეპარატებს მხოლოდ მაშინ ვიღებთ, როდესაც ავად ან ტრავმირებულები ვართ, თუმცა არავითარ სტიმულატორს არ ვიყენებთ.

— შენი გოლებით კრიტიკოსებს „მოაკეტვინე“?

— როდესაც გოლები გამაქვს, ამას იმისთვის კი არ ვაკეთებ, რომ ვინმეს რაიმე დავუმტკიცო. უბრალოდ, ბედნიერი ვარ, როცა კარგ თამაშს ვაჩვენებ და გოლების გატანას ვახერხებ.

— როგორ გგონია — ამ გოლების შემდეგ, სასტარტო შემადგენლობაში დაიმკვიდრებ ადგილს?

— თუ მწვრთნელი ასე გადაწყვეტს, შემიძლია, გუნდს სარგებლობა მოვუტანო. მსურს, რომ ამ კლუბისთვის საჭირო მოთამაშედ ვიქცე. გოლების გატანა და გამარჯვებების მიღწევა მინდა.

— მაგრამ მწვრთნელს გაუგებ, თუ კვლავაც სათადარიგოთა სკამიდან მოგიწევს ხოლმე მოედანზე გამოსვლა?

— ყველაფერი მესმის — მე ხომ პროფესიონალი ვარ.

— როგორ გგონია — ყველა სირთულე უკან მოიტოვე?

— სიმართლე თუ გნებავთ, კარიერაში ყველაზე რთული პერიოდი მაშინ დამიდგა, როდესაც ერთიმეორის მიყოლებით ვიღებდი ტრავმებს. ახლა ყველაფერი რიგზეა. გუნდის ცხოვრებაში კვლავაც ვმონაწილეობ.

— ამბობდი, რომ კაპელო შენ მიმართ მეტისმეტად მომთხოვნია. ის მართლა მკაცრი და სწორხაზოვანია?

— მომწონს, რომ ის ასეთი მომთხოვნია. ყოველთვის მომწონდა, როდესაც მწვრთნელი მოდუნების უფლებას არ მაძლევდა. მას ჩემგან დიდი შედეგის მიღწევა სურს, ხანდახან ერთმანეთს ვერ ვუგებთ და ვკამათობთ, მაგრამ ეს სამუშაო მომენტებია, რომლებიც ფეხბურთისგან განუყოფელია. ვგრძნობ, რომ კაპელო ჩემით დაინტერესებულია. მის გუნდში მნიშვნელოვანი მოთამაშე ვარ და მას ჩემი სჯერა.

— ერთხელ კაპელომ განაცხადა, რომ შენ სქელი ხარ. ხომ არ მიიჩნევ, რომ ეს შენ მიმართ უპატივცემულობის გამოხატვა იყო?

— სიმართლე გითხრათ, მისი სიტყვები არ მაღიზიანებს. მაგრამ ხანდახან, პრესით გავრცელებული ასეთი გამონათქვამები კოლექტივის მიკროკლიმატზე უარყოფით გავლენას ახდენს. ზედმეტ წონასთან დაკავშირებით, მთელი გუნდი მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება და ჩემი მონაცემებიც ყველასათვის გახსნილია, ვისაც ეს აინტერესებს. ამ თემის განხილვა უბრალოდ, აბსურდია, მაგრამ ასეთია დიდი ფეხბურთის სამყარო.

— კიევში გამართული მატჩის შემდეგ, კაპელომ განაცხადა, რომ შენი თამაშით კმაყოფილია. იგივე პირადად თუ გითხრა?

— ამისთვის დრო არ ჰქონდა. არ გვისაუბრია, მაგრამ ამის გაგონება მისგან მსურს. ამ ცოტა ხნის წინ მართლაც, შემაქო. ფეხბურთელისთვის მნიშვნელოვანია ის, თუ რას ფიქრობს მასზე მწვრთნელი.

— კაპელო ყველაზე მომთხოვნი მწვრთნელია მათგან, ვისთანაც გიმუშავია?

— დიახ, ის ყველაზე მომთხოვნია.

— მუდმივი კრიტიკა მუშაობაში ხელს არ გიშლის?

— როდესაც გოლი გამაქვს, დიდებული ვარ, ხოლო როდესაც არა — სქელი... შემიძლია გითხრათ, რომ თავდაუზოგავად ვშრომობ, რათა გამუდმებით პროგრესს მივაღწიო. ჩემთვის სულერთია, რას ლაპარაკობს ხალხი.

— კიევში ჩატარებული მატჩის შემდეგ, ერთ-ერთი ბეჭდვითი ორგანოს მთავარ გვერდზე გამოქვეყნდა მასალა სათაურით — „მეფის დაბრუნება“ და ყველა სვეტში საფეხბურთო ასპექტებსა და შენს ორ გოლზე იყო ლაპარაკი. გინდა, რომ პრესაში შენზე ასეთი განხილვები გაიმართოს ხოლმე?

— რა თქმა უნდა. ფეხბურთზე, გამარჯვებებზე, მარცხზე, კონკრეტულ თამაშებსა და გოლებზე ლაპარაკი მირჩევნია. ფეხბურთი ყველაზე მთავარია, რაც გვაქვს მე და კიდევ მილიონობით ადამიანს.

— გარდა ამისა, ამჟამად, კვლავ რონალდოს ჟამი დგება...

— როდესაც არ ვთამაშობდი, მოედანზე რამდენიმე წუთით შევდიოდი და უმეტესად, სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი. მაშინ მხოლოდ ჩემს ზედმეტ წონაზე ლაპარაკობდნენ. როდესაც ვთამაშობ და უშუალოდ ფეხბურთზე ვლაპარაკობთ და არა

სხვა თემაზე, საკუთარი ძალისა მჯერა.

— მართალია ის, რომ „რეალი“ დღეს ერთიანი კოლექტივია?

— დიახ, ჩვენ ყოველთვის ერთიანი კოლექტივი ვიყავით. ამ წლების განმავლობაში ბევრი რამ გამოვცადეთ. არ ღირს იმაზე ფიქრი, რომ გამარჯვებებს გუნდის მიკროკლიმატზე ასეთი დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია. როგორც გამარჯვების, ასევე მარცხის დროს, ყოველთვის ერთად ვართ და ერთმანეთს ვამხნევებთ.

— ხალხისგან ყველაზე ძნელი რისი მოსმენაა?

— უკვე 3 წელია, რაც არავითარი ტიტული აღარ მოგვიპოვებია. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ შესახებ უკვე ბევრი რამ მოვისმინეთ...

— მოგწონს ის თამაში, რომელსაც გუნდი უჩვენებს?

— ის იმ მომენტიდან მომწონს, რომლიდანაც მასში თავად ვმონაწილეობ. საკუთარი თამაშით კმაყოფილი ვარ. შეიძლება, დღეს ლამაზ თამაშს არ ვუჩვენებთ, მაგრამ პირველ რიგში, საჭირო შედეგის მისაღწევად ვიბრძვით. თუმცა, მინდა, ქომაგები დავარწმუნო, რომ მალე ისინი „სამეფო კლუბის“ თამაშით დატკბებიან.

— ახლა, როდესაც გოლების გატანას კვლავ ახერხებ, ხომ არ გრძნობ იმას, რომ მეტოქეები სხვაგვარად გეპყრობიან?

— ჩემთვის სულერთია, როგორ მომეპყრობიან მეტოქეები. მხოლოდ საკუთარ თამაშსა და გუნდზე ვფიქრობ. თუ ისინი ჩემი თამაშის გამო მცემენ პატივს — კარგია, თუ არა — მაინც კარგია.

— როგორ ფიქრობ — ბეკჰემი „რეალში“ უნდა დარჩეს?

— დიახ. დევიდი ყოველთვის ბოლომდე იხარჯება გუნდის წარმატებისთვის და მე მას მხარს ვუჭერ. მის პლუსებზე ლაპარაკს აზრი არა აქვს — ამის შესახებ ისედაც ყველამ ყველაფერი იცის. მოედანზე ერთმანეთს ყოველთვის მხარში ვუდგავართ. ■

ემერსონი: «გერმანიაში მარცხის შესახებ ნულარაფერს მკითხავთ»

ტურინის „იუვენტუსის“ გარშემო აგორებული სკანდალისა და სერია B-ში ამ გუნდის დაქვეითების გამო, იტალიური გრანდი არაერთმა ცნობილმა ოსტატმა დატოვა. მათ შორის იყო ბრაზილიელი ემერსონიც, რომელმაც მადრიდის „რეალში“ გააგრძელა კარიერა. „სამეფო კლუბში“ გადასვლამდე, სამხრეთამერიკელ ნახევარმცველს არაერთი სხვა კლუბიდან ჰქონდა მიწვევა.

— „როდესაც „იუვენტუსის“ დატოვების გადაწყვეტილება მივიღე, სხვადასხვა გუნდიდან მომივიდა მიწვევა, თუმცა, ბევრი მათგანის შესახებ არც კი გამიგონია, რადგან „რეალში“ გადასვლა მალევე გადავწყვიტე. ეს ვარიანტი მეც მაძლევდა ხელს და „იუვენტუსსაც“, — ამბობს ემერსონი, რომელიც ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთი სპორტული ინტერნეტ-საიტის კორესპონდენტს ესაუბრა.

— 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში სერიოზული ცვლილებები განხორციელდა. ახალმა მთავარმა მწვრთნელმა, კარლოს დუნგამ შემადგენლობის გაახალგაზრდავებაზე გააკეთა აქცენტი და სისტემატურად ათამაშებს კარვალიუს, ვაგნერ ლავსა და დუდუს, რომლებიც რუსეთის ჩემპიონატში ასპარეზობენ...

— რა თქმა უნდა, ვიცი, რომ სამივე მათგანი მოსკოვში თამაშობს, უფრო მეტიც — ჩემი აზრით, მათ ძალიან სცივათ ხოლმე (*იცინის*)... ეჭვი არ მეპარება, რომ სამივე, „ცეესკას“ წამყვანი ფეხბურთელია. პირველ რიგში იმიტომ, რომ თითოეული მათგანი მაღალი კლასის მოთამაშეა. ასე რომ არ ყოფილიყო, დუნგა მათ ეროვნულ ნაკრებში არ მიიწვევდა.

— თქვენ კი უკვე აღარ თამაშობთ ქვეყნის მთავარ გუნდში...

— დიახ, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, სანაკრებო კარიერა დავასრულე. მივიჩნევ, რომ ბრაზილიის ეროვნულ გუნდში საინტერესო და დასამახსოვრებელი წლები გავატარე. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, ეროვნულ გუნდში თამაში „მაღალ ნოტაზე“ დამესრულებინა, მაგრამ გერმანიაში ოქროს მედლების დაუფლება ვერ შევძელით. ნუ მკითხავთ იმას, თუ რატომ მოხდა ასე: ამ შეკითხვას ხშირად მისვამენ, მაგრამ არ ვიცი, რა ვუპასუხო. სინამდვილეში, საკუთარ ძალებში დარწმუნებული ვიყავით და გერმანიაში გამარჯვების მოსაპოვებლად ჩავედით.

— „რეალი“ უკვე თქვენი მესამე გუნდია, რომელშიც ფაბიო კაპელოს ხელმძღვანელობით ასპარეზობთ.

— ძალიან კარგად გვესმის ერთმანეთის. ფეხბურთის მისეული ხედვა მომწონს. ვაფასებ კაპელოს მიერ ჩემდამი წლების განმავლობაში გამოჩენილ ნდობას. იგი უდიდესი მწვრთნელი და შესანიშნავი ადამიანია, რომელმაც ჩემს კარიერაში დიდი როლი ითამაშა.

— თუმცა, იტალიელ სპეციალისტს, „რეალის“ არცთუ ისე სანახაობრივი თამაშის გამო ხშირად აკრიტიკებენ...

— ნებისმიერი მწვრთნელის მიერ გაწეული სამუშაოს შეფასების კრიტერიუმი, შედეგია. ბევრს არ მიუღწევია ისეთი შედეგებისთვის, როგორსაც კაპელო აღწევდა. დარწმუნებული ვარ, მისი მუშაობა „რეალშიც“ წარმატებული იქნება. როდესაც ეს მოხდება, კრიტიკოსები ვეღარაფერს იტყვიან.

— „სანტიაგო ბერნაბეუს“ პუბლიკა უფრო შეტევით ფეხბურთსაა შეჩვეული და მისთვის არცთუ ისე სასიამოვნოა იმის ყურება, თუ როგორ თამაშობს მისი საყვარელი გუნდი — დაცვიდან.

— თუ საჭირო გახდება, ჩვენ ნებისმიერი მეტოქისათვის თამაშის საკუთარი წესების შეთავაზება შეგვიძლია. გაიხსენეთ, როგორ დაამარცხა „რეალმა“ „ბარსელონა“ — განა ეს გამარჯვება ეფექტური და დასამახსოვრებელი არ იყო?! სხვა საქმეა ის, რომ ძლიერმა გუნდმა მაქსიმალურად დამჯერებლად უნდა იმოქმედოს. ჩემთვის სულაც არა აქვს დიდი მნიშვნელობა იმას, თუ როგორ ვთამაშობთ, — მთავარი, გამარჯვებაა.

— როგორც ნახევარმცველს, დაცვაში თამაში უფრო მოგწონთ თუ შეტევაში?

— ყველაფერი კონკრეტულ სიტუაციაზეა დამოკიდებული. პრინციპში, დაცვითი სტილის ფეხბურთელად უფრო მივიჩნევ თავს — „რეალშიც“, „იუვენტუსშიც“ და ბრაზილიის ნაკრებშიც. მადრიდში ჩემი უმთავრესი საზრუნავი გუნდური თამაშის ბალანსის დაცვაა. რა თქმა უნდა, საჭიროების მიხედვით, ყოველთვის მზად ვარ იმისთვის, რომ წინ ვითამაშო. განა შეიძლება, ბრაზილიელს თავდასხმაში ჩართვა არ ხიბლავდეს?!. ■

გოჩა მანველიძე

თეთრი სიკვდილი

დასაწყისი იხ. „გზა“, №34-44

ნიკა ხვდებოდა, რომ რომანი სამმართველოში არ შეხვდებოდა მესხს, მაგრამ იმან კი გააოცა და გააღიზიანა კიდეც, რომ პაემანი მცხეთის ერთ-ერთ რესტორანში დაუთქვა. საქმე ძალზე სერიოზული იყო საიმისოდ, რომ მასზე რესტორანში ელაპარაკათ. მაგრამ ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილება რომანმა მიიღო. თანაც, შეხვედრის ადგილი თავად მესხმა შეარჩია და ნიკას სხვა არაფერი რჩებოდა — ის უსიტყვოდ მიუჯდა საჭეს და თავის „ბეემვეს“ მცხეთისკენ ააღებინა გეზი.

მესხი რესტორნის ავტოსადგომთან დახვდა სტუმრებს. ჯერ რომანს მიესალმა, შინაურულად გადაკოცნა, შემდეგ, ნიკას მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ჰა, როგორ ხარ, ძველო?

— რა მიშავს, — მხრები აიჩეჩა ნიკამ.

— რაღაც უხასიათოთ მეჩვენები, — განაგრძო მერაბმა.

— არა, ისეთი არაფერი, — პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ნიკამ.

— აქაურობა არ მოსწონს, — საუბარში ჩაერთო რომანი.

— რატომ? — გაუკვირდა მერაბს. — არ გიყვარს რესტორნები?

— მიყვარს, მაგრამ ახლა საქეიფოდ არ გვცალია...

— კარგი, რა, ნიკა! არ მოგბეზრდა სამმართველოს კაბინეტები და დაბღვერილი თანამშრომლები?!. თქვენ ისეთი საქმე გაქვთ ჩემთან, რომ აქაც მოვახერხებთ ლაპარაკს. სანამ მოვრჩებით, შემოგვაღამდება და სხვა საქმესაც მივხედავთ... შენი არ ვიცი, მე კი ისე ვარ დაკავებული, რომ რომანთან შეხვედრასაც ვეღარ ვახერხებ. ასე, სამსახური თუ შეგვახსენებს ერთმანეთს. შენ კი გინდა, კაბინეტში დავამთავროთ ლაპარაკი და მაშინვე დავშორდეთ ერთმანეთს?!

— კარგი. რაც იყო, იყო. აქ მოსული, უკან ხომ არ გავბრუნდები, — ხელი ჩაიქნია ნიკამ.

— ჰოდა, ასე არ ჯობია?!. — გაიცინა მერაბმა, შემდეგ, ნიკას მხარზე მოხვია ხელი და რესტორნისკენ წაიყვანა.

რამდენიმე წუთში მერაბი და მისი სტუმრები რესტორნის დარბაზის განაპირას, მყუდრო კუპეში გაწყობილ სუფრასთან ისხდნენ. ოფიციანტმა ქალმა მაგიდაზე საფერფლეები დადო და მერაბს მიაპყრო მზერა.

— ჯერჯერობით არაფერი გვინდა. ცოტა ხანში შემოიხედე, — უპასუხა მერაბმა და თავის სტუმრებს მიუბრუნდა: — მიდით ახლა, პატიჟი არ დამაწყებინოთ. ყველანი სამსახურიდან, დაღლილები მოვდივართ და მშივრები ვართ...

რომანი მაშინვე გამოცოცხლდა. თეფშზე საწებელა დაისხა, ცალ ხელში პურის ნაჭერი მოიმარჯვა, მეორეში — ქათმის ბარკალი და მადიანად შეუდგა ჭამას.

— კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ კიდევ ბევრი რამის სწავლა მოგიწევს, — უკმაყოფილო სახით ჩაილაპარაკა მერაბმა, როდესაც ნიკამ მხოლოდ „ბორჯომი“ მოსვა...

— რას გულისხმობ? — ჰკითხა ნიკამ.

— რას უნდა ვგულისხმობდე, ბიჭო?!. — გაეცინა მერაბს. — სუფრასთან ვართ, ამდენი ხანი არ შევხვედრივართ ერთმანეთს, ლუკმა გატეხე, საქმე კი არსად გაგვექცევა...

— არ გეწყინოს, მერაბ. მართლაც, არა ვარ ქეიფის ხასიათზე, — უპასუხა ნიკამ.

— კარგი. იქნებ, ასე მაინც გამოგაცოცხლო, თორემ, უკვე ვგრძნობ, რომ მე და რომანსაც არ შეგვარგებ ამ პურმარილს, — ამ სიტყვებთან ერთად, მერაბმა თეფში გვერდზე გადადო, რომანს მიაჩერდა და ჰკითხა: — რით დაგაინტერესათ ჭელიძემ?

— იცი, რომელ საქმეზე ვმუშაობთ? — ჰკითხა რომანმა.

— ვიცი.

— მურტალი საქმეა, ბუნდოვანი... აქამდე ვერც ერთი ფაქტი ვერ დავუკავშირეთ ერთმანეთს. ახლა კი, საქმეში ეს ჭელიძეც გამოეჩხირა, — უპასუხა რომანმა.

— მე დაახლოებით მაინც ვიცნობ მაგ საქმეს და ვერ ვხვდები, საიდან გახვედით ჭელიძეზე? — თქვა მერაბმა.

— ნიკამ შემთხვევის ადგილზე, მობილურის დეპოზიტის გასააქტიურებელი ბარათი იპოვა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ ბარათით შეავსეს გორგაძის მობილურის ანგარიში, მაგრამ ამ დროს ის უკვე მკვდარი იყო...

— ჰოდა, თქვენც თავისთავად გაგიჩნდათ კითხვა: რამე ხომ არ აკავშირებს იმ მობილურთან ჭელიძეს? — განაგრძო მერაბმა.

— მგონი, ლოგიკური კითხვაა... — ჩაილაპაეაკა რომანმა.

— სავსებით, — დაეთანხმა მერაბი, — ყველა გამომძიებელი ასე მოიქცეოდა.

— მაინც, რა კაცია ის ჭელიძე? — საუბარში ჩაერთო ნიკა.

— იმედი უნდა გაგიცრუოთ, ბიჭებო. ჭელიძე არაა ის კაცი, რომელსაც თქვენ ეძებთ.

— საიდან ასკვნი? — ჰკითხა რომანმა.

— ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჭელიძეს უბრალოდ, არ შეეძლო იმ ბარათით ანგარიშის შევსება, მით უმეტეს — თავდასხმაში მონაწილეობა. ის იმ დროისთვის უკვე აყვანილი იყო, — უპასუხა მერაბმა.

— ვიცი, მაგრამ მას მობილურის ვინმესთვის მიცემა შეეძლო, — შენიშნა ნიკამ.

— არ შეეძლო, — თავი გააქნია მერაბმა.

— რატომ? — გაუკვირდა ნიკას. — მას შეეძლო, მობილური გორგაძის მკვლელობის შემდეგ მიეთვისებინა და ვინმესთვის მიეცა...

— მხოლოდ თეორიულად, რეალურად კი... — მერაბმა პაუზა გააკეთა და შემდეგ განაგრძო: — იმ დღეს მე ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც შემთხვევის ადგილზე მივიდა. მე თვითონ დავათვალიერე ყველაფერი. გორგაძის ყველა ნივთი ადგილზე აღმოჩნდა. მას ფულიც ჰქონდა ჯიბეში. მაგრამ ეს არ არის მთავარი. გვამს ჯიბეში სუბუტექსის მოზრდილი შეკვრა აღმოვუჩინეთ. უფრო ზუსტად — 24 „კაკალი“... როგორ გგონია, რა უფრო დააინტერესებდა ჭელიძეს — მობილური თუ სუბუტექსი, რომლის გაყიდვითაც, ის შვიდი ასეთი აპარატის ყიდვას შეძლებდა?.. თან გაითვალისწინე, რომ ჩვენ „ბარიგაზე“ ვლაპარაკობთ!..

— რა კაცია ჭელიძე? — პაუზის შემდეგ ჰკითხა ნიკამ.

— ხომ გითხარი, „ბარიგაა“, — უპასუხა მერაბმა.

— დღეს ყველა ნაბიჭვარმა წამლის გაყიდვას მოჰკიდა ხელი. ისეთი ხალხი „ბარიგობს“, რომ.... — აღარ დაამთავრა ნიკამ.

— ჭელიძეც ზუსტად ეგეთი ნაბიჭვარია. ერთი მხრივ, მეცოდება კიდეც. შეიძლება, გორგაძის სიახლოვემაც იმოქმედა მასზე. სად ჭელიძე და სად გორგაძე?! გორგაძე ჩამოყალიბებული მორფინისტი და ახვარი იყო, ის კი — ჩვეულებრივი არიფი, რომელიც გორგაძემ შეაბა და „ბარიგობა“ დააწყებინა.

— მაგ არიფმა კურდღელივით გააგორა გორგაძე... — შენიშნა ნიკამ.

— ახალი კაცი ხარ ამ საქმეში, ნიკა, ბევრი რამის სწავლა მოგიწევს. ახლა კი, ერთი რამ დაიმახსოვრე: ყველაზე მურტალი მკვლელი — არიფია. ეგენი ძალიან ადვილად ღვრიან სისხლს. „შპანაა“, რომელსაც ერთი ღერი სიგარეტის ან „დიშოვი“ მობილურისთვის შეუძლია კაცის მოკვლა. გორგაძე ასეთ საქმეს ხელს არ მოაწერდა. იმან კარგად იცოდა სიცოცხლის ფასი და კიდევ ის, რომ მკვლელობის მუხლით „სროკზე“ წასულს, შავები პასუხს მოსთხოვდნენ. ჭელიძემ კი, ერთი პატარა პარტია სუბუტექსისთვის გაიმეტა. შიშის გამო გაიმეტა. ხომ აზრზე ხარ, რა „ბაზარი“ გაიმართებოდა მაგათ შორის?!. გორგაძე არ იკადრებდა „გადაგდებას“. იმ გოიმს კი, ვიღაცამ აახია წამალი! ამ დროს, გორგაძეს ჰუმანიტარული ფირმა არ ჰქონდა და მაგრად ეკიდა ჭელიძის მოკაიფე კურსელები. აქ ნაღდ მაყუთზეა ლაპარაკი. ვისაც კაიფი უნდა, მაყუთიც უნდა გადაიხადოს. ჭელიძემ კი, მთელ პარტიაში „გადააგდო“

ძმაკაცი. „იასნია“, რომ გორგაძე ემუქრებოდა და არიფიც ზუსტად ისე მოიქცა, როგორც მის ადგილას ყველა გოიმი მოიქცეოდა, — ბავშვობის მეგობარი მიაბრიდა!.. ახლა თუ ხვდები, რა კაცია ჭელიძე?

— დაახლოებით, — პაუზის შემდეგ ჩაილაპარაკა ნიკამ.

— არა, ვერ ხვდები, — თავი გააქნია მერაბმა, — რომ ხვდებოდე, ასეთ მნიშვნელობას არ მიანიჭებდი. გორგაძე ცოცხალი რომ ყოფილიყო, მართლაც, გექნებოდა მისი დაკითხვის საფუძველი. ჭელიძე კი... ეს საერთოდ, უმნიშვნელო ფიგურაა, ნიკა. ერთი რიგითი „ბარიგა“, რომლისაირიც გორგაძეს ბევრი ჰყავდა. გორგაძისგან იღებდა ჭელიძე წამალს და თავის არიფ კურსელებში ავრცელებდა. სხვა დანიშნულება ამ პიროვნებას არ ჰქონია და არც გორგაძის ბანდის სხვა წევრებთან ექნებოდა ურთიერთობა...

— ბანდის?! — ნიკამ სწრაფი მზერა ესროლა მერაბს.

— ნუ „დაიგრუზები“ ამ სიტყვით. შენ და რომანს სხვა ხალხთან და მართლა ბანდასთან გაქვთ საქმე. მე ასეთ სიმაღლეზე არ დავფრინავ და ჩემთვის გორგაძე და მისი ათი ან თორმეტი „ბარიგაც“ ბანდაა. სწორედ ასეთი ჯგუფის შეკონიწება შეძლო გორგაძემ. ის „დიშოვკა“ იყო, მაგრამ თავისი დონისთვის, საკმაოდ გონიერი. მან მარტივი სისტემა შექმნა: თვითონ ერთპიროვნული მმართველი გახდა და ყოველ „ბარიგასთან“, რომელსაც სუბუტექსით ამარაგებდა, მხოლოდ თვითონ ჰქონდა კავშირი. ასე რომ არ ყოფილიყო, ახლა ჭელიძესთან ერთად, ათი-თორმეტი ახვარი აღმოჩნდებოდა იზოლატორში. მაგრამ ის გორგაძის მეტს არავის იცნობდა. ასე რომ, მისი დახმარების იმედი ნუ გექნებათ. ის ვერ მიგანიშნებს თავდამსხმელებზე — უბრალოდ, არაფერი იცის მათ შესახებ.

ნიკამ, რომელსაც აღარაფერი ჰქონდა სათქმელი, რომანს გახედა. ის მთელი ამ დროის განმავლობაში უდარდელი სახით აგრძელებდა ჭამას.

— ყურადღებით უსმინე. მერაბმა კარგად იცის რასაც ამბობს. თუ ამბობს, რომ იმ კაცის დაკითხვა არაფერს მოგვცემს, ესე იგი ასეცაა, — მშვიდად ჩაილაპარაკა რომანმა.

— გორგაძის ძმა?.. რა როლს ასრულებს ის ამ საქმეში? — ისევ მესხს მიუბრუნდა ნიკა.

— რომელ საქმეში?

— რომელსაც შენ იძიებდი? — დაზუსტა ნიკამ.

— „პეხოტაა“... — ხელი ჩაიქნია მესხმა. — ჭელიძე უფრო სერიოზული ტიპია, ვიდრე გორგაძის ძმა.

— როგორ?.. ჭელიძე უფრო ახლოს იყო უფროს გორგაძესთან? — გაუკვირდა ნიკას.

— რას ხედავ ამაში უცნაურს?

— ისინი ხომ ძმები იყვნენ, — ჩაილაპარაკა ნიკამ.

— შენ ბევრი რამე არ იცი, ნიკა, — ჩაურთო რომანმა. — კრიმინალებში ეს, ჩვეულებრივი მოვლენაა. ჯერ არ შეხვედრივარ ქურდს, რომელიც თავის ძმას ან შვილს მისი მიბაძვით ცხოვრებას ურჩევდა... გორგაძეც ასეთი იყო. ნებისმიერთან ერთად წავიდოდა საქმეზე, მაგრამ თავის ძმასთან — არა!..

— ეს უმცროსმა გორგაძემ უკვე დაამტკიცა, — განაგრძო მესხმა.

— რა დაამტკიცა? — გახედა ნიკამ.

— ის, რომ ძმის საქმეებში არ არეოდა.

— რით დაამტკიცა? — ჰკითხა ნიკამ.

— გუშინ გორგაძემ ჭელიძის წინააღმდეგ ჩვენება მისცა. პრინციპში, ამას გამოძიებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არც ჰქონდა: ჭელიძის ირგვლივ ყველაფერი ისედაც გარკვეული გვქონდა. მაგრამ გორგაძემ თავისი სათქმელი თქვა და ყველას დაუმტკიცა, რომ ძმის „სასტავთან“ არაფერი აკავშირებდა.

— ისევ კედელი!.. — წამოიძახა ნიკამ და შუბლი მოისრისა.

— საქმეები, მით უმეტეს ასეთი რთული, იოლად არ იხსნება. არ გეწყინოს, მაგრამ ეს შენთვის გაკვეთილად უნდა იქცეს. თვითონ დაფიქრდი — სად სტუდენტი და სად — „სასტავი“, რომელსაც საერთაშორისო კავშირები აქვს და რამდენიმე წუთში 4 ადამიანის მოკვლა შეუძლია?! — იკითხა მესხმა.

— მე მაინც მქონდა იმედი, რომ ჭელიძის დაკითხვა რამეს ახალს მოგვცემდა.

— იმედი... არაფერია, ეს დროთა განმავლობაში გაგივლის... — გაიცინა მერაბმა. — კიდევ რა გაინტერესებს?

— პრინციპში, არაფერი, მაგრამ... — ნიკამ პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა: — მაინც შევხვდები ჭელიძეს.

— შეხვდი. მაგრამ მე ამაში ვერ დაგეხმარები: საქმე სხირტლაძეს გადავეცი, იმას მიმართე, — უპასუხა მერაბმა.

— ...და უმცროს გორგაძესთან. სად არის ახლა? — ჰკითხა ნიკამ.

— გორგაძე დღეს დილით გამოვიდა ციხიდან.

— ესე იგი, ისევ სხირტლაძეს უნდა მივაკითხო?

— ჰო, — მოკლედ დაუდასტურა მერაბმა.

— კმაყოფილი ხარ? — მიმართა ნიკას რომანმა.

— ისე, რა...

— აუუ, გამაგიჟებს ეს ბიჭი!.. — ხელები გაშალა მესხმა. — ზრაპრული სუფრა გაგიშალეთ, რაც შემეძლო, ყველაფერი გითხარი და კიდევ უკმაყოფილო ხარ?!

— არა, არა, ყველაფრით კმაყოფილი ვარ, — სწრაფად უპასუხა ნიკამ.

— მაშინ — დავლიოთ, — თქვა რომანმა და ღვინით სავსე დოქს წაეტანა.

— მე რატომ არ მეკითხები, კმაყოფილი ვარ თუ არა?.. — უეცრად გამოცოცხლდა მერაბი.

— შენ?.. — რომანმა გაოცებული სახით დაუშვა დოქი. — შენ რაღა არ მოგწონს?..

— სად არის?

— რა? — ჰკითხა რომანმა.

— რაზე შევთანხმდით?..

— აუ, მაპატიე, ძმაო, საერთოდ გავითიშე!..

— დაგავიწყდა?! — მოიღრუბლა მერაბი.

— არა, არ დამვიწყნია, უბრალოდ, მანქანაში დამრჩა. — რომანი ნიკას მიუბრუნდა და სთხოვა: — თუ ძმა ხარ, მანქანიდან ის დანა მოიტანე.

ნიკა მხოლოდ მაშინ მიხვდა, თუ რაზე იყო ლაპარაკი: სამმართველოდან წამოსვლისას, რომანმა გასაოცარი ოსტატობით დამზადებული ფინური დანა უჩვენა, რომელიც მერაბისთვის უნდა ეჩუქებინა. მისი თქმით, ცივი იარაღი, მით უმეტეს — კარგი დანა, ერთადერთი ნივთი იყო, რითიც მერაბის კეთილგანწყობილების მოპოვება იყო შესაძლებელი. მცხეთისკენ მგზავრობისას, რომანმა მოვარაყებულქარქაშიანი დანა სავარძლებს შორის დადო და მისი წამოღება მანქანიდან გადმოსვლისას დაავიწყდა.

— ახლავე, — თანხმობის ნიშნად, ნიკამ თავი დაუქნია რომანს და კუპიდან გავიდა.

ფინური დანა სწორედ იქ დახვდა, სადაც ნიკა ვარაუდობდა — წინა სავარძლებს შორის. მან სწრაფად დაკეტა კარი და დანით ხელში, შებრუნდა და სწორედ ამ დროს...

ნიკამ გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, ისე აღმოჩნდა სამი ახალგაზრდა კაცის გარემოცვაში. მანქანასთან მიახლოებისას, ვერც ერთი მათგანი ვერ შენიშნა, რამაც მიახვედრა, რომ ისინი სადღაც, ახლომახლო იმალებოდნენ. ამან კი უცებ მიახვედრა, რომ ეს თავდასხმა იყო. ამის მიუხედავად, ნიკას არაფრით გაუმჟღავნებია შიში ან მღელვარება და მშვიდად მიმართა უცნობებს.

— რაშია საქმე, ბიჭებო?..

— გასაღები!.. — გაისმა პასუხი და ამავე დროს, ერთ-ერთმა მათგანმა ნიკას გვერდში დანა მიაბჯინა, მეორემ კი — პისტოლეტი მოიმარჯვა.

ვითარება საგანგაშო იყო. სამ შეიარაღებულ თავდამსხმელს ნიკა ვერაფრით გაუმკლავდებოდა. ასეთ ვითარებაში ყველაზე გონიერი გადაწყვეტილება, მანქანის გასაღების დათმობა იქნებოდა. მაგრამ ნიკამ მაინც ვერ შეიკავა თავი.

— თქვენ ხომ არ უბერავთ?!. დროზე დაახვიეთ აქედან!.. — გამოცრა მან ავად და თავდამსხმელს დანიან მარჯვენაზე აუკრა ხელი. ის იმედოვნებდა, რომ რესტორნის ავტოსადგომზე თავდამსხმელები სროლას ვერ გაბედავდნენ და პირველ რიგში, დანით შეიარაღებული თავდამსხმელის მოგერიება იყო საჭირო. მაგრამ ბოროტმოქმედიც საკმაოდ მარჯვე აღმოჩნდა — მან სწრაფად მოიგერია დარტყმა და ნიკას დანა მოუქნია. საბედნიეროდ, ნიკამ რეაგირება მოასწრო და დანამ მხოლოდ ქურთუკის კალთა გაუჭრა. იმავ წამს თავდამსხმელმა მეორედ მოიქნია დანა. მარამ ნიკა ამას მომზადებული შეხვდა, ერთი ნახტომით გადაცურდა კაპოტზე, მანქანის მეორე მხარეს მოექცა და უბეში დამალულ პისტოლეტს წაეტანა. თავდამსხმელებს მისი მოძრაობა არ გამოჰპარვიათ.

— იარაღი აქვს! — იყვირა ერთ-ერთმა

„მარი, „მთელ ქვეყანას, საიდუმლოდ“ რომ მოგწერე, წინ სიტყვა gza დამავიწყდა. შენ კი მითხარი, ბრძანება არასწორია. ბოლო თეთრებით მოგწერე. წინ gza რა აუცილებელია?“ — ასეთი მესიჯი მივიღე ერთი მკითხველისგან. მინდა, მის (და არა მარტო მის) გასაგონად ვთქვა: თუ წინ არ აკრეფთ სიტყვას gza-ს, მაშინ თქვენი მესიჯი მოხვდება სულ სხვა სისტემაში და მიიღებთ პასუხს, რომ ბრძანება არასწორია. თანაა ჩამოგეჭრებათ, მესიჯი კი ჩემთან არ მოვა. ისე, კიდევ ერთი უცნაური მესიჯი მივიღე და ბარემ, აქვე გაგაცნობთ: „gza, ერთი სიმბოლოს ადგილი, 8884“. სრულ მაგარია? ჰოდა, სწორედ ასე უნდა გამოგზავნოთ თქვენი მესიჯი: მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიფეთ სიტყვა gza, გამოტოვეთ ერთი სიმბოლოს ადგილი, დაწერეთ ტექსტი და გამოგზავნეთ ნომერზე: 8884. ნუთუ, ამის გაგება ასე ძნელია?

მარი, გთხოვ, „სვანსკის“ ნომერი მომეცი და კიდევ იმის, ვინც გიჟურ სიყვარულს ეძებს. მეც ვეძებ გიჟურ სიყვარულს. დიტო.

გავიცნობ სამეგობროდ თბილისელ გოგოს. ვინმე „კაი“ გოგოს მიეცით ჩემი ნომერი. ზურა.

ვეხმაურები „ნინო-მილანს“. არა მგონია, ფეხბურთი ჩემზე მაგრად გიყვარდეს. დამეკონტაქტე. „ბარცა“.

ვარ 21 წლის, თბილისელი, 188 სმ სიმაღლის, იურისტი. სამეგობროდ გავიცნობდი 18-23 წლის, მაღალ, ლამაზ „პრინცესას“. მაღლებზე ვეცემი. მორიელი-14.

ვეხმაურები იმ გოგონას, რომელიც 22 წლისაა და ცხოვრება მოჰბეზრდა. დარწმუნებული იყოს, რომ ჩემი გაცნობით ის მთლიანად შეცვლის თავის ცხოვრებას.

სამეგობროდ გავიცნობდი 27 წლის უცოლო მამაკაცს. თუ სურვილი აქვს, „უცოლო მშვილდოსანი“ გამომეხმაუროს.

სამეგობროდ გავიცნობ 23-24 წლის თბილისელ გოგონას. ზურა.

ვეხმაურები 21 წლის ალეკოს. სიამოვნებით გაგიცნობ და ვიმეგობრებ. გათხოვებას ჯერ არ ვაპირებ.

სამეგობროდ გავიცნობ 38 წლის დათას. ვარ სერიოზული გოგო და ბევრი უფროსი მეგობარიც მყავს. ქეთი.

ვარ 32 წლის. 168/62, ხორბლისფერი გოგო. სამეგობროდ გავიცნობდი 30-35 წლის მაღალ, ათლეტური აღნაგობის მამაკაცს. ნონა-75.

ვაკო, ჩემი გული თავისუფალია, მაგრამ დასაქმებული ხარ? მე ვმუშაობ...

ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი სერიოზულ, დასაქმებულ მამაკაცს. სასურველია, იყოს 30-35 წლის და ბათუმელი. ვარ სტომატოლოგი.

სადაქალოდ გავიცნობ 15-18 წლის გოგონას. ვარ მხიარული. მის სტრინგინი.

ვარ 17 წლის და ძალიან მიყვარს ბიჭების წვალება. იქნებ გამოჩნდეს ვინმე, ვინც მომარჯულებს? რაღაც არ მგონია, რომ ასეთი ვაჟკაცები არსებობდნენ. „მწვალებელი“.

ვარ საკმაოდ სიმპათიური მანდილოსანი, ქვრივი, სიცოცხლით სავსე. სამეგობროდ ვისურვებდი საქმიან, ჯანმრთელ, სიმპათიურ მამაკაცს. „ზოლუშკა“.

რუსთავის მე-2 კოლონიაში ზურა გორგაძეს ვულოცავ შობა-ახალ წელს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და მოულოდნელ თავისუფლებას. უზომოდ მენატრები. შენთან მინდა, პატარა ლელა.

ნინი, გუნდებიდან „მილანი“ საუკეთესოა. ნაკრები კი საქართველოს ჰყავს ყველაზე მაგარი. ასე რომ, ვენაცვალე კალას, კობის და „დიდ ათიანს“, დავით ყიფიანს. „ნინო-მილანი“.

გავიცნობდი სამეგობროდ მაგარ გოგოს. ვარ ქერა, ცისფერთვალება, ვნებიანი და თავგადასავლების მოყვარული. გელოდები, ჩემო გიჟოოო! ლევანი.

ვარ 23 წლის, შავგვრემანი გოგო. სამეგობროდ გავიცნობდი 23-32 წლის ბათუმელ მამაკაცს. მეც ბათუმში ვცხოვრობ. მარი, ეს ჩემი ნომერია და ვინც გთხოვოს, მიეცი. „რუსალკა“.

მთელი ქვეყნის გასაგონად მინდა ვუთხრა ჩემს სიყვარულს, რომ უზომოდ, ჭკუის დაკარგვამდე მიყვარს. გოგა, მიყვარხარ. მეგი.

გორელო დათო, მახსოვხარ, მიყვარხარ და მენატრები. ალენა.

„აბრეზა“ ვარ, ბათუმიდან. მინდა, ჟურნალში გამოვაქვეყნო ჩემი ნომერი. დამირეკეთ, მოწყენილებო და საყვარლებო. 8.99.41.30.47.

მარი, პირველად გწერ და ძალიან გთხოვ, დამიბეჭდე, რააა! ძალიან მინდა, მთელი სხივივით შემოიჭრას ვინმე ჩემს გულში და ბედნიერება მაჩუქოს. „უცხო“.

ვარ 20 წლის, ქერა გოგო. გავიცნობ 20-24 წლის შავთვალება ბიჭს. მარგალიტა.

„პანოს“ ნუ ენდობით, გოგონებო, ყველა კაცი მატყუარაა. ალა.

გოგონებო, ყველას გილოცავთ ახალ წელს. „გზის“ „ვეჩნი“ მკითხველი. დამიმესიჯეთ. „პ-ა-პ-ა-21“

ვარ შავგვრემანი, სპორტული აღნაგობის, ქვრივი მამაკაცი. მაკლია ქალის სითბო და სიყვარული. ბუნებით ერთგული ვარ. გელოდები, ჩემო ერთადერთო. გიორგი.

გავიცნობ ქეთი მელუას, სამეგობროდ.

წამი შეხვედრის და წამი განშორების/ წამი რწმენისა და იმედგაცრუების/ წამი სიხარულის, წამი — მწუხარების/ წამი მარტოობის, მწარე სინანულის/ ცალ-ცალკე წამია, ერთად აღებული/ მთელი ცხოვრებაა, მსხერპლად გაღებული. ბესო, მენატრები და სიგიჟემდე მიყვარხარ. ბათუმი. „მავნე პრინცესა“.

მინდა სანზონაში მცხოვრებ „ტვლიპინა“ გიგა ბლიაძეს ვუთხრა, რომ თავს ნუ მანატრებს და ხშირად ჩამოვიდეს ბორჯომში.

მინდა, ისეთი ადამიანი გამომეხმაუროს, ვინც მეგობრობისა და ერთგულების ფასი იცის. მამაკაცებო, შეგიძლიათ დამარწმუნოთ, რომ მეგობრობა შეგიძლიათ? „ციცქნა-33“.

მარიიიი, გილოცავ ყველა დღესასწაულს ერთად. ვინაიდან ჯერ ღამის პირველი საათი არ არის, ამიტომ გწერ მესიჯს. „ურწმუნოს“ მიეცი ჩემი ნომერი და ვნახოთ, თუ იმავე აზრის იქნება ქალებზე.

ვარ ქერათმიანი, მწვანეთვალება ფეხბურთელი. 17/185/80. გამომეხმაურეთ სიმპათიური გოგონები. გიო.ს.

ვეხმაურები „უიღბლოს“. სიამოვნებით ვიმეგობრებ მასთან. მე პატარა ნუსური ვარ.

ვარ 41 წლის, ცოლშვილიანი. სამეგობროდ ვეძებ ახალგაზრდა მანდილოსანს, რომელიც მაღალანაზღაურებად სამსახურს შემომთავაზებს. არ შეგარცხვენთ. გია-1.

შენ შეიძლება, შეიყვარო ჩემზე ლამაზი, მაგრამ ვერავინ შეგიყვარებს ჩემზე ლამაზად. მამუკა, ჩემო სიცოცხლევ, უზომოდ მიყვარხარ. შენი ნინო.

შენ მაშინ მოხვალ, როცა უკვე გვიან იქნება,/ შენზე ფიქრებში ჩაფერფლილი, სხვისი ვიქნები,/ იქნებ კიდევაც მოგენატროს ჩემთან შეხვედრა,/ მაგრამ ვინ იცის, მაშინ უკვე სხვისი ვიქნები.

ახალ წელს გილოცავ, მარი. გავიცნობდი 38 წლის სერიოზულ დათას. სწორედ ისეთი ვარ, როგორსაც ეძებს.

თუ დამიკავშირდება, თავად დარწმუნდება. „ლილუ-29“.

ვეხმაურები „ნინუცა-22“-ს. ვარ 24/192/125, გავეცნობი სერიოზული ურთიერთობისთვის. „შავგვრემანი ბიჭი“.

გავიცნობ სამეგობროდ, 16 წლამდე გოგოს. თუ ერთგული გოგო იქნება, მას არაფერს მოვაკლებ. „ჯოკერა“.

ვისაც „ჯოკერას“ გაცნობა უნდა, ამ ნომერზე დაამესიჯოს: 8.99.140189.

ვეხმაურები გრაფს. თუ სურვილი გაქვთ, ვიმეგობროთ. ჩემს ნომერს მარი მოგცემთ. „გრაფინია“.

„პ-ა-პ-ა-21“, თუ გინდა, ერთმანეთი სიბერისგან ვიხსნათ, დამიმესიჯე, ნომერი მარისთანაა. „ბ-ე-ბ-ო-17“.

ვარ საკმაოდ სიმპათიური, 17 წლის გოგონა. 14 წლიდან ბევრი თაყვანისმცემელი მყავს, მაგრამ ჩემს გულს არავინ ეკარება. ალბათ იმიტომ, რომ სიყვარულს არ ვეძებ. სამეგობროდ გავიცნობდი 25-27 წლის, ჭკვიან და მოწესრიგებულ ბიჭს. „გოგო-17“.

ვარ 36 წლის, მაღალი, შავგვრემანი, თბილი და მოსიყვარულე. გავიცნობ 40 წლამდე სერიოზულ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. გამომეხმაურეთ, ნამდვილად არ ინანებთ. „შავტუხა“.

ვეხმაურები „უიღბლოს“ მთიული არ წავა? „თემო“.

O მე მიყვარს შენი ლამაზი თრთოლა/ ნუ გაიქცევი, თუ შენთან მოვალ/ თორემ სიბრაზის ალში ვეხვევი,/ შენს ნაცვლად სულ სხვას მოვეფერები. „სატირა“.

ვიცი, ჩემი მესიჯი მაინც არ გამოქვეყნდება, მაგრამ მაინც გწერთ. მე ქეთა ვარ, კასპიდან. ძალიან მომწონს თქვენი „გზაზნილები“. კასპი მაგარია! მეორე სკოლაც!

გამარჯობათ, მე ვარ პატარა გოჭუნია. ვისაც ჩემი გაცნობა გსურთ, დამიკავშირდით. გელოდებით, ლამაზო ბიჭებო! თქვენი „გოჭუნია“.

ლამაზმა თვალებმა ლამაზი ცრემლები იცის, ლამაზმა ცრემლებმა ლამაზად ციმციმი იცის, ლამაზმა ტუჩებმა ლამაზი ღიმილი იცის. ლევანი-20. ეთუნას.

გავიცნობ 22-30 წლამდე მამაკაცს. ვარ 22 წლის, ცისფერთვალება და სიმპათიური გოგო. დაბლები, მსუქნები და მელოტები — „პას“! ტატა-ვერძი.

ვეხმაურები „უიღბლოს“, რომელსაც ხევსურეთი უყვარს. მისი გაცნობა მსურს, სამეგობროდ. მეც ხევსური ვარ. „საიდუმლო“.

მოგესალმებით ყველას! ვარ ძალიან საყვარელი და მეგობრული გოგო. დიდი სურვილი მაქვს, ვიმეგობრო 20 წლამდე ასაკის ბიჭთან. გთხოვთ, გამომეხმაუროთ. ლანკა, 17 წლის.

15 წლის სალი, შენი გაცნობა და მეგობრობა მინდა, გამომეხმაურე. „ჯოკერა“.

ვეხმაურები „უიღბლოს“. ხევსური ხარ? რა გქვია? მეც ხევსური ვარ და ვგიჟდები ჩემს კუთხეზე. გამომეხმაურე. „აბლაბუდა“.

ვარ 35 წლის, მხიარული, სიცოცხლით სავსე, მეოჯახე გოგო. ვეძებ ნამდვილ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. შემოგევლე, თუ არსებობ ასეთი, გამომეხმაურე! ნინო-ნონა.

მე ვარ მართა ოდიშარია. სიგიჟემდე მიყვარს ლაშა გახოკია. მის გარეშე ჩემი სიცოცხლე არაფერია და როდის ვნახავ, ერთი სული მაქვს. ლაშა, უზომოდ მიყვარხარ და მენატრები.

მარხულია, ძალიან მაგარი ხარ, შენი ფანი ვარ. გვიყვარხარ. გვანცა.

ვეხმაურები 38/190/100 დათას. იქნებ, მე ვარ ის ადამიანი, ვისაც შენ ეძებ და ამდენი წელი ელოდები? გპირდები უსაზღვრო ბედნიერებას. „შავტუხა“.

ვეხმაურები „შომოს“. ზუსტად ისეთი ვარ, როგორიც შენ გინდა. მთავარია, შენ როგორი ხარ.

გოგოებო, აბა, თქვენ იცით, ვისაც გათხოვება გსურთ, ყველა ჩემთან! დავიჯერო, არავის უნდა გათხოვება? „პ-ა-პ-ა-21“.

ვეხმაურები 31 წლის მამაკაცს. ვარ 30 წლის, სუფთა წარსულის ადამიანი, პროფესიით სტომატოლოგი. ვმუშაობ ჩემი პროფესიით. თუ დაგაკმაყოფილებს ჩემი მონაცემები, ნომერი მარის გამოართვი.

მინდა, ყველა ჩემი კლასელი ერთად ვნახო. სკოლა 2002 წელს დავამთავრე. თუ რომელიმე წაიკითხავს, ჩემი ნომერი მარის გამოართვით. ლეო, ინგა, მიყვარხართ. ნანა ლალიაშვილი.

შენ ჩემი პატარა ანგელოზი ხარ,/ სიცოცხლით სავსე, დიდი იმედი/ და იმ წუთიდან მე შემიყვარდი,/ როცა შენ გაჩნდი ამ ქვეყანაზე. ნიკუშას, დედიკო ნანასგან.

გიორგი ძეგველიშვილო, დამიჯერე, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ! ამდენ ტკივილს და დამცირებას მარტო შენთვის ვიტანე. ანია წარსულია, მასზე მეტად მიყვარხარ! ალსუ.

მინდა, ბათუმიდან ლამაზი გოგო გამომეხმაუროს. მწვანეთვალება-21.

ვეხმაურები ნანას. თუ შენ გაცნობაზე უარს არ მეტყვი, გპირდები, მაგარ „პონტებშიც“ გაგჩითავ და მაგარ „სასტავსაც“ გაგაცნობ. თუ შემეხმიანები, არ ინანებ.

ყველას გილოცავთ შობას. პირველ რიგში შენ, მარი, იმიტომ, რომ ჯიგარი ხარ. „პ-ა-პ-ა-21“.

ირაკლი, გილოცავ ახალ წელს. ძალიან მიხარია, „ჯეობარი“ შენ რომ მოიგე. ძალიან მაგარი ხარ. „ჯეობარში“ შენნაირი არავინ იყო. გვანცა.

გამარჯობათ, ვარ 23 წლის. არასოდეს მიმართლებს სიყვარულში. ვეძებ მხიარულ და პატიოსან გოგოს. მთავარია, კარგი ხასიათი ჰქონდეს. დათო-2.

ვარ 27 წლის, სიმპათიური გარეგნობის ბიჭი. ყოფილი სპორტსმენი. გოგოებო, იჩქარეთ, თორემ, მერე გვიანი იქნება. „ჩემპიონი“.

ვეხმაურები ვაკო 33/180-ს. გაგიცნობ სერიოზულად და არა გართობის მიზნით. მარი, „ციკე“.

გავიცნობ 40-45 წლის ნორმალური გარეგნობის მამაკაცს. „უიღბლო ვერძი“.

ისე, სულ სვანებზე რომ წერთ, კახელებმა რა დააშავეს? მეც გავიცნობ ქართველ გოგონას, ოღონდ აუცილებლად ქართველს და აუცილებლად საქართველოდან. „მესამე თაობა“.

ვარ შავგვრემანი გოგო. გამომეხმაუროს 15-16 წლის ბიჭი. „ფერია“.

მარი, ვარ 27 წლის. მიყვარს 19 წლის გოგო. მამა უკრძალავს ჩემთან ურთიერთობას. მეუბნება, მიყვარხარო, მაგრამ სხვას ხვდება მამის ხათრით. როგორ გავიგო ეს?

სულს ენატრები, შენს ნახვას მთხოვს/ როცა ვერ გხედავ, ჩემს გულში თოვს,/ სადა ხარ, მოდი, რატომ ხარ შორს?/ შენი ლოდინით ნუ მომკლავ, გთხოვ! „სევდია“.

მინდა, ჩემს ძმას, კახა ჯარმელაშვილს მივულოცო დაბადების დღე და ვუსურვო ბედნიერება მეუღლე ნატუკასთან და მომავალ პატარასთან ერთად. ის 14 იანვარს 24 წლის ხდება.

ჩემს სიცოცხლეს: შ. ა. მიყვარხარ უზომოდ. უშენობას ვეღარ ავიტანე. ყველაფერს გავაკეთებ შენი ბედნიერებისთვის. მენატრები უსაზღვროდ და გკოცნი უამრავს. შენი კუდრაჭა.

ჩამოვდნი, ჩამოვიქეცი, ვერცხლი მამედო თმაზედა/ მოდი, მამხედე ვაჟაუ, ლამისღა ვეცვა ჯვარზედა. „მთიული ქალაი“.

ღიმილის ქურდსაც თუ ამქვეყნად სასჯელი ელის,/ პატიმართაგან პირველი ვარ, შენს ღიმილს ველი. დავკარგე მეგობარი და ძალიან ვნანობ. შობას ვულოცავ ფიროსმანას. „კუსა“.

შობას ვულოცავ ჩემს საყვარელ დედიკოს, რომელიც შორეულ საბერძნეთშია და ძალიან მენატრება. დედიკო, ძალიან მიყვარხარ. იმედია, მალე ჩამოხვალ. შენი გიჟი შვილი, კესო.

სერიოზული და მოსიყვარულე ვარ. მიყვარს ლამაზი გოგონები. მიხარია, რომ ასეთები ბევრნი არიან. ისევ „გიო. ს“.

გაგრძელება იხ. გვ. 68

„...ამ ცეცხლოვანი სვეტის მსგავსია ბასილი!“

ძველი სტილით 1-ელ, ახალი სტილით კი — 14 იანვარს მართლმადიდებელი სამყარო ეკლესიის ბურჯად წოდებულ წმინდა მღვდელმთავარს — ბასილი დიდს იხსენიებს. წმინდა ბასილი ძველთაგანვე განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა საქართველოში, ამიტომაც უწოდებდნენ ჩვენი წინაპრები, თხილის ხისგან საახალწლოდ გამოთლილ „ქართულ ნაძვის ხეს“ — ჩიჩილაკს „ბასილას წვერებს“, ამ დღისთვის საგანგებოდ დამცხვარ, კაცის ფორმის კვერებს კი — „ბასილებს“. წმინდა ბასილს წლის ბედნიერად წარმართვას შესთხოვდნენ...

შორენა მერკვილაძე

წმინდა ბასილი დაიბადა V საუკუნეში, კაპადოკიის ქალაქ კესარიაში. სრულიად ახალგაზრდამ შეისწავლა ფილოსოფია, რიტორიკა, გრამატიკა, ასტრონომია, ფიზიკა, მედიცინა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, თუმცა ხვდებოდა, რომ საერო განსწავლულობა არ იყო ის, რასაც მისი სული ეძიებდა. ამიტომაც გადაწყვიტა, ქრისტეს რჯული შეესწავლა, ბერად აღკვეცილიყო და მონაზვნური ცხოვრებით, ქრისტეს გზას შესდგომოდა. მთელი სიცოცხლე უფლისადმი მოღვაწეობას მიუძღვნა კიდეც... მოგითხრობთ რამდენიმე ეპიზოდს წმინდა ბასილის ცხოვრებიდან.

წმინდანის ქადაგებით მოქცეული სახელგანთქმული წარმართი

პალესტინისა და მესოპოტამიის წმინდა ადგილების მოსალოცად მიმავალმა ბასილმა გზად ათენში შეიარა, რათა მოენახულებინა თავისი ყოფილი მასწავლებელი — ევბულე (რომელიც წარმართთა ღმერთებს სცემდა თაყვანს) და ქრისტიანულ რჯულზე მოექცია იგი. მამა ბასილი ევბულეს იმ დროს ეწვია, როდესაც ის ფილოსოფოსებს რაღაც მნიშვნელოვან საკითხზე ესაუბრებოდა. ბასილიც ჩაება კამათში, სადავო საკითხიც გადაჭრა და თავის ყოფილ მასწავლებელს ახალი კითხვაც დაუსვა, თუმცა ვინაობა არ გაუმჟღავნებია. ყველას გაუკვირდა — ვინ უნდა ბედავდეს სახელგანთქმულ ევბულესთან პაექრობასო? — ის ან თვით რომელიმე ღმერთი იქნება ანდა — ბასილიო, — უპასუხა მათ ევბულემ. მაშინ, მამა ბასილმა ვინაობა გაამჟღავნა. გახარებული მასწავლებელი გადაეხვია ყოფილ მოწაფეს, მერე შინ წაიყვანა. სამი დღე ელაპარაკებოდა ბასილი მას ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ, ისე, რომ ჭამა-სმაც კი არ გახსენებიათ. ბოლოს და ბოლოს, დაარწმუნა, რომ ქრისტიანობა ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგიაა. ევბულე ქრისტიანულ რჯულზე მოექცა, მთელი თავისი ქონება ღარიბ-ღატაკებს დაურიგა და ბასილთან ერთად, იერუსალიმს გაემგზავრა, რათა ღვთისადმი მსახურებისთვის მიეძღვნა თავი.

მთავარეპისკოპოსის ტახტი, არიონელთა წინააღმდეგ მებრძოლი წმინდა მამა და სამგზის გადატეხილი კალამი

მამა ბასილი ერთხანს იერუსალიმსა და ანტიოქიაში მოღვაწეობდა, შემდეგ კვლავ მშობლიურ ქალაქ — კესარიაში დაბრუნდა. იმ დროს, კესარიის მთავარეპისკოპოსი, ევსები გახლდათ, რომელმაც ბასილი მღვდლად აკურთხა. მამა ბასილი მთელ თავის ნიჭს სამღვდლო მსახურებას ახმარდა. დაუღალავად ქადაგებდა და დღენიადაგ ზრუნავდა თავის სამწყსოზე. სიბრძნითა და სიწმინდით მალევე გაითქვა სახელი და ხალხის უდიდესი სიყვარულიც დაიმსახურა. ისეთი დიდება მოიპოვა, რომ თვით მთავარეპისკოპოსის სახელიც დაჩრდილა. ადამიანური სისუსტის გამო, ევსები კესარიელი მისდამი შურით აღივსო და მამა ბასილის შევიწროებას მიჰყო ხელი. მის დასაცავად ბერები აღდგნენ, მაგრამ მოსალოდნელი საეკლესიო განხეთქილების თავიდან ასაცილებლად, მამა ბასილმა კესარიის დატოვება არჩია და უდაბნოს მიაშურა — პონტოს მონასტერში წავიდა სამოღვაწეოდ. სწორედ იმ პერიოდში შეადგინა წმინდა ბასილმა მონასტრული ცხოვრების წეს-განგება (ტიპიკონი), რომლითაც დღემდე სარგებლობს აღმოსავლეთის ეკლესია.

364 წელს იმპერატორის ტახტზე ავიდა ვალენტინი — არიოზის მწვალებლობის მიმდევარი. მართლმორწმუნე ქრისტიანებს მძიმე დრო დაუდგათ — ჭეშმარიტ ეკლესიას მწვალებლური განხეთქილებები არყევდა. ევსები კესარიელმა მამა ბასილს კესარიაში დაბრუნება სთხოვა. კესარიაში დაბრუნების შემდეგ, ბასილი მაშინვე დაუღალავ მოღვაწეობას შეუდგა ჭეშმარიტი რჯულის დასაცავად: თავისი ქადაგებებითა და თხზულებებით ებრძოდა არიოზის ცრუმოძღვრებას. მალე ევსები კესარიელი აღესრულა და ეპისკოპოსთა კრებულმა კესარიის მთავრეპისკოპოსის ტახტზე ბასილი დიდი დაადგინა. წმინდა მღვდელმთავარმა კიდევ უფრო გაითქვა სახელი და სამწყსოს უდიდესი პატივისცემა და სიყვარული მოიხვეჭა.

მწვალებელმა იმპერატორმა — ვალენტინმა მალევე შენიშნა, რომ კესარიის ახალ მთავარეპისკოპოსს უდიდესი გავლენა ჰქონდა მთელ იმჟამინდელ ქრისტიანულ სამყაროზე, ამიტომ განიზრახა, მღვდელმთავარი თავის მხარეს გადაებირებინა და ამით კიდევ უფრო გაეძლიერებინა და განემტკიცებინა ისედაც ფართოდ გავრცელებული, არიოზის ცრუსწავლება. იმპერატორმა ეს საქმე კესარიის მთავარს — მოდესტს დაავალა. იგი თავის მხრივ, ტკბილი სიტყვითა და ალერსით შეეცადა მამა ბასილის გადაბირებას, მაგრამ როდესაც მტკიცე წინააღმდეგობას წააწყდა, მუქარაზე გადავიდა: თუ არ დაგვემორჩილები, ქონებას ჩამოგართმევთ, საპყრობილეში ჩაგსვამთ და შემდეგ, საშინელი სიკვდილით დაგსჯითო — ემუქრებოდნენ წმინდა მამას. არც მუქარას შეუშინებია და მოუდრეკია ბასილი: „ქონებას ვერ დაკარგავს ის, ვისაც არაფერი აქვს, ძველი, გაცრეცილი სამოსისა და რამდენიმე წიგნის გარდა. საპყრობილეებისა და გადასახლებისაც არ მეშინია, რადგან არც ერთ ადგილას არ ვარ მიჯაჭვული — ადგილი, სადაც ახლა ვცხოვრობ, ჩემი არ არის და არც ის ადგილი იქნება ჩემი, სადაც გამაგდებენ. ყველა ადგილი უფლისაა. ხოლო სიკვდილი წყალობაა ჩემთვის: ის მიმაახლოებს უფალთან, რომლისთვისაც ვცოცხლობ და ვიღვწვი და რომლისკენაც დიდი ხანია, ვისწრაფვი“. მამა ბასილის სულის ასეთმა

სიმხნევემ გააოცა ქალაქის მმართველი. მისი ურყევი რწმენა და ნება იმპერატორსაც გადასცა, თან დასძინა: გვძლია ხელმწიფევ, ეკლესიის წინამძღვარმაო...

იმპერატორმა ბასილი დიდის გადასახლება და საპყრობილეში ჩაგდება ბრძანა. როდესაც წმინდანს გადასახლებისთვის ამზადებდნენ, მოულოდნელად იმპერატორის მცირეწლოვან ვაჟს უმძიმესი სენი შეეყრა. ვალენტინმა თავისი ბრძანება გააუქმა და მამა ბასილს სთხოვა, ელოცა სიკვდილის პირას მყოფი მისი ვაჟისთვის. წმინდა მამის ლოცვის შედეგად, მომაკვდავი უფლისწული მართლაც, მომჯობინდა. საბოლოოდ მხოლოდ მაშინ განიკურნება და გადარჩება, თუკი ჭეშმარიტ რჯულზე მოექცევი და მართლმადიდებლურ ეკლესიაში მოინათლებიო, — გააფრთხილა ბასილმა იმპერატორი. ვალენტინმა აღთქმა დადო, რომ მართლმადიდებლური წესით მოინათლებოდა, მაგრამ დანაპირები არ შეასრულა. ამის გამო მწარედ დაისაჯა კიდეც — მისი ვაჟიშვილის მდგომარეობა კვლავ გაუარესდა და მალე გარდაიცვალა კიდეც. განრისხებულმა იმპერატორმა წმინდა ბასილის გადასახლება და საპყრობილეში ჩასმა განიზრახა, მაგრამ ვერასგზით ვერ შეძლო ბრძანების სრულყოფა: სამჯერ აიღო ხელში კალამი, რათა ხელი მოეწერა ბრძანებაზე, მაგრამ კალამი სამჯერვე გადაუტყდა ხელში. ამის შემდეგ, ვალენტინმა თავი დაანება წმინდა მღვდელმთავრის დევნას.

მალე იმპერატორმა საკუთარი თვალით იხილა მამა ბასილის საკვირველება და დარწმუნდა, რომ მას სასწაულმოქმედების ძალა უფლისგან ჰქონდა მინიჭებული: უფლის ფერისცვალების დღესასწაულზე იმპერატორი ტაძარში შევიდა. მან იხილა, ტრაპეზთან მდგომი ბასილი დიდი, რომელიც სპეტაკი სამოსით იყო შემოსილი და ანგელოზებრივი სიწმინდით აღასრულებდა ღვთისმსახურებას.

„ეფრემ, ეფრემ! იცოდე, ამ ცეცხლოვანი სვეტის მსგავსია ბასილი!“

ბასილი დიდის სახელი იმჟამად მთელი ქრისტიანული სამყაროსთვის გახდა ცნობილი. მისმა სახელმა უდაბნოში მოღვაწე წმინდა ეფრემ ასურამდეც მიაღწია. ეფრემმა ლოცვით შესთხოვა უფალს, ეუწყებინა მისთვის, ვინ იყო ბასილი დიდი ღვთის წინაშე. ეფრემმა იხილა ცამდე აწვდილი ნათლის სვეტი და მოესმა ხმა: „ეფრემ, ეფრემ! იცოდე, ამ ცეცხლოვანი სვეტის მსგავსია ბასილი!“

წმინდა ეფრემი კესარიაში გაემგზავრა და საკუთარი თვალით იხილა წმინდა ბასილის ბრწყინვალება. სულიწმიდისგან თავად წმინდა ბასილსაც ეუწყა ეფრემ ასურის ჩასვლა და თავისთან იხმო. მამა ეფრემმა ბერძნული არ იცოდა და თანმხლები თარჯიმნის დახმარებით ელაპარაკებოდა წმინდანს. ბასილის ლოცვით ღმერთმა ეფრემ ასურს ბერძნულის ცოდნა მიანიჭა: „ჭეშმარიტად, დიდია ბასილი, ჭეშმარიტად, ცეცხლოვანი სვეტია და სულიწმიდა მეტყველებს მისი ბაგეებით“, — განაცხადა ბასილის ხილვით გაოცებულმა წმინდა ეფრემმა.

„ნუ გეშინია, შვილო, მხოლოდ გწამდეს...“

ბასილი დიდის მოღვაწეობის პერიოდში, ერთ-ერთი მართლმადიდებელი სენატორი — პროტერია თავის ერთადერთ ქალიშვილს მონაზვნობისთვის ამზადებდა, მაგრამ ბოროტმა სულმა ქალიშვილისადმი ვნება აღუძრა მის ერთ-ერთ მსახურს. შეყვარებულმა მსახურმა ჯადოქარს მიმართა და სთხოვა, სენატორის ქალიშვილზე დაქორწინებაში დახმარებოდა. მისანი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაჰპირდა დახმარებას, თუკი სამუდამოდ განუდგებოდა ქრისტეს და ამის დასტურად, ხელწერილსაც დადებდა მისი ბატონის — ეშმაკის წინაშე. მონამ თანხმობა განუცხადა. ჯადოქრის დახმარებით ბოროტმა სულებმა მსახური ეშმაკის საყდრის წინაშე წარადგინეს: ხელწერილი მომეცი, რომ შენ საკუთარი ნებით განუდექი ქრისტეს და ნათლისღებას, რომ საუკუნოდ ჩემი იქნები და განკითხვის დღიდან საუკუნო წამებას ჩემთან ერთად მოითმენ; მხოლოდ ამ შემთხვევაში აღვასრულებ შენს სურვილსო, — უთხრა ეშმაკმა. მსახურმა ქარტია აიღო და ეშმაკს ხელწერილი დაუდო. ბოროტმა სულმა მართლაც, აღუძრა სენატორის ქალიშვილს მსახურისადმი ძლიერი სიყვარული. იგი მიწაზე დაემხო და მამას ევედრებოდა, რომ ნება დაერთო, ცოლად გაჰყოლოდა მის მონას. სენატორი იძულებული გახდა, შვილის თხოვნა აღესრულებინა...

პროტერიას ქალიშვილმა ქორწინების შემდეგ მალევე შენიშნა, რომ მისი მეუღლე ეკლესიაში არ დადიოდა და არც სხვა საეკლესიო წესებს ასრულებდა. მეუღლეს ამის მიზეზი ჰკითხა. მან თავიდან, სიმართლის დაფარვა სცადა, მაგრამ შემდეგ, როდესაც მიხვდა, რომ სიმართლის დაფარვა შეუძლებელი იყო, ყველაფერში გამოუტყდა ცოლს. დამწუხრებული ქალი მაშინვე მთავარეპისკოპოს ბასილი დიდთან გაემართა და შემწეობა სთხოვა. წმინდანმა მისი ქმარი დაიბარა, ჯერ ყველაფერი გაარკვია, შემდეგ კი ჰკითხა, სურდა თუ არა კვლავ ქრისტეს რჯულზე მოქცევა? — მსურს, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან ხელწერილი დავდე, რომ ქრისტეს განვუდგებოდი და ეშმაკის მსახური შევიქმნებოდიო, — უპასუხა მსახურმა. მღვდელმთავარმა დაამშვიდა — ჭეშმარიტი სინანულის შემთხვევაში, კაცთმოყვარე უფალი შეგინდობსო.

წმიდანმა ჯვარი გადასახა მონანულს, შემდეგ, ეკლესიის ერთ-ერთ სენაკში შეიყვანა და განუწყვეტელი ლოცვა დაკისრა. თვითონაც განუწყვეტლივ ლოცულობდა უფლის წინაშე, მისი შეწყალებისთვის. სამი დღის შემდეგ მოინახულა და მოიკითხა. ძალზე მძიმედ ვარ, მეუფეო, ეშმაკების ყვირილს, შიშსა და გვემას ვერ ვუძლებო — უთხრა ახალგაზრდამ. — „ნუ გეშინია, შვილო, მხოლოდ გწამდეს!“ — დაამშვიდა მამა ბასილმა მონანული, მცირე საზრდელი მისცა და კვლავ სენაკში ჩაკეტა. რამდენიმე დღეში ისევ მიაკითხა. ბოროტ სულებს ვეღარ ვხედავ, ყვირილი და მუქარა კი ახლა უკვე შორიდან მესმისო, — მიუგო მონანულმა. ბასილმა კიდევ ერთხელ ანუგეშა და ახლა უკვე ორმოცი დღით ჩაკეტა სენაკში. თვითონაც განაგრძობდა მისი სულისთვის ლოცვას. ბოლოს მონანულმა უთხრა, რომ თავს კარგად გრძნობდა, თან დასძინა — სიზმრისეულ ჩვენებაში ვიხილე, როგორ შეებრძოლე ეშმაკს და სძლიე მასო. ასე იხსნა წმინდა ბასილმა ეშმაკს დამორჩილებული მსახურის სული წარწყმედისგან.

სიკვდილის წინ აღსრულებული წინასწარმეტყველება

ბასილი დიდი რვა წლის მანძილზე მართავდა კესარიის ეკლესიას. ჯანმრთელობას საერთოდ, ისედაც უჩიოდა და ასკეტური ცხოვრების წესმა სულ მთლად დაასუსტა. როდესაც აღსასრულის მოახლოება იგრძნო, თავისთან იხმო კესარიაში სახელგანთქმული ებრაელი ექიმი, იოსები. მას მამა ბასილი კარგად იცნობდა, ხშირად ხვდებოდა და ესაუბრებოდა კიდეც. თან სთხოვდა ქრისტიანულ რჯულზე მოქცეულიყო, მაგრამ იოსები უარზე იდგა — რომელ რჯულზეც დავიბადე, იმ რჯულზევე აღვესრულებიო. მერწმუნე, შვილო, არც მე და არც შენ არ მოვკვდებით, ვიდრე წყლისგან და სულისგან არ იშვებიო, — უწინასწარმეტყველა ერთხელ მამა ბასილმა.

წმინდანმა სიკვდილის წინ მასთან მისულ იოსებს ჰკითხა — როდის აღვესრულებიო? — მზის ჩასვლამდეო, — უპასუხა ექიმმა. ხვალ დილამდე რომ ვიცოცხლო, რას იზამო? — შეეკითხა ბასილი, რაზეც იოსებმა მიუგო: ეს შეუძლებელია, მაგრამ თუკი ასეთი რამ მოხდება, შენს სურვილს შევასრულებ და მოვინათლებიო. მამა ბასილი ლოცვით შესთხოვდა უფალს, დილამდე გაეხანგრძლივებინა მისთვის სიცოცხლე. უფალმა მართლაც, ისმინა მისი ვედრება. როდესაც იოსებმა დილით კვლავ ცოცხალი იხილა ბასილი დიდი, მის წინ მუხლებზე დაეცა და აღიარა, რომ ქრისტე ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთია. შემდეგ მამა ბასილს სთხოვა, ის და მისი ოჯახის წევრები მართლმადიდებლური წესით მოენათლა. ბასილმა ნათლისღების საიდუმლო აღასრულა, შემდეგ — უკანასკნელი ლიტურგიაც, წმინდა ზიარება მიიღო, ყველას დაემშვიდობა, მადლობა შესწირა უფალს ყველაფრისთვის და მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს. ეს მოხდა 379 წლის 1-ელ იანვარს (ძველი სტილით). მაშინ, წმინდა მღვდელმთავარი 49 წლის იყო. ■

ᲝᲯᲐᲮᲘᲡ „ᲐᲜᲐᲒᲔᲚᲝᲖᲘ“ – ᲥᲕᲔᲕᲠᲘᲡ ᲩᲐᲣᲠᲔᲯᲣᲚᲘ ᲞᲔᲞᲔᲠᲘ ᲒᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲘᲔᲚᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲜᲘᲔᲡᲐ

როცა საკუთარ ბავშვობას იხსენებს, ყველაზე ხშირად, მთავარანგელოზის ეკლესია აესვეტება თვალწინ. ეს ეკლესია სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის თავში, ახლა უკვე ტყეში დგას. „მეხუთე კლასში ვიქნებოდი, ამ ტაძარს მთავარანგელოზობაზე, ღამის თევით რომ ვეწვიეთ. სანთლები ავანთეთ. თეთრხილაბანდიანმა ქალებმა აგვიხსნეს, როგორი რიტუალით უნდა შეგვეწირა ცხვარი და ქათამი, ერთი კაციც იყო, რომელიც ღვთისმსახურს უწოდებდა თავს, თუმცა არც მძივ-ბეჭდებასხმული ქალები ჰგავდნენ მონაზვნებს და არც ის კაცი — მღვდელს. მაშინ მივხვდი მხოლოდ იმას, რომ არსებობს რაღაც, რის გამოც ღირს ღამის თევა, მაგრამ რა თქმა უნდა, ამ ქმედების არსს ვერ ჩავწვდი“, — იხსენებს პროფესიით ექთანი, ამჟამად უმუშევარი, სიღნაღელი ᲚᲘᲐ ᲡᲘᲛᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ეს უცხო, ნისლით დაბურული მისტიკური პეიზაჟი და მთავარანგელოზობის ღამის თევა ერთგვარად, დამთრგუნველი აღმოჩნდა პატარა ლიასთვის. იქნებ ამიტომაც, იქვე დასრულდა მისი სულიერი ზრდა რელიგიაში. მღელვარე შინაგან კატაკლიზმებამდე კი, ჯერ კიდევ შორს იყო...

ლია სიყმაშვილის დედა, კომუნიზმის ეპოქაში გაზრდილი ქალის კვალობაზე, ძალზე უცნაურად იქცეოდა:

— ოჯახში ვინმე ცუდად რომ გავხდებოდით, დედაჩემი ჯერ სანთლებს ანთებდა და მერე მიმართვდა ექიმს. ჩიოდა — მომიკვდეს თავი, ეკლესიაში რამდენი ხანია, ცხვარი არ დამიკლავს და ამის ბრალიაო!..

დედის არაწიგნიერი და გაუცნობიერებელი რელიგიურობის წყალობით, ლია თავის ყმაწვილქალობაში არაერთხელ ყოფილა სიყმაშვილების საგვარეულო ზედაშეზე შესრულებული მსხვერპლშეწირვის რიტუალის მოწმეც.

— ზედაშესთვის ერთი საგვარეულო ქვევრი გვაქვს. იმ ქვევრში ბუდობდა წარმოუდგენლად ბებერი და დიდი გველი, გადმოცემის თანახმად — ოჯახის მფარველი ანგელოზი. 16 წლისამ, ეს გველი ჩემი თვალით ვნახე. ქვევრის ამოსუფთავების დროს ის თავისით ამოვიდა იქიდან, ფუთიან ვედროში ჩაჯდა და შემდეგ, ისევ ქვევრში დაბრუნდა... ერთხელ დედაჩემი გზაზე გააჩერა ანაგაში ცნობილმა ნათელმხილველმა — ჭაღატაანთ მარომ და უთხრა: ქალო, რომ მომდგარხარ და ეკლესიებში და ზედაშეზე ცხვრებს და ქათმებს ხოცავ, ვინ გავალებს? ვინ გეკითხება? ღმერთს შენგან სანთლის მეტი არაფერი უნდა, აანთე სანთლები და იყავი შენთვისო. დედას ძალიან შეეშინდა და ცხვარ-ქათმის ჟლეტა შეწყვიტა, — *ამბობს ლია, რომლისთვისაც მაშინ გაწყდა რწმენისა და მართლმადიდებლური სარწმუნოებისკენ მიმავალი ვიწრო ბილიკი. და იქნებ, რაც მას შემდეგ შეემთხვა, რწმენაში დედის მიერ ჩადენილი შეცდომებისთვის მოვლენილი განსაცდელი იყო — ვინ იცის?!*

18 წლის წინ, ლია სიყმაშვილი „იეღოვას მოწმე“ გახდა...

— ვის დავაბრალო?.. ჩემი ფეხით მივედი და იეღოველ მეზობელს კარზე მივუკაკუნე. მანაც არ დააყოვნა და ხატოვნად წარმომიდგინა „იეღოვას მოწმეთა“ „ნეტარი მომავალი“. იმ დღესვე დავიწყე „ბიბლიისა“ და „სახარების“ მათებურად შესწავლა. ისე „გადავვარდი“ მათ სამყაროში, რომ ერთი კრება, ერთი კონგრესიც კი არ გამიცდენია. ვირწმუნე, რომ ეს არის ჭეშმარიტი სარწმუნოება და ზუსტი რელიგია... იცით, ხშირად გამიგონია, „იეღოვას მოწმეები“ გონებაჩლუნგები არიანო. ტყუილია. მათ შორის, ბევრი განათლებული და ინტელექტუალური ადამიანია. მე ვიცი „იეღოვას მოწმე“ ექიმები, მოსამართლეები, პედაგოგები, თქვენ წარმოიდგინეთ, ჟურნალისტები... ასე, იეღოვას რწმენასა და სწავლებაში გამექცა ცხოვრების 10 წელიწადი. მეთერთმეტე წელს ვიგრძენი, რომ „სახარებას“ „ჩემებურად“ ვკითხულობ... ვკითხულობ და პირჯვარიც თავისით მეწერება, რაც „იეღოვას მოწმეს“ სასტიკად ეკრძალება. მივდივარ კრებაზე, ჩავკირკიტებ „იეღოვას მოწმეთა“ თითოეულ სიტყვას, წარმოსახვაში კი, ისევ პირჯვარს ვიწერ. ამ დროს დარბაზში იეღოვას სადიდებელი სიმღერა ისმის...

— **თავად ისინი საით მიდიან?**

— უფსკრულისაკენ!

...ერთ მშვენიერ დღეს, იეღოველთა კრებაზე მიმავალ ლია სიყმაშვილს რაღაც უხილავმა ძალამ სიღნაღის წმინდა გიორგის ტაძართან მიახლოებისას გზა გადაუღობა — ანუ, როგორც თავად ლია ამბობს, — ფეხები შეუბორკა.

— იეღოვას სექტიდან ჩემი წამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ აშკარად ვგრძნობდი, როგორ მეძახდა ეკლესია. დღე და ღამე, ცხადსა და სიზმარში, წმინდა გიორგის ვხედავდი. ერთხელ, იესოც გამომეცხადა. მითხრა — იცოდე, ძალზე დიდ შეცდომას უშვებო!.. კრებებზე სიარული რომ შევწყვიტე, „ძმებმა“ მომინახულეს. ჩემი მდგომარეობა მათთვის არ დამიმალავს. მითხრეს — ეგ, სატანაა და იცოდე, საშინელ დღეში ჩაგაგდებს, ეკლესია კი, საერთოდ, გაგანადგურებსო. ჩემი წამება სამი წლის მანძილზე გრძელდებოდა...

ამ სამი წლის მანძილზე, ვერც ტაძრისკენ მიმავალი გზა მოძებნა და ვერარც იეღოვას კრებებზე სიარული შეძლო. როგორც თავად ამბობს, ჭკუაზე რომ არ შეშლილიყო, სამუშაოდ ინვალიდთა ასოციაციაში მივიდა. იმხანად, ამ ასოციაციას სურდა, უმწეოთათვის უფასო სასადილო გაეხსნა. თავმჯდომარემ, ნიკო ჯოხარიძემ ლიას, ბოდბის დედათა მონასტერში შემწეობის სათხოვნელად წასვლა დაავალა. სხვა რა გზა ჰქონდა? დავალების შესასრულებლად წავიდა, მაგრამ ტაძარში შესვლას მოერიდა.

— შევხვდი დედა თამარს, რომელიც დამპირდა — ჩვენი მონასტერი თქვენს სასადილოს პროდუქტებით შეძლებისდაგვარად მოამარაგებსო. მაგრამ გარდა იმისა, რომ საქმეში ხელი გამიმართა, ამ წმინდა დედაში დავინახე რაღაც ისეთი... თვალები, გამოხედვა, სათნოება. ერთი ნახვით შემაყვარა თავი... საო-

ᲩᲔᲛᲘ ᲤᲔᲮᲘᲗ ᲛᲘᲕᲔᲓᲘ ᲓᲐ ᲘᲔᲚᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲡ ᲙᲐᲠᲖᲔ ᲛᲘᲕᲣᲙᲐᲙᲣᲜᲔ

დანაშაულის განცდა არ მტოვებდა...

ცარი ნდობა გამოიჩინა. დავმეგობრდით. თუმცა, დანაშაულის განცდა არ მტოვებდა. მაინც ვერ ვბედავდი, გამემხილა მისთვის ჩემი მტანჯველი საიდუმლო. ან კი, როგორ უნდა მეთქვა — იეღოველი ვარ-მეთქი, მონაზვნისთვის, რომელიც დღესა და ღამეს იესოზე ლოცვასა და მისთვის მარხვაში ასწორებს?!.

მოგვიანებით, ბოდბელ ეპისკოპოს, მეუფე დავითთანაც ჰქონდა საქმიანი შეხვედრა ლია სიყმაშვილს. თუმცა, აზრადაც არ მოსვლია, რომ ინვალიდთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ნიკო ჯოხარიძემ, მისი სულიერი მდგომარეობის შესახებ დედა თამარსაც აუწყა ყოველივე და მეუფე დავითსაც.

— მე ჩემს სამსახურებრივ საქმეზე დავდივარ, ზოგჯერ, დღეში სამჯერაც — როგორც მეუფის რეზიდენციაში, ასევე დედათა მონასტერში. ისინი არაფერს მაგრძნობინებდნენ, მე კი, ჩემი შინაგანი ხმა მანუხებს: „არ გრცხვენია, ლია? „იეღოვეას მოწმე“ ხარ და ეკლესია-მონასტრებში მაცდურივით დაძვრები. თქვი, ვინც ხარ, ეგებ, შეგინდონ, ეგებ, გაპატიონ, ეგებ, მიგიღონ კიდეც...“

ეს დღეც დადგა: ლია აღსარებას ამბობს მეუფე დავითის წინაშე და თმის წვერიდან ფეხის ფრჩხილამდე ოფლში ცურავს. ოფლს თვალებიდან გადმომსკდარი ცრემლის ნიაღვარი ემატება და არამცთუ ქალი, ის სკამიც კი სველია, რომელზეც ქალი ზის.

— მეუფემ შემაჩერა და მითხრა: შენ ნამდვილი გმირი ყოფილხარ, რადგან პირველი ადამიანი ხარ, ვინც გამოხვედი „იეღოვას მოწმეთა“ სექტიდან და თანაც, ეს აღიარეო. ეს მოხდა ოთხი წლის წინ და როგორც მეუფემ ბრძანა: თოთხმეტი წლის წინ გზაკვალარეული კრავი მაცხოვრის ძალამ და მზრუნველობამ ჭეშმარიტი სარწმუნოების თბილ წიაღს დაუბრუნა...

ლია სიყმაშვილის ამ ნაბიჯს ქმედითი რეზონანსი მოჰყვა: მის კვალდაკვალ, „იეღოვას მოწმეთა“ სექტა სხვებმაც დატოვეს:

— იმ ღვთიურ საღამოს, მეუფისგან კურთხევა მივიღე, რის შემდეგაც, მეუფე დავითმა მაგიდაზე უბრალოდ, დადო ჯვარი და გადაწყვეტილების მიღება მე მომანდო. მე ეს ჯვარი ავიღე...

მაგრამ ლიას განსაცდელი ამით როდი დასრულდა: იმ ღამით, როდესაც მეუფე დავითს ლიამ აღსარება ჩააბარა, პერფორაცია დაემართა („მუნჯი წყლული“ გაუსკდა), უმძიმესი ფორმით...

გამოჯანმრთელებისთანავე, 23 ნოემბერს, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე ლია სიყმაშვილი ეკლესიაში შევიდა.

— მთელი მრევლი მე მომაჩერდა. ბევრი მათგანის თვალში ცრემლიც შევნიშნე. მათზე მართლა იმოქმედა იმ ფაქტმა, რომ ყოფილი „იეღოვას მოწმე“ მართლმადიდებლურ ტაძარში ლოცულობდა. ის დღე არასოდეს დამავიწყდება. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ახალდაბადებული, ვინათლებოდი. ეკლესიის მღვდელი, მამა ექვთიმე (სინჯიაშვილი) გახდა ჩემი მოძღვარი... მეორე განსაცდელი გასული წლის გაზაფხულზე, ბზობის დღესასწაულზე გადავიტანე — პერფორაცია გამიმეორდა. 7-8 თვის მანძილზე ვერ მოვახერხე ეკლესიაში მისვლა და დიდ ხუთშაბთს მამა ექვთიმემ არ მაზიარა... ბზობის ლოცვაზე წმინდა გიორგის ტაძარში ღვთისმშობლის ხატთან ვიდექი. მოულოდნელად, ძლიერი თავბრუსხვევა ვიგრძენი. ღვთისმშობლის ხატს ხელი მოვკიდე და ასე დავრჩი ლოცვის დასასრულამდე. სახლში მისვლის შემდეგღა დავკარგე გონი და დამეწყო ღებინება. წარმოიდგინეთ, ერთი წუთითაც არ მიფიქრია, რომ რაიმე დამემართებოდა. ნახევრად გონდაკარგულმა, ვიხილე იესოს ანგელოზები, რომლებმაც ხელი შემაშველეს და საშუალება არ მომცეს, ღრმა უფსკრულში გადავშვებულიყავი... „სასწრაფო დახმარების“ მანქანით საავადმყოფოში მიმავალს, უკან მანქანით მომყვებოდნენ ბოდბის დედათა მონასტრის მონაზვნები. მკურნალობისთვის საჭირო თანხაც მათ გადამიხადეს. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგაც დედებმა შემინახეს, თორემ, წამლებისა და სერიოზული დიეტისთვის მარტო დედაჩემის პენსიის იმედად, დასაღუპავად ვიყავი განწირული. ახლა მითხარით, არ ვიწამო მართლმადიდებლობის ჭეშმარიტება?!. ჩემს ყოველ ლოცვაში ვაღიარებ იმ დანაშაულს, რომელმაც უფალს ასე დამაშორა. გულით ვლოცულობ და მწამს, ღმერთიც გულით მისმენს. არც არასოდეს მინანია იეღოვას უარყოფა. პირიქით, ძალიან ბედნიერი ვარ, ექვსი იეღოველი რომ გამომყვა უკან. მათგან ერთ-ერთი, ეკლესიაშიც მივიდა. უკვე ჯვარი ჰკიდია, მოძღვარს აღსარებაც ჩააბარა და ზიარებას ელოდება... დარწმუნებული ვარ — არ ვიყავი „მოწოდებით“ იეღოველი. „ნამდვილ იეღოველს“ ერთი შეხედვით ვცნობ: მას რაღაც განსაკუთრებული, ავადმყოფური ფერი ადევს სახეზე. ასეთი ფერი არ მაქვს მე, ქალს, რომელსაც ორჯერ გაუსკდა წყლული კუჭზე... თუმცა — არა, ეს ავადმყოფური კი არა, ნატანჯი ფერია, რადგან თავს აიძულებენ, ამ საშინელებაში იყვნენ... მე კი, მესამედაც რომ გამიმეორდეს პერფორაცია, არაფერი მომივა, რადგან, ზუსტად ვიცი — იესოს ანგელოზები ჰაერში დამიჭერენ...

ამ ბოლო დროს, ლია სიყმაშვილი წარსულთან ერთად, მომავალსაც ხშირად გაჰყურებს და საკუთარ თავს დედათა მონასტრისკენ მიმავალ გზაზე შემდგარს ხედავს. როგორც თავად ამბობს, საერთო ცხოვრებას დღემდე რომ შემორჩა, 76 წლის დედის სიყვარულის წყალობაა, რომელთან ერთადაც, საშინელ სიღატაკეში ცხოვრობს.

— ერთ დროს, ექთანი ვიყავი. 23 წლის მუშაობის სტაჟი მაქვს. ერთხანს ინვალიდთა ასოციაციაში ვმუშაობდი უსასყიდლოდ, უხელფასოდ, ენთუზიაზმზე. ახლა მეც და დედაც მისი პენსიის იმედზე ვართ, სხვა შემოსავალი არ გაგვაჩნია. ამ პენსიით უნდა დავპურდეთ, ზამთარში გავთბეთ და წამლებიც შევიძინოთ. ალბათ ხვდებით, სული კბილით გვიჭირავს. ახლა სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახთა რიგში მოვხვდით და პენსიასთან ერთად, ყოველთვიურად, 92 ლარი გვექნება. ისე როგორ გავღორდებით, რომ ეს თანხა ვერ ვიმყოფინოთ?!.

ლია სიყმაშვილის მცირედით კმაყოფილების ეს გამოხატულებაც აშკარად მართლმადიდებლურია. თუმცა ჩანს, ის აღარც ამ მცირეოდენ მატერიალურ შემოსავალზე ფიქრობს და ძალიან ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით მეუბნება: დედას ესმის ჩემი, მირჩევს — წადი მონასტერში, ის ჩემნაირი და ჩემზე უკეთესი დედა იქნება შენთვისო... ■

მეუფემ მითხრა: შენ ნამდვილი გმირი ყოფილხარ, რადგან პირველი ადამიანი ხარ, ვინც გამოხვედი „იეღოვას მოწმეთა“ სექტიდან

27 ნოემბერს აღნიშნული ახალი წელი

და ნინი პაღლაშვილმა პაჭრცელიანული ჭოკი

რუბრიკის დასაწყისი იხ. გვ. 35

ლიკა ქაჯაია

„მხოლოდ იმდენი თანხა მქონდა, რომ მანქანაში ბენზინი ჩამესხა“...

ზოგჯერ კინომსახიობთა თეატრის მსახიობს, გია აბესალაშვილს საახალწლო ტრადიციის დარღვევა უწევს, სამაგიეროდ, შეუძლია, ეს დღესასწაული წლის ნებისმიერ დროს აღნიშნოს და რუსები დაარწმუნოს იმაში, რომ საქართველოში ახალ წელს არა 1-ელ იანვარს, არამედ წლის სხვა დროს აღნიშნავენ.

— ახალ წელს შინ შევხვდი, მერე სამუშაოდ წავედი (საახალწლო გადაღებები გვქონდა), შემდეგ კი, მეგობრებთან ერთად ვიქეიფე.

— საახალწლოდ როგორი ტრადიციები გაქვთ?

— რა ვიცი, თუ საქართველოში ვარ, ახალი წლის დადგომას ყოველთვის ოჯახში ვხვდები, შემდეგ მეგობრებთან მივდივარ. როცა გასტროლებზე მიწევს ყოფნა, ამ ტრადიციას ვარღვევ, მაგრამ ეს რა თქმა უნდა, ჩემდა უნებურად ხდება.

— პირველად რა სადღეგრძელოს სვამთ?

— ახალი წლის დადგომის და საქართველოს ძლიერების სადღეგრძელოს.

— საზღვარგარეთ სად შეხვედრიხართ ამ დღესასწაულს?

— იალტაში, მოსკოვში, კიევში...

— ყველაზე მეტად, რომელმა ქვეყანამ დაგამახსოვრათ თავი?

გია აბესალაშვილი მეუღლესთან ერთად

— ყველგან კარგი იყო, თითოეულს თავისებური ხიბლი ჰქონდა... ერთხელ, მეგობრებმა ახალი წელი 27 ნოემბერს აღვნიშნეთ.

— რატომ, პირველ იანვარს ვერ დაელოდეთ?

— მოსკოვში, სასტუმრო „როსიაში“ ვიყავი მეგობრებთან ერთად. მახსოვს, რუსებს ვუთხარით, საქართველოში ახლა ზეიმობენ ახალი წლის შემობრძანებას და უნდა ვიქეიფოთ-მეთქი. სადღაც დიდი ნაძვის ხე ვიშოვე, მთელი დღე მის მორთვას მოვანდომეთ და იმ ღამეს, მაგრად ვიქეიფეთ.

— დაივჯერეს თუ ქეიფის გამო დახუჭეს თვალი?

— არა, მართლა დაივჯერეს.

— და როცა სიმართლე შეიტყვეს, არ გაგიბრაზდნენ?

— ჩვენ იქიდან მალე წამოვედით და მას შემდეგ, არც ერთი მათგანი არ მინახავს. ასე რომ, რა ვიცი, იქნებ, გაიგეს და გაბრაზდნენ კიდეც.

— შობის დღესასწაულს სად შეხვდით?

— ქუთაისში, მესხიშვილის სახელობის თეატრში ვითამაშე სპექტაკლში — „ხვალ შობაა“.

— იქ ვინ მიგიწვიათ?

— მოგეხსენებათ, ეს სპექტაკლი ჯერ ჩვენთან, თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში დაიდგა, მერე მოისურვეს, ეს სპექტაკლი ქუთაისში წაეღოთ... რამდენიმე ხნის წინ, გიორგი სიხარულიძე ქუთაისის თეატრის მმართველად მიიწვიეს და მან წაგვიყვანა. მზიან ქალაქში 6 რიცხვში ჩავედით და უკან 7-ში, ღამის 4 საათზე წამოვედით. გზაშიც მშვენივრად გავერთეთ.

— თინეიჯერობის ასაკში საშობაო სიმღერა არავისთვის გიმღერიათ?

— როგორ არა. ისე, წელსაც ვიმღერე.

— ვის უმღერეთ?

— ქუთაისში, ოპერის შენობასთან ახლოს არის რესტორანი — „ბაღის კიდე“ (ადრე ასე ერქვა და არ ვიცი, იქნებ, სახელი გადაარქვეს კიდეც, ამით არ დავინტერესებულვარ), სპექტაკლის შემდეგ, ახალი წლის შემოსვლა იქ აღვნიშნეთ. მერე, ვიღაც ბავშვები შემოვიდნენ და „ალილო“ გვიმღერეს. მათ მეც ავყევი...

— ბავშვები რითი დაასაჩუქრეთ?

— კანფეტით, ხილით, ნამცხვრით...

— ფული არ აჩუქეთ?

— თვითონ არ მქონდა ფული და ბავშვებისთვის რა უნდა მიმეცა?! მხოლოდ იმდენი თანხა მქონდა, რომ მანქანაში ბენზინი ჩამესხა და თბილისში ჩამოვსულიყავი... ჰო, მგონი, ვიღაცებმა მათ ფულიც აჩუქეს.

— დაბოლოს, რას უსურვებდით თინეიჯერებს?

— ყველაფერ კარგს, ბედნიერ საქართველოში ცხოვრებას, ნათელ მომავალს, ერის და ბერის მთლიანობას. ღმერთმა დალოცოს თითოეული მათგანი, მეტი ჭკუაგონება მისცემოდეთ.

მგონია, რომ 2007 წელი ჩემთვის წარმატებული უნდა იყოს

„ცხოვრებაში ერთხელ, ყველამ უნდა ჩაიცვას საქორწინო თეთრი ჯაბა“...

მომღერალი ნინი ბადურაშვილი ახალ წელს ღია ცის ქვეშ შეხვდა. ის იმედოვნებს, რომ წითელი ტახის წელიწადი მისთვის ბედნიერების და წარმატების მომტანი იქნება. მომღერალს გული სწყდება, რომ თინეიჯერი აღარ არის, მაგრამ თავს იმით იმშვიდებს, გული არ ბერდება და თავს ისევ ისე ვგრძნობ, როგორც მოზარდიო.

— ახალ წელს უკვე მეორედ შევხვდი ბათუმში, სადაც კომპანია „არტ-ფორუმმა“ ღია ცის ქვეშ მოაწყო კონცერტი და იქ ვიმღერე. შემდეგ, რესტორანში გადავინაცვლეთ... მგონი, ახალი წლის შეხვედრა ქუჩაში დამებედა.

— დაბედების და ამგვარი რაღაცების გჯერა?

— კი, რაღაც მომენტში მჯერა. აი, ხომ გითხარი, შარშან ახალ წელს ბათუმში შევხვდი და წელსაც იქ მომიწია ყოფნამ. როცა ახალ წელს სიმღერით ვხვდები, ის წელი ჩემთვის კონცერტებით დატვირთულია.

— შენთვის ყველაზე წარმატებული რომელი წელი იყო?

— ალბათ, 2006 წელიც წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს იმ გაგებით, რომ მე და თაკო გაჩეჩილაძე გერმანიაში წავედით, იქ სიმღერები ჩავწერეთ, დადებითი შეფასება მივიღეთ და ა.შ. კონცერტების მხრივ, ყველაზე კარგი და დატვირთული 2005 წელი იყო.

— როგორ ფიქრობ, ღორის წელი შენთვის როგორი იქნება?

— მგონია, რომ 2007 წელი ჩემთვის წარმატებული უნდა იყოს, რადგან 7-იანი ჩემთვის ბედნიერი ციფრია, ყველაფერი კარგი ამ რიცხვში ხდება.

— თინეიჯერობის ასაკში ახალ წელს როგორ ხვდებოდი?

— ამ ასაკში, ახალ წელს ყოველთვის შინ ვხვდებოდი. სამწუხაროდ, ამას უკვე 3 წელია, რაც ვეღარ ვახერხებ, რადგან ამ დღეებში ძალიან დატვირთული გრაფიკი მაქვს. პრინციპში, მაშინ საახალწლო გართობას სხვანაირი ხალისი ჰქონდა.

— თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა საახალწლო განწყობილებაზე არ ყოფილხარ ან ტელევიზორის ყურებაში ჩაგძინებია?

— არა, ასეთი რამ არ ყოფილა... ბავშვობაში ვუყურებდი საახალწლო პროგრამებს, მერე, ღამის 3 საათზე ვიძინებდი და ამით ძალიან ბედნიერი ვიყავი.

— წელს თუ მოახერხე რომელიმე გადაცემის ყურება?

— სამწუხაროდ, ვერც ერთ მათგანს ვერ ვუყურე და იმედი მაქვს, რომ ამას ძველით ახალი წლისთვის მოვახერხებ.

— ნაძვის ხეს შენ რთავ ხოლმე?

— ნაძვის ხის მორთვა ძალიან მიყვარს, მაგრამ სამწუხაროდ, ამასაც ვერ ვახერხებ. ისიც კი არ ვიცი, ვინ იკისრა ჩემს ოჯახში ეს მისია. ალბათ, ბებომ და ქეთომ (ჩემმა პატარა დაიკომ) მორთეს.

— შობას სად შეხვდი?

— შობას თბილისში, რესტორანში შევხვდი, სადაც გიო ხუციშვილმა ქალაქური სიმღერების საღამო გამართა.

— ახალ წელს ალკოჰოლური სასმელი არ დაგილევია?

— დავლიე, მაგრამ ისე არა, რომ გონი დამეკარგა. ცნობისთვის, ალკოჰოლურ სასმელს იმისთვის არ ვსვამ, რომ უკეთ გავერთო, რადგან ამას ისედაც კარგად ვახერხებ.

— რომელი სასმელი მოგწონს?

— წითელი ღვინო და რაიმე მოტკბო სასმელი. მაგალითად, „ბეილისი“. ვერ ვიტან არაყს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ახალ წელს სწორედ არაყი დავლიე.

— რატომ, შამპანური არ გქონდათ?

— არა, ახალ წელს სცენის უკან შევხვდი, სადაც მანქანით ძლივს შევაღწიეთ, რადგან იქვე ძალიან ბევრი ადამიანი იყო შეკრებილი და ამ გაწამაწიაში, შამპანურის ან რაიმე სხვა სასმლის ყიდვა დაგვავიწყდა. მერე ვიღაცამ კონიაკი მოგვაწოდა, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა ისე, რომ მე არც კი შემხვდა...

— თინეიჯერობის ასაკში „ალილო“ არავისთვის გიმღერია?

— არა, მაგრამ მახსოვს, ერთხელ ჩვენი მეზობელი ბავშვები მოვიდნენ ჩვენთან სახლში და გვიმღერეს, მერე მათ ხილი, ტკბილეული დავურიგეთ...

— რას უსურვებ მოზარდებს?

— ვაიმე, რა ცუდია, თინეიჯერი რომ აღარ ვარ. ახლა მათზე რომ მელაპარაკები, გული მწყდება, მოზარდების კატეგორიას რომ აღარ მივეკუთვნები. 2 წელია, რაც ამ ასაკიდან გამოვედი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ისევ თინეიჯერი ვარ, რადგან თურმე, გული მართლა არ ბერდება *(იცინის)*... მათ ვუსურვებ, რომ ეს წელი ყოფილიყოს ბედნიერების, წარმატებების მომტანი, ეცხოვროთ მართლაც გაბრწყინებულ ქვეყანაში, ასრულებოდეთ ის სურვილები, რაც ახალი წლის შემოსვლისთანავე ჩაიფიქრეს... რატომღაც ყოველთვის მგონია, რომ რასაც ამ დღეს ჩაიფიქრებ, ყველაფერი აგიხდება.

— ახალ წელს მაგიდის ქვეშ ან ცოცხით ხელში და ა.შ. ხომ არ ხვდები ხოლმე?

— ძალიან მინდა, მსგავსი რაღაცები გავაკეთო, მაგრამ ამ ყველაფერს ვერ ვახერხებ.

— ისე, ახალ წელს ჩაფიქრებული სურვილები თუ აგხდენია?

— შარშან ჩავიფიქრე რაღაც და ამიხდა. აი, წელს რა ჩავიფიქრე, სიმართლე გითხრა, აღარ მახსოვს *(იცინის)*. მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ ახდება და მერე გამახსენდება...

— გათხოვება ხომ არ ისურვე?

— რატომღაც ყველას ჰგონია, რომ გავთხოვდი. მინდა, თქვენი ჟურნალის მეშვეობით ხალხს გავაგებინო, რომ ეს სიცრუეა...

— წელს ხომ არ აპირებ რაიმეს?

— არ ვიცი, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ისე, დაგეგმილი არაფერი მაქვს.

— თუ გიფიქრია, შენს ქორწილში როგორი კაბა გეცმევა?

— საერთოდ, ქორწილზე არასდროს მიფიქრია, რადგან ეს ცერემონია არ მიყვარდა. როცა ჩემი მეგობარი გოგონები შეიკრიბებოდნენ და გეგმებს აწყობდნენ — საკუთარ ქორწილში როგორი კაბა უნდა სცმოდათ, მე ყოველთვის ჩუმად ვიყავი. თუმცა, ახლა ვხვდები, რომ ქორწილი კარგი რამაა და ცხოვრებაში ერთხელ, ყველამ უნდა ჩაიცვას საქორწინო თეთრი კაბა. მართალია, ზოგიერთისთვის ასეთი რამ ერთხელ კი არა, 2-3-ჯერაც ხდება, მაგრამ მინდა, მე ერთხელ მქონდეს ქორწილი და ჩემს რჩეულთან ერთად, ცხოვრების ბოლომდე ბედნიერად ვიცხოვრო.

„მე და ჩემი შვილი ერთად „ვაჯაზებთ“ ხოლმე“...

მომღერალ ეკა კვალიაშვილს უყვარს, როცა ახალ წელს ოჯახში, მყუდრო გარემოში ხვდება. ის და მისი შვილი, ნუკა ყოველ წელს ერთად რთავენ ორიგინალურ ნაძვის ხეს, თუ რა თქმა უნდა, ამაში რაიმემ არ შეუშალა ხელი.

— ახალ წელს ტრადიციისამებრ, შინ შევხვდი, მერე საქეიფოდ წავედი... საერთოდ, ამ დღეს მეგობრები ერთმანეთის ოჯახებში მივდიოდით ხოლმე, ერთის სახლიდან მეორესთან გადავდიოდით და მთელი ღამე ქუჩა-ქუჩა სიარული გვიწევდა. წელს კი გადავწყვიტეთ და ყველა მეგობარი ერთად შევიკრიბეთ, რესტორანში ვიქეიფეთ. ასე რომ, ბევრი არ გვიხეტიალია.

— ყველაზე კარგად რომელი ახალი წელი გახსენდებათ?

— ძალიან მიყვარს ახალი წლის დღესასწაული და მას ყოველთვის კარგი განწყობილებით ვხვდები. გამორჩეულად არც ერთი მათგანი არ მახსენდება.

— არც თინეიჯერობის ასაკში გატარებული რომელიმე ახალი წელი იყო განსხვავებული?

— არა, ახლაც ბავშვური მომენტები და იგივე განწყობილება მაქვს. მე და ჩემი შვილი ერთად „ვაჯაზებთ“ ხოლმე.

— ნაძვის ხე თქვენ მორთეთ?

— მე და ნუკამ. ძალიან ლამაზი ნაძვის

ერთხელ ფინეთში ვიზეიმე ახალი წლის მოსვლა, გემით ვმოგზაურობდი...

ხე გვაქვს — წითელი ბაფთებით, განსხვავებული ლენტებით გაფორმებული, მოდური კატალოგის ნაძვის ხეს ჰგავს. ის ყველას ძალიან მოსწონს. ჩვენთან ვინც მოდის, მას სურათს უღებს და ზოგი ტელეფონის პანელზე აყენებს, ზოგი — კომპიუტერისაზე და ა.შ.

— ასეთი განსაკუთრებულია?

— აბა, რა. ძალიან ორიგინალურია...

— იქნებ, ისეთი ახალი წელი გაიხსენოთ, როცა რაღაცის გამო დისკომფორტს გრძნობდით.

— „არტ-იმედის“ არსებობის პერიოდში სულ კონცერტები იმართებოდა და ამის გამო, ტრადიციების დარღვევა მიწევდა. ახალ წელს ღია ცის ქვეშ ან ავტობუსში ვხვდებოდი მაშინ, როცა გარეთ -4 გრადუსი ყინვა გახლდათ. ეს კი საკმაოდ არასასიამოვნო იყო და თავისთავად, დისკომფორტს განვიცდიდი. მე ხომ ძალიან მიყვარს ე.წ. „უიუტი“, სითბო, სასიამოვნო გარემო, ოჯახური სიტუაცია და ა.შ.

— ახალ წელს საზღვარგარეთ თუ შეხვედრიხართ?

— კი, ბევრჯერ. მახსოვს, ერთხელ ფინეთში ვიზეიმე ახალი წლის მოსვლა, გემით ვმოგზაურობდი... ძალიან მაგარი იყო.

— რომელ ქვეყანაში ისურვებდით ამ დღესასწაულის შეხვედრას?

— ყველგან, სადაც კი არსებობს რაღაც საინტერესო ტრადიცია. მთავარია, ამ დღეს შესაბამისი განწყობილება შეუქმნა საკუთარ თავს და რომელ ქვეყანაშიც არ უნდა იყო, კარგად გაერთობი.

— თბილ ქვეყნებში წასვლას არ ისურვებდით?

— რატომაც არა... ისე, ახალ წელს ჩემი მეგობრები ეგვიპტეში შეხვდნენ და როგორც მითხრეს, მაგარი დრო გაატარეს — სხვა რა გინდა, შუა ზამთარში წითელ ზღვაში ბანაობდნენ *(იცინის)*... ისე, ზაფხულში იკითხონ იმათ, ვინც იქ ცხოვრობს ან დასასვენებლად აპირებს წასვლას.

— რატომ?

— როგორც ამბობენ, 2007 წელს გლობალური დათბობის საფრთხის წინაშე ვართ და კონდიციონერის იმედზე ჩემი მტერი იყოს... თუ გადარჩნენ, კარგი იქნება...

— შობას სად შეხვდით?

— სახლში. ძალიან მინდოდა, ეკლესიაში წასვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე, გავცივდი და სიცხე მქონდა...

— შობას „ალილოს“ არ მღერით ხოლმე?

— გააჩნია, სად ვარ... ერთხელ, ზუსტად არ მახსოვს, შობა იყო თუ სხვა დღესასწაული, პატარა ვიყავი, როცა მამიდაჩემმა საგალობელი მასწავლა და ეკლესიაში, სიონში წამიყვანა. პატრიარქი წირვას აღასრულებდა და მე რომ ეს საგალობელი ვიმღერე, მერე მაზიარა. ეს ზიარება ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დასამახსოვრებელი იყო.

— რა გრძნობა დაგეუფლათ?

— არ ვიცი, ეს როგორ გადმოგცეთ. მართალია, მაშინ უფლის არსებობის მჯეროდა, მაგრამ არ ვიცოდი, ზიარება რა იყო, იქვე მასწავლიდნენ, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. თვალებგაფართოებული ვიდექი პატრიარქის წინ და აღფრთოვანების დაფარვას ვცდილობდი...

— დაბოლოს, რას უსურვებთ თინეიჯერებს?

— ეს ის პერიოდია, როცა გარდატეხის ასაკში ხარ და თვითდამკვიდრებას ცდილობ. თინეიჯერებს ვუსურვებ, სწორი გზით წარმართულიყოს მათი ცხოვრება, ჩამოყალიბებულიყვნენ კარგ, ჭეშმარიტად სიკეთით სავსე ადამიანებად...

— თქვენი აზრით, როგორები არიან ისინი?

— ძალიან კარგები არიან, უბრალოდ, უფროს თაობას არ ესმის მათი, მაგრამ ჩვენ, მშობლები თუ გავიაზრებთ იმას, რომ მათ ასაკში უფროსებს ჩვენი რაღაცებიც არ მოსწონდათ, მაშინ საერთო ენას ადვილად გამოვნახავთ. მათთან მეგობრობაა საჭირო, უნდა ეზიარო მათ სულიერ სამყაროს და მხოლოდ ასე თუ შეძლებ შვილების კარგ ადამიანებად აღზრდას. მთელ საქართველოს ბედნიერებას და უფლის მფარველობას ვუსურვებ!

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.* ■

დასაწყისი იხ. „გზა“, №34-52(‘06) - 1(‘07)

ბოჩა მანველიძე

თეთრი სიკვდილი

საუბარი ვერ შედგა. დავითი საგანგებოდ ემზადებოდა ამ საღამოსთვის, მაგრამ ანას სტუმრობამ ყველაფერი არია. უცხო ადამიანის, მით უმეტეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაპირისპირებული ადვოკატის თანდასწრებით, დავითი ვერაფერს ეტყოდა თავის ვაჟს. სამაგიეროდ, მისი მეუღლე, თამარი დარჩა კმაყოფილი ნიკას ყოფილი თანაკლასელის ხილვით. დავითმა მაინც ვერ შეიკავა თავი და ვიდრე თამარი და ანა ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, შვილი თავის კაბინეტში გაიხმო.

— რას მივაწერო შენი საქციელი?! — ბრაზით დაიწყო დავითმა.

ნიკამ დუმილით უპასუხა. თავადაც კარგად ხვდებოდა, რამაც გააღიზიანა მამა.

— რისთვის მოიყვანე ეს ქალი აქ? — განაგრძო დავითმა.

— ანა ქალი არ არის! — გაღიზიანდა ნიკა.

— მაშ, ვინაა? მამაკაცი?..

— მამა, შენ ძალიან კარგად იცი, ვინცაა ანა!

— გირჩევ, უფრო კარგად დაუფიქრდე, ვისთან უნდა იქონიო ურთიერთობა და ვისთან — არა!.. — ცივად გამოცრა დავითმა. — შენ რა, არაფერი იცი მის შესახებ?..

— რაც ვიცი, სრულიად საკმარისია ჩვენი მეგობრობისთვის.

— მაინც რა იცი? — ჩაეძია დავითი.

— ახლა არ ღირს ამაზე ლაპარაკი, — კარს გახედა ნიკამ.

— ღირს! ბოლო ხანებში, შენ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვი და ვგრძნობ, რომ დროა, შეგაჩერო!.. — დავითმა ნერვიულად მოუკიდა სიგარეტს და ლაპარაკი განაგრძო: — დავანებოთ თავი შენს მეგობარს. ჩვენ შევთანხმდით, რომ საღამოს ვილაპარაკებდით.

— შევთანხმდით, — თავი დაუქნია ნიკამ.

— და ამის შემდეგ, შენ ანასთან ერთად მოხვედი სახლში!

— მეგონა, თავად მიხვდებოდი.

— რას? — დაიბნა დავითი.

— მე გადაწყვეტილებას არ შევცვლი და ამ საუბრის გაგრძელებაც აღარ მსურს.

— აღარ გსურს?! მაშ, რატომ მითხარი — სახლში ვილაპარაკოთო?

— უბრალოდ, დრო მოგეცი, რომ თავად გადაგეხედა ყველაფრისთვის...

— ბედს შევრიგებოდი და შენ და შენს მეგობარს გაშლილი სუფრით დაგხვედროდით, არა?! — შეაწყვეტინა დავითმა.

ნიკამ ისევ დუმილი არჩია.

— კაცებო, მორჩით თათბირს? — ოთახში თამარის ხმა შემოიჭრა.

— არა! — ბრაზიანად უპასუხა დავითმა და ისევ ნიკას მიუბრუნდა. მაგრამ ვიდრე რაიმეს იტყოდა, ოთახში თამარმა შემოიხედა და გაოცებულმა თქვა:

— დავით, უხერხულია. დაგავიწყდა, სტუმარი რომ გვყავს? როდემდე გელოდოთ?!

დავითი მთელი ტანით შებრუნდა კარისკენ და ადგილზე გაქვავდა. თამარს უკვე მოესწრო ხილით, შამპანურითა და კონიაკით სუფრის გაშლა.

— ვიდრე საუბარს არ დავამთავრებთ, ოთახიდან ვერ გახვალ! — ნიკასკენ გაუხედავად თქვა დავითმა.

— მე ყველაფერი გითხარი.

— მე კი — არა! — დავითმა ხელით შეაჩერა კარისკენ დაძრული ნიკა და თამარს უთხრა: — იცი, რა სიურპრიზი მოგიმზადა შენმა შვილმა?!

თამარმა შიშით გახედა სასტუმრო ოთახში დარჩენილ ანას და შვილს მიმართა:

— ნიკა!

— მალე მაგასაც მოვესწრებით, — დავითი უმალ ჩასწვდა, თუ რა გაიფიქრა თამარმა, — მაგრამ ამჯერად სხვა რამ უნდა გახაროს!..

— რა?

— დღეს შენმა შვილმა სამსახურიდან გათავისუფლება ითხოვა! — უპასუხა დავითმა.

თამარმა გაოცებული მზერა მიაპყრო ნიკას.

— და ამ ქალბატონის სტუმრობაც სწორედ ამ ამბავს უკავშირდება, — დაამატა დავითმა.

ამის გაგონებაზე თამარი კარს მოშორდა, უღონოდ დაეშვა სკამზე და განმარტების მოლოდინში, ნიკას გახედა.

— ნურაფერს ელი. მაგას აღარაფერი აქვს სათქმელი, — უცვლელი ტონით განაგრძო დავითმა.

— დამშვიდდი, დედა, — ალაპარაკდა ნიკა, — მოგვიანებით ყველაფერს აგიხსნი.

— ეს სიმართლეა? — მცირე პაუზის შემდეგ ჰკითხა თამარმა.

— ჰო, — დაუდასტურა ნიკამ.

— რატომ?.. რის გამო?..

— შენს შვილს ამაზე ლაპარაკიც არ სურს. დილით, მშვიდად ყველაფრის ახსნა ვთხოვე და ამის ნაცვლად, ეს ქალბატონი მოიყვანა სახლში!.. — ცივად თქვა დავითმა.

— რა შუაშია ანა? — ხმადაბლა ჩაილაპარაკა თამარმა.

— ანა არაფერ შუაშია... ყველაფერი... — წამოიწყო ნიკამ, მაგრამ დავითმა არ დაასრულებინა. კარი ხელის კვრით მიხ-

ურა და სწრაფად ალაპარაკდა:

— მაგ ქალბატონს ამ გზით უნდა ჩემთვის სამაგიეროს გადახდა!..

— მამა!.. — ბრაზმორეული ხმით თქვა ნიკამ. — შეწყვიტე!

— არა! მე თავად მსურდა შენთან მშვიდად დალაპარაკება, მაგრამ შენ არ მოინდომე!..

— რა შუაშია ანა? — კითხვა გაიმეორა თამარმა.

— იმან აურია გონება! სამსახურის მიტოვება ჩააგონა და ახლა აქ მეწვია და ნიშნის მოგებით მიმზერს!..

— მაგრამ რისთვის? რამე დავუშავეთ?.. — დაიბნა თამარი.

— მაგ ქალბატონმა თავისნაირი ავანტიურისტები შემოიკრიბა გარშემო. ზოგი ადვოკატს უწოდებს თავს, ზოგი — ჟურნალისტს, ზოგიც — ადამიანის უფლებების დამცველს. ენას კი ძვალი არა აქვს, მთავრობაც მხარს უჭერს და... — დავითმა მცირე პაუზა გააკეთა და ნიკას ცივად მიუგდო: — ეს ჯერ კიდევ ჩემი ოჯახია და მე არ მსურს მაგ ქალის აქ ხილვა!..

— იქნებ, ჩემი ხილვაც არ გსურს?.. — მზერა გაუსწორა ნიკამ.

— მე უკვე ვთქვი სათქმელი. რამდენიმე წუთს გაძლევ, მის აქედან მოსაშორებლად. თუ არა და, მე თვითონ გავაკეთებ ამას!

— ჩვენ ვერასოდეს გამოვნახავთ საერთო ენას, — გულისტკივილით ჩაილაპარაკა ნიკამ, კარი გამოაღო და ადგილზე გაშეშდა: სავარძელი, რომელშიც სულ ცოტა ხნის წინ ანა იჯდა, ცარიელი იყო.

— წავიდა... — ჩურჩულით თქვა თამარმა. — ალბათ ეწყინა და წავიდა... არ გამოვიდა ლამაზი, დავით. რას იფიქრებს ჩვენს ოჯახზე?!

— ძალიან კარგი! — დაუფარავი კმაყოფილებით თქვა დავითმა. — ახლა მაინც დავრწმუნდი, რომ ამიერიდან, აღარასოდეს ვნახავ ჩემს ოჯახში.

მისი სიტყვების მოსმენაზე, ნიკამ უკმაყოფილოდ გააქნია თავი. შემდეგ შებრუნდა, ბინიდან გავიდა და სირბილით დაეშვა კიბეზე.

სხვა ვითარებაში, რეზოს არაფერი ექნებოდა საერთო ჩელესთან, მაგრამ საკანმა ისინი მაინც დააახლოვა. რეზოსთვის ეს სრული შემთხვევითობა იყო, ჩელესა და დანარჩენი თანამოსაკნეებისთვის კი — კანონზომიერება. საქმე ის გახლდათ, რომ ისინი ერთი და იმავე — ნარკოტიკების რეალიზაციის ბრალდებით იმყოფებოდნენ ციხეში. იმას, თუ რას ნიშნავდა საპატიმროში ეს ბრალდება და რისი გადატანაც მოუწია მის ძმას, რეზო მხოლოდ საკანში მოხვედრის შემდეგ ჩასწვდა.

— წამალზე ზიხარ? — ბრალდების მოსმენისთანავე გამოცოცხლდნენ საკანში.

— გამიჩალიჩეს, — რეზომ უღონოდ ჩაქინდრა თავი.

— გაუჩალიჩეს!.. — გაიცინა რამდენიმე პატიმარმა. — აქ ყველა გაჩალიჩებით ზის. განსაკუთრებით კი — ჩელე!..

რეზო დაიძაბა. ციხის კანონების შესახებ ბევრი არაფერი იცოდა, თუმცა გაგონილი ჰქონდა, რომ პატიმრები ცუდად ეპყრობოდნენ ნარკოვაჭრებს. მაგრამ უსიამოვნო დიალოგი ამჯერად, ამით შემოიფარგლა.

— თვითონ მოინახე ადგილი და გაფრთხილებ, პატიოსანი „არესტანტები“ არ შეაწუხო, — ცივად ესროლა ტანმაღალმა პატიმარმა, რომელიც საკნის მაყურებლად გაეცნო და ზურგი შეაქცია.

რეზომ მხოლოდ მაშინ შეათვალიერა საკანი. უმალ მიხვდა, თუ რასაც გულისხმობდა მაყურებელი. საკანში ყველა საწოლი დაკავებული იყო. ზოგზე ვიღაც იწვა, ზოგზე რამდენიმე პატიმარი ერთად იჯდა და ამის მიუხედავად, საკანში ათამდე კაცი გადი-გამოდიოდა. ხილულმა თავისთავად უკარნახა, რომ საკანში თავისუფალი ადგილი არ იყო და ამასთან ერთად, მისთვის საწოლის დათმობასაც არავინ აპირებდა.

ვინ იცის, რამდენი ხანი იდგებოდა კარში, ერთ-ერთი პატიმარი რომ არ შეხმიანებოდა?

ორმოციოდე წლის კაცი საკანში შესვლისთანავე მოხვდა თვალში. ის იქვე, თხელი ტიხრითა და ზეწრით გამოყოფილი საპირფარეშოს გვერდით იწვა. რამდენიმე წუთი უხმოდ ადევნებდა თვალს, შემდეგ წამოჯდა და თავისთან მიიხმო:

— ბიჭო, მოდი აქ.

რეზომ ორი ნაბიჯი გადადგა და კაცის წინ შედგა.

— თბილისელი ხარ? — ჰკითხა მან.

— ჰო...

— წამალზე აგაგდეს?

რეზომ უხმოდ დაუქნია თავი.

— ვინ?

— მესხმა...

კაცმა ყურადღებით შეათვალიერა. შემდეგ გვერდზე მიიწია და ხელით ანიშნა: ჩამოჯექიო.

— „სმენკაში“ აგიყვან, „პარაშასთან“ ძილი თუ არ „გეგრეხება“, — განაგრძო კაცმა, როდესაც რეზო მის გვერდით დაჯდა. — მაგრამ გაფრთხილებ, დღისით „შკონკის“ სიახლოვეს არ დაგინახო! მე ღამე ვფხიზლობ და დღისით მძინავს. გაწყობს ასეთი რეჟიმი?

არჩევანს მოკლებულმა რეზომ უხმოდ დაუქნია თავი.

— მაშინ, ერთმანეთი გავიცნოთ. მე ჩელე მქვია, — თქვა კაცმა და ხელი გაუწოდა.

რეზოსგან განსხვავებით, ჩელე მართლაც, წამლის „ბარიგა“ იყო და არც მალავდა ამას. თუმცა, რა აზრი ჰქონდა ამის დამალვას? საკანში რამდენიმე პატიმარი მაინც იმყოფებოდა, რომელსაც პირადად მისგან ჰქონდა შეძენილი ნარკოტიკი. მაგრამ ამის მიუხედავად, მას მაინც არავინ ავიწროებდა. ერთდაერთი სასჯელი, რომელიც მას დაუწესეს, „პარაშის“ გვერდით ძილი იყო. ჩელე საერთოდ არ განიცდიდა ამას. თავადაც იცოდა, სადაც უნდა ეცხოვრა „ბარიგას“ და იმასაც ხვდებოდა, თუ რა მოჰყვებოდა აჯანყებას. სამაგიეროდ, „პარაშასთან“ ცხოვრებას ერთი დადებითი მხარეც ჰქონდა: არავინ ცდილობდა ადგილიდან მის განდევნას და საწოლის დასაკუთრებას. იმ დროს, როდესაც გისოსის სიახლოვეს მდებარე საწოლებზე მორიგეობით ეძინა სამ-ოთხ პატიმარს, ჩელე მარტო განაგებდა თავის „შკონკას“...

რეზოსთვის მოულოდნელად, ჩელესთან დაახლოება საჭირო და საინტერესოც კი აღმოჩნდა. სწორედ მისგან გაეცნო ციხის ანაბანას — იმას, თუ ვის უნდა მოჰკიდებოდა ნდობით და ვისგან შორს დაეჭირა თავი. თავად ჩელე ყველასგან განცალკევებით ყოფნას არჩევდა. საჭმელსაც კი მარტო ჭამდა და მიუხედავად იმისა, რომ ის და რეზო ერთ საწოლზე იძინებდნენ, მასაც კი არასოდეს იწვევდა სუფრასთან.

— რატომ გაურბიხარ ყველას? — ჰკითხა ერთხელ, მისი საქციელით გაოცებულმა რეზომ.

— იმიტომ, რომ ბევრი დრო მაქვს გატარებული „სროკზე“ და ძალიან კარგად ვიცნობ აქაურობას... — ბუნდოვანი პასუხი გასცა ჩელემ.

— ვერაფერს მივხვდი, — მხრები აიჩეჩა რეზომ.

— აქ სიკვდილი არ მინდა. „სვაბოდაზე“ ერთი საქმე მაქვს მოსაგვარებელი და... — არ დაასრულა ჩელემ.

— მესმის, მაგრამ ცალკე ჭამა რაღაა?

— ისაა, რომ ვიღაცას არ უნდა, ის საქმე მოვაგვარო და დიდ მაყუთსაც გადაიხდის, აქ რომ სამუდამოდ დამტოვოს, — ყრუ ხმით ჩაილაპარაკა ჩელემ.

— გეშინია, რომ არ... — რეზომ ფრთხილად მიმოიხედა ირგვლივ და შემდეგ დაასრულა: — რომ არ მოგწამლონ?

— ენა დაიმოკლე!.. — შეუბღვირა ჩელემ. — არაფრის მეშინია. უბრალოდ, ყველა ნაბიჭვარს არ მოვისვამ სუფრაზე!.. რა, რამე პრეტენზია გაქვს?..

— არა, — შეცბუნებული სახით უპა-

სუხა რეზომ და თანამოსაუბრეს ზურგი შეაქცია.

იმ დღის შემდეგ, ჩელე მასთან ურთიერთობასაც გაურბოდა. მთელ დღე-ღამეში ორიოდე სიტყვას თუ ეტყოდა, ისიც — მხოლოდ გაღვიძებისას და ძილის წინ, მაშინ, როდესაც ერთმანეთს უთმობდნენ საწოლს. მაგრამ ასე, დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთხელ ღამით რეზომ თანამოსაკნე იატაკზე აღმოაჩინა: ჩელე მოკრუნჩხული იწვა და აცახცახებულ მარჯვენას საწოლის ქვეშ დადებული ჩანთისკენ იწვდენდა.

— რა მოგივიდა? — რეზო სწრაფად წამოჯდა.

— წამალი... ჩანთაში ტკივილგამაყუჩებელი მაქვს... — გაჭირვებით უპასუხა ჩელემ.

რეზომ თანამოსაკნე საწოლზე დასვა, ჩანთა მოჩხრიკა და ტკივილგამაყუჩებელი და წყალი მიაწოდა.

— რა გაწუხებს? — განაგრძო, როდესაც ჩელემ სული მოითქვა.

— ძველი „გრეხები“...

— თუ არ გინდა, ნუ მეტყვი, — რეზომ დაცინვად მიიღო პასუხი.

— არა, ბიჭო. სხვანაირად ნუ გაიგებ. შენი წყენინება არ მინდა. „გრეხებში“ ის საწამლავი ვიგულისხმე, რომელიც მიჩხერია. მაშინ მეგონა, ვკაიფობდი და მუღამს ვისწორებდი. ახლა კი, ხომ ხედავ, რა დღეშიც ვარ?!. ვიბრიდები და უფრო უარესიც... ცოცხლად ვლპები!.. — ტკივილით სავსე ხმით თქვა ჩელემ.

— მე კი ვიფიქრე...

— ვიცი, რაც იფიქრე, — არ დაასრულებინა ჩელემ, — ახვარ „ბარიგას“ ცოდვებმა უნია!..

— არა!.. — აჩქარდა რეზო.

— თუ ძმა ხარ, არ გინდა „რიჟა“ ბაზარი! სხვა რა უნდა გეფიქრა? ათი-თორმეტი წლის წინ, მეც ასე ვიფიქრებდი და უფრო მეტიც — წამლის მაგივრად, ცხელ ტყვიას დავალევინებდი „ბარიგას“! დღეს კი...

— მართლა ყიდდი წამალს? — გაუბედავად ჰკითხა რეზომ.

— ვყიდდი ის სიტყვა არ არის. პარტიებით, კილოობით „ბარიგობდი“ და სხვა ფასიც მქონდა. ვინ შემომბედავდა „ბარიგას“?! ამისთვის ადგილზევე დავანთხევინებდი ტვინს. ახლა მიმაგდეს „პარაშასთან“. მაშინ კი, ამათგან ბევრს დაუკოცნია ჩემი მუხლები: ოღონდ, წამალი მომეცი და რაც გინდა, მთხოვეო!.. ნაბიჭვრები! ერთ „ბახოდში“ მშობელ დედას გაყიდიან!.. — ჩელემ ღვარძლიანი მზერა ესროლა თანამოსაკნეებს.

— ჩუმად!.. — შიშით თქვა რეზომ.

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎ 822 006 005
822 006 099
822-425-544
SMS 1474
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

— ისე, მართალი ხარ. აქ ყველასი უნდა გეშინოდეს. ვერ მიხვდები, ვინ, როდის და რა გზით მოგიყომარებს „ბაზარს“. იყო დრო, როდესაც არ მეშინოდა. ახლა კი, ამ აქოთებულ „შკონკაზე“ მძვრება სული... ისე, არ მწყინს. მეტის ღირსიც ვარ. ადრე უნდა დავბრედილიყავი — მაშინ, როდესაც პირველად გავიჩხირე. ამდენ „ბოზობას“ აღარ ჩავიდენდი. ისე, ძალიან ახლოს ვიყავი სიკვდილთან. ერთი-ორჯერ წამალში ვიპარებოდი, ერთი-ორჯერ დანაც გამიყარეს და ტყვიაც მესროლეს. მაშინ მართლაც, არ შემშინებია სიკვდილის. წამლით გაჟღენთილს, რა შემაშინებდა?!. ახლა კი მეშინია. ვიცი, რომ უეჭველად მოვკვდები, ვიცი, რომ დავიმსახურე სიკვდილი და მაინც მეშინია... — ჩელემ გამხმარი ტუჩები ენით მოილოკა და ლაპარაკი განაგრძო: — სიკვდილზე მეტად კი, იმის მეშინია, რომ იმ ნაბიჭვრებს ხახვივით შერჩებათ ჩემი სიკვდილი!..

— ვის?

— ჩემნაირ ნაბიჭვრებს. მათ, ვინც წლების განმავლობაში მაყიდვინებდა წამალს. მათ, ვინც „ბარიგად“ მაქციეს და როდესაც მათთვის ზედმეტი გავხდი, აქ შემომაგდეს და სასიკვდილოდ გამწირეს!..

— ვინ არიან ისინი?

ჩელემ ტკივილიანი მზერა ესროლა. წამით რეზოს მოეჩვენა, რომ მას რაღაც ძალზე მნიშვნელოვნის თქმა სურდა. მაგრამ ჩელემ მაინც მოთოკა თავი.

— არა... ისინი ჩემი ხელით უნდა მოკვდნენ. მათ სახელებს კი... მათ სახელებს მხოლოდ მაშინ ვიტყვი, როდესაც სასთუმალთან ჩამომჯდარ მიქელ-გაბრიელს მოვკრავ თვალს!..

ნიკა სირბილით გავარდა სადარბაზოდან და შედგა. ანა არსად ჩანდა. მის განკარგულებაში მხოლოდ რამდენიმე წუთი თუ იქნებოდა და ამ დროის განმავლობაში, მას შორს წასვლა ვერ უნდა მოესწრო.

მარცხნივ თუ მარჯვნივ? — ეკითხებოდა ნიკა საკუთარ თავს.

ლოგიკურად რომ ემსჯელა, ანა მარცხნივ უნდა წასულიყო: ამ გზით, ის ბევრად მალე მივიდოდა თავის სახლამდე. მაგრამ ნიკამ სხვა გადაწყვეტილება მიიღო. ის ხვდებოდა, რომ დავითის სიტყვების მოსმენის შემდეგ, ანა იმ გზით წავიდოდა სახლისკენ, რომელზეც ნიკა მის დაწევას ვეღარ შეძლებდა.

ორასიოდე მეტრის გარბენის შემდეგ, ნიკამ ტანმაღალი ქალის სილუეტი შენიშნა.

— ანა! — შესძახა სიხარულით და სირბილს მოუმატა.

მისი ხმის გაგონებაზე, ანამაც აუჩქარა ნაბიჯს. მაგრამ ნიკამ მაინც შეძლო მისი დაწევა, მხარზე მოხვია ხელი და მისი თავისკენ შემობრუნება სცადა. ანამ გაიბრძოლა, თავი გაითავისუფლა და სახით კედლისკენ დადგა.

— მაპატიე... — ყრუდ ჩაილაპარაკა, მისი მოცახცახე მხრებით შეძრულმა ნიკამ. — ჩემი ბრალია. თავიდანვე უნდა გამეთვალისწინებინა, რაც მოჰყვებოდა ამას.

— წადი!.. — მისკენ გაუხედავად თქვა ანამ. — წადი და აღარასოდეს მოხვიდე ჩემთან!..

— სად წავიდე? ვისთან?! — ამოიოხრა ნიკამ.

— ეგ შენი გადასაწყვეტია...

— მე უკვე გადავწყვიტე!

— ცდები. შენ არ გაგაჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი! — ანა კედელს მოშორდა, ცრემლიანი თვალები მიაპყრო ნიკას და გზას გაუყვა.

— რატომ? რაში მადანაშაულებ?! ის სიტყვები მამაჩემმა თქვა და არა — მე!.. — მთელი ხმით იყვირა ნიკამ.

ანამ უპასუხოდ დატოვა მისი კითხვები. უკანაც კი არ მოუხედავს. პირიქით, ნაბიჯს აუჩქარა, რომ რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდა იქაურობას. ცოტაც და ის მოსახვევში შევიდოდა და თვალს მიეფარებოდა. მაგრამ ნიკა სწრაფად მოსწყდა ადგილს, სირბილით წამოეწია, შეაჩერა და თქვა:

— გთხოვ, ნუ მიმატოვებ...

ანამ სევდიანი მზერა ესროლა და ისე ჩაილაპარაკა.

— შენ მე წარმოუდგენელი ტკივილი მომაყენე!..

— მაპატიე... მამაჩემის სიტყვებიც მე მაპატიე!..

— მამაშენი არაფერ შუაშია. ეს ტკივილი შენ მომაყენე და არა — მან!

— მე-ე?! — დაიბნა ნიკა. — რით?

— შენ ფარად გამომიყენე. არ გსურდა, მამაშენთან პირისპირ საუბარი და ჩემი სტუმრობით გადაწყვიტე ვითარების განმუხტვა. თავიდანვე ვგრძნობდი, რაც მოჰყვებოდა ამას, მაგრამ მაინც ვერ გითხარი უარი.

— არა, შენ ცდები... მე არასოდეს გავრისკავდი შენით... მე შევცდი... მართლაც, არ მეგონა, თუ მამაჩემს ასე ძალიან გააღიზიანებდა ჩემი სამსახურიდან წასვლა...

— სამსახურიდან წასვლა?!. — შეაწყვეტინა ანამ.

— ჰო... სხვა მიზეზი არ ჰქონია.

— არა, ნიკა. მამაშენი ჩემმა სტუმრობამ გააღიზიანა და არა სამსახურიდან შენმა წასვლამ. მას ხომ ერთხელაც არ უხსენებია შენი სამსახური!..

— მართალი ხარ... — თავი დახარა ნიკამ. — მაგრამ — რატომ?.. რატომ ვერ გიტანს დავითი?

— ამას მამაშენი აგიხსნის, — მიუგო ანამ და გზის გასაგრძელებლად შებრუნდა. მაგრამ ნიკამ ისევ არ მისცა ამის საშუალება. წინ გადაუდგა და ლაპარაკი განაგრძო:

— ეს უნდა დამთავრდეს.

— რას გულისხმობ? — ჰკითხა ანამ.

— ჩვენ ძალიან დიდი ხანი გავურბოდით ერთმანეთს. მე უკვე გადმოვდგი ნაბიჯი. ახლა შენი ჯერია.

— რას მთხოვ?

— მე უკვე გითხარი, — თვალებში ჩააცქერდა ნიკა.

— მეც... წადი და ნუღარასოდეს მოხვალ ჩემთან... — მზერა აარიდა ანამ.

— რატომ, ანა?

— მამაშენი მაინც არ მოგცემს ჩემთან დარჩენის საშუალებას. ადრე თუ გვიან, მაინც დაუბრუნდები და მე მარტო აღმოვჩნდები მის პირისპირ!..

— აზვიადებ.

— არ ვაზვიადებ. შენ კარგად არ იცნობ მამაშენს.

— სხვათა შორის, მან იგივე მითხრა შენზე...

— ამიტომაც გთხოვ — დაუჯერე მამაშენს და შინ დაბრუნდი. შენ ვერ შეძლებ მამასთან დაპირისპირებას.

— რაში უნდა დავუპირისპირდე მამას? — გაუკვირდა ნიკას. — საგამოძიებოს გარდა, უამრავი საინტერესო სამსახური და საქმე არსებობს.

— მე სამსახურს არ ვგულისხმობ, — თავი გააქნია ანამ.

— მაშ, რას გულისხმობ?

— მამაშენის ცხოვრების მეორე მხარეს, რომელზეც შენ წარმოდგენა არა გაქვს...

— მამაჩემის ცხოვრებას მხოლოდ ერთი მხარე აქვს!.. — მოიღრუბლა ნიკა. — მესმის, რომ ნაწყენი ხარ. გეთანხმები, რომ დავითი მართალი არ იყო. მაგრამ მაინც, არ გინდა ასეთი რაღაცები!..

— ხომ გითხარი, არ იცნობ მამაშენს... შინ დაბრუნდი, ნიკა. ეს ყველასთვის კარგი იქნება — შენთვის, შენი დედ-მამისთვის და... ჩემთვისაც, — პაუზის შემდეგ თქვა ანამ.

— კარგი... დავბრუნდები, მაგრამ ერთი პირობით, — აღელვებული ხმით თქვა ნიკამ: — მითხარი... მითხარი, რომ არ გიყვარვარ და სამუდამოდ ჩამოგეცლები...

ანა დიდხანს დუმდა. შემდეგ კი, წყენით სავსე მზერა მიაპყრო.

— სულელი ხარ... — ჩაილაპარაკა ხმადაბლა და ტროტუარს გაუყვა.

ამჯერად, ნიკას უფრო ნაკლები დრო დასჭირდა გადაწყვეტილების მისაღებად. ანას ორიოდე ნაბიჯი ჰქონდა გადადგმული, როდესაც წამოწია, მკლავები მოხვია, გულში ჩაიკრა და ყურში ჩასჩურჩულა:

— ვერ წავალ და შენც არ მოგცემ ამის საშუალებას...

ჩელე გვიან ღამით გახდა ცუდად.

— რა მოგდის? — რეზო მხარზე შეეხო თანამოსაკნეს და თავისკენ გადმოაბრუნა.

— არ გინდა, — სუსტად შეეწინააღმდეგა ჩელე, — ასე ვიწვები.

— წყალი დალიე, — რეზო ბოთლს წაეტანა.

— არა, არ მინდა, — ბალიშიდან თავის აუღებლად უპასუხა ჩელემ. — თუ შეგიძლია, ბოთლი ცხელი წყლით ამივსე.

— რამდენიმე წუთი მოიცადე, — უპასუხა რეზომ და საწოლიდან წამოდგა.

ბოლო ორი დღე, ჩელე განსაკუთრებით ცუდად გრძნობდა თავს. წყალიც რომ დაეღია, რამდენიმე წამში, გულისრევით მოკრუნჩხული, საპირფარეშოსკენ გარბოდა. მაგრამ ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, ადმინისტრაცია არ ჩქარობდა ლაზარეთში ან საავადმყოფოში მის გადაყვანას. ავადმყოფი პატიმარი ექიმმა მხოლოდ ერთხელ მოინახულა და მდგომარეობიდან გამოსაყვანად, ორიოდე აბი დაუტოვა. რეზოს გასაოცრად, ჩელეს არც უფიქრია წამლის მიღება. როგორც კი ექიმი საკნიდან გავიდა, აბები თითებით მოსრისა და საფერფლეში ჩაყარა, თანაც — ისე, რომ საკანში არავის შეემჩნია.

— რატომ გადაყარე? — გაუკვირდა ამის მნახველ რეზოს.

პასუხად ჩელემ მშვიდი მზერა ესროლა და ისე ჩაილაპარაკა:

— კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ სისტემაში ვერ ერკვევი. ერთი რამ დაიმახსოვრე: სანამ აქ იქნები, შენი ახლობლის გარდა, არავისი ხელიდან არ აიღო წამალი...

ჩელე, რეზოს დაბრუნებისთანავე გამოცოცხლდა. ბოთლი ჩამოართვა, მარჯვენა გვერდზე მიიჭირა და გაყუჩდა.

— როგორ გრძნობ თავს? — ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა რეზომ.

ჩელე რამდენიმე წამს დუმდა. შემდეგ თვალები გაახილა და ჩურჩულით თქვა:

— ახლოს მოიწიე...

რეზო მისკენ დაიხარა.

— მართლა ძალიან ცუდად ვარ, ბიჭო. ვგრძნობ, რომ დილამდე ვეღარ გავძლებ, — ჩურჩულით განაგრძო ჩელემ.

— ექიმს გამოვიძახებ.

— არა, არა... ამათი ექიმი უფრო მალე მომიყომარებს „ბაზარს“...

— აბა, რითი დაგეხმარო? — ჰკითხა რეზომ. — მოდი, ბიჭებს გავაღვიძებ.

— არ გინდა... — ჩელემ პაუზა გააკეთა და შემდეგ განაგრძო: — ვკვდები, ბიჭო, და როგორ არ მინდა, ამ დამპალ ციხეში სიკვდილი!.. ყველაფერს დავთმობდი ერთსაათიანი „სვაბოდისთვის“. ერთ ახვარს დავაყრევინებდი ნაწლავებს და მერე, თუნდაც ცოცხლად დამწვან...

— კარგი ერთი! რა დროს სიკვდილია?! — ყრუდ ჩაილაპარაკა რეზომ.

— დროა... დროა... შიშით არ მეშინია. ღირსიც ვარ. „ბოზურად“ გავატარე ცხოვრება და... თუ ძმა ხარ, ჩანთაში წამალი მაქვს, მომიძებნე...

რეზომ სწრაფად შეასრულა თხოვნა. ტკივილგამაყუჩებელი და წყლით სავსე ტოლჩა მიაწოდა. ჩელემ აბი გადაყლაპა და ლაპარაკი განაგრძო:

— აზრზე არა ვარ, რა შეგემთხვათ შენ და შენს ძმას, მაგრამ ვხვდები, რომ ერთი და იმავე ნაბიჭვრის გულისთვის მოვხვდით ციხეში... მე ვეღარ მივწვდები იმ ახვარს და იქნებ, შენ შეძლო...

— ვის გულისხმობ? — ჩაეძია რეზო.

— ვინც შენ აგიყვანა...

— მესხს?!

— ჩუმად.... — ჩელემ სწრაფი მზერა მოავლო მძინარე თანამოსაკნეებს. — იმ არაკაცს სახელი არა აქვს. ვიდრე ვჭირდებოდი, მაჩალიჩა. მერე აქ გამომისტუმრა. იცოდა იმ დამპალმა, რომ „სროკს“ ვეღარ გადავიტანდი... ამას მნიშვნელობა აღარ აქვს... — ამ სიტყვებთან ერთად, ჩელემ ხელში ქაღალდის ნაგლეჯი ჩაუტენა და ჩურჩულით დაამატა: — აქ ყველაფერი წერია. ჩემი სახელით დაუკავშირდი ამ კაცს და იქნებ, გაგიმართლოს. მე თუ ვეღარ, იქნებ, შენ მაინც შეძლო აქედან გაღწევა...

ჩელე უეცრად მოეშვა. თავი გვერდზე გადაუვარდა და დადუმდა.

— რა მოგდის?! — მხარში ჩააფრინდა რეზო.

— მოვიდა... — გაჭირვებით ჩაილაპარაკა ჩელემ.

— რა თქვი?

— არაფერი... ეს შენი შანსია... არ გაუშვა ხელიდან... ნაღდ საქმეს გაძლევ... ეგ ჩანაწერი იმ ნაბიჭვარს დედას უტირებს... მხოლოდ ერთს გთხოვ: როცა ყველაფერი დამთავრდება, მესხის საფლავზე მიდი და ჩასძახე: ჩელემ მოგიყომარა „ბაზარი“-თქო!..

ეს მისი უკანასკნელი სიტყვები იყო. წამის შემდეგ, ჩელეს უღონოდ ჩამოუვარდა თავი და სუნთქვა შეწყვიტა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

პატივცემულო მკითხველო!

როგორც თქვენ მიერ შევსებულმა გამოკითხვის ანკეტებმა ცხადყო, დიდი უმრავლესობა, რომანისა და დეტექტივის აქტიური მკითხველი ბრძანდება, რაც გვახარებს. მაგრამ გვსურს, ამ სფეროში თქვენს შეხედულებებს უფრო ახლოს გავეცნოთ, ამიტომ გთხოვთ, გვიპასუხოთ: რომელ ნაწარმოებს ანიჭებთ უპირატესობას და რატომ. არ დაიზაროთ, აკრიბეთ ტელეფონის ნომერი — 37-50-03 ან 37-75-33 და გაგვიზიარეთ თქვენი აზრი ზაზა ვაჩნაძის „ველური წაბლის ხეივნისა“ და გოჩა მანველიძის „თეთრი სიკვდილის“ შესახებ. თქვენს მოსაზრებებსა და შენიშვნებს ჩვენი ავტორები ამ ნაწარმოებებშიც გაითვალისწინებენ და „გზის“ ფურცლებზე მომავალში დასაბეჭდად მზადების დროსაც მიიღებენ მხედველობაში.

წინასწარ გიხდით მადლობას.

ნიკა ქაფთარაძე: „ახალ წელს „საინტერესოდ“ ფხიზელი ვიყავი“

— ნიკა, „ტელევიზორი“?

— „ტელევიზორი“.

— რატომ?

— აბა, რადიო?

— რატომაც არა!

— არა, არა, ისევ ტელევიზორი და არაფერი სხვა...

— როგორ ჩაიარა დღესასწაულის პირველმა „ეტაპმა“?

— ჯანმრთელობის მცირედი შელახვის მიუხედავად, წარმატებით დამთავრდა, ბევრმა ნიგვზიანმა საჭმელმა იცის ხოლმე მცირეოდენი ზიანის მოყენება.

— ახალ წელს ნასვამი შეხვდი?

— „საინტერესოდ“ ფხიზელი ვიყავი, რადგან ოჯახურ გარემოში გახლდით.

— ნასვამი ურევ ხოლმე?

— არა, სუფრასთან ჩემი განწყობილება და ხასიათი იქ შეკრებილ საზოგადოებაზეა დამოკიდებული. ძირითადად, ისინი აყალიბებენ და განმაწყობენ იმისთვის, რომ ვიყო თბილი და ზედმეტად კეთილი. ბოთლები არც სხვისთვის მისვრია და არც ვინმეს დაურტყამს ჩემთვის.

— ეი. თავში არასდროს არაფერი მოგხვედრია?

— რას მეუბნები, კარგი, რა!

— არც გუნდა?

— თოვლის გუნდა მაშინ მომხვედრია, როცა თავზე თმა მქონდა, ქუდი მეხურა ანუ გუნდებს მაშინ მესროდნენ, როცა დაცული ვიყავი.

— თვითონ არავისთვის გისვრია სველი, კენჭიანი გუნდა?

— თოვლს ზომიერად ვიყენებდი, მას სამშენებლო მასალას — ხრეშსა და ქვითკირს არ ვურევდი, მაგრამ ეს ყველაფერი ჩემი ცხოვრების უკვე ძალიან ადრეული ეტაპია.

— რატომ არის ნაძვის ხე საახალწლო ატრიბუტი?

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ალბათ იმიტომ, რომ კარგი ფორმა აქვს, სათამაშოებით პროპორციულად ირთვება. ამასთან, მარადმწვანეა, რაც სიცოცხლისა და მარადიულობის სიმბოლოა. ალბათ, ამ ყველაფერთან დაკავშირებით, რაღაც ლეგენდაც არსებობს, მაგრამ ჩემს ამ კუთხით გუნათლებლობას, გულთან ახლოს ნუ მიიტან!

— გოჭის ხორცი გემრიელია?

— ძალიან...

— ახალ წელს მირთვი გოჭის ხორცი?

— ისე მოხდა, რომ წელს ჯერჯერობით, მას გემო ვერ გავუსინჯე.

— რამდენი საახალწლო სუფრა მოიარე?

— მაცალე და დავითვლი: 1, 2, 3, 4 და 5 იანვარს უკვე ეთერში ვიყავი.

— ნიკა, თუ იცი, მაიმუნისა და ლომის ხორცი რატომ არ იჭმება?

— ვინ თქვა? მე მაიმუნის ხორცის არაჩვეულებრივ „ჩამაიმუნებულს“ ვაკეთებ და ლომის ხაშია ნაბახუსევზე მისწრება.

— უცბად, რამე საახალწლო ლექსი მითხარი.

— „ნაძვის ხეო, ნაძვის ხეო, ლამაზო და მშვენიერო, როგორ მინდა, შენ გარშემო ვიცეკვო და დავიმღერო“.

— სად ხარ ახლა და რას აკეთებ?

— სამსახურში და შობისწინა დღეს გაქაფული ვშრომობ.

— კარნავალზე ვის ნიღაბს გაიკეთებდი?

— გააჩნია, განწყობილებას! ჩემი — „ფანტომასის“ ნიღაბიც მეყოფა...

— 2 იანვარს ვინ ან რა დაგებედა?

— ჩემს მეგობრებთან ერთად ვიყავი, — სერიალის — „ბიჭები და გოგოები“ — გმირებთან. ჩვენში ბედობად მაინც 17 დეკემბერს, ბარბარობას მიიჩნევენ. ამიტომ, ჩემი მეკვლე რეჟისორი გიორგი ლიფონავა იყო.

— ნიკა, იღბალი, ბედი თუ ნიჭი?

— ყველაფერი ერთად, აუცილებლად!

— სულ ბოლოს, რას იტყვი?

— ყველა ქართველს, 2007 წელს სიხარულს და ბედნიერებას ვუსურვებ. თქვენს ჟურნალს, გაორმაგებულ ტირაჟს, მე და ჩემს მეგობრებს — ერთად გემრიელად ყოფნას და მუშაობას, ოჯახის სიმტკიცეს! ყველაფერი საუკეთესო მოეტანოს გოჭის წელს! ■

„მის ბიკინიმ“ ტაივანში გვასახელა

*გასული წლის აგვისტოში, კონკურსში — „მის ბიკინი“ სააგენტო „ნატალის“ მშვენიერმა მოდელმა — თიკო ჩხეიძემ გაიმარჯვა. ის ახალი წლის წინა დღეებში ტაივანში გაემგზავრა, სადაც ჩატარდა 2006 წლის მსოფლიო „მის ბიკინის“ კონკურსი. თიკო ინტერნეტგამოკითხვით „მის მსოფლიოს სახე“ გახდა და კონკურსზე საკმაოდ დიდი მოწონება დაიმსახურა; ის აღნიშნული კონკურსის ათეულში შევიდა. მოდელი კმაყოფილებას ვერ ფარავს, მოეწონა კონკურსი და იქაური ადამიანების კეთილგანწყობილებაც. მან არაერთი წინადადება თუ შემოთავაზება მიიღო, რასაც ნამდვილად არ ელოდა. თიკოს ამ შედეგებით გაოცებულია სააგენტო „ნატალის“ ხელმძღვანელი — **ნატა სამადალაშვილი**:*

— თიკო 16 წლის ასაკიდან დადის ჩვენს სააგენტოში, ახლა კი უკვე 20 წლის არის. ის მიზანმიმართული, თავდაჯერებული, მშრომელი გოგონაა, თავისი გარეგნობითა და მონაცემებით აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ტაივანში დიდი ენთუზიაზმით გაემგზავრა და წარმატებასაც მიაღწია. თავიდან ასეთ კონკურსებს ცოტა არასერიოზულად ვუყურებდი, ახლა, თიკოს მაგალითზე დავრწმუნდი, რომ ეს მთლად ასე არ არის. ■


ოთარ და გულნაზ
რამიშვილები

საშობაო ბაზრობა ელისეს მინდვრებზე, მეშვიდეან მასროლილი ფეიერვერკი მაიამი-ბიჩზე და ქართველების ჩახუტება ათენში

დასაწყისი იხ. გვ. 11

ბუნებრივია, ასეთი თბილი წერილის შემდეგ ბატონ ოთარსა და მის მეუღლეს, ქალბატონ გულნაზს ინტერვიუსთვის შინ ვეწვიეთ. ვიდრე ინტერვიუს ჩაწერას შევუდგებოდით, ქალბატონმა გულნაზმა მითხრა: საბერძნეთში ისეთი კონცერტები ჩავატარეთ, იქ ისეთი ამბავი იყო, რომ გული მწყდებოდა, აქამდე ამ ამბის გაშუქებით რომ არავინ დაინტერესებულაო... ლაპარაკი ბატონმა ოთარმა დაიწყო:

— მე და სოსო მაზმანიანი უკვე 25 წელია, ერთად ვმუშაობთ. ის ჩემი კონფერანსიეა, მე კიდევ, ვმღერი. ლიგია მუშკუდიანი ბოლნისსა და რუსთავში მოღვაწეობდა, ისიც კონფერანსიე იყო, სხვადასხვა კონცერტს ორგანიზატორობდა. მასაც უკვე 20-25 წელია „ვიცნობ და ერთმანეთისთვის ძალიან ახლობლები ვართ. რამდენიმე წლის წინ ლიგია საბერძნეთში წავიდა. ყოველ წელიწადს, ჩემს დაბადების დღეზე ჩამოდიოდა ხოლმე და პირადად მილოცავდა. გასულ წელს კი გადაწყვიტა, რომ ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც, ჩემი დაბადების დღე საბერძნეთში ერთად აღგვნიშნა და იქ მიგვიწვია მე, სოსო მაზმანიანი და ვახტანგ ტატიშვილი. ერთი კონცერტი სალონიკში ჩავატარეთ, მეორე — ათენში. საბერძნეთში სულ ერთი კვირის განმავლობაში გავჩერდით. კონცერტზე იმდენი ხალხი იყო მოსული, სკამებზე ვეღარ ეტეოდნენ, იატაკზე ისხდნენ. მობილური ტელეფონებით დამყვებოდნენ უკან და ფოტოებს მიღებდნენ, მკოცნიდნენ, მეფერებოდნენ. ყველა იქაურ რესტორანში ჩემს სიმღერებს მღეროდნენ...

ქალბატონი გულნაზი:

— ოთარი და ვახო ისეთი დუეტი იყო, გაგიჟდებოდით. ვიდრე საბერძნეთამდე ჩავედით, თვითმფრინავში დახოცეს ხალხი სიცილით, მაგრამ მანამდე, აეროპორტში მოხდა ერთი კურიოზი. ჯარჯი ზვიადაური მიფრინავდა საბერძნეთში. მას გასაცილებლად ზურაბ ზვიადაური მოჰყვა. ეს ბიჭები რომ დავინახე, მივხვდი, იცნეს ოთარი, ისეთი სახით იყურებოდნენ... ოთარს უჭირს ხოლმე ხალხის ცნობა და დამახსოვრება, ამიტომ თავი დავიზღვიე, მივედი და ვუთხარი: ოთარ, ახლა შენთან ბიჭები რომ მოვლენ, ეგენი ოლიმპიური ჩემპიონები არიან ჭიდაობაში და არ შემარცხვინო-მეთქი. მანაც თავი დამიქნია. მართლაც, ცოტა ხანში ორივე ზვიადაური მოგვიახლოვდა და ოთარს უთხრეს: ძალიან გვიყვარხართ, თქვენი თაყვანისმცემლები ვართ და თქვენი კასეტები სულ თან დაგვაქვსო. ოთარი კი ზურაბს მიუბრუნდა და ჰკითხა — მამა, შენ უკრავო? კინაღამ გავგიჟდი. ვინც ეუბნება, შენი ფანი ვარო, რატომღაც ჰგონია, რომ ყველა მათგანს მუსიკასთან რაიმე შეხება უნდა ჰქონდეს. არადა, ხომ გავაფრთხილე... საბერძნეთიდან რომ მოვფრინავდით, თვითმფრინავში ავთო ცქვიტინიძე შეგვხვდა, თავის მეუღლესთან ერთად. ავთოს ახლოს არ ვიცნობ, მაგრამ ისეთი თბილი ღიმილით შეხედა ოთარს, რომ ძალიან მესიამოვნა. მასზეც გავაფრთხილე ოთარი, კარგად დაიმახსოვრე, ეს დიზაინერი ავთო ცქვიტინიძეა-მეთქი. კი, მამა, მახსოვსო — მითხრა. ცოტა ხნის მერე, ოთარმა სოსოს ავთო გააცნო: გაიცანი, ეს მოდელიანიაო (მოდელიერი უნდოდა ეთქვა). ლამის გავგიჟდი, თუმცა, ავთოს ასეთი შეფასება არ სწყენია... ეს ისეთი მოგზაურობა იყო, რომ არასოდეს დაგვავიწყდება. ჩვენ იქ რაღაც თანხის საშოვნელად არ წავსულვართ, წავედით იმიტომ, რომ ხალხისთვის გვესიამოვნებინა და იქიდანაც, ძალიან ნასიამოვნები დავბრუნდით. ქუჩაში ოთარს ცნობდნენ, ეფერებოდნენ. პატარა ბავშვებმაც კი იცოდნენ, ვინ გახლავთ ოთარ რამიშვილი. ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, ტიროდნენ. ცრემლნარევი სიხარული იყო. კონცერტის დროს დარბაზი რამდენჯერმე წამოუდგა ფეხზე. მერე, სცენაზე ტორტიც მიართვეს. ქალი თუ კაცი, ყველა ვტიროდით. ენით ვერ აღვწერ, იქ ისეთი ამბები იყო. როგორც ოჯახის წევრები, ისე მიგვიღეს. ძალიან დიდი პატივი გვცა საქართველოს ელჩმა საბერძნეთში, სანდრო ჭუმბურიძემ...

ბატონი ოთარი:

— გავგიჟდი, მთელი საქართველო საბერძნეთშია. იმდენი ქართველი ვნახე... ყველა რესტორანში გვეპატიჟებოდა. ერთი ქალბატონი იყო, ზოია სულხანიშვილი, რომელსაც იქ ქართული რესტორანი აქვს. დღეში სამჯერ გვეპატიჟებოდა და იმისთანა სუფრას გვიშლიდა, ვგიჟდებოდით. ამის შემდეგ, იმ ზოიას პურმარილოვნა შევარქვი და შერჩა ეს მეტსახელი, რადგან ყველა ასე მიმართავდა... საბერძნეთში არის ერთი ადგილი, სადაც შაბათ-კვირას ქართველები იკრიბებიან ხოლმე. იქ რომ გავედი, 100 მეტრის გავლას, 4 საათი მოვუნდი. ყველა მაჩერებდა, ავტოგრაფს ან სურათის გადაღებას მთხოვდა, მეფერებოდნენ... კიდევ, ერთი ქართველი ქალი გავიცანი, რომელიც ბერძენზეა გათხოვილი, პოეტი მანანა ჭინვარია. მან ლექსი გამომატანა და მთხოვა: იქნებ, ამ ლექსზე სიმღერა დაწეროო. სხვათა შორის, უკვე დავწერე ის სიმღერა და ძალიან კარგი გამოვიდა, თუმცა საბერძნეთში ჯერჯეროობით არ გამიგზავნია და მანანას ჯერ არ მოუსმენია... საერთოდ, ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი. ქართველი სადაც მინახავს, ყველა ასე თბილად მხვდება ხოლმე... თურმე, საბერძნეთში, ერთ-ერთ რესტორანში ვიღაც ბერძენი ჩემს სიმღერებს მღერის. მეც შევედი იმ დაწესებულებაში და ამ დროს, მან გამოაცხადა, ახლა „ფუტკარს“ ვიმღერებო. მივედი, გამოვართვი მიკროფონი და ვუთხარი: ჩემს სიმღერას მე უფრო კარგად ვიმღერებ-მეთქი...

ქალბატონი გულნაზი:

— ოთარმა რომ ჩამოართვა მიკროფონი, ძალიან დამწყდა გული, მეწყინა, რადგან მინდოდა, იმ კაცს ემღერა.

ბატონი ოთარი:

— ისე, მოვისმინე, როგორ მღეროდა ის კაცი ჩემს სიმღერებს და ძალიან მომეწონა. მიუხედავად იმისა, რომ ის ბერძენია, მაინც ძალიან კარგად მღერის ქართულად. ძალიან მიხარია, ჩემი სიმღერები საზღვრებს მიღმაც კი ასეთი პოპულარული რომ არის.

— გარდა იმ ახალი სიმღერისა, რომელიც ქალბატონ მანანა ჭინვარიას ლექსზე დაწერეთ, კიდევ თუ გაქვთ რაიმე ახალი ნამუშევარი?

— 40-50 ახალი სიმღერა მაქვს დაწერილი. ალბათ, ნელ-ნელა გამოვა.

— ბატონო ოთარ, კიდევ რომელიმე ქვეყანაში ხომ არ აპირებთ გასტროლებს?

— ერთი მაგარი ქვეყანაა, მუხათგვერდი ჰქვია და იქ ვაპირებ წასვლას (*იცინის*). მამა! — საბერძნეთში, დარბაზი რომ ფეხზე წამომიდგა, ამხელა კაცს თვალებზე ცრემლები მომერია. თურმე, ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქითაც ვახსოვარ ხალხს. აწი, ერთ 20 წელიწადს კიდევ ვიცოცხლებ, მერე კი ალბათ, ჩამოივლის ჩემი მატარებელი და იმ ქვეყნად წავალ... ■

ვახტანგ ტატიშვილი და ოთარ
რამიშვილი ათენელ მასპინძელთან,
ლიგია მუშკუდიანთან ერთად

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

(11- 17 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ)

ᲕᲔᲠᲫᲘ 21.03-20.04

თუ ახალი წელი მაინცდამაინც მხიარულად ვერ გაატარეთ, შეგიძლიათ, ამ კვირას ყველა დანაკლისი აინაზღაუროთ. უახლოეს დღეებში ხალისიანი განწყობილება და სიურპრიზები გელით.

ᲙᲣᲠᲝ 21.04-20.05

უმჯობესია, ეს დღეები საყვარელ საქმიანობას დაუთმოთ. კარგი კვირაა ხელოვანი ადამიანებისთვის. თავი მაქსიმალურად უნდა შეიკავოთ ალკოჰოლისგან და ხალხმრავალ ადგილებსაც მოერიდოთ. იაქტიურეთ და მიღწეული შედეგით თვითონაც გაოცდებით.

ᲢᲧᲣᲐᲜᲘ 21.05-21.06

ამ პერიოდში გაიცნობთ საინტერესო ადამიანებს, მაგრამ რადგანაც ამ კვირაში თქვენი მოტყუება ძალზე ადვილია, სიფრთხილისკენ მოგიწოდებთ. უმჯობესია, საერთოდ შეიკავოთ თავი სერიოზული გადაწყვეტილებების მიღებისგან.

ᲙᲘᲑᲝ 22.06-22.07

სიმშვიდე შეინარჩუნეთ ოჯახში და ნუ ჩაერევით სამსახურში კონფლიქტურ სიტუაციაში, თუ დარწმუნებული არა ხართ, რომ თქვენი ჩარევით მდგომარეობა გამოსწორდება. უქმე დღეები მეგობრებთან ერთად გაატარეთ.

ᲚᲝᲛᲘ 23.07-23.08

არ დაგეგმოთ საქმიანი შეხვედრები. ამ კვირას უმჯობესია, დაისვენოთ და ყურადღება საკუთარ ჯანმრთელობას დაუთმოთ. დროის უმეტესი ნაწილი ოჯახურ გარემოში გაატარეთ.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ 24.08-23.09

ეს კვირა მრავალ სასიამოვნო მოულოდნელობას გპირდებათ. პირად ცხოვრებაშიც სიახლე გელით: ჰორიზონტზე ახალი თაყვანისმცემელი გამოჩნდება და კვირის ბოლოს ისეთი რომანტიკული საღამო გელით, რომელიც არასდროს დაგავიწყდებათ.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ 24.09-23.10

ბევრი საქმიანი შეხვედრა გელით. ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას. კვირის ბოლოს, თუ დაღლილობას იგრძნობთ, მეგობართა წრეში დაისვენეთ, ოღონდ, ამ დროს, საკუთარ საქმიანობაზე ნაკლები ილაპარაკეთ.

ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘ 24.10-22.11

თქვენს ცხოვრებაში მოსალოდნელია ცვლილებები, რომლებსაც მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვება. ამ კვირაში ნუ გაასესხებთ დიდ თანხას, ახლობელთა მხოლოდ მორალური მხარდაჭერით შემოიფარგლეთ.

ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ 23.11-21.12

გამოიჩინეთ შრომისმოყვარეობა და წარმატება გარანტირებული გექნებათ. თუ აქტიურობას და ამასთანავე, პასუხისმგებლობის გრძნობას გამოავლენთ, ხელმძღვანელობა ამას უეჭველად დაგიფასებთ (შესაძლოა, ხელფასიც კი მოგიმატონ).

ᲗᲔᲗᲠᲘᲡ ᲠᲫᲐ 22.12-20.01

ამ კვირას საინტერესო ადამიანებთან შეხვედრა გელით, ამიტომ სასურველია, თავი მოიწესრიგოთ და საახალწლო სუფრაზე მირთმეული ნოყიერი კერძების შედეგად მომატებული წონის დაკლებაზე იზრუნოთ.

ᲛᲐᲠᲬᲧᲣᲚᲘ 21.01-19.02

დიდი წარმატება გელით. თუმცა, ამ წარმატებამ თავბრუ არ უნდა დაგახვიოთ და არ უნდა აჩქარდეთ გადაწყვეტილების მიღებისას. ამ კვირაში წამოწყებული ახალი საქმე წარმატებას უეჭველად მოგიტანთ.

ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ 20.02-20.03

ამ კვირაში, ჭორიკანების სამიზნედ იქცევით. თქვენ გარშემო აგრესიული ფონი ძლიერდება და სასურველია, სიმშვიდე შეინარჩუნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, უსიამოვნება არ აგცდებათ.



BLS Sport ევროპული ბაზრისათვის

კომპანიამ Cadillac სედანის — BLS სპორტული მოდელი შექმნა, რომელსაც BLS Sport ერქმევა. ეს სიახლე ევროპული ბაზრისთვისაა განკუთვნილი და მისი გაყიდვა იანვრის ბოლოდან დაიწყება. საბაზო ვერსიისგან განსხვავებით, BLS Sport უფრო დაბალია და სპორტული სტილის ინტერიერით გამოირჩევა. ის ტურბოდიზელის აგრეგატითაა აღჭურვილი. გარდა ამისა, მას ბენზინის სამი ძრავაც აქვს: 2 ორლიტრიანი, სიმძლავრით — 175 და 210 ცხ.ძ. და 255 ცხ.ძ. სიმძლავრის, 2,8 ლ მოცულობის V6. მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება, ბენზინის ნებისმიერი ძრავა შეუკვეთოს, 6-საფეხურიანი მექანიკური ან ავტომატური გადაცემათა კოლოფით. ■

Chevrolet Camaro-ს სპორტული კუპე

დეტროიტის ავტოშოუზე, რომელიც უკვე გაიხსნა, Chevrolet Camaro-ს სპორტული კუპის თავღია ვერსიის პრემიერა შედგება. იგი წარმოდგენილი იქნება, როგორც კონცეპტუალური მოდელი. კუპე Camaro-ს სერიული წარმოება, რომელმაც ამერიკაში Ford Mustang-ს უნდა გაუწიოს კონკურენცია, 2008 წლის მიწურულს დაიწყება, ხოლო მისი თავღია ვერსია რამდენიმე თვით გვიან გამოჩნდება ბაზარზე. ახალი Camaro მძლავრი — V8 ტიპის ძრავათია აღჭურვილი. ამ მანქანის შესახებ ჯერჯერობით არავითარი სხვა ინფორმაცია არ ვრცელდება. ისიც კი არ არის ცნობილი, თუ როგორ გამოიყურება ახალი კაბრიოლეტი აწეული რბილი სახურავით — ყველა ოფიციალურ ფოტოზე, რომლებიც რამდენიმე დღის წინ გავრცელდა, მისი ღია ვარიანტია წარმოდგენილი. ■

ხუთადგილიანი Citroen C4 Picasso

მიმდინარე წლის მარტში, ჟენევის საერთაშორისო საავტომობილო სალონზე კომპაქტური ვენის — Citroen C4 Picasso — ახალი მოდიფიკაციის მსოფლიო პრემიერა შედგება. მანქანა ხუთადგილიანი იქნება. იგი 12 სმ-ით მოკლე და 2 სმ-ით დაბალია შვიდადგილიან ვერსიასთან შედარებით. სიახლეს ისეთივე დიზაინის ძარა და სალონი აქვს, როგორიც უფრო დიდ მოდელს. გარდა ამისა, ისიც იმავე ძრავებითაა აღჭურვილი: ბენზინის 1,8 და 2,0 ლ მოცულობის აგრეგატებით, რომელთა სიმძლავრეები შესაბამისად, 125 და 143 ცხ.ძ-ს ავითარებს, აგრეთვე, 110 და 138 ცხ.ძ. სიმძლავრის 1,6 და 2,0 ლ მოცულობის დიზელის ძრავებით. მიუხედავად დამოკლებული ძარისა, Citroen C4 Picasso-ს ხუთადგილიან ვერსიას საკმაოდ ტევადი — 500 ლ მოცულობის საბარგული ექნება, რომელიც უკანა სავარძლების აკეცვის შემთხვევაში, 1734 ლ-მდე გაიზრდება. ■

დასაწყისი იხ. გვ. 52

მე გადავლახავ ჩემს სიამაყეს/ და როცა შენზე ოცნება მოთოვს,/ იმ სიზმრებიან, ბოდვიან ღამეს,/ მოვალ და ჩემს წილ სიყვარულს მოგთხოვ. გაუმარჯოს, სვანებს! კესო ანუ „კუსა“.

ვარ 22 წლის, სიმპათიური, 170 სმ სიმაღლის ბიჭი. სიამოვნებით გავიცნობ 16-დან 24 წლამდე გოგოს. წრფელი სიყვარული მინდა. „გიო-მილანა“.

შენ ქარიშხალი გინახავს ზღვაზე?/ მოგისმენია გრიალი ზღვისა?/ იგი ბრაზდება საკუთარ თავზე/ როცა სიყვარულს უცქერის სხვისას. კესო.

ჭკუას მოუხმე ალენა,/ მეცა მაქ ენა „ნაგლისა,“/ ჩემს ლექსებს შენ რას გაუგებ/ ნიჭი არა გაქვს მაგისა! „სტიქია“.

ახლა მიწევს ტვინის ჭყლეტა/ არ დავწყვიტავ მე გულს ჭიჭეს,/ ამ ძნელ ნიკსაც კი გავრითმავ/ ძაანაც რომ გამიჭირდეს! „სტიქია“.

არ ვაპირებდი მოწერას, მაგრამ „პ-ა-პ-ა-21“-ის გაცნობის სურვილი გამიჩნდა. თუ დაინტერესდება, მისი ნომერი მომეცით. მაგარი ადამიანი ჩანს. იმედია, არ ვცდები. მპუა.

გამარჯობა ყველას. მარი, შობას გილოცავ. მე ხევსური ვარ და მინდა, „უიღბლოს“ გამოვეხმაურო. მაინტერესებს, ვინ ხარ და თუ ხევსურები გიყვარს, „უიღბლოს“ რატომ უწოდებ თავს? მშვენიერო ქალიშვილო, გამიცანი. „ხვადი ვეფხვი“.

„გიო-1“ მაგარი ბანძია. ნინი, ბათუმიდან.

ვარ 34 წლის, საკმაოდ სერიოზული, ჩამოყალიბებული და რა თქმა უნდა, იუმორის გრძნობის მქონე მამაკაცი. ვისაც გაქვთ მეგობრობის სურვილი, შემეხმიანეთ. ლუკა.

ვეხმაურები „ნინუცა-22“-ს. ვარ 24/180. დამაინტერესე და სიამოვნებით გაგიცნობდი. დათკა.

ვარ 16 წლის ხევსური ბიჭი. მინდა, გავიცნო „უიღბლო“, თუ წინააღმდეგი არ იქნება. შალვა.

ვარ 18 წლის, ლამაზი და საკმაოდ მომხიბვლელი. გავიცნობ „ლაშა-1“-ს ან „ლევანი-20“-ს. შეუძლიათ, სხვებიც გამომეხმაურონ, ოღონდ, სიმპათიურები. „მომხიბვლელი“.

როგორ არ მიყვარდა სიმარტოვე/ შენ კი წახვედი და მიმატოვე! ეძღვნება გრიშიკაშვილ მიტოს, რომელიც სიცოცხლეს მერჩიენა, მაგრამ მიმატოვა! ნათია, ახმეტიდან.

ყველამ გაიგოს, რომ ამიკო ვალიშვილზე, იგივე „მალიშაზე“ ვგიჟდები. ჩემი სიცოცხლე და სიხარულია. მალე „სვაბოდას“ ვუსურვებ და მისით ვცოცხლობ. ნინი.

გავიცნობ 16-19 წლის ლამაზ გოგოს, სამეგობროდ. ვარ 180 სმ სიმაღლის, 18 წლის ბიჭი. თუ დაგაინტერესებთ, იცით, ჩემი ნომერი როგორ უნდა გაიგოთ. „ტუში“.

გავიცნობ 28 წლის, სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცს. ვარ 26 წლის. „სნაიპერა“.

ვარ 16 წლის სიმპათიური ტიპი და თან, ნავარჯიშები. ვისაც დაგაინტერესებთ, დამიმესიჯეთ. ფშაველი.

მარი, პირადად თქვენ, თამუნასგან: ამ მშვენიერ, ლამაზ ღამეს/ ლექსად გეტყვი მე ჩემს სათქმელს/ მოგილოცავ შობის ღამეს!

ვარ 28 წლის, შავგვრემანი ბიჭი, იუმორის გრძნობით. გავიცნობ 32 წლამდე მანდილოსანს. „ზებრა“.

ძალიან მიყვარდა ადამიანი, რომელსაც ცოლად გავყევი. დედამისმა იმდენი ქნა, რომ ერთმანეთს დაგვაშორა. ასე მგონია, რომ ცხოვრება დამთავრდა. გთხოვთ, მირჩიეთ რამე. „ფოსო-19“.

ლაშა იობიძე ძალიან მიყვარს, მაგრამ უნდა დავშორდე, რადგან ვიცი, რომ ჩვენს ურთიერთობას აზრი არა აქვს. „ჯუქრი“.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ძალიან გულჩათხრობილი ვარ. საერთოდ არ მეტყობა, რადგან გარეგნულად საკმაოდ მხიარული გახლავართ. თან, მოცეკვავე ვარ და არ შეიძლება ჩემი მოწყენა, მაგრამ გულია მოწყენილი. მაღიზიანებენ ჩემი „პაკლოები“. არ მიყვარს პატარა და ცანცარა ბიჭები. ასე, 25-დან 30 წლამდე მომწონს, მწვანეთვალებები. თეო-19.

6 წელია, ერთ-ერთი ტაძრის მრევლი ვარ. მყავს მოძღვარი. გახლავართ გულღია ადამიანი. არასოდეს არავის ვაგრძნობინებ, რომ ცუდად ვარ. მომწონს სერიოზული ბიჭები, ოღონდ, ფლირტისთვის არა. თეო.

გავიცნობ გიუ და ლამაზ ბიჭებს. ისეთებს, როგორიც მე ვარ. გამომეხმაურეთ. ნათია-15.

მარი, ნამდვილი მამაკაცის მოძებნაში დამეხმარე. კაცური ხასიათი რომ ექნება და ვაჟკაცს რომ შეეფერება, ისე გამიგებს და შემიყვარებს. ბაია.

მეც ჟურნალისტი ვარ, მაგრამ ახლა ჯარში გახლავართ. მაინც ვარ გავიგე, რატომ გიუდება ხალხი „სტიქიასნაირი“ პროფანების ლექსებზე? პოეზიის მეტი რა გვაქვს? დიდი სიამოვნებით გავიცნობდი ვინმეს, ვინც ნამდვილ პოეზიას ეთაყვანება. ანდრო, 24 წლის.

მე და ჩემი ძმაკაცი მარტო ვცხოვრობთ. მოგვბეზრდა ეს მარტოობა და გვინდა გავიცნოთ 28 წლამდე გოგონები, სამეგობროდ. ლევანი და ზურა.

ერთი კვირაა, საბერძნეთიდან ჩამოვედი და ვეძებ ჩემს კობას. მინდა იცოდეს, რომ აქ ვარ, მიყვარს და მსურს ვნახო. ვიცი, „გზას“ იყიდის, რადგან ათენში ორივე მთელი გულით ველოდით ხოლმე, ამ ჟურნალს. მარი, დამეხმარე...

მარი, როგორ ხარ? დამდეგ ახალ წელს გილოცავ, ჩემო კარგო. უზომო ბედნიერების, სიხარულისა და ახალი იდეების მომტანი ყოფილიყოს ნომერ პირველი ჟურნალისტისთვის 2007 წელი. თეა, ნატო და ხათო, ახალ წელს გილოცავთ, თქვენ, თქვენი მაღაზიის უფროსს და ყველა თანამშრომელს. ტერეზა, ათენიდან.

ძალიან მენატრებიან ჩემი შვილები. თბილისიდან შორს ვარ. ღმერთს ვთხოვ, რომ ყველა დედა შვილებთან ყოფილიყოს. ცოცხალი დედის შვილი ბევრი იზრდება ობლად.

მარი, შენ მე შემიწირავ. ეჰ... მეც რომ ვგზავნი და ვგზავნი? რად გინდა, მერე? მაინც არ დაბეჭდავ. მარუსია, მოკვდები ჩემი საცოდაობით. „სეიშენელ“ ლაშა აბზიანიძეზე ჭკუა მეკეტება. ასე რომ, მისით დაინტერესებულ პირებს მივმართავ! არავინ გაბედოს მასთან მიახლოება, თორემ მერწმუნეთ, „გზასაც“ დაგავიწყებთ და „გზავნილებსაც“. „უზნეო ანგელოზი“.

მყუდრო ნაპირზე, სადაც ზღვის ტალღებს/ ეფერებოდა სუნთქვა სიოსი,/ პირველად გნახე და გავიფიქრე,/ ეს ნიანგია? დაშრა ნილოსი? „სტიქიას“ ბალის გოგოსგან“.

გიკავშირდებით ათენიდან. რა ხდება ჩვენს სამშობლოში? მაინტერესებს „მუროს“ ნომერი. თიკო.

აუ, რა საინტერესოაა... თუ შეიძლება, „ურწმუნოს“ ნომერი მტყორცნეთ... ჩემო ბიჭო, მე შენ უნდა მოგარჯულო. „ცუნცულ-ფისო“.

მარიკუნა, ძალიან გთხოვ, „ესპანკას“ ნომერი მომეცი. ვგიჟდები ეგეთ გოგონებზე. მინდა იცოდეს, რომ ყოველთვის გამოიძებნება მისი გამგები.

ნუთუ, დაგავიწყდა ჩემი სიყვარული/ ნუთუ, აღარ იწევს ჩემკენ შენი გული/ ნუთუ, ფიქრებიდან სულაც ამომშალე/ რამე მაგრძნობინე, თორემ შევიშალე. ეძღვნება გიო გოგილიძეს.

მინდა, გამოვეხმაურო 38 წლის დათას. ვარ 35 წლის, გასათხოვარი. თუ სურვილი გექნებათ, მარის საშუალებით დამიკავშირდით.

ჟურნალის გამოსვლის დღეს ჩემს საყვარელ დედიკოს დაბადების დღე აქვს. მინდა, ვუთხრა: დადუნა, გილოცავ და სიგიჟემდე მიყვარხარ. მადლობა იმისთვის, რომ უსიტყვოდ მიგებ. გპირდები, რომ ამ წელს გამოვსწორდები და საღამომდე პიჟამით აღარ ვიბოდიალებ. შენ ყველაზე მაგარი დედა ხარ. ნატუკა.

3 ანგელოზივით გოგო ვზივართ ათენში და გვიშველე რამე. თბილისს მოკითხვა. ასაკი 23-28. გასათხოვარი გინდათ თუ გათხოვილი? — არჩევანი თქვენზეა.

ვეხმაურები ჯივჯის. ვარ 27 წლის, საკმაოდ ლამაზი, ჭკვიანი და მიმზიდველი. მაქვს თაფლისფერი თვალები და „კულულა“ თმა. მაინტერესებს, ეს ნიკი რატომ გაქვს? „ბაჭია“.

ვარ მხიარული, საკმაოდ მიმზიდველი მანდილოსანი. მინდა, გავიცნო ასევე მხიარული და სიმპათიური 35-40 წლის მამაკაცი, რომელიც ყველაფერში გამიგებს და ჩემ გვერდით გაატარებს ლამაზ წუთებს. ნატალი.

ჩემს მეუღლეს ვულოცავ შეუღლების 5 წლისთავს. კახელი.

გაგრძელება იხ. გვ. 72

ირაკლი ლომაია: თანამდებობის პირებსა და ბიზნესმენებს ენერგეტიკული დაცვა განსაკუთრებით სჭირდებათ

ცნობილი მკურნალის, შემლოცველისა და ექსტრასენსის ირაკლი ლომაიას ფენომენმა არა მარტო ქართველები, არამედ უცხოელებიც გააოცა. მას უამრავი ადამიანი ემადლიერება. ყოფილი პაციენტები ამბობენ, ნამდვილ სასწაულებს ახდენსო. ირაკლი მძიმე ავადმყოფებს კურნავს. მასთან დახმარების სათხოვნელად ხალხი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდის. შელოცვებით უამრავი ოჯახი გადაარჩინა დანგრევასა და გაუბედურებას. სხვათა შორის, მაღალჩინოსნებიც ხშირად აკითხავენ. იგი ხედავს მაგიური ზემოქმედებით დაბინძურებულ აურას და უარყოფითი მუხტისგან ასუფთავებს — ხსნის ჯადოს, თვალს, საგვარეულო წყევლას და ანეიტრალებს ნებისმიერ სხვა ნეგატიურ პროგრამას.

— ბატონო ირაკლი, 2000 წელს თქვენმა ფენომენმა ყველანი გაგვაოცა, 17 წლის ასაკში სხეულიდან მირონი გადმოგედინათ და ტანზე ჯვრები გამოგესახათ, ახლაც ხდება მსგავსი სასწაულები თქვენს ცხოვრებაში?

— დიახ, განსაკუთრებით რელიგიურ დღესასწაულებზე... რაც შეეხება მირონს, სენაკში, ჩემს სახლში, კერძოდ იმ ოთახში, სადაც ვლოცულობ და პაციენტებს ვიღებ, ხატებს დღემდე სდით მირონი, რომელსაც ავადმყოფთა სამკურნალოდ ვიყენებ.

— რით არის განსაკუთრებული თქვენი სამლოცველო ოთახი?

— უწინ იმ ადგილას, სადაც ახლა ჩემი სახლი დგას სენაკში, ყოფილა ტაძარი, რომელშიც წმინდა ბერი დიოსიმე მოღვაწეობდა. მისი ნეშტი სწორედ ჩემი სამლოცველო ოთახის ქვეშ არის დაკრძალული. მამა დიოსიმეს მადლი ჩვენზე გადმოდის და სასწაულებსაც მისი ღვთაებრივი ძალა ახდენს.

— თქვენი მეუღლე ელისო ტორჩინავაც შემლოცველია?

— დიახ, სწორედ მან გადამარჩინა სიკვდილს...

— რა გჭირდათ?

— ისე ცუდად ვიყავი, თავის მოკვლა მინდოდა. 17 წლამდე სისტემატურად ვავადმყოფობდი. ვისთან აღარ მიმიყვანეს მშობლებმა, საზღვარგარეთაც ვმკურნალობდი, მაგრამ უშედეგოდ.

— ვინ გირჩიათ ელისოსთან მისვლა?

— ერთხელ გონება დავკარგე და იატაკზე გავიშხლართე. გათიშულს მითქვამს შემლოცველის ვინაობა და მისამართი. მშობლებმა მეორე დღესვე მომიყვანეს ელისო, მხოლოდ მან შეძლო ჩემი განკურნება. მოგვიანებით ცოლად შევირთე, უკვე შვილიც გვყავს, წმინდა გიორგის პატივსაცემად ბავშვს მისი სახელი დავარქვით.

— ირაკლი, რა დაავადებებს კურნავთ?

— ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თუ პაციენტის ორგანიზმი მკურნალობას დაექვემდებარა, სიმსივნეც კი მარცხდება.

— როგორ ადგენთ, ექვემდებარება თუ არა ორგანიზმი მკურნალობას?

— ყველაზე მნიშვნელოვანი მკურნალობის პროცესში დიაგნოზის დასმაა...

— დიაგნოზსაც თქვენ ადგენთ?

— დიახ... ამისთვის მჭირდება ერთი ახალგადაღებული ფერადი ფოტოსურათი (3X4-ზე), რომლის მეშვეობითაც 3-5-დღიანი გამოკვლევის შემდეგ ვიგებ, ექვემდებარება თუ არა პაციენტის ორგანიზმი მკურნალობას. დადებითი პასუხის შემთხვევაში, რაც უნდა მძიმე ავადმყოფი მომიყვანონ, პასუხისმგებლობას ვიღებ საკუთარ თავზე, რადგანაც ვიცი, რომ უთუოდ განიკურნება... რამდენიმე წლის წინ მომიყვანეს პაციენტი, რომელსაც ძვლის სარკომა აღმოაჩნდა. ონკოლოგებმა საავადმყოფოდან გაწერეს, აღარაფერი გეშველება, ერთი კვირის სიცოცხლე დაგრჩაო. სურათი მოვატანინე და დიაგნოზი ენერგეტიკული მეთოდით დავსვი. გამიკვირდა, მაგრამ პაციენტის ორგანიზმი მეტ-ნაკლებად დაექვემდებარა მკურნალობას. მდგომარეობა ავუხსენი და ვუთხარი, შანსი გაქვს — 50 პროცენტი 50-ზე, შემიძლია, სიცოცხლე გაგიხანგრძლივო-მეთქი.

— დაგთანხმდათ?

— რა თქმა უნდა!... მენდო და გავიმარჯვეთ — ქალმა, რომელიც ერთ კვირაში უნდა მომკვდარიყო, 4 წელი იცოცხლა.

— რა მეთოდებს იყენებთ მკურნალობის დროს?

— ექსტრასენსულ ანუ ენერგეტიკულ მეთოდს. გარდა ამისა, ხილვებში ნასწავლი რეცეპტებით თვითონ ვამზადებ წამლებს ბალახებისგან. თითოეული პაციენტისთვის საგანგებოდ ვადგენ სქემას, ვარჩევ მეთოდს, გაჩენია, რა დაავადებასთან გვაქვს საქმე. ზოგჯერ ბალახებზე დამზადებულ წამლებსაც და სამკურნალო ენერგიასაც ერთდროულად ვიყენებ, რომ სასურველი შედეგი დროულად მივიღო.

— ირაკლი, რა იწვევს დაავადებებს?

— აურის დაბინძურება ნებისმიერ ორგანოს აზიანებს. გარდა ამისა, მძიმე კარმა (წინა ცხოვრების ცოდვები) და ბიოველში ხელოვნურად შეყვანილი ნეგატიური პროგრამა ანუ ჯადო, უამრავ დაავადებას იწვევს.

— როგორ ასუფთავებთ აურას?

— გამოლოცვითა და სანთლებით. თუ კაცს აურა დაბინძურებული აქვს, წარმატებას ვერ მიაღწევს. ჩემთან ხშირად მოდიან დახმარების სათხოვნელად ბიზნესმენები და თანამდებობის პირები. ასეთ ადამიანებს თავიანთი მდგომარეობის შესანარჩუნებლად ენერგეტიკული დაცვა განსაკუთრებით სჭირდებათ. საერთოდ, გამოლოცვა აუცილებელია ნებისმიერი ადამიანისთვის.

— ფოტო გამოსალოცად მოსულმაც უნდა მოგიტანოთ?

— ვინც ჩემთან მოდის, ფოტოც უნდა მოიტანოს და ორი სანთელიც.

— როგორი სანთლები?

— ეკლესიაში ნაყიდ ორ პატარა სანთელს ზედ უნდა დააკრან ოცთეთრიანი, ღამე თავქვეშ ამოიდონ და მეორე დღეს სურათთან ერთად მომიტანონ.

— როგორ არკვევთ, ადამიანს ჯადო აქვს გაკეთებული, დაწყევლილია თუ გათვალული?

— სურათისა და თავქვეშ ნადები სანთლების მეშვეობით ვიღებ საჭირო ინფორმაციას და ზუსტად ვადგენ, რა სახის უარყოფითი ენერგია ახდენს ადამიანზე ზეგავლენას... 2 წლის წინ ერთმა ქალბატონმა თავისი ვაჟიშვილი მომიყვანა. ახალგაზრდა კაცი ისე ცუდად იყო, კინაღამ ჭკუაზე შეირყა. დავსვი დიაგნოზი — სასიკვდილო ჯადო ჰქონდა გაკეთებული. მისი სურათები მოლამ მკვდარს ჩაატანა საფლავში.

— ვინ გაწირა?

— ყოფილმა საცოლემ... ჯადოს მსხვერპლი რამდენიმე წლის განმავლობაში დადიოდა მასთან, მაგრამ სხვა შეირთო. შეურაცხყოფილი ქალი შურისძიების სურვილმა გააბოროტა და თურქეთში მოლასთან წავიდა.

— მსხვერპლს ჯადოს შემკვეთის ვინაობა თქვენ უთხარით?

— დიახ, მაგრამ, როცა მასთან შინ მივედით მოლას მისამართის გასაგებად, იუარა... შევპირდი, ყველაფერს შენი პირით გათქმევინებ-მეთქი...

— როგორ ათქმევინეთ სიმართლე?

— სანთლები დავანთე, ვილოცე, ხელი ხელზე მოვკიდე და უცებ გავუშვი... ქალი მოდუნდა, სკამზე გადაწვა და ჰიპნოზურ მდგომარეობაში მყოფმა თვითონვე აღიარა, რომ მოლას, ყოფილ საქმროზე შურისძიების მიზნით, ჯადო შეუკვეთა.

— რაში დაგჭირდათ მოლას ვინაობა და მისამართი?

— ჯადოს გასანეიტრალებლად. სასწრაფოდ უნდა მოგვეძებნა საფლავი, რომ იქიდან მსხვერპლის სურათები ამოგვეღო.

— თურქეთში წახვედით?

— დიახ, თან ბიჭის მშობლები და ჯადოს შემკვეთი გავიყოლე.

— როგორ წამოგყვათ?

— სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც თავისი პირით დაფქვა ყველაფერი, ძალიან შეიცვალა, რელიგიური გახდა და ცოდვა მოძღვრის წინაშე აღიარა.

— მიაგენით საფლავს?

— დიახ, ჯერ მოლასთან მივედით... ჯადოს შემკვეთმა აუხსნა რაშიც იყო საქმე და შეჰპირდა, თუ საფლავიდან სურათებს ამოიღებ და მოგვიტან, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდებაო.

— მოგიტანათ მოლამ სურათები?

— დიახ, მოგვიტანა და ჩვენც პირობა შევასრულეთ... შვიდი დღის განმავლობაში უნდა ამეხსნა ჯადო, თორემ შეიძლებოდა უბედურება დატრიალებულიყო. მართალია, მაგიური ზემოქმედება გავანეიტრალე, მაგრამ სამაგიეროდ მე გავხდი ცუდად, ერთი თვე დამჭირდა ენერგიის აღსადგენად.

P.S. დარეკეთ და წინასწარ ჩაენერეთ! მიღების დღეებია: სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი და კვირა, 12 საათიდან 19 საათამდე. მისამართი: კარგარეთელის ქ. №8 (პლეხანოვი). საკონტაქტო ტელეფონები: 20-50-51, 899-50-15-78. მონაცემები შეტანილია ინტერნეტში: web-site www.ikaextrasens.com e-mail: ika@ikaextrasens.com

რამდენად ტაქტიანი ადამიანი ბრძანდებით?

როგორ მოიქცევით შესაბამის სიტუაციაში? პასუხის 3 ვარიანტიდან გულწრფელად აირჩიეთ ერთ-ერთი.

1. თუკი მეგობარი მოგიყვებათ იმის შესახებ, რომ მისი რომანი საბოლოოდ დამთავრდა ან მის ქორწინებას დაესვა წერტილი, თქვენ:

ა) დაწვრილებით გამოჰკითხავთ მას, რა მოხდა — 3;

ბ) ეტყვით, რომ არ გსურთ ამ საქმეში ჩარევა — 0;

გ) გულისყურით მოისმენთ ყველაფერ იმას, რასაც თავად მეგობარი მოგიყვებათ — 10.

2. თუკი დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდებით და აღმოჩნდება, რომ ამ ხნის განმავლობაში ის ძალიან გასუქებულა, მაშინ:

ა) პირში ეტყვით თქვენს მეგობარს, რომ ამ ხნის მანძილზე ის ძალიან გასუქებულა — 0;

ბ) ეცდებით, რაიმე სასიამოვნო უთხრათ იმასთან დაკავშირებით, რომ ის მშვენივრად გამოიყურება — 0;

გ) ამ საკითხზე არაფერს ეტყვით — 10.

3. აღფრთოვანებული მეზობელი შემოდის თქვენთან და გეუბნებათ, რომ მომგებიან ფასში შეიძინა ნივთი, რომელიც მას ძალიან სჭირდებოდა. თუკი თქვენთვის ცნობილია ადგილი, სადაც ასეთივე ნივთის უფრო იაფად შეძენაა შესაძლებელი, თქვენ:

ა) არ დაუმალავთ და ეტყვით მეზობელს, რომ მან შეცდომა დაუშვა — 0;

ბ) ურჩევთ, როცა რაიმის ყიდვას დააპირებს, სხვა მაღაზიებშიც შეიაროს — 3;

გ) საერთოდ მოერიდებით იმ თემაზე საუბარს, თუ რამდენად ხელსაყრელი იყო ამ ნივთის შეძენა — 10.

4. კოლეგებთან ერთად წინასწარ დათქმულ ადგილას მიხვედით და ქალაქგარეთ გასასვლელად უკვე მზად ხართ, ირკვევა, რომ ერთ-ერთ თანამშრომელს ფული შინ დარჩა. თქვენ:

ა) ყველას გასაგონად, ამაყად გამოაცხადებთ, რომ მის თანხასაც თქვენ გადაიხდით — 0;

ბ) არაფერს იტყვით — 3;

გ) ჩუმად გადაულაპარაკებთ მას, რომ ორივეს ხარჯების დასაფარავად თანხა გეყოფათ და არაფერზე ინერვიულოს — 10.

5. სამსახურში მოსაწყობად გასაუბრების გავლაა საჭირო. თქვენთვის წინასწარ ცნობილია, რომ დაწესებულების შეფი კონსერვატიული შეხედულებებით გამოირჩევა. თქვენ:

ა) გასაუბრებაზე წასვლისას თქვენ მაინც თავისუფალი სტილის სამოსის ჩაცმას ამჯობინებთ — 0;

ბ) ძალზე სოლიდურ, მაგრამ უკვე მოდიდან გასულ კოსტიუმში გამოეწყობით — 3;

გ) მკაცრი სტილის, საქმიანი და ამასთანავე, მოდური კოსტიუმის ჩაცმას ამჯობინებთ — 10.

6. საგანგებოდ დაგპატიჟეს სადილად, სუფრასთან ჯდომის დროს, როცა მეორე თავი კერძი შემოიტანეს, მოგეჩვენათ, რომ ის საკმაოდ უგემურია. თქვენ:

ა) თეფშს გვერდზე გასწევთ და კერძს აღარ გაეკარებით — 0;

ბ) გამოაცხადებთ, რომ დიეტაზე ხართ — 3;

გ) რაღაც საინტერესო თემაზე ჩამოაგდებთ საუბარს და ლაპარაკში გართული თქვენი ულუფის მხლოდ მცირე ნაწილს გასინჯავთ— 10.

ტესტის შედეგები:

50-60 ქულა: თქვენ ძალზე იოლად პოულობთ საერთოს ადამიანებთან და ადვილად უმეგობრდებით მათ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი თავშეკავებულობის წყალობით, თითქმის არასოდეს ხდებით სხვების თავდასხმის ობიექტი.

30-49 ქულა: თქვენ გულღია ადამიანი ბრძანდებით. თუმცა, ზოგჯერ არც ვიღაცისთვის კბილის გაკვრას ერიდებით, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამას ბოროტი განზრახვით არასოდეს აკეთებთ.

0-29 ქულა: საერთოდ, რომელ ტაქტზეა ლაპარაკი, როგორც ჩანს, თქვენთვის აბსოლუტურად სულერთია რას გრძნობენ და განიცდიან სხვა ადამიანები. ერთი რამ გაითვალისწინეთ — კონტაქტების დასამყარებლად ეს საუკეთესო გზა სულაც არ არის.

იაპონური სენსაცია სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

2	3	4	8	6	1	7	5	9
8	6	7	5	9	4	1	2	3
5	1	9	3	7	2	4	8	6
1	9	6	4	8	5	2	3	7
3	7	8	1	2	9	6	4	5
4	2	5	6	3	7	8	9	1
9	5	2	7	1	8	3	6	4
7	8	3	9	4	6	5	1	2
6	4	1	2	5	3	9	7	8

5	4	6	1	8	3	7	2	9
1	9	8	2	5	7	4	6	3
2	7	3	6	9	4	8	5	1
6	5	4	8	1	2	9	3	7
8	3	2	5	7	9	6	1	4
9	1	7	3	4	6	2	8	5
7	2	1	4	3	8	5	9	6
4	8	5	9	6	1	3	7	2
3	6	9	7	2	5	1	4	8

4	2	8	6	1	7	9	5	3
3	9	6	2	4	5	7	8	1
5	1	7	8	3	9	2	4	6
2	8	3	9	5	1	6	7	4
6	4	9	7	2	3	8	1	5
7	5	1	4	6	8	3	9	2
1	7	4	3	9	6	5	2	8
8	3	2	5	7	4	1	6	9
9	6	5	1	8	2	4	3	7

* მარტივი

	4	2		9				8
		5	3	8			6	9
9					6	2		
8					9	3	1	
	5			3			7	
	6	4	7		1			2
		3	5					7
4	9			1	7	5		
5				2		8	4	

** საშუალო

	2		5					4
	6				8	2		
1				6			8	
5			3		7	8	2	
		1			4	9		
	7	9		2				5
	5			8				3
		2	6				4	
4					1		5	

*** რთული

		5	1					
		3	8					6
		6					9	
	9			4			1	
		7	9			3		
	2						8	
	3					1		
1					4	2		
					6	8		



1 ქალაქს ტრანსპორტი
2 ლომის ნაშიერი
3 გადამდნარი ღორის ქონი
4 საკარმიდამო ნაკვეთი
5 სპილენძის ვიწროყელიანი ჭურჭელი
6 თევზსაჭერი გემი
7 მედიცინის დარგი
8 იგივეა, რაც წყვილი
9 ფრანგი ფერმწერი
10 ღვინის ღმერთი ბერძ. მით.
11 შუკაცი, მომრიგებელი
12 წვრილი ჩხირი
13 გეომეტრიული ფიგურა
14 ხშირი, დაბურული ტყე
15 თაფლიანი ფიჭა
16 ფრანგი მწერალი
17 მსახიობი ქალი ... ჭიჭინაძე
18 უმცროსი მატროსი
19 რთული ორგანული ნივთიერება
20 დილის განთიადის წირვა
21 ზრდილობიანი მიმართვა იაპონიაში
22 ლითონის რგოლი რისამე გასამაგრებლად
23 ყველა სენის სარგო წამალი
24 გოგრა
25 ალექსანდროლითისაგან დაწურული ღვინო
26 ქალალდის ფულის გამოშვება
27 გეომეტრიული სხეული
28 მთა თურქეთში
29 დუშე, პორტის მტვირთავების ენაზე
30 ფილიპინების დედაქალაქი
31 კლდის თხა
32 ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა
33 აპრილის ძვ. ქართული დასახელება
34 ტროპიკული ხილი
35 ფესვის ამოღების ნიშანი
36 თმაში გარეული თეთრი
37 ალალბედზე მოქმედება
38 უნგრული ღვინო
39 ვაზის ხეივანი
40 დიდი ქვა
41 ქართული ლიტერატურული პრემია
42 რუსული ავტომობილი
43 სრული მარცხი

ზინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. გოზინაყი; 2. ციგა; 3. ნირი; 4. ჩიჩილაკი; 5. აკვარელი; 6. ლოქო; 7. გოჭი; 8. ვიზა; 9. ჭიკარტი; 10. კომეტა; 11. დეფიციტი; 12. კალა; 13. დარი; 14. ლოლიტა; 15. კოკი; 16. არტერია; 17. მინდია; 18. აზია; 19. ცაგერი; 20. სიცივე; 21. ცვილი; 22. გიტარა; 23. გარიბალდი; 24. ტბა; 25. ლუდი; 26. კალოში; 27. თვალი; 28. ურნა; 29. ბაქია; 30. კურსი; 31. უფალი; 32. ქადა; 33. მასრა; 34. პანელი; 35. პილოტი; 36. ბათუმი; 37. ანარეკლი; 38. და; 39. ფარატინა; 40. ალტი; 41. ლორი; 42. ტურა; 43. პიცა; 44. მახათი; 45. მაია; 46. ემი; 47. ჩილა; 48. მინა.

სურათზე: გზა გილოცავთ შობა-ახალ წელს.

დასაწყისი იხ. გვ. 52

მე ამ „ესემესს“ შენთან ვაგზავნი,/ გამაგებინე, მოვიდეს როცა,/ რადგან მას შენთან გამოვატანე,/ ბევრი სითბო და ათასი კოცნა. ეძღვნება თეთრწყაროელ გუროს.

მარი, ძალიან გთხოვ, ჩემი ნომერი „უიღბლოს“ მიეცი. არ მინდა, მოწყენილი იყოს. სუფთა სისხლის ხევსური ვარ, ბუმბერაზი მთებიდან. „ხევსურა“.

მყავს 35 წლის, გასათხოვარი, მაგარი მამიდა. კარგი აღნაგობის. მუშაობს ექიმად, ონკოლოგიურში. ჰყავს მანქანა. გამომეხმაურონ 36-43 წლის მამაკაცები. „პიკნიკა“.

მინდა, გავიცნო სერიოზული და სიმპათიური (რატომაც არა?), 38-45 წლის მამაკაცი, რომელიც ჩემსავით მარტოსულად გრძნობს თავს. იუმორზე თუ არ იქნა „აცრილი“, ხომ მთლად უკეთესი. „იდუმალი ოცნება“.

მე „პატარა ხევსური“ ვარ. მინდა, „უიღბლოს“ გამოვეხმაურო და მეგობრობა შევთავაზო. ერთი პატარა გოგო ვარ, 2 უმაგრესი სოფლით.

ნეტავ, ერთი წკეპლა მომცა,/ აგიჭრელო გვერდები,/ რა გაცინებს, გოგო, როცა,/ ქალიშვილი ბერდები... 31 წლის ნონას, გათხოვილი მეგობრებისგან.

სალამი ყველას. ვეხმაურები „ბაჩ-ესემესკას“. შენი გაცნობა მინდა. თუ სურვილი გაქვს, ჩემი ნომერი მარის გამოართვი. ათენი.

გთხოვთ, დამეხმაროთ მანანა მაისურაძის მოძებნაში. წარმოშობით ზნაურიდანაა, სოფელ ავნევიდან. ცხოვრობს თბილისში, ოჯახთან ერთად. ის ჩემი მეჯვარეა და დიდი ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს. მანანა, თამრიკო ვარ. ძალიან მენატრები. ნომერი მარისთანაა.

მარი, გთხოვ, „ზიკოს“ ნომერი მომეცი. ის წერს, რომ იურისტია და მის ბედნიერებას მხოლოდ წესიერი გოგონა აკლია.

ვარ 28/68/168. ქერა, სიმპათიური, სერიოზული, ქვრივი ქალი. მყავს 1 შვილი. სიამოვნებით შევქმნიდი ოჯახს სერიოზულ, წესიერ ქართველ მამაკაცთან. კატო.

შვილებს, იას და გიორგის, ჩემს 2 პატარა შვილიშვილს, ბაჩი და ანი შუბითიძეებს, სიძეს, ლევანს ვულოცავ ახალ წელს. U.A.E.

ვარ კარგი გოგო. გავიცნობდი ვინმეს მეგობრობის მიზნით. გიჟებმა თავი შეიკავეთ. „გატა“.

ყველას გილოცავთ ახალ წელს და წარმატებებს გისურვებთ. ჩემს თავს და ყველა ჩემნაირ მარტოსულს დიდ სიყვარულს ვუსურვებ. იქნებ, მოხდეს სასწაული და მეწვიოს დიდი სიყვარული... „მარტოსული ანგელოზი“.

სასურველი ნომრის გასაგებად უნდა დამირეკოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61, მითხრათ, ვისი ნომრის გაგება გსურთ და ჩაიწეროთ. გისურვებთ წარმატებას. ნახვამდის!

მოამზადა მარი ჯაფარიძემ

ლა სკალა სცენაზე შიშველი პრეზიდენტების გამოსვლაზე უარს ამბობს

მილანის საოპერო თეატრმა — ლა სკალამ კანადელი რეჟისორის, რობერტ კარსენის ჩანაფიქრის — ოპერეტა „კანდიდის“ განხორციელებაზე უარი განაცხადა. ამ დადგმაში უდიდესი ქვეყნების პრეზიდენტებისა და პრემიერ-მინისტრების როლებში ნიღბებაფარებული მომღერლები სცენაზე ტრუსებით უნდა გამოსულიყვნენ. თეატრის პრესატაშე აცხადებს, რომ სპექტაკლი, ლა სკალას პროგრამას არ შეესაბამება. „კანდიდის“ ლიბრეტო ვოლტერის სატირული თხზულების — „კანდიდი ანუ ოპტიმიზმი“ საფუძველზეა აგებული. მუსიკა ლეონარდ ბერნსტაინს ეკუთვნის. კარსენის სპექტაკლი წარმატებით გადის პარიზის Theatre du Chatelet-ის სცენაზე. ბრენსტაინის ვერსიაში ვოლტერის გმირები მაკარტიზმს ამათრახებენ, კარსენის ვერსიის თანახმად კი, მსოფლიო გაიდიალებული ამერიკისადმი ნდობასა და ოპტიმიზმს კარგავს. ოპერეტის პერსონაჟები — პრეზიდენტები ბუში, შირაკი, პუტინი, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი და იტალიის ექსპრემიერი ბერლუსკონი სცენაზე ეროვნული დროშების ფერი ტრუსებითა და ჰალსტუხებით გამოდიან. ლა სკალას სცენაზე ოპერეტის პრემიერა 2007 წლის ივლისში იგეგმებოდა, მაგრამ საბოლოოდ, თეატრის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ახალი ვერსია ბროდვეული წინამორბედისგან (1950-იანი წლები) ძალზე განსხვავდებოდა და ოპერეტის დადგმაზე უარი განაცხადა.

აშშ-ში ვიდეომაგნიტოფონების 30-წლიანი ეპოქა დასრულდა!

აშშ-ში ყოფითი ვიდეომაგნიტოფონების ბატონობის 30-წლიანი ეპოქა დასრულდა! ასეთ დასკვნამდე მივიდნენ კომპანია Nielsen Tech Report-ის სპეციალისტები, რომელთა მიერ ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, ამერიკელთა სახლებში DVD-პლეიერების რაოდენობამ ვიდეომაგნიტოფონების რაოდენობას საბოლოოდ გადააჭარბა!

ვიდეოკასეტების ჩასანაცვლებლად, DVD ფორმატს 10 წელი დასჭირდა. DVD-პლეიერი სამომხმარებლო ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად 1997 წლიდან იბრძვის და ამჟამად, ეს ნივთი ამერიკელთა ოჯახების 81,2%-ს აქვს — მაშინ, როდესაც ვიდეომაგნიტოფონით ამერიკელთა 79,2% სარგებლობს. 1999 წელს, როდესაც ამერიკელთა ოჯახებში DVD-პლეიერების რაოდენობის დათვლა დაიწყო, აღმოჩნდა, რომ იმ მომენტისთვის, ახალ ფორმატს ამერიკელთა მხოლოდ 6,7% ანიჭებდა უპირატესობას. აღსანიშნავია ისიც, რომ კომპიუტერები ამერიკელთა 73,4%-ს აქვს, MP3-პლეიერი კი, მხოლოდ 26,6%-ს.

ფოტოკუთხეები

პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

TB STARS

683/2

ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ლიმალელე — გურამიშვილი

PASCHAL

ბინები 57 m^2 – დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე – ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")